




**ტომი №50**  
**ელგუჯა მადრაძე**

ნაწილი II  
შეგიძლიათ შეიძინოთ  
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!  
წიგნი და „გზა“ ერთად  
4 ლარი ღირს  
შემდეგი ტომი  
ეკატერინე გაბაშვილი

უნივერსალურ მებრძოლად  
აღიარებული ქართველი გიჭი



„ქარაბე „ნეკო-ჩიუს“  
ყველა წარმომადგენელი  
უმცნაურად მხეხდა...“

1168  
2011

**ვანო:**  
**„ხად არის  
ოპოზიციანა?“**

**„თავი რაბო  
უნდა ვიპარტლო?“**

**გინდის თუ არა  
ნახა კლავოვიშვილი  
ინდურ ფილმი?**

**„ეს კი აღარ მოგეწონა!“**

**„ყველაზე მეტ  
ფილმები მე მიღებენ“**

**თემა:**  
**როგო კლავოვიშვილი  
ქალის ხელშია**

**„გზა“ – ყველაზე მაღალბირაჟიანი შურნალი საქართველოში!**

რა მოხდა  
მესტიაში?  
ქართველი ადრინათ  
ჩაღვებნოსნა და უკრაინელი  
ორნელა-მუზის აგაპვი

1987-5029

ღანი ფირაღების მიერ  
მოკლული გენერალი  
14 წლის იბრაჰიმოვა დაჭრილი კბა  
როგო დანინახა „გაუზარი“ მოითხოვა...

დაეგვა, როგოღვას  
ბორის პანიჭაძე  
ფახბურთელად აქსიან  
„ხელღანევი უხელღვას  
ეთეგაშეგოღვენე,  
გურუღვანი – მეგრეღვას...“





www.britishcentre.ge



# BRITISH CENTRE

## ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭიროყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწვევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები.“

## ნიკო კუყერაშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში“ მეგობრების რჩევით მოვედი და მან ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო ატმოსფერომ და ჯგუფურმა გაკვეთილებმა გამიადვილა ენის შესწავლა და ახლა დაბრკოლებების გარეშე შემიძლია ინგლისურად საუბარი. პროგრამის ბოლო საფეხურზე გულიც კი მწყდება, დარგან დასასრულს მიეუახლოვდი. ჩემი მიზანია TOEFL-ის ან Cambridge-ის სერტიფიკატივილი და ახლა უკვე მზად ვარ გავიდე ტესტირებაზე.“



ქ. თბილისი: რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000  
ალაშაშაძის 189; ტელ: 941 111; 952 222  
ვალთაშვილის 60; ტელ: 221 9153; 221 9154  
ქ. ბათუმი: იმედიის ქ. №2 (ყოფილი ბლაგოვსკრაილი)  
ტელ: 7 31 22

www.britishcentre.ge

## „ოქსფორდ მედიკალ ჯორჯია“ — გამოსავალი არსებობს

### დაამარცხეთ ქარბთმიანობა უახლესი ELOS მეთოდით

#### XXI საუკუნის ტექნოლოგია

ყველა ქალი ოცნებობს, უნაკლოდ გამოიყურებოდეს. ამისთვის აუცილებელია, გლუვი, ჯანმრთელი ფერის და ზედმეტი თმისგან განმედილი კანი გქონდეთ. სილამაზე ხომ უპირველესია, რაც გარშემომყოფთა აღფრთოვანებას იწვევს.

მაინც რა გზით ჯობს, ზედმეტი თმისგან გავთავისუფლდეთ?

მტიკინეულ, ხანგრძლივ და ზოგჯერ კანისთვის არცთუ უსაფრთხო პროცედურებს დღეს თმის მოცილების თანამედროვე სისტემა — ELOS ეპილატორია ანაცვლავს. ეს ყველაზე ეფექტიანი მეთოდია, რომელიც არასასურველი თმისგან სხეულის ნებისმიერ ადგილს გაგითავისუფლებს.

ELOS ტექნოლოგია ბევრად კომფორტული და უსაფრთხოა შედარებით დანარჩენ ტექნოლოგიებთან, რომლებიც მხოლოდ სინათლის ენერჯიას ეფუძნება. ელოს ეპილატორია უზრუნველყოფს კანის ორმაგ დაცვას ზედაპირის გაგრილების ინტენსიური კონტროლით. ეს გალიზინების ხარისხს მინიმუმამდე ამცირებს და კანის



გადახურების საშიშროებას გამორიცხავს.

პროცედურა ემყარება მაღალი სიხშირის სინათლის იმპულსისა და რადიოდიამაზონის მქონე ელექტრული მუხტის ერთდროულ მოქმედებას. სწორედ ეს უნიკალური შერწყმა განაპირობებს თმის ფოლექულის დაშლას.

ELOS ეპილატორია უზრუნველყოფს სუფთა, გლუვი და ნაზი კანის საოცარ და მდგრად ეფექტს. არასასურველი თმისგან სამუდამოდ

რომ გათავისუფლდეთ, საჭიროა 5-9 სესიონი. სესიონების რაოდენობა დამოკიდებულია თავად თმის მახასიათებლებზე, პაციენტის გენეტიკურ და ჰორმონულ თავისებურებებზე.

ზოგადად, ELOS ეპილატორია კოსმეტოლოგიაში უახლესი ნაბიჯია, რომელიც სასწაულებს ახდენს. ის აქტიურად გამოიყენება სახის და მთლიანად სხეულის კანის გასაახალგაზრდავებლად და დასაჭიმად, ქირურგიული დანის და ინექციების გამოყენებლად.

ELOS მეთოდი კურნავს ცელულიტს, გამონაყარს, ასტიმულირებს ახალი კოლაგენისა და ელასტინის სინთეზს, რაც კანის სილამაზესა და ახალგაზრდობაზე აგებს პასუხს. კანი ხდება გადაჭიმული და მზინავი, ნაოჭები სწორდება, წვრილი სისხლძარღვოვანი ლაქები, პიგმენტაცია და კანის სხვა ასაკობრივი ცვლილებები კი ქრება.

ELOS მეთოდმა ამოხსნა სილამაზის და ახალგაზრდობის საიდუმლო. და ის მზად არის, თავისი აღმოჩენა თქვენც გაგანდოთ.



**ELOS ეპილატორია — თმის მოცილება  
სწრაფად და ხარისხიანად  
ყველაზე თანამედროვე და  
ეფექტური მეთოდით**

კლინიკა „ოქსფორდ მედიკალ ჯორჯია“ მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით. დამატებითი ინფორმაციის მიღება და ექიმთან ვიზიტზე ჩანერვა შეგიძლიათ ტელეფონზე: 29 00 66; 29 47 47





**უსაფრთხოა ორსულობის დროს**

**ვაგინალური კანდიდოზის ეფექტური მკურნალობა**



**ნებადართულია ორსულობის ყველა ტრიმესტრში და ლაქტაციის დროს**

1 სანთელი ვაგინალურად ძილის წინ 3-6 დღე ექიმის რჩევით შესაძლებელია გამოყენება ხანგრძლივი დროით. ზოგჯერ შეიძლება აღინიშნოს წვის შეგრძობა.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს



დისტრიბუტორი  
„ავერსი ფარმა,“  
აღმაშენებლის 148/2

**სოკოს საწინააღმდეგო ადგილობრივი საშუალება**

**რა არის თეთრად შლა?**

ვულვოვაგინალური კანდიდოზი (ანუ თეთრად შლა) – გარეგანი სასქესო ორგანოების და საშოს სოკოვანი დაზიანებაა. კანდიდოზის გამომწვევია კანდიდა სახეობის საფუარისმაგვარი სოკო. ცნობილია, რომ ქალების 75%-ს სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მათი აწუხებს აღნიშნული პრობლემა.

**თეთრად შლის სიმპტომები:**

პაციენტების ძირითადი ჩივილებია: ხაჭოსებრი გამონადენი საშოდან, ქავილი (რომელიც ძლიერდება სითბოში, ძილის დროს, თბილი აბაზანის შემდეგ), წვა, ტკივილი სქესობრივი აქტისა და მომარდვის დროს.

**რა იწვევს თეთრად შლას?**

კანდიდას სახეობის სოკო შეიძლება არსებობდეს ჯანმრთელი ქალის საშოში (კანდიდამტარებლობა) და ორგანიზმის დამცველობითი ფუნქციის შესუსტებისას ისინი ხდებიან პათოგენურები. იმუნიტეტის დაქვეითება კი თავის მხრივ შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა დაავადებამ ან ანტიბიოტიკების და მადღაღოზირებელი პორმონალური კონტრაცეპტული საშუალებების ხანგრძლივმა და უკონტროლო გამოყენებამ. ორსულებში თეთრად შლა 2-ჯერ მეტი სიხშირით გვხვდება პორმონული ბალანსის შეცვლის გამო. დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია: მჭიდრო საცვლის (ტანსაცმელის) ტარება, სიმსუქნე, პირადი ჰიგიენის უგულვებელყოფა, ცხელი კლიმატი.

**თეთრად შლა ორსულობის დროს:**

თეთრად შლა ორსულობის პერიოდში სახიფათოა, რადგანაც შეიძლება პქონდეს არასასურველი გავლენა ახალშობილზე. სამშობიარო გზებში ნაყოფის გავლისას შესაძლოა პირის ღრუს კანდიდოზის განვითარება, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს საყლაპავის კანდიდოზში და შემდეგ გავრცელდეს სხვა ორგანოებზე. პიმაფუცინის უპირატესობაა მისი არატოქსიურობა და მხოლოდ ადგილობრივი მოქმედება, რის გამოც იგი შეუცვლელი პრეპარატია ორსულებში კანდიდოზის სამკურნალოდ და ახალშობილების ინფიცირების პროფილაქტიკისათვის.

**როგორ ვუმკურნალოთ თეთრად შლას?**

პიმაფუცინის ვაგინალური სანთლების გამოყენებისას მდგომარეობის გაუმჯობესება შეინიშნება მკურნალობის მეორე დღეზე. საშოს მწვავე სოკოვანი ანთების დროს პიმაფუცინის ვაგინალური სანთელი ინიშნება ერთხელ დღეში ძილის წინ 6 დღის განმავლობაში. ქრონიკული პროცესის დროს იგივე დოზირებით 9 დღე. მკურნალობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ექიმმა შეიძლება დაინიშნოს პიმაფუცინის ნაწლავში ხსნადი ტაბლეტები, ასევე პიმაფუცინის კრემი პარტნიორის სამკურნალოდ. მკურნალობის პროცესში არ არის აუცილებელი სქესობრივი კონტაქტის გამორიცხვა, არ არის რეკომენდებული მკურნალობის ნატარება მეწებრუაციის დროს. მკურნალობისადმი ასეთი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს თქვენი პრობლემის ეფექტურ გადაწყვეტას.





**თუკი ტკივილი  
მოსვენებას  
არ ბაძლევთ**

„ მუშაობას გულს ვერ ვუდებ, თავს ვერაფერს ვაბამ, თითქოს ტკივილის ტყვე ვავხდი“

„...საშინელ სიმძიმეს ვგრძნობ ორივე ფეხზე და თითქოს ჩემი აღარ არის. მიჭირს ძველებურად სიარული“

„...მეჩვენება, თითქოს ხელებზე ცეცხლი მიკიდია“

თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ სპეციალიზებული ცენტრების მისამართები, სადაც იციან ტკივილის ყველა თანამედროვე მეთოდით მკურნალობა

**ღარაგეთ ცხელ ხაზზე: +995 (32) 25 22 33**

**ნეიროპათიული ტკივილი** ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში და მოსახლეობის თითქმის 8%-ზე მეტს აღენიშნება. იგი გვხვდება ნერვული სისტემის დაზიანებით მიმდინარე სხვადასხვა მდგომარეობის და ავადმყოფობის დროს. ნეიროპათიულ ტკივილს იწვევს ჰერპესის ვირუსი, აივ ინფექცია, ტრავმული დაზიანება და სხვადასხვა დაავადებები. ნეიროპათიული ტკივილი აღინიშნება ხელებში, ფეხებში, სხეულის სხვა ნაწილებში.

„ ... საშინელ სიმძიმეს ვგრძნობ ორივე ფეხზე და თითქოს ჩემი აღარ არის. მიჭირს ძველებურად სიარული“

ნეიროპათიით გამოწვეული ტკივილი, სისუსტე და მგრძობელობის დარღვევა იწვევს ფუნქციების მნიშვნელოვან შეზღუდვას და ადამიანის უუნარობას.

„ ... ტკივილმა გამაწამა, არაფრის ხალისი აღარა მაქვს, ყველაფერი ნერვებს მიშლის“

პაციენტები ტკივილს აღწერენ როგორც “მტანჯველ”, “გამომფიტავ”, “დამქანცველ” და “დამაუძღურებელ” შეგრძობას.

„ ... მუშაობას გულს ვერ ვუდებ, თავს ვერაფერს ვაბამ, თითქოს ტკივილის ტყვე ვავხდი“

აღნიშნული შეგრძობები ხშირად იმდენად შემაწუხებელია, რომ ასახვას პოუვს ავადმყოფების როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ, სოციალურ სფეროებზე და ამცირებს ყოველდღიური ცხოვრების ხარისხს.

„ ...მეჩვენება, თითქოს ხელებზე ცეცხლი მიკიდია“


ტკივილმა მეორადად შეიძლება გამოიწვიოს ძილის დარღვევა, უმადობა, წონაში კლება, ქრონიკული დაღლილობა, შფოთვა და დეპრესია.

„ ... პრაქტიკულად ძილს ვერ ვართმევ თავს, არაქათი აღარა მაქვს. თავი შემადულა ტკივილმაც და ჩემმა წამლებმაც“

ქრონიკული ნეიროპათიული ტკივილით და სამკურნალო საშუალებებით დაძაბუნებულ ავადმყოფებს თანდათან მკურნალობის მიმართ უნდობლობა და უარყოფითი განწყობა ეუფლებათ.

თანამედროვე მკურნალობა უნდა ეხმარებოდეს პაციენტს გაუმკლავდეს ნეიროპათიულ ტკივილს ისე, რომ არ დაერღვას ცხოვრების ჩვეული წესი






## ოკუპირებული ზონა

ბალაფშს ჰგონია, რომ აფხაზეთში სიტუაციას სრულად აკონტროლებს, მაგრამ ყველამ იცის, რომ ამ შემთხვევაში, ციტრუსის ბაზრის მონოპოლიაც მისი კლანური მმართველობის ქვეშ გადავა...

7

## სახე



## ქართული „ადრიანო ჩელენგანო“ და უკრაინელი „ორნელა მუტი“

„საქართველოში ორნელა მუტი გახლდათ ჩამოსული. მითხრა, ადრიანო, მესტიაში მივდივარ და მიხდა, იქ შენ იმღერო“.

18

### ■ ვინიატიურები

5

„ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია...“

### ■ ჭრელი მსოფლიო

6

### ■ პოლიტიკა

7

### ■ ოკუპირებული ზონა

10

### ■ საბანკური

14

### ■ „გზის“ დარტყმა

18

### ■ ოსტატი

20

ილუზიონისტი იუბილე და „ჯადოსნური თბილისი-2011“

### ■ იმიჯი

22

ვისი კომპლიმენტები სიამოვნებს ლელა მეზურიშვილს

### ■ ორეული

24

ზოგჯერ უხასიათო ქართველი „ადრიანო ჩელენგანო“ და უკრაინელი „ორნელა მუტი“

### ■ შთამოავალი

26

### ■ გასაჭირი

28

ორი „გაშიშვლებული“ ბავშვი და ბრძოლა 7-თვიანი გოგონას გადასარჩენად

### ■ ემიგრანტი

31

ქართული „მარგალიტოცვენა“ პარიზში

### ■ თემა

32

როცა ძალაუფლება ქალის ხელშია

### ■ ბიზნესი

36

რელიგია და ბიზნესი ანუ აღმსარებლობის პრინციპებზე აგებული კომერცია

### ■ ასპარეზი

38

უნივერსალურ მეზობლად აღიარებული ქართველი



## ცხოვრება

### ორი „გაშიშვლებული“ ბავშვი და ბრძოლა 7-თვიანი გოგონას გადასარჩენად



„სანამ იმ ქალს ცოლად მოიყვანდა, მისი არსებობის შესახებ არც ვი ვიცოდი, მაგრამ როგორც ჩანს, ამ ხნის განმავლობაში საყვარლები იყვნენ...“

26

## გზაგნილები

### „ის ბიჭი უენი ასირებაა“



„როცა ბიჭს გოგო უყვარს, კი არ ეუხეშება, არამედ მის მიმართ სითბოსა და ყურადღებას იჩენს. საინტერესოა, სხვების ნათქვამს რატომ უგდებ ყურს? ჩემო კარგო, ისიც გაითვალისწინე, რომ სიყვარული მხოლოდ მზერით არ გამოიხატება. ნარმატებები!“

76



■ ავტო	40
■ ისტორიის ლაბირინთები	42
■ ბაქარი	45
იგავი მდიდარსა და ლაზარეზე	
■ ეს სამყაროა	46
■ ანტიდეკრუსანტი	48
■ საკითხავი ქალაქისათვის	48
■ ჯანმრთელობა	50
■ მოწოდება	54
პედაგოგის ცხოვრების გზა და სასიამოვნო მოგონებები	
■ სამზარეულო	56
„სასონარკვეთილი დიასახლისები“ ქართულად	
■ თინეიჯერული პონტები	59
თინეიჯერული ფანტაზიები — როგორ ვიშოვოთ მილიონი	
■ ნათი პოეზია	62
■ რჩული მთხრობელები	63
ნიღბების დიდოსტატი	
■ რაღები	65
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	
■ ქართული ღებეჭივი	68
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)	
■ რომანი	72
სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)	
■ გზავნილები	76
სიჯიუტე და მისი შედეგი	
■ ყველა ერთისათვის	80
■ მოგილი-ზასია	82
■ გარემო	90
■ ერუდიტი	92
„სიყვარული თავს უეცრად დამატყდა“	
■ გასართობი	94
■ ანბროლოგია	96
■ სკანოვრდი	97
■ საფირმო ქროსოვრდი	98

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“**  
 გამომდის კვირაში ერთხელ, სუბსაბათობით  
 გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**  
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**  
 პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**  
 მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი,**  
**რეზო თხილამუშვილი**

მისამართი: **თბილისი, იოსებძის ქ. #49**  
 ტელ: **38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge**  
 რეკლამა „გზაში“: **37-78-07; 38-78-70.**

## სამყარო



### ყველაზე, ყველაზე...

ყველაზე ღრმა — 2191 მეტრი — კრუბერის გამოქვაბული აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი 1960 წელს გეოგრაფმა ალექსანდრ კრუბერმა აღმოაჩინა. ავსტრალიური გამოქვაბულის — Lamprochtesofen-ის სიღრმე 2000 მეტრია.

# 36

## აღაშიანი



### პედაგოგის ცხოვრების გზა და სასიამოვნო მოგონებები

„მერაბ კოსტავასთან ვმეგობრობდი. სულ იმას ვეხვეწებოდი, წამიყვანე და ბატონი კონსტანტინე გამსახურდია გამაცანი-მეთქი. ერთხელაც შინ გამომიარა და მითხრა, მზად ხარ, კონსტანტინესთან შესახვედრადო? აბა, უარს როგორ ვეტყვიდი.“

# 54

## ბიბლუსი




### ანტიკვარი

— აბა, მაჩვენე ერთი, რა გამოჩხრიკე, — გოგონას გვერდით მიუჯდა გოგლა.  
 — უცნობი მხატვრების რამდენიმე ტილო ვიპოვე, დაახლოებით XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ნამუშევრებია.

# 62

## ტაიმ-აუტი



### „სიყვარული თავს უეცრად დამატყდა“

— ეს სიყვარული თავს უეცრად დამატყდა და ახლა ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.  
 — ის გოგონა საზოგადოებისთვის ცნობილი სახე ხომ არ არის?  
 — არა, და გთხოვ, მის შესახებ მეტს ნურაფერს მკითხავ.

# 88



# „ვირმა რა იყოს, ხურმა რა ხილია...“



## შესავლის ნაცვლად

უზრდოდ მაგარი კი არა, ძააალიან მაგარი ვარ!

აი, აღფრთოვანებული ვარ საკუთარი თავით!!! არა, ის სხვა საკითხია, გრამატიკულად რამდენად გამართულია ეს გამოთქმა — „მაგარი“; წესით, სხვა რამეს ნიშნავს (მაგალითად, მაგარი — ქვა არის რიყეში), მაგრამ რადგან ჩვენს პრეზიდენტს უყვარს ამ სიტყვის გამოყენება, ეი. გრამატიკულადაც სწორია და განათლების სამინისტრომაც (რომლის პირდაპირი მოვალეობაც, სხვათა შორის, ასეთი უნივერსიტეტების აღმოფხვრაც გახლავთ), მთელ ქალაქში ბილბორდები გამოაკრა (ფულიც გადაუხადა მერიას), რომლებზეც აწერია: „სპორტი მაგარია!“

რატომ გამახსენდა, „მაგარი“ რომ ვარ, იცით? რატომ და, ამ ერთი თვის წინ რომ დაწვერე, — ხაჩიძის გადარჩენის (ანუ არდაჭერის) ერთადერთი გზა მისი სამინისტროს გაუქმებაა-მეთქი, გამიგისეს „ფეისბუქის“ „კედელი“ კომენტარებით — ეგეც შენ, ხომ ვერ გამოიცანო?!“

ჰოდა, იმას ვამბობდი: ამ ხაჩიძის სამინისტროში, ვინც კი ხეტყესთან იყო დაკავშირებული, ყველა რომ დაიჭირეს, ოჩოპინტრეს გარდა, მაშინ მომადიქრდა ეს გამოსავალი — მინისტრს რომ მეტყევიან-ბიძაშვილიან-რეინჯერიან-ყარაულიანა ყველას დაუბატიმრებენ, ალბათ უკვე მისი ჯერია! არადა, კაცს „მიშა მაგარია“ აქვს დაწერილი!

ამიტომ ერთადერთ გზად მთლიანად სამინისტროს გაუქმება მომაიქრდა; მალე ხმებმაც გამოჟონა — მართლაც ასე აპირებენო, თუმცა მალევე მიწყნარდა ეს ამბავი და აი, სწორედ მაშინ ატყდა ჩემს „ფეისბუქ-კედელზე“ ის გნია-სი, რომელზეც შესავალში მოგახსენეთ!

ახლა, ძალიან მეზარება ყველასთვის სათითაოდ პასუხის მიწერა და ყველას ერთად მივმართავ: ოლოლო თქვენ (უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ძველი ქართული და საკმაოდ კორექტული სიტყვაა, გულში კი, სულ სხვა სიტყვებს ვფიქრობ, გაცილებით „თანამედროვეს“ და „არაკორექტულს“!)

აი, ბატონო, ამონარიდი გილაურის ბრიფინგიდან: „სამინისტროს ფუნქციები გაიყოფა: გარემოს დაცვითი და ეკოლოგიური საკითხები სახელმწიფო მინისტრის ფუნქციაში დარჩება, ბუნებრივი რესურსებისა და ლიცენზირების საკითხები ენერგეტიკის სამინისტროს შეუერთდება, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი — ეკონომიკის სამინისტროს...“

ეგეც თქვენ, გილაურს ეკონომიკის სამინისტროსთვის „მდგრადის“ დამატება კი დაავიწყდა, მაგრამ ისედაც გასაგებია ყველაფერი.

ახლა, მე რომ ამათნაირი უზრდელი ვიყო („იქითურებსაც“ ვგულისხმობ და „აქეთურებსაც“), რიტორიკულ კითხვას დავსვამდი: „თუ ყველაფერი სხვა სამინისტროებს გადაეცემა, მაშ, ხაჩიძეს რა?!“

მაგრამ მე უზრდელი არა ვარ და ვიტყვი, რომ ხაჩიძეს „მადარიჩი“ აქვს საკისრებელი! ერქმევა ახლა „სახელმწიფო მინისტრი“, მიიღებს მინისტრის ხელ-

ფას-პრემიას და, ბარამიძისა არ იყოს, რეალურად იქნება — „არაფრის მინისტრი“...

კარგი და პატიოსანი, მაგრამ თუ იცით, რომ ეს ყველაფერი შეიძლება, ოხრად დაგვრჩეს, ხაჩიძესაც, თქვენც, მეც და მიშა-უფროსსაც?!

რატომ, ჩემო კეთილებო და, ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ქართულ ფორუმზე, მართალია, ე.წ. „ნიკით“, მაგრამ ყველამ იცის, ვის მიერ, საქართველოში სამხედრო გადატრიალების დაწვრილებითი გეგმა გამოქვეყნდა!

ავტორი გაინტერესებთ?.. ვინმე გუდაძე გახსოვთ?.. უურნალისტი ვარო, საქართველოში მჩაგრავენო და ცხინვალში რომ ითხოვა „პოლიტიკური თავშესაფარი“ — ახლა ხან მოსკოვშია, ხან ცხინვალში და ამდენი თვეა, თურმე ამ „გეგმაზე“ „მუშაობს“!

აი, ერთი „მარგალიტი“ იმ „შედეგრიდან“: „იქმნება მრავალათასიანი შეიარაღებული რაზმები, მათ შორის — პოლიციისთვის ჩამორთმეული იარაღით. მეამბოხეები ორ ნაწილად იყოფიან. ერთი ნაწილი ათავისუფლებს სამეგრელოს და აჭარას (გურია ისედაც თავისუფალია), მეორე მიემართება თბილისისკენ...“

თქვით, როგორია?! არადა, ეგ გუდაძე სულელი მეგონა!..

„გურია ისედაც თავისუფალია!“ — ყველაზე „მაგარი“ (ხომ შევთანხმდით, რომ ეს უკვე „ლეგალური“ სიტყვაა) ეგ იყო!

დარწმუნებული ვარ, მალე გურულების ერთობ „ორიგინალურ“ პასუხებს გაგაცნობთ...



**P.S.** ხუმრობა იქით იყოს და, ამ ბრიყვულ გეგმას საეჭვოდ დაემთხვა ერთ-ერთ ქართულ საინფორმაციო საიტზე გამოქვეყნებული, ბურჯანაძის პარტიის მიერ შედგენილი „ჩრდილოვანი მთაწრობის შემადგენლობა“...

მოკლედ, საფრთხე რეალურია და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ უკვე გამოჩნდა ქართული ეკონომიკის და, აქედან გამომდინარე, მთლიანად ქვეყნის ნათელი მომავლის კონტურები: მარტში მავანი ქართული კომპანია სკანდინავიის ქვეყნებში 12 ტონა ხურმას გაიტანს!!!

გიუდებიან თურმე შედეგები და განსაკუთრებით, ნორვეგიელები ხურმისთვის!

ეს გათახსირებულები კი გადატრიალებას გეგმავენ! ეეეჰ, ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია...

## პროვოკატორი





# ბრიტანელმა მესწიარებმა იდეალური შინაური ცხოველი შექმნეს



იდეალური ცხოველი მეცნიერებმა სოციალური გამოკითხვის შედეგად შექმნეს. გამოკითხვაში ის 2000 ბრიტანელი მონაწილეობდა, რომლებსაც სახლში შინაური ცხოველი ჰყავს. როგორც გაირკვა, გამოკითხულთა 49% ძაღლებზე ჭკუას კარგავს, 35% — კატებს ანიჭებს უპირატესობას, 9% — ცხენებს, ხოლო 7% — კურდღლებზე გიჟდება. იდეალურ ცხოველს Equicanigattus უწოდეს. სახელს საფუძვლად უდევს ლათინური სიტყვები: equus — ცხენი, canis — ძაღლი, gattus — კატა.

ბავშვებმა ცხოველს მაქსი უწოდეს. ის ძალიან ენერგიულია, უყვარს სეირნობა და საშუალოდ, 9 საათი და 27 წუთი სძინავს.

# არქტიკაში თევზის მარაგი იწურება

კანადელი მკვლევრები ამტკიცებენ, რომ არქტიკაში თევზის რაოდენობა ბოლო 60 წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა. მეცნიერთა დასკვნის საფუძველი — კომერციული დოკუმენტებისა და ადგილობრივ მკვიდრთა პირადი ჩანაწერები გახდა. აღმოჩნდა, რომ ამ რეგიონში თევზჭერის დონე მკვეთრად ვარაუდს 75-ჯერ აღემატება. „ეკოლოგებმა, რომლებიც საკუთარ ძაღლისმეგვას მსხვილი სახეობების, მაგალითად, თეთრი დათვების შენარჩუნებას ახმარენ, ყურადღება უნდა მიაქციონ თევზის მარაგს, რომლის გარეშეც მსხვილი სახეობების ცხოველები ვერ გადარჩებიან“, — განაცხადეს კანადელმა მეცნიერებმა.

# კორუფციაში ბრალდებულმა მინისტრმა თავი მოიკლა

ფილიპინების ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, რომელიც კორუფციაში დაადანაშაულეს, დედის საფლავზე თავი მოიკლა. რამდენიმე კვირის წინ ფილიპინებზე გენერლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მას სახელმწიფო ქონების განიავებაში ედებოდა ბრალი. როგორც გაირკვა, რეიესი დედის საფლავზე შვილებთან ერთად მივიდა, შემდეგ კი ბავშვებს მანქანაში დაბრუნება უბრძანა... გენერალს ტყვია მკერდში აქვს მოხვედრილი. რეიესი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ის უკვე გარდაცვლილი იყო.



# ერთი ბოთლი 57 ათას ევროდ...

საფრანგეთის ღვინის აუქციონზე ლუდოვიკო XV-ის ეპოქის დროინდელი ერთი ბოთლი ყვითელი ღვინო გამოიტანეს. „რარიტეტი“ შევიცარიელმა პიერ შევრემ იყიდა. ის ამბობს, რომ ღვინის შენახვას არ აპირებს და მას ძალიან მალე დააგემოვნებს. ყვითელ ღვინოს იურას რაიონში წურავენ. ყველაზე ძვირად ღირებული ღვინის ბოთლი, რომელიც აუქციონზე ოდესმე გაყიდულა, Chateau Cheval-Blanc-ია — 2010 წელს გამართულ „კრისტის“ აუქციონზე ის 200 ათას ევროზე ძვირად გაიყიდა.




# ტაჯიკეთში უსხოვლავა ქორწინება კანონით შეზღუდას

ტაჯიკეთის პარლამენტმა უცხოელებთან ქორწინებაზე შეზღუდვები დაანერგა. ამიერიდან ტაჯიკეთთან შეუძლებელი ხელისუფლების მიერ შემოღებული პირობების შესრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი: უცხოელს ამის უფლება ქვეყანაში მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში ცხოვრების შემდეგ მიეცემა; ქორწინების რეგისტრაციისას მხარეებმა საქორწინო შეთანხმება უნდა გააფორმონ; გარდა ამისა, უცხოელმა (ქალმაც და მამაკაცმაც) ტაჯიკელ მეუღლეს თავის სამშობლოში საცხოვრებელი სახლი ან ბინა უნდა უყიდოს. დუშაბეში ვარაუდობენ, რომ საქორწინო პროცედურების გამკაცრება ქვეყნის მოქალაქეებს საკუთარი უფლებების დაცვაში დაეხმარება. როგორც ადამიანის უფლებათა დამცველები ამბობენ, დღეს არსებული გენდერული დისბალანსის გამო მრავალი ტაჯიკელი ქალი ოჯახის შექმნის შესაძლებლობას დაკარგავს და ამ მიზეზით შესაძლოა, ქვეყანაც დატოვოს. ოფიციალური მონაცემებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში ტაჯიკეთში უცხოელზე ქორწინების 2700 შემთხვევა დაფიქსირდა. ყველაზე ხშირად, ავღანეთის, ირანის, თურქეთის, ჩინეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, სირიის, იაპონიისა და ინდოეთის მოქალაქეებზე ქორწინდებიან.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ამბები.გე-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ





# ქვეყანა

## არაბული სამყარო და გეოპოლიტიკა

### იოქმედებს თუ არა ჯაჭვური რეაქცია?

ახლო აღმოსავლეთში რევოლუციების ტალღის სიმძლავრე დღით დღე მატულობს, არაბული სამყარო ცვლილებების მოლოდინშია. ტუნისში დაწყებულ სახალხო ამბოხებას მალევე მოჰყვა საპროტესტო აქციები იორდანიაში, იემენში, ალჟირში, სუდანსა და ეგვიპტეში. ევროპელი თუ ამერიკელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ არაბულ სამყაროში მოვლენები ჯაჭვური რეაქციით ვითარდება, ახლო აღმოსავლეთში საზოგადოება თვითგამორკვევის პროგრესულ გზას დაადგა და დიქტატორული რეჟიმების დემოკრატიული წყობით შეცვლა გადაწყვიტა.

#### სათუნა ბახტურიძე

ამ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული მოსაზრებები აქვთ ევროპელ ლიდერებს. მათ ტუნისის აჯანყება უკვე მონათლეს 2011 წლის უდიდეს დადებით მოვლენად არა მარტო აფრიკის კონტინენტისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ტუნისელ აჯანყებულებს საქციელი მოუწონა და გამარჯვება მიულოცა ამერიკის პრეზიდენტმა. „ყველა ერის წმინდა უფლებაა — მოიცულოს ის ხელისუფლება, რომელიც ხალხის საწინააღმდეგო ქმედებებს ახორციელებს“, — განაცხადა ბარაკ ობამამ. ამერიკის შემდეგ, ტუნისელებს გამარჯვება მიულოცა შვეიცარიის პრემიერ-მინისტრმა მიშელ კალმ-რაიმ. „ტუნისელმა ხალხმა საკუთარი ღირსება დაიცვა. მსოფლიო თანამეგობრობა ღირსების მქონე საზოგადოებას უდიდეს პატივს სცემს. ეს ტუნისის მაგალითმა უჩვენა“, — აღნიშნა მან. ნიშანდობლივია ისიც, რომ ტუნისიდან გაქცეულ ექსპრეზიდენტს, ზეინულ აბიდინ ბინ ალის საფრანგეთში ჩასვლა უნდოდა, მაგრამ სარკოზიმ ამის ნება არ დართო. შვეიცარიის ბანკებმა კი, პრემიერ-მინისტრის განკარგულებით, ბინ ალისა და მისი უახლოესი ადამიანების პირადი ანგარიშები გაყინეს. ევროპის წამყვანი პოლიტიკოსები სიმკაცრეს მხოლოდ არაბული სამყაროს

დიქტატორების მიმართ როდი იჩენენ. სულ ახლახან ევროკავშირმა ბელორუსი დიქტატორის, ალექსანდრე ლუკაშენკოს მიმართ სანქციები შემოიღო. მაგრამ როდესაც საქმე ეგვიპტის პრეზიდენტს, ჰოსნი მუბარაქს ეხება, ისინი ერთობ ლომობიერნი არიან. ალბათ სწორედ ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ მსოფლიო ლიდერები ევროპული და ამერიკული პრესის წარმომადგენლებმა ორმაგი სტანდარტით მიდგომაში დაადანაშაულეს. პრესაში გამოჩნდა სტატიები სათაურებით: „დასავლეთი ტირანების მოკავშირეა“, „აღმოსავლეთის მკვიდრი ისტორიისა და დასავლეთის იმპერიალისტური აბლაბუდას მძევლებად იქცნენ“...

ეგვიპტელი აჯანყებულები ქუჩაში იმისთვის გამოვიდნენ, რომ ქვეყანაში არსებული სილატაკე, სოციალური

დაუცველობა, ტოტალური კორუფცია და პოლიტიკური რეპრესიები გაეპროტესტებინათ. ხელისუფლება კი ხალხის სამართლიან მოთხოვნებს ძალისმიერი მეთოდებით დაუპირისპირდა. ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში მომხდარ არეულობას 300 ადამიანი შეეწირა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ ისინი ვერ დადგებოდნენ რომელიმე მხარეს; მათი აზრით, ერთადერთი გამოსავალი — თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებია. არჩევნებში ხედავს გამოსავალს ამერიკის პრეზიდენტიც: „ეგვიპტე ისეთი, როგორც აქამდე იყო, აღარასოდეს იქნება, ამ ქვეყანაში ცვლილებების დრო დადგა. მხოლოდ ჰოსნი მუბარაქმა იცის, როგორი იქნება შემდგომი ნაბიჯები, თუმცა ოპოზიციამ დაგვანახვა, რომ გამჭვირვალე და სამართლიან არჩევნებს მივლენვს“, — აღნიშნა ობამამ.

რატომ არ გამოხატავენ ევროპელი და ამერიკელი ლიდერები პრინციპულ მხარდაჭერას ეგვიპტელი აჯანყებულების მიმართ და რით განსხვავდება სიტუაციები ტუნისსა და ეგვიპტეში ან თუნდაც იორდანიაში, ალჟირსა თუ იემენში — ამის გარკვევას, ეგვიპტეში საქართველოს ყოფილ ელჩთან, მეცნიერებათა აკადემიის წევრ აპოლონ სილაგაძესთან და აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორთან, **გიორგი სანიქიძესთან** საუბრისას შევეცადე.

— ბატონო აპოლონ, როგორ ფიქრობთ — მაინც რით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ევროპელი და ამერიკელი ლიდერები

**მოლასტარინის საზოგადოება** **გლუკომეტრები**

69 ლარი **35 ლარიდან**

მის: გორჯოშის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

ჩააბარე ქველი, დააბაბე 27 ლარი და მიიღე

**ახალი გლუკომეტრი + 10 ბანკ-ფურცელი**





ეგვიპტელი აჯანყებულების მიმართ ისეთივე მხარდაჭერას არ გამოხატავენ, როგორც ტუნისელთა მიმართ გამოხატეს?

— ეს იმით არის განპირობებული, რომ ეგვიპტე და ტუნისი, თავისი მნიშვნელობით, ძალიან განსხვავებული ქვეყნებია. ეგვიპტე წარმოადგენს დიდ ქვეყანას, რომელსაც სერიოზული გავლენა აქვს არაბულ სამყაროზეც და მსოფლიო პოლიტიკაზეც, ტუნისი — მონინავე, ლამაზი, მიმზიდველი, პატარა არაბული ქვეყანა და ასეთ ძალას არ წარმოადგენს. გარდა ამისა, ისლამისტური მოძრაობა ეგვიპტეში გაცილებით ძლიერია, ვიდრე ტუნისში. რაც შეეხება მუბარაქს, — ეს არის ძლიერი ფიგურა, ტიპოლოგიით ლიდერი, არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ მთელი რეგიონის მასშტაბით. ის, რაც მისი ხელმძღვანელობით 30 წლის განმავლობაში ხდებოდა, ასევე მასშტაბურობით გამოირჩევა. 80-იანი წლების დასაწყისში ეგვიპტე, რომელიც მუბარაქ-

მა ჩაიბარა, ძალიან არასტაბილური ქვეყანა იყო. საემარისია ითქვას, რომ 1981 წელს, მთელი მსოფლიოს თვალწინ, სამხედრო ალღუმზე მოკლეს პრეზიდენტი ანვარ სადათი. მაშინ ქვეყანაში ძალზე რთული სოციალური სიტუაცია შეიქმნა. გარდა ამისა, ეგვიპტე კარგავდა (ფაქტობრივად, დაკარგული ჰქონდა) თავის პოზიციას, ადგილს არაბულ სამყაროში. მუბარაქმა არა მარტო გადალახა ყველა ეს პრობლემა, არამედ სრულიად ახალ განზომილებაში გადაიყვანა თავისი ქვეყანა. კაიროში დაბრუნდა არაბული ქვეყნების ლიგის შტაბბინა. ეს ქალაქი გახდა არა მარტო არაბული სამყაროს, არამედ აფრიკული სამყაროს ლიდერიც. მუბარაქმა მძიმე დარტყმა მიაყენა „მუსლიმი ძმების“ ორგანიზაციას. სხვათა შორის, ის არასდროს უშვებდა ხელიდან შემთხვევას, საყვედური გამოეთქვა თავისი ევროპელი კოლეგების მიმართ, იმის გამო, რომ ისინი გარკვეულწილად დაეხმარნენ „მუსლიმ ძმებს“,

ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში დამკვიდრებულიყვნენ. სწორედ მუბარაქის მიმართველობის დროს წამოვიდა ეგვიპტეში ინვესტიციების უზარმაზარი ტალღა. ქვეყანა მიმზიდველი პარტნიორი გახდა ყველასთვის, უპირველესად კი — ევროპელებისთვის. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი, პარტნიორული, შეიძლება ითქვას, პოლიტიკურად მოკავშირეობითი ურთიერთობები ამერიკასთან: დღემდე, ამერიკის ბიუჯეტში გამოყოფილია საკმაოდ დიდი თანხა (დღეს ეს ციფრი 1,5 მილიარდს აღწევს) ეგვიპტის ჯარის შენახვისთვის. დღემდე ეგვიპტე იყო დიდი არაბული ქვეყანა, სტაბილური სახელმწიფო, ლიდერი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მსოფლიო პოლიტიკაში.

— მაგრამ მუბარაქ არის დიქტატორი ლიდერი, რომელიც პოლიტიკური ნიშნით დევნის ადამიანებს, ხელყოფს საკუთარი მოქალაქეების ღირსებასა და თავისუფლებას, მოსახლეობას უკიდურეს სოციალურ აწყობებს...

— ამის მიზეზი ბევრია, მათ შორის მთავარი ალბათ, 30-წლიანი მმართველობა. 30 წლის წინ ხელისუფლებაში მოსული ადამიანები ვერ იქნებიან პროგრესულად მოაზროვნე ნოვატორები. ის, რაც დადებითი და პროგრესული იყო 30 წლის წინ, დღეს — უარყოფითი და რეგრესულია. ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება კი მხოლოდ ახალი იდეების მქონე ახალ ძალებს შეეძლოთ. ეგვიპტეში ბოლო წლებში მოჩვენებითი, ილუზიური სტაბილურობა იყო. სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა: წელს ბიუჯეტში დეფიციტი შეადგენს 19 მილიარდს (მარშან 17 მილიარდი იყო). ქვეყნის ბიუჯეტი ამკარად არაპროპორციულად იყო განაწილებული. სწორედ ამიტომ გალატაკდა მოსახლეობა.

**გიორგი სამიძი:**

— უკვე 30 წელზე მეტია, რაც ეგვიპტე ახლო აღმოსავლეთში შეერთებული შტატების ერთ-ერთ საყრდენად ითვლება. ამ ქვეყნის მიზნები საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის შეესაბამებოდა ამერიკის მიზნებსა და ამოცანებს. ამ მხრივ სიტუაცია არც დღეს შეცვლილა — სწორედ ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ დასავლეთი ბოლომდე ზურგს ვერ აქცევს ეგვიპტის პრეზიდენტს, თუმცა არც იმას დაუშვებს, რომ მუბარაქის ეპოქა კიდევ გაგრძელდეს. ახლახან გერმანიამ განაცხადა, რომ მზად არის, „სამკურნალოდ მიიღოს“ ჰოსნი მუბარაქი. ეს პრაქტიკულად, ხელისუფლებიდან დიქტატორის ჩამოშორებას მოასწავებს.

— როგორ გგონიათ — მუბარაქ







მოახერხებს საპრეზიდენტო არჩევნებამდე (ანუ სექტემბრამდე) პოსტის შენარჩუნებას თუ იძულებული გახდება, აჯანყებულების მოთხოვნა შეასრულოს და ასლავე გადადგეს?

**აპოლონ სილაბაძე:**

— მუზარაქის ეპოქა დასრულდა (სულერთია — დღესვე თუ სექტემბერში). სხვათა შორის, მას დიდი ხნის წინ სურდა, მმართველობა თავისი შვილისთვის, გამალ მუზარაქისთვის (ის ძალიან საინტერესო და განათლებული ადამიანია) გადაეხარებინა და თავად პოლიტიკიდან წასულიყო, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა ვერ გაბედა. სულაც არ არის გამორიცხული, რომ მუზარაქმა ხელისუფლებაში შემოდგომამდე ანუ მომავალ არჩევნებამდე გაძლოს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მას სამხედროები დაუჭერენ მხარს.

— ფიქრობთ, რომ ხელისუფლებიდან მისი წასვლის შემდეგ ეგვიპტის საგარეო პოლიტიკის კურსი შეიცვლება?

**გიორგი სანიძე:**

— ძნელი სათქმელია. ეს იმაზე დამოკიდებული, რომელი ძალა მოვა ეგვიპტის ხელისუფლებაში და როგორი ურთიერთობა ექნება ისრაელთან. ეგვიპტე პირველი არაბული სახელმწიფო იყო, რომელმაც ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმება გააფორმა. მუზარაქის რეჟიმი ებრაული სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირეა რეგიონში. დღეს ისრაელის ხელისუფლებას ყველაზე მეტად აშფოთებს იმის შესაძლებლობა, რომ ეგვიპტე რადიკალი ისლამისტების ხელში აღმოჩნდეს.

— თავის ერთ-ერთ განცხადებაში ბარაკ ობამამაც აღნიშნა, რომ „მუსლიმ ძმებს“, რომლებიც ეგვიპტურ აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობენ, კარგად ორგანიზებული ჯგუფი აქვთ შექმნილი, მათი იდეოლოგიის გარკვეული ასპექტები კი „ანტიამერიკულია“. ალბათ ამას უკავშირდება ევროპელი და ამერიკელი ლიდერების შიში ისლამისტურ გადატრიალებასთან დაკავშირებით, არა?

— „მუსლიმი ძმები“ ყველაზე ძლიერი რელიგიური ორგანიზაციაა ეგვიპტეში, რომელიც დიდი ხნის ისტორიას ითვლის. ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი სამოს პოლიტიკასა და იდეებს იზიარებს. ამ ეტაპზე „მუსლიმი ძმები“ მხარს უჭერენ სხვა ოპოზიციურ ანუ დემოკრატიულ ძალებს და სიტყვიერად უარს ამბობენ ისეთი ქმედებების განსოცილებლაზე, რაც რეგიონში ესკალაციას გამოიწვევს, მაგრამ მომავალში რა იქნება და რამდენად მოახერხებენ ოპოზიციური ძალები კოალიციის შენარჩუნებას, ძნელი სათქმელია.

**აპოლონ სილაბაძე:**

— როგორ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ეგვიპტეში არმიის შემდეგ, „მუსლიმი ძმების“ ასოციაცია — ყველაზე ორგანიზებული ძალაა. მათი მოღვაწეობა მუზარაქის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ოფიციალურადაა აკრძალული და არც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ. მიუხედავად ამისა, შარშან ისინი მაინც შეეცადნენ, დამოუკიდებელი კანდიდატების მეშვეობით მოეპოვებინათ ადგილები პარლამენტში. დღეს ეგვიპტურ ოპოზიციამი ორი გამოკვეთილი ძალაა — დემოკრატები და ისლამისტები. დემოკრატები, ბუნებრივია, ეგვიპტის ტიპის ქვეყანაში თავიანთი კურსის გატარება გაუჭირდებათ. ისლამისტებს კი გარკვეული საფუძველი, ტრადიციები აქვთ...

— ოპოზიციის ყველაზე გამოკვეთილ ლიდერს — ელ ბარადეის რამდენად აქვს იმის შანსი, რომ მუზარაქის ადგილი დაიკავოს?

— როგორც ჩანს, ბარადეი სხვადასხვა ოპოზიციური ძალისთვის ყველაზე მისაღები ფიგურაა. „მუსლიმმა ძმებმაც“ კი ის დასახელეს პიროვნებად, რომელიც მათი სახელით დაელაპარაკებოდა ხელისუფლებას.

**აპოლონ სილაბაძე:**





— მას შემდეგ რაც „მუსლიმმა ძმებმა“ და ელ ბარადეიმ ერთმანეთს რევერანსები გაუკეთეს, მისი ფიგურა ნაკლებამორფული გახდა. ნამდ-

ვილად არ არის გამორიცხული, რომ სწორედ მან შეასრულოს გარდამავალი საფეხურის როლი.

— როგორ შეიძლება წარიმართოს მოვლენები უახლოეს მომავალში ალჟირსა და სხვა არაბულ რეგიონებში, სადაც უკვე დაწყებულია საპროტესტო აქციები?

**გიორგი სანიძე:**

— ხშირად ამბობენ, რომ არაბულ სამყაროში მოვლენები ჯაჭვური რეაქციით ვითარდება. ტუნისმა მართლაც შეასრულა კატალიზატორის როლი ეგვიპტის აჯანყებისთვის; იგივე შეიძლება ვთქვათ იემენზეც. ჯერ ძალიან ნაადრევია იმის თქმა, რომ რევოლუციის ტალღა არაბულ სამყაროს მთლიანად მოედება, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ეგვიპტე არაბულ სამყაროში ყველაზე დიდი ქვეყანაა (80 მილიონი ადამიანი ცხოვრობს) და იქ მიმდინარე მოვლენები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს სხვა დანარჩენ ქვეყნებზეც. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეგვიპტე შეერთებული შტატების გავლენის ქვეშაა და განსაკუთრებული სტრატეგიული დანიშნულება აქვს, ალჟირი და ტუნისი კი ფრანგული გავლენის ქვეშ არიან; ამ და სხვა არაბულ ქვეყნებში განსხვავებული ტიპის პრობლემებია დაგროვილი და მათ მსოფლიო პოლიტიკაში განსაკუთრებული როლი არ ენიჭებათ.

<p><b>მუხრის მაგიდა-სკამები</b></p> 	<p><b>სამინებალი</b></p>  <p>1360 ლარი</p>
<p>აქვერის საღვინო "კლასიკა" იტალიური ავეჯის და ტექსტილის ფორმირების</p>	
<p><b>კუთხის დივანი</b></p>  <p>1488 ლარი</p>	<p><b>ტყავის საშოული</b></p>  <p>2500 ლარი</p>
<p>ალ. ხაზაგაძის № 38 88 11          ც. ფაღვიანის 7, "პარპასლა", I სარ. 66 10 50 www.classica.com.ge</p>	





# გამოსავალი ორ ცეცხლს შუა გყოფი სეპარატისტებისთვის თუ ევროპელი დიპლომატების აკრძალული „ილაითი“?..

თვითმმართველობის ადგილობრივი არჩევნების დაწყებამდე რამდენიმე სნით ადრე, აფხაზეთის პოლიტიკურ წრეებში სიტუაცია დაიძაბა. მართალია, 12 თებერვალს აფხაზეთში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდება, მაგრამ როგორც საზოგადოებრივი პალატის წევრი, გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდას“ რედაქტორი ინალ ხაშიგი აცხადებს, მცირედი დესტაბილიზაციის საფრთხის მიუხედავად, გალსა და დანარჩენ აფხაზეთში მშვიდი ვითარება შენარჩუნდება. მისივე თქმით, ამის საფუძველს მათი ლიდერისა და რუსული სპეცსამსახურების ერთობლივი მუშაობის წინა პირობა იძლევა...

## ლალი პაპასკირი

აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა ნებისმიერ, თუნდაც მცირედ ცვლილებას შიშით ელოდება: აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის რწმუნებულმა, რუსულან ქიშმარიამ ადგილობრივ ქართველებს „ახალი ინიციატივა“ გააცნო, — მათ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი უნდა თქვან, ვინაიდან აფხაზეთის კანონმდებლობა „მსგავსი ტიპის“ ორმაგ მოქალაქეობას არ ცნობს... ქართველებს იმედოვნებდა, რომ ქიშმარიას განცხადებას მათთვის სერიოზული გართულებები არ მოჰყვება; გალელები მის გააქტიურებას ასე ხსნიან: ქიშმარია შიშობს, რომ წნეხის ქვეშ მცხოვრები ქართველების ბედს რომელიმე აფხაზი ოპოზიციონერი წინასწარჩვენოდ, მისთვის სასარგებლოდ გამოიყენებს და ამიტომ ცდილობს, ქართველებში არასტაბილურობის განცდა გააღვივოს, რათა არსებული ვითარების შეცვლაზე არც კი იფიქრონ...

სეპარატისტულ რეგიონში წინასწარჩვენოდ, რამდენიმე ოპოზიციური პარტია და ლიდერი გააქტიურდნენ, რასაც „ანტისახელმწიფოებრივი დემაგოგიის“ ბრალდებით, ოპოზიციონერი ლიდერის — იაკუბ ლაკობას დაკავებაც მოწმობს. აფხაზეთში მიიჩნევენ, რომ ბალაფშიამ ამ ნაბიჯით, საკუთარი თავისა და ე.წ. მთავრობის იმიჯი შელახა, რაც მის რეიტინგზე უეჭველად აისახება. არახალია, რომ სეპარატისტთა ლიდერი რუსების მიმართ განსაკუთრებულ ნდობას გამოხატავს, მაგრამ ბოლო დროს მისმა განცხადებებმა ყველა გააოცა: მოსკოვის მერთან, სერგეი სობიანინთან გამა-



რთული შეხვედრისას მან განაცხადა, — მოსკოვი ჩვენი დედაქალაქიაო, — რამაც აფხაზების რისხვა გამოიწვია.

სერგეი ბალაფშის განცხადებას გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდას“ მოსკოვში მოღვაწე ჟურნალისტი, სვეტლანა ბუთბა გამოეხმაურა და რამდენიმე რუსულ გამოცემაში, სეპარატისტთა ლიდერის პოლიტიკური ანატომიის შესახებ სტატია გამოაქვეყნა. ბუთბას ინტერნეტის მეშვეობით დაუუკავშირდით და აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი თვალთ დანახული „აფხაზური დემოკრატია“...

### სვეტლანა ბუთბა:

— ბალაფში ის ლიდერია, რომელიც აფხაზმა საზოგადოებამ სწორედ ნაციონალური კუთხით აირჩია და რომლის ქვეყნის სათავეში მოსვლის დროს ლამის სამოქალაქო ომი დაიწყო. იგი ქვეყნის ვითომ მშენებლობას სწორედ იმ პრინციპებით აპირებს, რომლებსაც პრეზიდენტობამდე კატეგორიულად უარყოფდა და გამობდა... მან იცის, რომ აფხაზეთში ყვე-

ლაფერი კანონის ფარგლებში კი არა, არამედ ნაცნობობით წყდება, ვინაიდან ჩვენ სამასიათასკაციან ქვეყანაში ვცხოვრობ, მაგრამ მან, ადამიანური ურთიერთობებისა და აფხაზი კაცისთვის ყველაზე მნიშვნელოვნის — ტრადიციების მოსპობა და ავტორიტარული რეჟიმის დამყარება გადაწყვიტა. ამასთან, დასაშვები თუ მიუღებელი მეთოდებით, რუსეთის გულის მოგებას ცდილობს და მის წარმომადგენლებს საჩუქრად აგარაკებს გადასცემს. ანუ ქვეყნის დამოუკიდებლობასა და განვითარებაზე გველაპარაკება, სინამდვილეში კი აფხაზეთს საბჭოეთში აბრუნებს და თან გვეუბნება, რომ ეს ჩვენთვის ყველაზე კარგი პერსპექტივაა... რაც შეეხება დემოკრატია, — ჩემს „ახალაღმოცენებულ“ ქვეყანაში ამ ცნებას დაახლოებით ასე აღიქვამენ — ეს არის კავკასიელი ხალხების ურთიერთობის ფორმა, სადაც

გადამწყვეტ როლს ნათესაური კავშირები ასრულებს. აქ პოლიტიკოსი შეიძლება მოისყიდო, მაგრამ ვერ დააშინებ... აფხაზი ხალხისთვის კანონი და ადამიანის უფლებები — ისეთივე აბსტრაქტული ცნებებია, როგორც რუსებისთვის ახლობლობისა და ნაცნობობის „ინსტიტუტი“. ამიტომაც, ეს ორი ერი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან და შეიძლება ითქვას, რომ მათ, ბიზნესინტერესების გარდა, არაფერი აკავშირებთ. ასე რომ, მოსკოვი, რაც უნდა მიმზიდველი იყოს ლარიბი და კორუფციაში ჩაფლული აფხაზებისთვის, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი ვერასდროს გახდება... უფრო მეტიც — ახლა აფხაზეთი თავის ისტორიაში უნიკალურ ექსპერიმენტს გადის ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა ქვეყანა რუსეთს, საქართველოს, თურქეთს ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს კი არა, საკუთარ თავს ეკუთვნის.

### — საინტერესოა, ასეთ პოლიტიკურ რეალობაში როგორი მომავალი ექნება „ახალაღმოცენებულ აფხაზეთს“?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ლიდერი ეყოლება მას. რამდენად გონიერი და ლავირების უნ-





არის მქონე პოლიტიკოსი იქნება მის სათავეში... ფაქტია, რომ ინტრიგების მოყვარული სერგეი ბალაფში ამ მხრივ იმედებს ვერ ამართლებს. მას არც პოლიტიკის კეთება შეუძლია. ის საქართველოს ექსპრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს მაგონებს, რომელიც პოლიტიკურ კულუარებში კარგად იყო ჩახედული, მაგრამ მთლიანად ძალაუფლების შენარჩუნებაზე იყო გადართული და ქვეყნის განვითარებისთვის არაფერი გაუკეთებია... ბალაფშიც, თუნდაც რუსეთში გამუდმებული ვიზიტებით, მხოლოდ ამას აკეთებს. ახლა მორიგი იდიოტური ინიციატივა წამოაყენა: შესაძლოა, კაზაკთა ბაზარი აფხაზეთში გადმოიტანონ. ამ საკითხზე უკვე ესაუბრა მის პირად მეგობარს — კრასნოდარის მხარის გუბერნატორს, ალექსანდრ ტკაჩოვს (სხვათა შორის, ტკაჩოვი სეპარატისტთა ლიდერს სამხედრო წვრთნების დროს ხშირად ეხმარება. — ავტ.)

**— რომელ ბაზარზეა ლაპარაკი და სად უნდა განთავსდეს?**

— ადღერის ბაზარზე, რომელიც სოხუმში უნდა გადმოიტანონ. ბალაფშის თქმით, ეს ნაბიჯი აფხაზეთის ეკონომიკის გაძლიერებას ემსახურება. ამ შემთხვევაში, აფხაზეთის მოსახლეობას ციტრუსის გაყიდვა გაუადვილებო... ბალაფშს ჰგონია, რომ აფხაზეთში სიტუაციას სრულად აკონტროლებს, მაგრამ ყველამ იცის, რომ ამ შემთხვევაში, ციტრუსის ბაზრის მონოპოლიაც მისი კლანური მმართველობის ქვეშ გადავა... ასეთი დამლუპველი პოლიტიკის შედეგად კი მივიღებთ იმას, რომ აფხაზეთი იმ ფორმალურ დამოუკიდებლობასაც დაკარგავს, რომლის საშუალებით ახლა საერთაშორისო საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას ცდილობს... ამიტომაც, იქ მოქმედი ოპოზიციური პარტიები ლამის თავგანწირვის ფასად მოქმედებენ. დაუნდობლად აკრიტიკებენ სერგეი ბალაფშის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მათთვის მიუღებელია საქართველოდან ჩასული უცხოელი დიპლომატების ვიზიტები. თუმცა ამას ერთი პლუსი მაინც აქვს — ეს ადამიანები ადგილზე გაეცნობიან აფხაზი ხალხის განწყობილებასა და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებას...

დე ფაქტო აფხაზეთში ევროპელი დიპლომატების ვიზიტებმა ჩვენს საზოგადოებაშიც ინტერესი გამოიწვია. სამხრეთ კავკასიაში ევროსაბჭოს სპეციალური წარმომადგენლის,

პიტერ სემნების სოხუმში სტუმრობას, ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის ხელმძღვანელის, ჰანსიორგ ჰაბერის ვიზიტი მოჰყვა. სემნების თქმით, აფხაზეთის არალიარების პოლიტიკის პარალელურად, აუცილებელია, სოხუმის რეჟიმთან ჰუმანიტარულ სფეროში თანამშრომლობა დაიწყო. აფხაზეთში იმედოვნებენ, რომ „წითელი საზღვრის“ გადაკვეთა დაიწყო. აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრმა, სერგეი შამბამ დაუფარავად განაცხადა, რომ აფხაზეთი საქართველოს გვერდის ავლით ევროსაბჭოსთან ითანამშრომლებს, თუმცა სოხუმში ვიზიტი ჰანსიორგ ჰაბერმა ილორის ეკლესიის მონახულებას დაუკავშირა და განაცხადა, რომ ეკლესიის გარეგნული დათვალიერების შედეგად, მისი გარუსულება ვერ აღმოაჩინა, პირიქით: „მე ვხედავ მისი შენარჩუნების გულწრფელ მცდელობას“, — აღნიშნა მან.

ექსპერტი სამხრეთ კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას ორ ცეცხლ შუა თამაში უწევს. ბალაფში იძულებულია, რუსეთს ზოგი რამ დაუთმოს, რადგან ხელს, რომელიც გაჭმევს, უნდა მოეფერო, მაგრამ ამასთანავე, საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების შემოტევების მოგერიება უწევს. აფხაზური ოპოზიციური პარტიები მიიჩნევენ, რომ რუსეთისადმი დათმობა ერის გადაშენებასა და რუსეთის მიერ აფხაზეთის ხელში ჩაგდებას გამოიწვევს, ამიტომაც საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობა აუცილებელია. არადა, მათი პოზიცია ცოტა გასაკვირია, რადგან ხელფასებსა და პენსიებს რუსეთისგან იღებენ...

**მამუკა არეშიძე:**

— რაც შეეხება კონკრეტულად ლაკობას დაკავებას, — ეს ბალაფ-

შის მხრიდან შეცდომა იყო, ვინაიდან ეს გვარი მისი წინაპრის — ნესტორ ლაკობას გამო განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს აფხაზეთში. ლაკობა აფხაზეთის ერთ-ერთ გამირად ითვლება. მას მიიჩნევენ ადამიანად, რომელმაც XX საუკუნის 20-იან წლებში აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

— **ზოლო დროს, დე ფაქტო აფხაზეთში უცხოელი დიპლომატების ვიზიტი გახშირდა. გასაგებია, რომ სეპარატისტებს ჰუმანიტარულ საკითხებში ევროპელთა დახმარება ესაჭიროებათ, მაგრამ ევროსტრუქტურების მხრიდან სეპარატისტებთან პირდაპირ თანამშრომლობა, თუნდაც ჰუმანიტარულ სფეროში, რამდენად გამართლებულია?**

— პიტერ სემნები პროექტის — „ჩართულობა აღიარების გარეშე“ — ერთ-ერთ მთავარი „გამხმომანებელია“. ეს პროექტი კი ასე იმიფრება: აფხაზეთმა რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ევროპულ სტრუქტურებთან, მაგრამ მისი დამოუკიდებლობის აღიარება არ უნდა მოხდეს. დასავლეთის პოლიტიკური ელიტის მიდგომა ასეთია: აფხაზეთი არის რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში, რაც დასავლეთისთვის მიუღებელია, ამიტომ ამ რეგიონის ევროპაში ინტეგრირება უნდა მოხდეს... გეგმის თანახმად, აფხაზებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით დაამყარონ ევროპასთან ურთიერთობა. საქართველოს ხელისუფლება კი ამის წინააღმდეგია.

**— რა ფორმის ურთიერთობაზეა ლაპარაკი?**

— როგორც დასავლელი დიპლომატები გვისხნიან, საქმე ეხება ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და ტურისტულ პროგრამებს... ევროპელებს

**თალიზი**  
თმის ბალანსირების კლინიკა

032326684.27 0895 25 37 38  
www.talizi.ge





დიდი იმედი აქვთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, აფხაზი ახალგაზრდების საშუალებით, რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას მოახდენენ, რისი საბოლოო მიზანიც, აფხაზეთის რუსეთისგან ჩამოშორებაა.

— ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მათი მიზანი რეალურად მიგაჩნიათ?

— იცით, ეს პროექტი და ზოგადად იდეა ურიგო არ არის, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების იგნორირება შეცდომაა. შესაძლოა, ჩვენი ხელისუფლება ამ პროცესებში აქტიურად არ იყოს ჩაბმული, ვინაიდან აფხაზები ამაზე არ წამოვლენ და გეგმაც ჩაიშლება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას პროცესებზე

რეაგირების მინიმალური ბერკეტები მაინც უნდა ჰქონდეს. მას საამისოდ ყველანაირი სამართლებრივი უფლება აქვს... ამ შემთხვევაში კი ხელისუფლებამ ყველანაირი პოლიტიკური საკითხი უნდა გადადოს და ჰუმანიტარული პროგრამები განახორციელოს; ადამიანური რესურსები უნდა გამოვიყენოთ, ნდობა აღვადგინოთ...

— რატომ აკეთებს ამას დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას გან დამოუკიდებლად?

— მთლად დამოუკიდებლად არ აკეთებს — ჩვენი ხელისუფლება საქმის კურსში ჩააყენა; მაგრამ ამ საკითხში ისინი ჩვენს ხელისუფლებას არ ენდობიან. ვერ ვიტყვი, რომ უნდობლობის არგუმენტები არა აქვთ, მაგრამ ქართული მხარის იგნორ-

ირება მაინც შეცდომად მიმაჩნია... დასავლური გეგმის წინააღმდეგია რუსეთიც, რომლის აზრსაც ევროპელი დიპლომატები არ ითვალისწინებენ. უფრო მეტიც — ისინი გეგმის განხორციელების მნიშვნელოვან დეტალებზე არ ფიქრობენ, არაა, ამ ორი სახელმწიფოს გვერდის ავლით, ფიზიკურად წარმოუდგენელია აფხაზი ახალგაზრდების თუნდაც ტრანსპორტირება: ის დიპლომატები მათ განათლების მისაღებად ვერც წაიყვანენ, რადგან ევროპის რომელიმე ქალაქში მოსახვედრად, ენგურს გაღმა, საქართველოს თუ არა, რუსეთის ტერიტორია მაინც, ანუ — სოჭის აეროპორტი უნდა გაირონ... დასავლეთს უნდა, გამოიხსოს საერთო ენა რუსეთთან, ერთიან გეოპოლიტიკურ სივრცეში მოაქციოს და ამას უფრო ღრმა მიზეზები აქვს. წინა აზიაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები, შესაძლოა, დიდ ისლამისტურ რევოლუციაში გადაიზარდოს და ჩვენი მოსაზრვრე ქვეყნებში ისეთი ხელისუფლებები შეიქმნას, რომლებიც დასავლეთზე ორიენტირებული არ იქნებიან.

— ამ არასასურველ შედეგს უფროსის დასავლეთი?

— დიას და ყველანაირად ცდილობს, რუსეთი თავის სივრცეში მოაქციოს, ოღონდ რუსეთის დღევანდელი მმართველობის ფორმა მისთვის მიუღებელია და ნათელია, რომ ეს გეგმები კონკრეტულად, რუსეთის დღევანდელი მმართველობის წინააღმდეგ არის მიმართული... ასე რომ, ის, რასაც ახლა დასავლეთი თუნდაც საქართველოს კონფლიქტის ზონაში აკეთებს, რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ მიმართული გეგმის ნაწილია.

— რატომ არ აქტიურობენ ევროპელი დიპლომატები ცხინვალის რეგიონში?

— იქ სხვანაირი სიტუაციაა. რუსებს არც ენაღვლებათ, ოსები საერთოდ ცხოვრობენ თუ — არა. ის არის რუსეთის ერთი „სამხედრო ფლოტი“, სადაც ავიაციაც კი აქვთ... აფხაზეთის მიმართ კი ეკონომიკური ინტერესებიც აქვთ და, გარდა ამისა, მისი საშუალებით, წინა აზიასთან დაკავშირებაც შესაძლებელია. თანაც, ევროპელი დიპლომატები კარგად არიან ინფორმირებული აფხაზეთის რეგიონში შექმნილი ვითარების შესახებ, ასევე კარგად არიან ჩახედული რუსებსა და აფხაზებს შორის არსებულ ურთიერთობაში და ამიტომაც აქვთ იმედი, რომ რუსეთისგან ამ რეგიონის დისტანცირებას შეძლებენ.

ქართული სატრფიალო  
პოეზიის სასაჩუქრე კრებული  
საუკეთესო საჩუქარი ვალენტინობისთვის!

მალე!

მიყვარხარ

ქართული სატრფიალო პოეზია

მიყვარხარ...  
ქართული სატრფიალო პოეზია

ფასი: 20 ლარი

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!



ღაჯარაჯოგს და აჩვენებს პალიტრა!

[www.palitratv.ge](http://www.palitratv.ge)

დღის შამაჯამებელი სინფორმაციო გამოშვება

# „რეზიუმე“

ღინან ტრანაიქესა და მარაზ მატრაველთან ერთად

ყოველდღე 19.00-დან 20.00 სთ-მდე.

მთავარი დღის  
ფაქტები და ბრგუმენტები  
შეფასება და ბნაღიზი  
დღის რეზიუმე



რასაც სწავნან ვერ მოისმენთ!

სიმართლე უმთავრესია!

FM 103.9

რადიო პალიტრა





ირმა ხარშილაძე

— ხმაურიანი და ემოციური კაცი იყო. ხმის ტემბრიც ისეთი ჰქონდა, ოთახში რომ დაიწყებდა ლაპარაკს, სადარბაზოში გაიგონებდი (ილიმის). ასეთი ტემპერამენტი ჰქონდა. ჩვეულებრივადაც რომ ლაპარაკობდა, გეგონებოდა, ჩხუბობდა ან ვინმეს აქებდა. ომახიანი და მხნე იყო.

ჩხუბი უყვარდა?

— შვილებთან — არა, თუმცა... განა მონადინებული იყო საჩხუბრად! კარგი დროს ტარება უყვარდა, მოლხენასაც კარგი განწყობილებით იწყებდა, მაგრამ თუ ვინმე თვალში არ მოუვიდოდა — ვთქვათ, ხუმრობას გადააჭარბებდა, იუზრდებდა, — უკან არ დაიხევდა და არ წაუყრებდა.

გინახავს მოჩხუბარი?

— როგორ არ მინახავს, და — არაერთხელ. ძლიერი იყო და ჯანიც მოსდევდა. შეეძლო, წინაღობას ნაქეფარსა და შუალამეს დაძინებულს, დილის 7 საათზე გაეღვიძა. რაც მთავარია, ოდნავადაც არ აწუხებდა „პახმელია“. სკოლაში რომ არ დაგვეგვიანებოდა, მე და ნანას — ჩემს ოთხი წლით უფროს დასაც ის გვალვები-

# XIX საუკუნე — „ახლოს მდგომი მყარი ნიადაგი, რასაც სულიერად შეიძლება ემეკვიდრო“

1999 წლის 23 ივნისს, 72 წლისა გარდაიცვალა. თავის მეგობრებთან სშირად იმეორებდა თურმე: XX საუკუნის ბოლომდე უნდა მივიდეთ, იქით აღარაფერი გვესაქმებაო. არ ვიცი, წინათგრძნობა იყო, ინტუიცია თუ მხოლოდ დამთხვევა, მაგრამ ძალიან ცოტა ხანს იავადმყოფა და სწორედ XX საუკუნის მიწურულს გარდაიცვალაო, — იხსენებს ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის, ელგუჯა მალრაძის ვაჟი.

„ქართული პროზის საგანძური“ ჟურნალ „გზასთან“ ერთად, 50-ე ტომად ელგუჯა მალრაძის „გრიგოლ ორბელიანის“ მეორე წიგნს გთავაზობთ. პოეტი დავით მალრაძე კი იხსენებს, როგორ იყო მამა ოჯახში თუ მეგობრებთან.

და. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებული იყო, ოჯახისთვის ყოველთვის ეცალა. ბევრს ვსაუბრობდით, მაგრამ დედისა და თავის სიყვარულზე არასდროს ჰყვებოდა — ისედაც თვალსაჩინო იყო. სშირად დაყვავდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამოგზაუროდ. ზეპირად ვიცოდი, სად რა ძეგლი იყო და სად — გზისპირა რესტორანი. სულ დავლილი მაქვს მამის მეგობრებთან ერთად, გზამკვლევადაც კი გამოვდგები.


— ვისთან მეგობრობდა, ვისთან ერთად დადიოდი?

— ერთ-ერთი ჩემი ნათლია იყო ჟანი სიხარულიძე — ღმერთმა დიდხანს ამყოფოს ჯანმრთელად! უმრავლესობა კი დღეს ცოცხალი აღარ არის: ოთარ ჭილაძე, ედიშერ ყიფიანი, არჩილ სულაკაური, ოტია პაჭკორია... „მნათობში“ მთავარ რედაქტორად რომ მივიდა მამა, პოეზიის განყოფილებას ოთარ ჭილაძე ხელმძღვანელობდა, პროზისას — არ-

„კვირის პალიტრის“ კოლექცია  
 „დიდი მხატვრები“  
 წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედეგები და ისტორიები  
 60661 XVI  
**კარავაკო**  
 - 14 თებერვლამდე  
 მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

„კვირის პალიტრის“ ხელმოწვევითა საყურადღებოდ! წიგნის შექმნის მსურველები დაუკავშირდით „ელგა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ





როდის თარგმნა ამდენი წიგნი, როდის დაწერა, ვერაფერს გეტყვით

ჩილ სულაკაური, პასუხისმგებელი მდივანი კი ედიშერ ყიფიანი იყო. ყოველი სამუშაო დღე სრულდებოდა ჩვენს ოჯახში შეკრებით. არ მავინწყდება კონიაკი და მუქი ყვითელი, ზოლიანი სიგარეტი „თბილისი“. მამას ძალიან უყვარდა სტუმარი და კარგ კერძებსაც ამზადებდა — ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მიაჩნდა (ილიმის), რაც მართალია — მართალია — მწვადს შესანიშნავად წვავდა.

როდისლა მუშაობდა?

— ეგ არავინ იცის. როდის თარგმნა ამდენი წიგნი, როდის დაწერა, ვერაფერს გეტყვით. ალბათ — შვიდი საათიდან, ვიდრე სამსახურში წავიდოდა. დაახლოებით მეშვიდე კლასში იყო, მისმა უფროსმა დამ, თამარმა დასავლეთ ვეროპის ფაკულტეტზე რომ ჩააბარა. იქ შეისწავლა ინგლისური ენა და ძმასაც ასწავლა. ისინი ზედაპირულად ამოკენილ ფრანგებს არ სჯერდებოდნენ, ისე ძირფესვიანად შეისწავლეს, ლექსიკონის შედგენაც კი შეეძლოთ. საერთოდაც, ცოდნისადმი, წიგნისადმი იყო სხვაგვარი დამოკიდებულება. ძნელად ხელმისაწვდომი წიგნები ჩემთვისაც ხშირად მოჰქონდა და მერე იმ წიგნებს მთელი სამეგობრო ვკითხულობდით.

სამოგზაუროდ შენი წაყვანაც ალზრდის ფორმად ხომ არ მიაჩნდა?

— არა მგონია. ყველაფერი სპონტანურად წყდებოდა: დააპირებდნენ წასვლას და მეც მეკითხებოდნენ, წაყვებოდი თუ — არა? მე კი ძალიან მიხაროდა მათთან ყოფნა. ბევრ საინტერესო ამბავს ვისმენდი, ხშირად წიგნებს მჩუქნიდნენ. სხვათა შორის, არა მარტო თავისას. მასსოვს, არჩილ სულაკაურმა ნიკო სამადაშვილის ახ-

ალგამოსული ლექსების კრებული მაჩუქა. წამინერა კიდეც. ისიც მასსოვს, დუქანსა თუ რესტორანში მომსახურე პერსონალი გაციკროვნებული თვალებით რომ ეგებებოდა ამ ადამიანებს. ქეიფი გახურდებოდა და როგორც წესი, ბოლოს „პოვრებიც“ შემოუსხდებოდნენ ხოლმე ჩვენს სუფრას. ვგრძნობდი, ეს ძმაცაცობა უფრო იყო, ვიდრე მომხმარებლისა და ოფიციალტის ურთიერთობა. ეს იყო კარგი ქართველი საზოგადოების ჯანსაღი, გულწრფელობით სავსე ურთიერთობა. მამას თამადლობა უყვარდა და ნიშნავდნენ კიდეც. სუფრის გაძლოლა არავის გაუჭირდებოდა, მაგრამ რაკი მამას უყვარდა, გულს არ სწყევტდნენ. გალაღებულ-გახარებული და ბედნიერი

ამ ლხინსაც თითქოს სხვანაირად ატანდა გემოს. მისი ხალისი კი ძალიან გადამდები იყო. არ მასსოვს, ვინმე დაედარდიანებინოს სუფრასთან... მამას წყალობით, ძალიან საინტერესო ხალხთან ვურთიერთობდი. მასსოვს, მეშვიდე კლასში ვსწავლობდი და მაშინდელ პიონერთა სასახლეში ლექსები მივიტანეთ — ჩემმა მასწავლებელმა, თამარ ბურჯანაძემ მთხოვა, — კონკურსი ტარდება და შენი ლექსებიც გავგზავნოთო. როგორც ჩანს, გამარჯვებულთა შორის აღმოვჩნდი და ტელევიზიამაც გადაგვიღო. გამაფრთხილეს, რა დროსაც უნდა ეჩვენებინათ. დამთხვა და მაინცდამაინც იმ დღეს, მამასთან ერთად მორიგი „ექსკურსიის“ შემდეგ კვლავ რესტორანში აღმოვჩნდით. ვნერვიულობდი, რადგან ძალიან მინდოდა, საკუთარი თავი ტელევიზორში დამენახა. მამა დაპირდა, იქ იქნება ტელევიზორი და გაყურებინებოთო. ვილაცის ოთახში კი იდგა ტელევიზორი, მაგრამ მამა რომ თამადლობის ეშში შევიდა, ბუნებრივია, გადაავიწყდა კიდეც დანაპირები. ვერც მე გავბედე შესენება. თურმე წამოსვლამდე ჩვენი საუბარი ნოდარ დუმბაძეს მოუსმენია და გადაცემის დროც დაუმახსოვრებია. მოახლოვდა თუ არა ის დრო, მომიკიდა ხელი, — მამაშენს ხელს ნუ შევუშლით, მაგის მოცდენა ცოდვააო, — და ტელევიზორის ოთახში ჩამიყვანა.

შენს ლექსებზე რა აზრის იყო ბატონი ელგუჯა?

— ძალიან ჯანსაღი დამოკიდებულება ჰქონდა. ჩვენს სახლში არც პაპა და ბებია, არც დედ-მამა — არავინ ურთიერ-

თობდა ბავშვებთან ისე, რომ რომელიმე „გამორჩეულობის სენით“ დავავადებულყავით. ძალიან ვუმაღლი თითოეულს, რომ არანაირი ნარცისული ელემენტი არ გააჩინეს ჩემში. გადავზრჩი, რომ საკუთარი შემოქმედებით აღფრთოვანებული არა ვარ და საკუთარი თავით დასნეულებული და დავადებული არ აღმოვჩნდი. მენერებოდა და ვწერდი, ოღონდ ჩემი ნაწერი თაღფრთოვანებული და გულწასული არც ერთი ოჯახის წევრი არ მინახავს!.. რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანს, მასზე მამის ნიგინი რომ გამოიცა, ალბათ, 7-8 წლის ვიქნებოდი. ყაზბეგის ქუჩაზე, ჩვენს სახლში ორბელიანის დიდი ფოტო ეკიდა კედელზე. კარგა ხანს პაპაჩემი — მამის მამა ის მეგონა, რადგან 2 წლის ვიყავი, როცა გარდაიცვალა და არ მასსოვდა.

როდესაც „ქართული პროზის საგანძურში“ ელგუჯა მალრადის ნაწარმოების გამოცემა გადაწყვიტოთ, „გრიგოლ ორბელიანი“ გვრჩიო რატომ?

— პიროვნებაზე საუბრისას, ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ამ ადამიანის ბედი — ვინ და რა უყვარდა, რას განიცდიდა... ბევრს ასეთი საუბრისას ადამიანი ეკარგება, მისდამი თანაგრძნობა უჭრება. არ ვიცი, სიმართლეს შეესაბამება თუ არა, მაგრამ ასეთი გადმოცემა: ნიკო ფიროსმანაშვილი სადღაც დუქანში მჯდარა. ამ დროს ვილაცები შეცვნილან, მეფე დაამხესო (ბოლშევიკების მიერ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორის დამხობას გულისხმობდნენ)! ნიკალას იცი, რა უთქვამს? — ჩემსავით უიღბლო ყოფილა ჩემი სენიო! წარმოგიდგენია? რევოლუციის მთელი ქარტეხილი პიროვნების ტრაგედიადა აღიქვა; თითქოს იმის ბედი განიცადა უცბად და არა — მასების ალტკინება... მეც გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებაში მისი განცდები უფრო მაინტერესებს. მკითხველს, ვინც ელგუჯა მალრადის ამ წიგნს შეიძენს, მინდა ვუთხრა, რომ მამას ამ ნაწარმოებში შეძლებისდაგვარად, გაცოცხლებული ჰყავს XIX საუკუ-

რადიო თავისუფლება
უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!
რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!
ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.
radiotavisupleba.ge





მამას წყალობით, ძალიან საინტერესო ხალხთან ვურთიერთობდი

ნის ქართველი საზოგადოება. ჩემი აზრით, ახლოს მდგომი, მყარი ნიადაგი, რასაც სულიერად შეიძლება ემყვიდრო, სწორედ XIX საუკუნეა და საქართველოსთვის ეს საუკუნეა „გადასარჩენი“. გამოსაცემადაც იმიტომ ავირჩიე „გრიგოლ ორბელიანი“, რომ მინდოდა, მკითხველს „ენახა“ XIX საუკუნე და კი არ გაესხენებინა, არამედ საკუთარ თავში გაეცოცხლებინა ის დამოკიდებულებები — ურთიერთობის განცდის, თანაგრძობის, ზრდილობისა და ეთიკის ხარისხი. XIX საუკუნეს XXI-ში თუ გაიყოლებს საქართველო, ნამდვილ საზოგადოებას დაემსგავსება...

P.S. ვიდრე ერთმანეთს დავემშვიდობებოდით, დათომ თავისი ერთი ლექსი წამიკითხა, „ყაზბეგის ქუჩა №14“ ჰქვია, — მამასა და ჩემს ოჯახზე ყველა კითხვის პასუხი აქ არისო, — მითხრა. ვიფიქრე, თქვენც დაგანტერეხებდათ და ამიტომაც „გვიკითხავთ“: „და იყო სახლი, იყო მაგიდა/ იყო თოვლივით ქათქათა სუფრა/ და აღარასდროს აღარ წავიდა/ დღესასწაული, მოსული სტუმრად/ არ დარჩენილა არავინ უბრად და/ გამოებნენ მაგიდას თოვით/ და იყო დედა — ქათქათა სუფრა/ და იყო მამა — სუფრაზე დოქი/ იყო სახელიც... და უსახელოც/ როგორც სჩვევია ხალხმრავალ ბაქანს/ და იყო დედა — თეთრი საყელო/ და იყო მამა — პერანგზე ლაქა/ დგებოდა დილა ღამის ნარჩენით/ ისმოდა ლურჯი მონასტრის ზარი/ დედა — გახსნილი ფართოდ ფანჯრები/ მამა — ოთახში ორპირი ქარი/ და მერე, როცა ღრუბლიან სამანს/ მიუახლოვდა სნეული სევდა/ კედელზე გაჩნდა ღიმილი — მამა/ ღიმილთან ცვილის სანთელი — დედა/ და იყო სახლი“.

# „კასი ვარ და ქუდი მხურავს“ და... ირანის შაჰის სასტიკი ხუმრობა

ანუ ორიოდე სიტყვა ბოლო ხანს ფახმოკიდებული უხანუარი ჩვევის გამო

ლამის ნახევარი საუკუნის წინ, რუსეთში გადაიღეს ფილმი საქვეყნოდ განთქმულ ვაინას მოცეკვავე მაჰმუდ ესამბაევის შესახებ. ფილმის ფინალში, კამერის წინ მჯდომმა, გალიბანდით თავდამშვენებულმა მსახიობმა ბოდიში მოუხადა მაყურებელს (რასაკვირველია, ქრისტიან მაყურებელს, რადგანაც მაშინდელ საბჭოთა კავშირში სათქმელს პირდაპირ ვერ იტყოდა); მან თქვა: უკაცრავად, პატივცემულებო! ხედავთ, რომ მე ქუდი მახურავს ოთახში; უზრდელი არ გეგონოთ, უბრალოდ, თქვენგან განსხვავებით, ჩვენთან (მუსლიმანებს გულისხმობდა), ასეთი ადათია და უნდა გამიგოთო...

## ალექსანდრე გოგონიძე

ახლა ჩვენს დროში გადმოვინაცვლოთ. ქართული ტელევიზიები შესაშური გულმოდგინებით „უნევენ პრობაგანდას“ იმას, რის გამოც ესამბაევა ბოდიში მოუხადა მაყურებელს: ძალზე ხშირად ტელესტუდიაში მინვეულ რესპონდენტებს თავზე ლამის თვალებამდე ჩამოფხატული ქუდი ახურავთ. რა არ ვიხილეთ — მოქსოვილი ქუდი, კარტუზი, კეპი (ხშირად — კეფისკენ „სახით“ შებრუნებული), რუსული უშანკა, გერმანული ყაიდის ყურებჩამოშვებული ქუდი, ნასტალინგრადელ ტყვეებს რომ ესურათ, ცილინდრი, კანოტი, მეკობრეთა ბენდენა და კიდევ ვინ იცის, რა!

„მათ ასე უნდათ და ჩვენ რა ვქნათ, დღეს დემოკრატიის ზეიმი, ბატონებო!“ — იტყვის მავანი ტელებოსი. ზოგი იმასაც დაუმტებს, რომ იქ (დასამყარო იგულისხმება) ასეა მიღებული. თუ ამ ლოგიკით ვიმჯგელებთ, „იქ“ მიღებულია ფეხების შემოლაგება მაგიდაზე (ამერიკაში), ოთახის აირის გაზაფება ბიოგაზებით, აუდიოეფექტების თანხლებით (გერმანიაში), მშობლების მიერ უიკენდზე მიმავალი შვილებისთვის ჯიბეში პრეზერვატივების ჩანყობა და მისი მოხმარების მოკლე „ინსტრუქციის“ ჩატარება (ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაში) და მრავალი სხვა. აზიის ქვეყნებშიც ბევრი საინტერესო წესჩვეულებაა, მაგალითად — დაუბანელი ხელით სტუმრისთვის პირში საკვების ჩადება (მონღოლეთში), ასევე სტუმრისთვის, „ლიზინგის“ წესით,

ღამით ცოლის გადაცემა (ციმბირის მრავალ ტომში) და ა.შ. დამეთანხმებით, ასეთი „ნომრები“ ჩვენთვის მიუღებელია...

ისევ „მექუდეათა“ თემას დავუბრუნდეთ. რომელ ქვეყანაშიც ხარ, იმ ქვეყნის ქუდი უნდა დაიხურო, — იტყვიან ჩვენში, ოღონდ ეს მდგომარეობა ქუჩას გულისხმობს: ქართული ტრადიციით, ოთახში ქუდიანი მამაკაცის ყოფნა, მით უმეტეს — ჯდომა დაუშვებელია (ტელეპავილიონიც ოთახია, სხვათა შორის). ძნელი წარმოსადგენია „ქუდოსნების“ არსებობა: საქორწინო დარბაზში (დარბაზისეულ ადამიანთა საზოგადოებას ვგულისხმობ) პანაშვიდზე, სამეცნიერო კონფერენციაზე. სრულიად წარმოუდგენელია ქუდიანი კაცის ტაძარში შესვლა, თუმცა ალბათ არიან მუტანტები, რომლებიც ამაზე ოცნებობენ...

ერთი სპარსული გადმოცემა მინდა შემოგთავაზოთ: შაჰთან „იქიდან“ (ევროპა იგულისხმება) სტუმრები ჩავიდნენ. მონარქთან აუდიენციისას მათ მასპინძელს, მისალმების ნიშნად, თავი დაუკრეს, ქუდეები კი, სხვა სტუმრებისგან განსხვავებით, არ მოიხადეს. შაჰს გაუკვირდა და თარჯიმანს ჰკითხა, — ასე რატომ მოიქცნენ ეს ბატონებიო? თარჯიმანი უცხოელებს

გავსაუბრა, შემდეგ მბრძანებელს მოახსენა, — მითხრეს, ჩვენში ასეთი წესი არ არისო. — ჰოდა, თუ არ არის, ლურსმნები მოიტანეთო, — ბრძანა შაჰმა და დასძინა: — კარგად მიაჩქედეთ თავზე მათ შლაპები, რომ არ დაკარგონო! ასეც მოიქცნენ სასახლის დურგლები...





„ბომონდის“ თეატრის ნომერი  
 „გერქოლ“ ჯამბუჯანაძის დისკთან ერთად



შეაბროვე  
 კოლექცია



CD №7  
 „საჩუქხად!“



პვანი ხევის  
 სეპანქრი

- CD №1 ჯგუფი „შინ“
- CD №2 ჯგუფი „ქართული ხევი“
- CD №3 ჯგუფი „მისუარი ტრიო“
- CD №4 მამუკა ჩარკვიანი
- CD №5 პეპლატ გონაშვილი
- CD №6 რუსულან სეპინკვერაძე

შეგიქლიათ შეიძინოთ „გიგუნის“ ნიგონი მალაჩითა ქსელში.

პროექტის  
 სპონსორია







# სასნა

## დახურული „ვანოს შოუ“, შორენა ბეგაშვილის პატარა პარსკვლავი, ნანკა კალიძის და „მოდური მყოფი“ დათო როსტომაშვილი

შორენა ბეგაშვილი, ვანო ჯავახიშვილი, ნანკა კალიძის შვილი და დათო როსტომაშვილი ის ადამიანები არიან, რომლებიც „გზის“ დარტყმისთვის“ შევარჩიეთ. მათზე ამბები მოვიგონეთ, სრული სერიოზულობით ვაცნობეთ და კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ. შორენას „პატარა ვარსკვლავი“ გაუფხვნილი, ვანოს პრეზიდენტის სახელით გადაცემა დაეუფურეთ, დათო — სტრიპტიზ-კლუბის მოცეკვავეთა, ხოლო ნანკა თბილისში სტუმრად მყოფი ბოლივუდის წარმომადგენლების რჩეულად გამოვაცხადეთ. მათი კომენტარები კი ასეთი იყო:

### თაშუნა კვინიკაძე

#### ის გადაცემა დახურულია!

— ვანო, იცი თუ არა, რომ პრეზიდენტი შენი გადაცემის აქტიური მაცურებელი ყოფილა?

**ვანო ჯავახიშვილი:**

— მართლა? ძალიან კარგი, არ ვიცოდი.

— დიდი ხანა, ცდილობ, გადა-



ცემაში სტუმრობაზე დაითანხმო.

— ჰო, მაგრამ ვერ დავითანხმეთ.

— იმიტომ, რომ „ვანოს შოუზე“ ძალიან გაბრაზებული ყოფილა.

— გულს რატომ მიხეთქავ?

— რალაც ამბავი გავიგე—

— (მანყვეტინებს) რა გაიგე, ბარემ მითხარი.

— ამიტომაც დაგირვეკე უთქვამს,

მოთმინებასაც საზღვარი აქვს, ყველაზე მეტს ჩემზე ხუმრობენ და იტყულებული ვარ, ეს გადაცემა დაფურთო.

— ნუ მეღადავები, რა...

— კი არ გელადავები, სიმართლეს გეუბნები. ზოგჯერ მართლა ზედმეტი მოგდით ხოლმე.

— შენ საიდან გაიგე?

— ჩემი ასლობელი პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელია და მან მითხრა. ასეთი ხმები ჩუმად მაინც გამოდის ხოლმე — ხომ იცი, როგორც ხდება. თურმე არც გიორ-



გი აფციაურს უყურებს კარგი თვალით. — რა გაეკეთო?

— შენც ადეუ და ოპოზიციაზე იხუმრე, უმუშევარი გინდა დარჩე?

— სად არის ოპოზიცია? არაფერი არ ხდება და რაზე უნდა ვიხუმრო?

— ვანო, მგონი, პრეზიდენტს შენთან შესვედრაც უნდა.

— მგონია, მეკაიფები.

— რა დროს კაიფია, უბრალოდ გაფრთხილებ, შესვედრა მართლა რომ მოხდეს, მასთან თავს რომ იმართლებ? რამე მოიფიქრე.

— თავი რატომ უნდა ვიმართლო? ან რა უნდა ვუთხრა, ადამიანო, ნუ გადამრიე.

— „დემოკრატიის უტყუარე“, ნუ ჩაქრები, ეს „გზის“ დარტყმა იყო.

— შენ რა გითხარი (იცინის), მიცხვდი, რომ რალაცას მატყუებდი! ასე აღარ მესუამო...

### პატარა პარსკვლავი – „დიდი კალაბრონისთვის“.

ჩვენი მორიგი „მსხვერპლი“ მსახიობი, შორენა ბეგაშვილია. მასთან დაკავშირება არაერთხელ ვცადე, მაგრამ უშედეგოდ. ზარი გადიოდა და არ მპასუხობდა. მერე გამახსენდა, ცოტა ხნის წინ შორენას ფოტოები გადავუღეთ, ძალიან მოეწონა და მთხოვა, მეც მიინდა მქონდეს და დისკზე ჩამინერეო. დღის ბოლოს მესიჯი გავუგზავნე, — მიინდა დისკი მოგცე და შემეხმიანე-მეთქი. შორენა შეტყობინების ნაკითხვისთანავე დამიკავშირდა.

— ტელეფონზე ზარი მქონდა გათიშული, დაგირვეკავს და ვერ გავიგე. როგორ ხარ?

— კარგად, შენ როგორ ხარ?

— მე ცოტა ვიავადმყოფე, ახლა არა მიშავს.

— რა გჭირდა?

— ფილტვების ანთება მქონდა, უკვე გამოვკეთდი. რამდენიმე დღის მანძილზე





ტელეფონიც გათიშული მქონდა.

— შორენა, შენი ვარსკვლავი რომ იხსნება, ამის შესახებ უკვე შეიტყობდი.

— რას ამბობ?! რა იხსნება?!

— ვარსკვლავი რა გაიკვირვე, პირველად გაიგე?

— მართლა პირველად მესმის. ტელეფონი გათიშული რომ მქონდა, ეტყობა, ვერ დამიკავშირდნენ. ვინ ხსნის?

— დათო ოქტაშვილი.

— არ მჯერა.

— უტყუარი ინფორმაცია მაქვს. წლებია, რაც სხვადასხვა თეატრის წინ ლვანდოსილი მსახიობების ვარსკვლავები იხსნება. ახლა კი დათო კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ვარსკვლავების გახსნას ახალგაზრდა მსახიობებისთვისაც იწყებს. ოღონდ, დიზაინით განსხვავდება.

— როგორია?

— პატარა ვარსკვლავია. ახალგაზრდა მსახიობებიდან პირველი შენი სახელობის იქნება. მგონი, ძალიან გაგხარდა.

— როგორ არ უნდა გაგხარდეს?! სად იხსნება?

— რომელი შენობის წინ გაიხსნება, ეგ ვერ დავადგინე. როგორ ფიქრობ, შენ ეს რით დაიმსახურე?


— არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე ბევრ ფილმში მე მიღებენ.

— როგორ ფიქრობ, შენ გარდა „პატარა ვარსკვლავი“ კიდევ რომელ მსახიობს ეკუთვნის?

— ვერ გეტყვი, ამაზე არ მიფიქრია. ვერც ის გავიგე, დავიჯერო თუ არა. რატომ იცინი?

— არ დამიჯერო, ეს „გზის“ დარტყმაა.

— (იცინის) ისე სერიოზულად მე-



ლაპარაკე, დამაბნე. ფოტოებზეც ტყუილი მითხარი?

— არა, ფოტოებს ვადმოგცემ ნახვამდის.

— კარგად იყავი. კიდევ ვის უნდა დაურევო?

— ამას ხუთშაბათს, „გზაში“ წაიკითხავ.

**ინდივიდუალური სტრიკტიზი**

— დათო, ვალენტინობის დღე სასწაულს როგორ აღნიშნავთ ხოლმე? დათო რუსთოვაშვილი:

— როგორ უნდა აღვნიშნო? კახელი კაცი ვარ, ევროპელი კი არა. აპრილში, „ჩვენი სიყვარულის დღეს“ უფრო აღვნიშნავ.

— დავიჯერო, ვალენტინობას მუშაობს არაფერს აჩუქებ?

— ყვავილებს ან სუნამოს ვაჩუქებ.

— დათო, წელს ამ დღესასწაულის განსხვავებული ფორმით აღნიშნავ მოგინებ?

— რა იყო, რა ხდება?

— კლუბ „დივას“ შესახებ ალბათ გასმენით.



— რა თქმა უნდა. სად მდებარეობს, ისიც ვიცი.

— კლუბის ხელმძღვანელმა მოცეკვავე გოგონებს შორის გამოკითხვა ჩატარა, ცნობილი ადამიანებიდან რომელ მამაკაცთან ისურვებდნენ ვალენტინობის საღამოს გატარებას. მათ თქვენ დაგასახელეს.

— აუუჰ!!! მოდაში ვარ (იცინის)?

— მინვებაზე უარს ხომ არ იტყვით?

— თუ საქართველოში ვიქნები, აუცილებლად მივალ. ცხონებული ბაბუაჩემი მარიგებდა, შვილო, მიპატიუებაზე უარი არასდროს თქვა, 5 წუთით მაინც მიირბინე, არ თქვან, ზემოდან იყურებაო.

— ამ შემთხვევაში 5 წუთით მირბენა არ გამოგივა, მოცეკვავეებს სპეციალური შოუპროგრამა აქვთ, მთელი საღამო გოგონები მხოლოდ თქვენთვის იცეკვებენ. სხვა არავინ იქნება.

— აუუუჰ!!! სად შემიძლია ამდენი? ეს ამბავი ჩემმა ცოლმა არ გაიგოს (იცინის)?

— იქ თქვენთან ერთად ბესო ბერულაშვილიც იქნება.

— ძალიან კარგი, ბესო ჩემი „ტყუბის-ცალია“, ოღონდ — „რიჟა“.

— ამ კლუბში ხომ არ დადის ართ ხოლმე?

— ჩემი მეგობარი მაგ კლუბის წინ ცხოვრობს. ერთხელ სახლში მივაცილე და მაშინ 15 წუთით შევირბინე. ეგ იყო და ეგ. ალბათ იმ საღამოდან დამიმასხოვრეს.

— მოგეწონათ? კარგად ცეკვავდნენ?

— არ მასხოვს, მთვრალი ვიყავი (იცინის).

— დათო, როგორ გგონიათ, მოცეკვავე გოგონებმა არჩევანი მაინცდამაინც თქვენზე რატომ გააკეთეს?

— არ ვიცი, ეს მათ უნდა ჰკითხო.

— მათ რა ვკითხო? ეს ყველაფერი ჩემი მოგონილია. იმედია, ამ ხუმრობისთვის არ გაგვინანწყნებდით.

— (იცინის) რა უნდა მენყინოს, ღმერთმა სიცილი და იუმორი წუ მოგვიშალოს.







ელენე ბასილიაძე



— და ერთ ანეკდოტსაც თუ მოგიყვებით, კარგი იქნება.

— სიამოვნებით: ორი კახელი ერთ-მანეთს შეხვდება. ერთი ეუბნება: — ისეთი „კრიჟანი“ ხარ, ადამიანს ეგონება, ჯიბეში ზღარბი ან ნიანგი უზისო. — შენ ვის რა უნდა უთხრა, — ვალში არც მეორე კახელი დარჩა, — ზაფხულში „საროჩკაზე“ რომ ღილი აგინყდეს, ზამთარს დაელოდები, იფიქრებ, ჩურჩხელიდან ძაფს რომ გამოვაძრობ, იმით დავაკერებო.

„ტაფანდურა“ ინდურად

— ნანკა, ბოლივუდი შენთ დაინტერესებულა. გავიგე, ფილმში გადასალეზად შეგარჩიეს. გილოცავ! ნანკა კალატონიშვილი:

— ვინ შემარჩია?

— ცოტა ხნის წინ ბოლივუდის დელეგაცია ხომ იყო ჩამოსული...

— კი, ამის შესახებ ვიცი, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

— მათ ქართველ კოლეგებთან ჰქონდათ შეხვედრა, მალე პროდიუსერები და რეჟისორები ჩვენთან ინდოელ მსახიობებთან ერთად დაბრუნდებიან, ფილმის გადაღება გაზაფხულიდან უნდა დაიწყონ.

— მერე?

— ერთი ქართველი მსახიობი გოგო სჭირდებათ. ფოტოების მიხედვით არჩევანი შენზე შეაჩერეს.

— მართლა (იცინის)? პირველად მესმის.

— გაგიხარდა?

— სცენარს გააჩნია... რა უნდა გადაიღონ?

— შენ ინდოელი ბიჭის შეყვარე-

ბულის როლი უნდა ითამაშო. ფილმის ნაწილს საქართველოში, ნაწილს — ინდოეთში გადაიღებენ. საკმაოდ თამამი კადრები, ინტიმური სცენებიც იქნება.

— ო!!! ეს კი აღარ მომეწონა. მათ მე ვერ გამოვადგები.

— რა იყო, ინტიმურმა სცენამ დაგაფრთხო?

— საქართველოში არიან მსახიობე-



ბი, რომლებიც ამაზე უარს არ იტყვიან.

— მაგალითად?

— რა ვიცი, კასტინგს ჩაატარებენ და იპოვიან.

— რაც უნდა გემოვნებით გადაიღონ, მაინც უარზე იქნები?

— ალბათ... მაგრამ ჯერ სცენარს ხომ უნდა გავეცნო?

— სანამ გადაღებას დაიწყებენ, ინდურ ცეკვა და სიმღერა უნდა შეისწავლო. საამისოდ პედაგოგს დაგოქრავებენ. შუბლზე წითელ ხალსაც დაგასატაფენ, მოკლე, ინდოელ გოგოს დაემსგავსები.

— არ ვიცი, ამის შესახებ პირველად მესმის და რა კომენტარი უნდა გავაკეთო? შენ ამდენი რამე როგორ გაიგე?

— კი არ გავიგე, მოვიფიქრე.

— მოიფიქრე (იცინის)? მივხვდი, გამაბით, არა?

— სად გაგაბით?

— ცოტა ხნის წინ წავიკითხე, ანანო მჟავიას და ნინო ჩხეიძეს რაც გაუჩაღიჩეთ და მაგრად ვიცინე. ახლა ჩემი ჯერი იყო?

— არც კი დაეჭვდი.

— (მანყვეტინებს) ბოლივუდიდან ჩამოსულები მართლა იყვნენ. რეალურ ამბავთან ისე ოსტატურად დააკავშირე, რომ ეჭვი არ გამიჩნდა.

— ეს რუბროკა მოგწონს?

— ერთხელ წავიკითხე და მომეწონა. მომავალშიც თუ გექნებათ, დიდი სიამოვნებით გავეცნობი.

მალე ქართველ ილუზიონისტს, ზურაბ ვადაჭაქურიას 50 წელი შეუსრულდება. 30 წელზე მეტია, რაც სცენაზე დგას და საკუთარი სფეროს განვითარებისთვის ძალებს არ იშურებს. მისი თქმით, ქართველ მაცურებელს წინ სასიამოვნო სიახლეები ელის.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო ზურა?

— ცუდად ვარ-მეთქი, რომ გითხრა, არ იქნება მართალი. რადგან საუბრის შნო და ხალისი მაქვს, კარგად ვყოფილვარ, თუმცა მინდა, უკეთესად ვიყო — მეც და ყველა ადამიანიც... მთელი ჩემი ცხოვრება სიახლეების დაგეგმვაში ვარ. ადამიანი ერთ ადგილზე არ უნდა გაიყინოს. სამწუხაროა, რომ დღეს ჩემს ჟანრში ბევრი ისეთი ადამიანია, ვინც ბავშვობაში რამდენიმე ფოკუსი ისწავლა და მას შემდეგ ვეღარ გაიზარდა; რადგან ილუზიონისტობა მისი პროფესია არ არის — სიახლეებს არ ეძებს. ამას წინათ, ჩემმა პატარა კოლეგამ, რომელიც 14 წლისაა, არაჩვეულებრივი რამ მითხრა: ბატონო ზურა, ვინც 4 ფოკუსს აკეთებს, ყველა ილუზიონისტი კი არ არისო. მართალი იყო! ფოკუსების სწავლა ყველას შეუძლია, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ყველა ილუზიონისტია?! ჭოლამ იგორ კიოს (ცნობილი საბჭოთა ილუზიონისტი. — ავტ.) არაჩვეულებრივი ფოკუსი გააკეთა — ქალი შუაზე გადაჭრა, — მაგრამ ის არასოდეს იტყვის, რომ ილუზიონისტია. ამას წინათ, ჩემმა შვილმა მითხრა, — მამა, ჩვენს ძალს კოსმონავტი რომ დავარქვავთ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კოსმონავტობაზე ექნება პრეტენზია და კოსმოსში გაფრინდებო?... თუ ვინმეს უნდა, ამა თუ იმ პროფესიაში ძალები მოსინჯოს და თავი დაიმკვიდროს, იმ დარგის პროფესიონალმა უნდა აღიაროსო. ჩემს პროფესიაში მინიმუმ 30 წელი მაინც უნდა ემსახურო ამ საქმეს ერთგულად, ილუზიონისტების კონკურსებზე უნდა გაიმარჯვო, რალაც გამოიგონო — სხვანაირად, პროფესიონალის სახელს ვერ დაიმკვიდრებ.

— ხშირად იმეორებენ თქვენს ფოკუსებს?

— აბა, წიგნი რისთვის გამოუშვი?! მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ჩემს ფოკუსებსაც გააკეთებენ და საკუთარსაც გამოიგონებენ. ეს ფაქტი ხომ ჩვენს პროფესიაში პროგრესის წინა პირობაა?!

— როგორც ვიცი, თქვენი შვილიც ილუზიონისტია...





# ილუზიონისტის იუბილე და „ჯადოსნური თბილისი — 2011“

— კი. 10 წლის იყო, როცა ფოკუსებს აკეთებდა, დღეს 22 წლი-საა. ხშირად მეუბნება, — მამა, მე კი არა, მინდა, ჩემი ჟანრი იყოს პოპულარული, მაყურებელს ნიკა ვადაჭკორია კი არა, ის აინტერესებს, რა ფოკუსს გადაკეთებ; არ მინდა, შენ წარმადგინო და ყველამ იფიქროს, ეს ზურა ვადაჭკორიას შვილია და მამამისი „ქაჩავს“, მინდა იცოდნენ, რომ მეც ნიჭიერი ვარო. ამიტომაც ერიდება ტელევიზიით ხშირად გამოსვლას.

— **სულ მალე 50 წლის ხდები. ამ თარიღისთვის საგანგებოდ ემზადებით?**

— 24 თებერვალს 50 წლის ვხვდები. 32 წელია, რაც პროფესიონალურ სცენაზე ვდგავარ. ყოველთვის ვცდილობ, რაღაც ახალი გადაკეთო. მინდა, რომ ჩვენს ჟანრში მხოლოდ პროფესიონალები მონაწილეობდნენ. ხშირად დავკვირვებივარ, ტელევიზიასა თუ ამა თუ იმ სტრუქტურას — ცდილობენ, არაპროფესიონალი და უნიჭო ადამიანები ცნობილებად აქციონ, რადგან ასეთი ადამიანები ადვილი სამართავები არიან. პროფესიონალი და ნიჭიერი კი ყველაფერს თავის ჭკუაზე აკეთებს. 200 ათას ევროდ შეფასებული რეკვიზიტები მაქვს. ვცდილობ, იმ ილუზიონისტებს, რომლებიც ამ საქმეს პროფესიონალურად ეუფლებიან, დავეხმარო და რეკვიზიტები ვათხოვო, რადგან თუ არ იარსებებს ილუზიონიზმის ჟანრი, მაშინ არც ერთი ილუზიონისტის სახელი არ ემახსოვრებათ. ასეა ყველა სფეროში — პოეზია იქნება ეს თუ ხელოვნების სხვა დარგი... შეიძლება, მკრეხელობაა, მაგრამ ნოდარ დუმბაძე წერდა: ღმერთს სჭირდება, რომ ადამიანები არსებობდნენ, ვილაცამ ხომ უნდა ახსენოს იგიო?!. უკვე ვიღებ სხვადასხვა ქვეყნიდან დაბადების დღის მილოცვებს. სიმართლე გითხრათ, საგანგებოდ არ ვემზადები. ალბათ მეგობრები რომელიმე თეატრში პატარა კონცერტის ჩატარებას შემომთავაზებენ. ჩემთან ერთად მხოლოდ ის ადამიანები იქნებიან, რომელთაც ჩემი შემოქმედება უყვართ.

— **მასსოვს, თქვენ მოსწავლეებიც გყავდათ...**

— მე მოსწავლეები ყოველთვის მყავს, ერთ-ერთი მათგანი — ვაკო კორახაშვილი — კანა-

დაში მუშაობს. წელან სიახლეებზე მკითხეთ და მინდა გითხრათ, რომ თბილისში ოქტომბერში ილუზიონისტთა საერთაშორისო კონკურსი გაიმართება. სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ილუზიონისტები ჩამოვლენ, დიღერები თავიანთ ფოკუსებს გაყიდვან, ილუზიონისტები ფოკუსებს გაცვლიან. იქნება სამდღიანი კონკურსი, რომელიც გალა-კონცერტით დასრულდება. მას საქართველოს მთავრობა არ დააფინანსებს. კონკურსი თვითდაფინანსებით შეიძლება ჩატარდეს: თითოეული მონაწილე დადებს გარკვეულ თანხას, რომელიც საჭირო ხარჯებს დაფარავს, ხოლო გრან-პრი სავსაოდე სოლიდურ თანხას მიიღწევს. მე, როგორც „ათას საუკეთესო ილუზიონისტთა კლუბის“ წევრს, ამ კლუბის სხვა ილუზიონისტები თავიანთი კავშირების მეშვეობით მეხმარებიან.

— **მითხარით, სახელმწიფო არ დაგვეხმარება. უარი გითხრეს?**

— სიმართლე გითხრათ, არც მითხოვია დახმარება. არ მინდა, ვინმე ზედმეტად ვალაპარაკო. მერიის მხარდაჭერა გვექნება, მაგრამ — არა ფინანსური. მთელი მსოფლიოს ილუზიონისტები დაგვეხმარებიან, რომ საქართველოში ილუზიონისტთა საერთაშორისო კონკურსი ჩატარდეს.

— **თავად ალბათ ჟიურის წევრებს შორის გიხილავთ, არა?**

— ჯერჯერობით არ ვიცი. მე ორგანიზატორი ვარ და თუ ჟიურისში დასაჯდომად არ მეცლება, ამ საქმისთვის ღირსეულ ადამიანს შე-

ვარჩევ. კონკურსს „ჯადოსნური თბილისი 2011“ ერქმევა.

— **ალბათ ბევრი ახალი ნომერი**



იმდენი ახალი ნომერი მაქვს დაგროვილი, რომ საზოგადოებისთვის წარდგენას ვერ ვასწრებ

— **იც გაქვთ, რომელიც საზოგადოებას ჯერ არ უნახავს, არა?**

— იმდენი ახალი ნომერი მაქვს დაგროვილი, რომ საზოგადოებისთვის წარდგენას ვერ ვასწრებ. 3 წელია, ახალთახალი რეკვიზიტები მიდევს სახლში და ჯერაც ვერ გამომიყენებია, რადგან ახლახან 6 წლის წინ შეძენილი რეკვიზიტით გადაკეთე ნომერი...

— **როგორც პროფესიონალი ილუზიონისტი, რას ინატრებდით?**

— მინდა, მთელ დედამიწაზე ყველა ადამიანი კარგად იყოს. კიდევ ვინატრებდი, ჩემი ძალიან ცოცხალი იყოს. ამ ზაფხულს მომიკვდა კოკერსპანიელი და მას მერე ძალიან ცუდად ვართ. მინდა, კიდევ მოვიყვანო სახლში მისნაირი ძალი, მაგრამ მეშინია, ვაი და, ისეთივე საყვარელი არ აღმოჩნდეს...

— **წინასწარ გილოცავთ დაბადების დღეს და იმედია, მალე გეყოლებათ საყვარელი ძალი.**

— დიდი მადლობა...

www.palitra.ge  
PALITRA TV-RADIO  
ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!





# ვისი კომპლიმენტები სიამოვნებს ლელა მებურიშვილს

## ერთი ყორღანაშვილი

მსახიობი ლელა მებურიშვილი სერიალის — „დეტექტივები“ მეორე სეზონის გადაღებებში აქტიურად ჩაება. პარალელურად, მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებშიც თამაშობს. დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო, გარეგნობაზე ზრუნვისათვის იმდენი დრო არ რჩება, რამდენიც თავად სურს, თუმცა ალბათ დამეთანხმებით, რომ ყოველთვის მომზებულად გამოიყურება...

— ლელა, შენ მიერ შესრულებული როლები შენს ყოველდღიურ იმიჯზე გავლენას თუ ახდენს?

— ჩემ მიერ შესრულებული როლები ჯერჯერობით ჩემს იმიჯზე არ ასახულა: ისევ ისე ვცხოვრობ, როგორც ამა თუ იმ როლის შესრულებამდე. მაგალითად, სერიალში „დეტექტივები“ ჩემს პერსონაჟს ჩემგან აბსოლუტურად განსხვავებული იმიჯი აქვს. სწორედ ამიტომ, ამ როლის შესრულება ძალიან მიხაროდა. როცა დღე და ღამე გადაღება მაქვს და 2 საათით მაინც ჩემი გმირისთვის დამახასიათებელ სამოსს ვიხდი, ქუსლიანი ფეხსაცმლიდანაც „ჩამ-

ოვდივარ“, თავისუფლად ვგრძნობ თავს, რადგან „მე“ ვხდები. ასე რომ, ჩემს გმირს ვერ „მივეჯაჭვები“, პირიქით — ერთი სული მაქვს, როდის ვიქნები „მე“ და ჩემს ტანსაცმელს ჩავიცვამ.

— რეალურად, ლელა მებურიშვილი როგორია? შენ მიერ ტელესერიალებში განსახიერებული გმირების ხასიათის რა შტრიხები ემთხვევა შენს ხასიათს?

— რაღაცით სამივე პერსონაჟი — ლეკა, თიკა, ეკა — მგავს, მაგრამ იმავდროულად, ჩემგან სამივე რადიკალურად განსხვავდება. როლის შესრულებისას, პერსონაჟი გარეგნულად, ხასიათით „მერგება“. ჩემი მეგობრები ხშირად აღნიშნავენ, რომ ცხოვრებაში „სხვადასხვანაირი“ ვარ. ალბათ მსახიობობაც სწორედ ამიტომ გადავწყვიტე. მინდოდა, ვყოფილიყავი: სერიოზულიც, საქმიანიც, მხიარულიც, მოცეკვავეც, ექიმიც... მსახიობობა იმის საშუალებას გაძლევს, რომ სხვადასხვანაირი იყო. ხასიათიც განსხვავებული მაქვს: ზოგჯერ სერიოზული ვარ (შეიძლება, ვილაციისთვის — მკაცრიც), ზოგჯერ კი — უბრალო, მხიარული, „გიჟი“...

— გარეგნობაზე ზრუნვას ბევრ დროს უთმობ?

— ბევრს — ვერა. გარეგნობაზე ზრუნვას საათებს სიამოვნებით დაუთმობდი: აუზზე ვივლიდი, სხეულის გამაჯანსაღებელ პროცედურებს ჩავიტარებდი... სამწუხაროდ, ამის დრო თითქმის არასოდეს მაქვს. ამიტომ ხარისხიან კოსმეტიკას ვხმარობ — ეს ერთადერთია, რითაც საკუთარ თავს ვანებივრებ. მაკიაჟის გაკეთება ხშირად მიწევს, რასაც ზოგჯერ 15 წუთი სჭირდება.

— ენ. შოპინგზე სიარული თითქმის ყველა ქალს სიამოვნებს...

— ახლა სწორედ შოპინგიდან მოვდივარ — სერიალისთვის ტანსაცმლის საყიდლად გახლდით წასული. ამჟამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს პროცესი მეზიზღება (იკინის)! საერთოდ, შოპინგს წინასწარ არ ვგეგმავ, რადგან ძალიან ვიღლები. მაგალითად, როცა მეგობრებთან ერთად კაფეში მივდივარ, შეიძლება, ტანსაცმლის მაღაზიაშიც შევიარო და შემთხვევით, თუ რამე მომეწონა, ვი-



ციდო. დღეს სერიალში ჩემი გმირისთვის სამოსის შესარჩევად, საათნახევრის განმავლობაში დავბობდი და სიმართლე გითხრათ, ვერაფერი შევარჩიეთ. ალბათ ამ საკითხში პრეტენზიული ვარ.

— შენი პერსონაჟისათვის სამოსის შერჩევასა შენს გემოვნებას ენდობიან?

— შოპინგზე მე და მხატვარი ვიყავით, თუმცა ჩემს გემოვნებასაც ენდობიან, რაც ძალიან მახარებს. მხატვარი ხშირად მეუბნება: ლელა, შენ რაც მოგეწონება, ის შეარჩიეო, მაგრამ მირჩევნია, თავად შეარჩიოს, ჩემს გმირს როგორი სამოსი მოუხდება.

— სამოსთან დაკავშირებით, შენი და შენი პერსონაჟის გემოვნება ერთმანეთს ემთხვევა?

— არა, რა თქმა უნდა. ჩემი გმირის ჩაცმულობა საშინლად არ მომწონს (იკინის). მის მსგავსად არასოდეს ჩავიცვამდი.

— აბა, როგორი სამოსი მოგწონს?

— ყოველდღიურად, დაბალქუსლიან ფეხსაცმელს, კედებს ვიცვამ. როგორც ხედავთ, ახლა მოკლე კაბა, ჟაკეტი და დაბალძირიანი ფეხსაცმელი მაქვია. შეიძლება, აბსოლუტურად განსხვავებულ სამოსშიც კომფორტულად ვიგრძნო თავი. გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ.

— სამკაულებთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— იყო პერიოდი, როცა დიდი საყურე მეკეთა ხოლმე. ახლა შინიდან გასვლა საყურის გარეშეც შემიძლია.



„დეტექტივები“ ჩემს პერსონაჟს ჩემგან აბსოლუტურად განსხვავებული იმიჯი აქვს





საათები ძალიან მიყვარს — ბევრ-  
ნაირი მაქვს. სხვათა შორის, წინათ  
ბეჭდებს საერთოდ არ ვხმარობდი,  
ახლა კი სულ მიყვითა — ძალიან  
მომწონს! მძივები მომწონდა, მაგრამ  
ახლა აღარ ვიკეთებ.

— ბოლო დროს, მოკლე ვარცხ-  
ნილობა გქონდა. გრძელ თმასთან  
შედეგად არ გაგიჭირდა?

— შარშან თმა შევიჭერი. მანამდე  
ყოველთვის გრძელი თმა მქონდა.  
გრძელი თმა მომწონს, მაგრამ სერი-  
ალის გადაღება რომ იწყებოდა, გვინ-  
დოდა, ჩემი იმიჯი შეცვლილიყო და  
თიკასგან განსხვავებული ტიპაჟი შე-  
ქმნილიყო. მგონი, ჩემს ახალ გმირს  
მოკლე თმა მოუხდა. გრძელი თმა  
შესაჭრელად დამენანა. ამასთან დაკავ-  
შირებით, ვწუნუნებდი კიდეც. ახლა  
ვცდილობ, თმა გავიზარდო. რადგან  
ჩემი თმის ბუნებრივი ფერი მიყვარს,  
ამიტომ თმას არ ვიღებავ.

— შენი მომზებულობის საიდ-  
უმლო რა არის?

— ვფიქრობ, რომ ქალის სილ-  
ამაზეს თვალი, ტუჩი, ცხვირი და  
ფეხები არ განსაზღვრავს. შეიძლება,  
გოგონას ისეთი შინაგანი ხიბლი

ჰქონდეს, რომ მასთან ყოფნა ყველას  
უხაროდეს, თვალს ვერ სწყევტდნენ.  
ჩემი აზრით, ჯერ ქალის ბუნებაა  
მნიშვნელოვანი, შემდეგ — გარეგ-  
ნობა.

— ყველაზე სასიამოვნო კო-  
მპლიმენტი რა მიგიღია?

— სხვათა შორის, ქალისგან მიღე-  
ბული კომპლიმენტი ძალიან მსიამ-  
ოვნებს, რადგან ის ყოველთვის უფრო  
კრიტიკულად გიყურებს და ყოველთვის  
ხედებს, რომ კომპლიმენტს შენი მოხ-  
იბელის მიზნით არ გეუბნება. ამიტ-  
ომ, ქალებისგან მიღებული კომპლი-  
მენტების მჯერა (იციანის). ყველაზე  
სასიამოვნოს რაც შეეხება, 17 წლის  
ვიყავი, როცა ჩემმა მეგობარმა  
მითხრა, შენ რომ გიყურებ, ცხოვრე-  
ბა მიხარიაო. მას შემდეგ, მსგავსი  
კომპლიმენტები ხშირად მიმიღია,  
მაგრამ პირველი კარგად დამამახს-  
ოვრდა...

— შენს გარეგნობაში ყველაზე  
მეტად რა მოგწონს?

— არ ვიცი, რადგან ხანდახან  
სარკეში რომ ვიყურები, საკუთარი  
თავი საშინლად არ მომწონს. ალბათ  
მსგავსი რამ ზოგჯერ ყველას ემართე-

ბა... ღმერთის მაღლიერი ვარ იმი-  
სთვის, როგორც ვარ. არ ვწუნუნებ  
და საკუთარ გარეგნობაში არაფრის  
შეცვლა არ მინდა, რადგან რაღაცა  
რომ შევიცვალო, შეიძლება, ისეთი  
აღარ ვიყო, როგორც ვარ...



ქალისგან  
მიღებული  
კომპლიმენტი  
ძალიან  
სიამოვნებს,  
რადგან ის  
ყოველთვის  
უფრო  
კრიტიკულად  
გიყურებს

2011 №2

ლოცუნიანის  
განსახიზრებელი ხიბლი

90 თებერვალი გასულა...  
რეპრესირებული ჩანაწერები

ნამდვილი პოეზია

მნიშვნელოვანი თარგმანები

დოკუმენტური პიესა

განსახიზრების სკამზე - მარჯანიშვილი

ლოცუნიანი  
№2

კლასიკა - 90  
90 თებერვალი გასულა.  
1937 წელი  
რეპრესირებულ პიესებზე  
ტელეკომი - ერთგული  
მთავრობის მფრინი

პიესა

- ზემო კამბოჯი
- აინი დონეშოვი
- ზილი კამბოჯი
- აინი მკინი

პიესა

- აინი ნაგეშოვი
- აინი ლილი

დოკუმენტი

- ვილი დონეშოვი
- ზემო კამბოჯი
- აინი მკინი
- აინი ნაგეშოვი

დოკუმენტი

- ზემო კამბოჯი
- ლილიანოვი პიესები
- აინი მკინი

1921 წლის 21 თებერვალი

ვილი ნაგეშოვი

ვილი ნაგეშოვი





# ზოგჯერ უხასიათო ქართველი „ადრიანო ჩელენტანო“ და უკრაინელი „ორნელა მუტი“

ამ ცოტა ხნის წინ, „მესტიაში გამართულ კონცერტზე“ („კომედი შოუში“) ჩელე, იგივე ალექსანდრე ქურდობაძე ადრიანო ჩელენტანოს პაროდის შესრულებისას ვიხილეთ. ყოფილი „კავვენშიკისთვის“ ეს ამბულა უჩვეულო ნამდვილად არ გახლდათ. მართალია, მეგობრების გზას არ გაჰყვა, მაგრამ ჩელე დღეს მაინც იუმორის სფეროში მუშაობს...

## ეთორ ყორღანაშვილი

— „რუსთავი 2“-ის იუმორისტული გადაცემების მემონტაჟე ვარ — „ეთამაშე ვარსკვლავს“ და „ვანოს შოუს“ პროდის ვამონტაჟებ. გარდა ამისა, წინათ „ქლაბ შოუში“ დიჯეი გახლდით, შოუს მუსიკალურად ვაფორმებდი. ჩელენტანოს მაინცდამაინც არ ვგავარ, მაგრამ წარბს რომ ავწევ (იცინის)... რომ გითხრათ, ბავშვობიდან მის პაროდის ვაკეთებ-მეთქი, მოგატყუებთ. უნივერსიტეტში საერთაშორისო ბიზნესის სპეციალობის (ტურიზმის და კურორტების ბიზნესი) ფაკულტეტზე ჩავაბარე. იქ სწავლის პერიოდში „კავვენში“ ვთამაშობდი. გუნდი რომ ჩამოვყალიბებთ, მეგობრებმა მითხრეს, ჩელენტანოს ჰგავხარო. ჩელენტანოს პაროდია პირველად უნივერსიტეტში გავაკეთე. სიმართლე გითხრათ, შემდეგ არც მიცდია. უბრალოდ, „კავვენში“ თამაში მიყვარდა. თსუ-ის ე.წ. „მეორე თაობას“ (მე, ნიკა გრიგოლია, ირაკლი ცქიტიშვილი, ვანო ჯავახიშვილი, მიშა ანდლუღაძე, გიორგი კუპულაძე და ძველი თსუ-დან — ალექო მალხაზიშვილი, გიგა ნასარიძე) რუსეთში წასვლაც მოგვიხდა, სადაც რალაც ჯილდოც ავიღეთ.

### ჩელენტანოს ნომეროც შეასრულეთ?

— მხოლოდ ერთხელ. შემდეგ ჩვეულებრივ, „კავვენში“ ვთამაშობდი. მერე ტექნიკურმა მხარემ — ვიდეოგადაღებაში, ხმამ, მონტაჟმა დამაინტერესა. გადაწყვიტე, რომ ეს საქმე მესწავლა. როცა ადამიანს იუმორი გესმის, მონტაჟზე მუშაობა ადვილია. თავდაპირველად, „იმედში“ ვმუშაობდი, შემდეგ — „მზეზე“, მერე — „პირველ არხზე“, ახლა კი — „რუსთავი 2“-ზე. თავიდანვე „რუსთავი 2“-ზე მუშაობა

რომ დამეწყო, არა მგონია, ამდენი ტელევიზია მომეწყო, მაგრამ რადგან „იმედით“ დავიწყე (იცინის)...

### ახალი პროფესიის ათვისება გაგიჭირდა?

— მონტაჟის სწავლების კურსებზე ნამდვილად არ მივლია. ვუყურებდი, სხვები მასალებს როგორ ამონტაჟებდნენ და იმის მიხედვით ვისწავლე. მონტაჟი ინდივიდუალურია: ვისაც როგორი ხედვა აქვს, საქმეს იმის მიხედვით აკეთებს. მე ჩემი ხედვა მაქვს... მონტაჟი მანქანის ტარებასავით იოლად ვისწავლე. კარგად „ვატარებ“, თუ — ცუდად, ამას მე ვერ განვსჯი.

### საინტერესო საკმა?

— რა თქმა უნდა. ყოველთვის რალაც ახალს აღმოაჩენ. ეს საქმე გიზიდავს, რომ კარგად გააკეთო, რალაც შენებურად შეცვალო... კადრების „ამოჭრა-ჩასმის“ პასუხისმგებლობა მხოლოდ

მე არ მაკისრია: გადაცემებს პროდიუსერი და რეჟისორი ჰყავს. ფაქტობრივად, ერთობლივად ვმუშაობთ.

### თქვენი მეგობრების („კავვენშიკების“) გზას რატომ არ გაჰყვით?



როცა ადამიანს იუმორი გესმის, მონტაჟზე მუშაობა ადვილია

— ფაქტობრივად, მეც „იუმორში ვარ“. უბრალოდ, სცენაზე მეტად, მონტაჟმა გამიტაცა.

### საზოგადოების წინაშე გამოჩენის ნოსტალგია არ გეუფლებათ სოლემ?

— მხოლოდ — „კავვენის“. ტელევიზორცეში გამოჩენის სურვილი არ მაქვს.

— მიუხედავად ამისა, ამ ცოტა ხნის წინ, „კომედი შოუში“ გიხილეთ, სადაც ჩელენტანოს პაროდისას ასრულებდით...

— დიას, საქართველოში ორნელა მუტი გახლდათ ჩამოსული. მითხრა, ადრიანო, მესტიამი მივედივარ და მინდა, იქ შენ იმღეროო.

— ორნელა მუტის შარმს ვერ გაუძელით და მის წინადადებას დათანხმდით?

— ჰო. ოდნავ დაბერე-



ჩელენტანოს ცხოვრების წესის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, არც — თემოს, წელის გარშემოწერილობა





ბულია, მაგრამ... ტელევიზორზე, ჩელენ-ტანოს პაროდია სხვა გადაცემებშიც გამიკეთებია, „ვანოს შოუს“ და „კომედი შოუს“ 2010 წლის კონცერტზეც გავედი. მაშინ ოდნავ უფრო გამხდარი ვიყავი... ბოლოს, ასლახან „კომედი შოუსში“ გამოვიჩნდი. მიშა ანდულაძემ მითხრა, ჩელენტანოს პაროდია უნდა გააკეთო. დავთანხმდი, მაგრამ... ძალიან გამიჭირდა (იციინის)!

მუსიკალური ნიჭი გაქვთ?

— სიმღერა მიშამ ჩაწერა. სიმართლე გითხრათ, ჩემი მუსიკალური ნიჭი 10-ბალიანი სისტემით რომ შევაფასოთ, 2-3 ბალს ავიღებ. სიმღერის დასამუშავებლად გარკვეული დრო მჭირდება. ბევრი დრო არ გვქონდა. ამიტომ სიმღერა ვოკალური მონაცემების მქონე ადამიანმა — მიხეილ ანდულაძემ ჩაწერა. აღფრთოვანებული დავრჩი: ვერ ვიჯერებდი, რომ მიშა ანდულაძის ნამღერზე ჩელენტანოს პაროდიას ვაკეთებდი!

ჩელენტანოს ცხოვრების წესით თუ ჰგავხართ? მაგალითად, ვებეტარიანული ხომ არ ხართ?

— არა, ხორციანი კერძები ძალიან მიყვარს! ჩელენტანოს ცხოვრების წესის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, არც — თქმოს, წელის გარშემოწერილობა. უბრალოდ, მის სიმღერებს მოსწავლეობის პერიოდში ვუსმენდი. ისეთი შემოქმედება აქვს, რომ ადამიანს კარგ განწყობილებაზე აყენებს.

ჩელენტანოს შემოქმედებიდან, გამორჩეულად საყვარელი სიმღერა ან ფილმი თუ გაქვთ?

— სიმღერა — „პერ სემპრე“ ძალიან მომწონს, ფილმიდან — „ჭირვეულის მორჯულება“. ეს ფილმი პირველად რომ ვნახე, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

თქვენი საყვარელი ფილმის მთავარ გმირს ჰგავხართ?

— უშუალოდ რომ არის?

და ქალებს ახლოსაც არ იკარებს...

— სიმართლე გითხრათ, ხანდახან ცოტა უხასიათო, უხეში ვარ ხოლმე.

ქალებთან ურთიერთობისას როგორი ხართ?

— ნაზი და სათნო (იციინის).

გულის სწორი გყავთ?

— გარკვეული ურთიერთობები მქონია, მაგრამ სიყვარულის გრძნობა არასოდეს მწვევია.

იტალიაში თუ ყოფილხართ?

— არა, მაგრამ წასვლა მინდა. ეს ქვეყანა ძალიან მომწონს — ოპერა, საჭმელი... ფეხბურთის იტალიურ გუნდს ვგულშემოტივრობ. კალაბრიის კარგი გუნდი არ ჰყავთ, თორემ სპორტის ამ სახეობაშიც იტალიას ვუგულშემოტივრობდი.

ჩელენტანოს გარდა, კიდევ რომელიმე მომღერლის პაროდიას გაკეთება შეგიძლიათ?

— არც მიფიქრია, რომ რომელიმე მომღერლის პაროდია გამეკეთებინა, თუმცა ფილარმონიაში, „ვანოს შოუს“ და „კომედი შოუს“ კონცერტზე ფრედი მერკურის, ჯორჯ მაიკლის, პავაროტის როლშიც გახლდით. ყველაზე მეტად, ხალხს ჩელენტანოს პაროდია დაამახსოვრდა.

დიდი ხანია, რაც ჩელეს სახელით მოგმართავენ?

— 18 წლის ასაკიდან ყველა ჩელეს მეძახის. ვინმემ ალგო რომ დამიძახოს, რეაქცია არც მექნება... ერთხელ მე და ჩემი მეგობარი უკრაინაში გახ-

ლდით. ჩემმა მეგობარმა ერთი გოგონა გაიცნო, რომელიც ორნელა მუტის ძალიან ჰგავდა. დამირეკა — ბიჭო, დროზე მოდი, ორნელა მუტი უნდა გაგაცნო. ვიფიქრე, რომ სუმრობდა და უარი ვუთხარი. — მალე მოდი, გოგონას შევპირდი, რომ ჩელენტანოს გავაცნობ; ჩელენტანოს პაროდიას თუ არ გაუკეთებ, ისე დისკოთეკაზე არ მომყვებაო, მითხრა. მივედი, გოგონა გავიცანი, ბევრი ვიმხიარულეთ...

მერე, უკრაინელი „ორნელა მუტის“ და ქართველი „ჩელენტანოს“ ამბავი როგორ დასრულდა?

— ამას „გზის“ შემდეგ ნომერში იხილავთ (იციინის)..

**ბიზნუსი** წიგნის მატარებელი ქართული მთავარი საპროფესიონალი

წაიკითხე ჩივილები უწყობსად იქნები!

**ახალი მატარებელი უახვეუ სტაფორში!** აღმამუშავებლის №87





# ცხოვრება

## „რომ არა დავაზა, ბაბუაჩაი ფეხბურთელი ვერ გახდებოდა“

ერთხელ ბორის პაიჭაძეს უთქვამს, — ბედი სად წაგიყვანს, არავინ იცის, მაგრამ თუ ზუსტად იქ მიგიყვანა, სადაც საკუთარ თავს წარმოიდგენ, შემდგარი პიროვნება ხარო. მისი წარმატებული საფეხბურთო კარიერაც ალბათ გარკვეულწილად, ბედმა განსაზღვრა. ბორის პაიჭაძის სახელი ყველა თაობის ადამიანისთვისაა ცნობილი, თუმცა შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ მისი ერთ-ერთი შვილიშვილი სწორედ მის სახელს ატარებს, ოღონდ, ფეხბურთთან არანაირი კავშირი არა აქვს და სრულიად განსხვავებულ სფეროში საქმიანობს. 3 თებერვალს დიდი ფეხბურთელის დაბადებიდან 96 წელი გავიდა, ამიტომ ბორის პაიჭაძე-უმცროსს ვესტუმრე და ბაბუაზე ვესაუბრე.



### თამაშა დაღუპული

— ბატონო ბორის, სანამ ბორის პაიჭაძე-უმცროსზე ვისაუბრებთ, თქვენ შესახებ გვიამბეთ. რას საქმიანობთ?

— პროფესიით არქიტექტორი ვარ, პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე და მას შემდეგ, ჩემს სფეროში ვმუშაობ — არქიტექტურა, მშენებლობა, ინტერიერის დიზაინი და ა.შ. 2009 წელს ერთ-ერთ კონკურსში გავიმარჯვე და არქიტექტორების შესახებ გამოცემულ წიგნში მეც „დაფიქსირ-

დი“. მსგავს კონკურსებში სხვა დროსაც მიმიღია მონაწილეობა. ჩემი ყველაზე მასშტაბური პროექტი, მაგალითად — კუს ტბის ასახვევში მდებარე საცხოვრებელი კომპლექსი — „პარკ-პლენსი“ იყო, მისი ინტერიერი მოგანწყევ.

— რატომ გადაწყვიტეთ, არქიტექტორ-დიზაინერი გამხდარიყავით?

— ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი პროფესიაა. ადამიანები ვერც კი ვხვდებით, როგორ ზემოქმედებს ჩვენზე არქიტექტურა: ის იმ გარემოს აურას ქმნის, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. ინტერიერიც და ექსტერიერიც თუ კარგია, დადებითად მოქმედებს განწყობილებაზე, თუ ცუდია — უარყოფითად. არქიტექტურის მიმართ აგდებული დამოკიდებულება ყველა ეპოქაში ცუდ კვალს ტოვებს.

— ფეხბურთს თქვენც სომ არ თამაშობდით ბავშვობაში?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ბაბუას არც ერთი შთამომავალი არ ვთამაშობთ ფეხბურთს, მხოლოდ ბიძაჩემი თამაშობდა ცოტა ხანს. ბაბუას ძმა — ავთო პაიჭაძე ასევე კარგი ფეხბურთელი იყო, სპორტის ამ სახეობას მისი ვაჟი — სოსო პაიჭაძეც მისდევდა ერთხანს, მაგრამ მანაც არ მოინდომა, ბოლომდე გაჰყოლოდა. ძნელია, დიდი პასუხისმგებლობა; იშვიათად ხდება, რომელიმე მაღალი დონის პროფესიონალის შთამომავალმა იმავე სფეროში ისევე კარგად გააგრძელოს საქმიანობა. ყრმობაში ხელბურთს ვთამაშობდი.

— მამათქვენი რა პროფესიის იყო?

— მამასაც ტექნიკური უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, ავიამშენებლობის განხრით და საავიაციო ქარხანაში მუშაობდა. მამა 1967 წელს დაიღუპა — 26 წლის ასაკში ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა, რამაც ჩემს ბებია-ბაბუას მძიმე დაღი დაასვა... ცდილობდნენ, ბავშვებს არაფერი გვეგრძნო, მაგრამ როცა ოჯახში ამხელა ტრაგედიაა, მაინც შესამჩნევია. მე მამინ 7 წლის ვიყავი, ჩემი და კი — ორის.

— რამდენი ხართ ბორის პაიჭაძის შვილიშვილები?

— ექვსნი ვართ. მე და ჩემი და, რომელიც ექიმი-კარდიოლოგია, ჩემი ბიძაშვილი — ირაკლი პაიჭაძე და მისი დები, რომლებიც, სხვათა შორის, მრავალშვილიანი დედები არიან: ერთს 8 შვილი ჰყავს, მეორეს — 4.

— თქვენს ოჯახზეც მოგიყვით...

— მე ერთი გოგონა მყავს, 16 წლის ელენე. ჯერჯერობით სკოლის მოსწავლეა. ამბობს, რომ კომაროვის სახელობის სკოლაში უნდა გადასვლა და ვნახოთ, ჩვენ მხოლოდ ხელს შეუწყობთ მის სურვილებს. გარდა ამისა, მოდელია, „ნატალიში“ დადიოდა, ახლა კი — თავი ჩხეიძის სტუდიაშია. „მის თბილისსა“ და „მის თინეიჯერის“ კონკურსებზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ასევე მყავს შვილიშვილი — ანაო ქველიძე, მეუღლის პირველი ქორწინებიდან და შვილიშვილი — ლუკა.

ბაბუას არც ერთი შთამომავალი არ ვთამაშობთ ფეხბურთს







— ძალიან კარგი. ფეხბურთის თემას დავეზურუნდეთ...

— სამწუხაროა, რომ სპორტის ეს არაჩვეულებრივი სახეობა ჩვენში დღეს ცუდ დღეშია. ბაბუაჩემი ქართული ფეხბურთის მესამე თაობა იყო, იქიდან დაიწყო ამ სპორტის აღზევება, პოპულარიზაცია და ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გასვლა. მაშინდელი ჩანაწერები ძალიან მწირია, სულ 2-3 კადრია შემორჩენილი, მაშინ ეს საქმე ცუდ დონეზე იყო. 60-70-იანი წლების ზოგიერთი თამაშის კადრებიც კი არ არის შემორჩენილი, არამცთუ უფრო გვიანდელი.

— გვიამბო, რა იცით ბაბუს ახალგაზრდობის შესახებ, როგორ აღმოჩნდა ის საფეხბურთო სამყაროში?

— ბაბუა სოფელ ონჭიკეთში 1915 წელს დაიბადა, მაგრამ შემდეგ, ძალიან მალე, ოჯახი ფოთში გადავიდა საცხოვრებლად და ის ადგილი, სადაც მათი სახლი იყო, ახლა ზღვას „აქვს წაღებული“ — დაახლოებით 200-300 მეტრი... ბაბუაჩემის და — ჩიტო პაიჭაძე, რომელიც ახლახან გარდაიცვალა, ფოთში ცხოვრობდა და ადრე პლაჟთან ჩვენი ნასახლარი მანახავა...

— როდის გადმოვიდნენ ფოთიდან თბილისში?

— როგორც კი ბაბუამ ინტენსიურად დაიწყო ფეხბურთის თამაში და „დინამოში“ გადმოვიდა.

— როგორც ვიცი, მანამდე გეშე მუშაობდა და მეზღვაურობა ჰქონდა გადამწყვეტილი...

— დიას, ფეხბურთელი, ასე ვთქვათ, შემთხვევით გახდა. საზღვაო სკოლა დაამთავრა და გეშე მთავარი მექანიკოსის თანამემწენდ მუშაობდა. ისეთი გზით მიდიოდა, ალბათ მერე კაპიტანიც გახდებოდა. „პირველი მერცხალი“ ალბათ ყველას აქვს ნანახი და ჩათვალეთ, რომ დოკუმენტური ფილმი — ყველაფერი მართლა ასე ხდებოდა. ბაბუაჩემმა გადამღებ ჯგუფს მთელი სცენარი „ყირაზე დაუყენა“, თორემ ფილმი სულ სხვანაირი იქნებოდა. თითოეული ნიუანსი, რაც ხდება, მართლაც, რეალური იყო — ცოლიანები უცოლოებს ეთამაშებოდნენ, გურულები — მეგრელებს და ა.შ. ფოთელები ბათუმელებს უნდა შეხვედროდნენ და საქართველოს პირველობაზე ეთამაშათ. ფილმში, დოდო აბაშიძეს რომ სთხოვენ — წამოდი, ვაგებთ და დაგვხმარეო, — დაახლოებით ასეთი ვარიანტი იყო. ბაბუა თავისი გემით უკვე ზღვაში იყო გასული, ინგლისში მიემგზავრებოდა. მისმა მე-

გობრებმა დეპემა შეთხზეს და იუნგამ გეშე მიურბენინა: დედაშენი მძიმედა და სასწრაფოდ უნდა ჩამოხვიდეთ. ბაბუაც, რა თქმა უნდა, წამოვიდა. სახლში რომ მივიდა, ოჯახის წევრებს შეეშინდათ, ასე მოულოდნელად რატომ დაბრუნდაო?... მერე კი ყველაფერში გაერკვნენ. ჩემი დიდი ბაბუა — სოლომონი, ბორისის მეგობრებს „დაემუქრა“, სახლში აღარ შემოგიშვებთო (იკინის). მოკლედ, ასე მოატყუეს. ის თამაში ითამაშეს, ბათუმელებს მოუგეს და ამის შემდეგ გუნდში დარჩა. ეს დეპემა რომ არ ყოფილიყო, ბაბუა ინგლისში დარჩებოდა და ფეხბურთელი ვერ გახდებოდა. ჯერ მაშინდელი ტექნიკური უნივერსიტეტის საფეხბურთო გუნდში თამაშობდა და მერე მოხვდა „დინამოში“.

— როგორ დაახასიათებდით ბაბუს? როგორი დარჩა ის თქვენს მესხიერებაში?

— ძალიან თავმდაბალი, უპრეტენზიო, თბილი და მოსიყვარულე ადამიანი. მისნაირი პიროვნება იშვიათად მინახავს და მგონია, რომ სწორედ ამის გამო უყვარდა ის საზოგადოებას გამორჩეულად. ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, ხალხის სიყვარული და ყურადღება არ მოჰკლებია. როცა იგებენ, რომ მისი შვილიშვილი ვარ, თანაც — მოსახელე, ჩემდამი დიდ სიყვარულს იჩენენ. ეს მომენტი ყოველ ნაბიჯზე მხვდება, ნებისმიერი თაობის ადამიანისგან.

— რას ნიშნავს იყო ბორის პაიჭაძის სენია, შთამომავალი?

— იცით, ეს ორგვარი შეგრძნებაა: ერთი მხრივ — არაჩვეულებრივი და



ელენე, ანანო და ლუკა


სასიამოვნო, მეორე მხრივ — სერიოზული პასუხისმგებლობაა. მგონია, რომ ყველა ცნობილი პიროვნების შთამომავალი ამას ფიქრობს. თითოეული ნაბიჯი აუცილებლად მის სახელთან ასოცირდება და რთულია.

— როგორი იყო შვილიშვილებთან ურთიერთობისას? ფეხბურთს თუ გათამაშებდათ ბავშვებს?

— თამაშს არასდროს გვასწავლიდა. თუ ნიჭი გაქვს, ეს თავისთავად ხდება. ფეხბურთი კი მიყვარს, მაგრამ თამაშის სურვილი არ მქონია. ხელბურთი უფრო მიზიდავდა. ბავშვები ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით — პატარა ფეხბურთელები. სამართლიანი კაცი იყო. სიმართლის თქმას არ ერიდებოდა... ჩემს მესხიერებაში ასეთი დარჩა. ბაბუასთან ერთად სადმე წასვლა დიდი დღესასწაული იყო — საქართველო იქნებოდა, რუსეთი თუ უკრაინა. ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული.

— ბაბუასთან ერთად ცხოვრობდით?

— 7 წლამდე. სახლი ახლანდელ დავით აღმაშენებლის პროსპექტზე გვექონდა, სადაც ახლა ოთარ მეღვინეთუხუცესი და გურანდა გაბუნია ცხოვრობენ. გარდა ამისა, დედასა და მამას მარჯანიშვილის ქუჩაზე ჰქონდათ პატარა ბინა, მერე კი საბურთალოს ქუჩაზე გადავიდით და ფაქტობრივად, იქ გავიზარდე.



ბორის პაიჭაძე შვილიშვილებთან - ბორის და ირაკლი პაიჭაძეებთან ერთად





ერთი გოგონა მყავს, 16 წლის ელენე

— ბაბუას მეგობრები ალბათ ხშირად იკრიბებოდნენ მასთან სახლში. თუ გახსოვთ, როგორ ატარებდნენ დროს?

— დიას, ხშირად მოდიოდნენ მიშა ბერძენიშვილი (რომელიც, სხვათა შორის, სტადიონზე გარდაიცვალა), სერგო შუდრა, მიშა გაგუა, გოგი ანთაძე და სხვები. ისეთი კარგი მთხრობელები იყვნენ, მათი მონაყოლი ცალკე წიგნადაა გამოსაცემი. ფანტასტიკური იუმორის გრძობა ჰქონდათ. სამწუხაროდ, მე არ ვარ ისეთი მჭევრმეტყველი, თუმცა ჩემს მესხიერებაში ეს ყველაფერი კარგადაა ჩარჩენილი... მაშინდელი „დინამოელები“ ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ, ცოლშვილიანად მეგობრობდნენ. რომ შეიკრიბებოდნენ, „საუქტაკლებს“ დგამდნენ, მხატვრული კითხვის საღამოები ჰქონდათ. ყველაფერს იუმორით აკეთებდნენ. მაშინ აშენი ტექნიკა რომ ყოფილიყო, მათი ცხოვრების ეპიზოდები აისახებოდა და დარჩებოდა.

— მაშინდელი „დინამოელების“ შთამომავლები თუ მეგობრობთ ერთმანეთთან?

— სამწუხაროდ, მჭიდრო კონტაქტი არა გვაქვს, მაგრამ ერთმანეთს ვიცნობთ. ვინაიდან ფეხბურთი და არქიტექტურა ერთმანეთისგან შორსაა, რაღაცნაირად მოვწყდი ამ სამყაროს...

— როგორი იყო ბაბუა სიცოცხლის ბოლო თვეებში, როცა უკვე აუად გახდა? ამან მის ხასიათზე სომ არ იმოქმედა?

— არა, სხვათა შორის, ხასიათით არ შეცვლილა, მაგრამ „ჩაიფერფლა“. სიმსივნემ ბოლო 2-3 თვე გაანაწა... ის, რომ მძიმე მდგომარეობაში გაბოროტებულიყო ან

რამე მსგავსი, არ ყოფილა. მანამდე კი ჩვეულებრივად იყო. მახსოვს, როცა რომელიმე საფეხბურთო მატჩს უყურებდა, მასში მთელი ემოციით იყო შეჭრილი, თან კომენტარებს აკეთებდა, ხმამაღლა გულშემატკივრობდა და მათთან ერთად „თამაშობდა“. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი გამორჩეულად მახსოვს... საერთოდ, რამდენადაც მოედანზე „ამკლები“ და ყველაფრის „ამნიოკებელი“ იყო, ცხოვრებაში ძალიან მორიდებული და მოკრძალებული კაცი გახლდათ. რითაც შეეძლო, სხვებსაც ეხმარებოდა, საკუთარი თავისთვის კი არასდროს არაფერს ითხოვდა. „დინამოს“ სტადიონის დირექტორობის დროს, „მოსკვიჩის“ პიკაპი ემსახურებოდა და როცა დაძველდა, იმის თქმის მოერიდა, სხვა მანქანა გამოეყო. შემდეგ, რომელიღაც რაიკომის მდივანმა დაინახა და გადაირია, — ბორია, ამით როგორ უნდა დადიოდესო?! — და ახალი ავტომობილი მისცეს.

— დედაქალაქში საკუთარი ბაბუას სახელობის სტადიონის არსებობა ალბათ თქვენთვის ბევრს ნიშნავს, სომ ასეა?

— დიას, ეს დიდი რამაა. ბაბუა ბედნიერი წავიდა ამ ქვეყნიდან, იმ თვალსაზრისით, რომ მთელი თავისი ერის სიყვარული შეიგრძნო. ეს ბევრს არ ღირსებია. მსოფლიოში ცოტაა სტადიონი, რომელიც ფეხბურთელის სახელობისაა.

— როგორ აღწინავეთ ხოლმე მის დაბადების დღეს — 3 თებერვალს?

— როგორც აღვნიშნე, დიდი ოჯახი გვაქვს, ყველა ვიკრიბებით და უკვე ბევრნი ვართ ხოლმე (იცინის). როცა 100 წლის იუბილე იქნება, ალბათ რაიმე განსაკუთრებულს მოვიფიქრებთ. ■



მეუღლე — მაკა ტატიშვილი და მეილობილი — ანანო

ლალი პაპასკირი

გამოუცდელობამ, გარემოებებმა და ალბათ უღებლობამაც ჩვენს რესპონდენტს ბავშვობაშივე სერიოზული პრობლემები შეუქმნა. 13 წლის ასაკში მოულოდნელად დედა მოუკვდა, 17 წლისა კი ნადრევად გათხოვდა და მას შემდეგ ერთ განსაცდელს მეორე მოსდევს... ახლა 27 წლის არის და ამბობს, რომ ყველაზე დიდი პრობლემის წინაშე დგას — უფროს შვილებზე დედობის უფლებას კარგავს, პატარას სიცოცხლეს კი, სუსტი ჯანმრთელობის გამო, საფრთხე ემუქრება... ყველაფერთან ერთად, ახალგაზრდა ნინო ბალეთიშვილს საცხოვრებელი არა აქვს და ახლობელთან არის შეფარებული, რომელიც, როგორც ნინო ამბობს, სამადლოდ არჩენს... ამ ქალბატონის შესახებ მეგობარმა მიაამბო: ავადმყოფი შვილი ჰყავს, რამდენჯერმე ექიმებმა ისიც კი უთხრეს, — მისი გადარჩენისა და გამოჯანმრთელების იმედი ძალიან მცირეაო, მაგრამ დასუსტებული, სიცოცხლისთვის საშიში რამდენიმე სენით შეპყრობილი გოგონა დღემდე ცოცხალია და დედას ყველა განსაცდელთან ბრძოლის სტიმულს აძლევს... „ის შეცდომები, რომლებიც აქამდე დავეუშვი, ალბათ ბევრისთვის ჭკუის სასწავლებელი იქნება...“ — მითხრა აცრემლებულმა ახალგაზრდა ქალმა და მის მიერ განწვლილი ცხოვრების შესახებ გულახდილად მიაამბო.

— დედა ისე უეცრად გარდამეცვალა, დღემდე ბურანში მეგონა თავი. თრომბი ჰქონდა. გადასხმის დროს ექიმს ვენაში ჰაერი შეეპარა და დედას სისხლი მოენამლა. სულ რაღაც 32 წლის იყო... რომ არ დავობლებულიყავი, ალბათ ასე უპატრონოდ არ დავრჩებოდი... დედის სიკვდილის შემდეგ, მე და ჩემს და-ძმას ბებია გვზრდიდა. 17 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი. ჩემი მეუღლე 16 წლით უფროსი იყო ჩემზე. ცოლად რომ გავყვევი, შემდეგ გავიგე, რომ ჩემამდე ორჯერ ყოფილა დაოჯახებული. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგი მეუღლე და მამა იყო, მაგრამ მუშაობდა და რაც შეეძლო, ოჯახს არ აკლებდა. შეიძლება, არც დამიჯეროთ, მაგრამ სად მუშაობდა, დღემდე არც ვიცი: არ მეუბნებოდა. ისე, ყურმოკვრით ვიცოდი, რომ შეიარაღებულ ძალებში იყო. ოთხი ომი ჰქონდა გამოვლილი, ავღანეთშიც იყო ნამყოფი, აფხაზეთსა და სამხაბლოშიც, თბილისის ომშიც მონაწილეობდა და რამდენჯერმე კონტუზია ჰქონდა გადატანილი... პატარა





# ორი „გაზვილებული“ გაზვი და ბრძოლა 7-თვიანი გოგონას გადასარჩენად

გოგო ვიყავი, ობლად გაზრდილი, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება არ მქონდა, რომ მივმხვდარიყავი, ვინ იყო და რას წარმოადგენდა. ახლობელმა გამაცნო და მეც გულუბრყვილოდ გავყვი... ჩემი თხოვნა იქნება, მის სახელსა და გვარს ნუ მკითხავთ: მისი ცოლი ისედაც მემუქრება და ზედმეტი პრობლემები არ მინდა.

### რატომ გემუქრებათ?

— ჩემს ქმარს შენი არსებობა ნერვებს უშლისო... სანამ იმ ქალს ცოლად მოიყვანდა, მისი არსებობის შესახებ არც კი ვიცოდი, მაგრამ როგორც ჩანს, ამ ხნის განმავლობაში საყვარლები იყვნენ... ერთ დღესაც დაიკარგა და 4 თვე არც გამოჩენილა.

### როგორ დაიკარგა?

— სამსახურში წავიდა და აღარ დაბრუნდა... ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით და როცა ქმრის მშობლებს დავურეკე, არც მათ იცოდნენ შვილის ადგილსამყოფელი... მაშინ უკვე ორი შვილი მყავდა — გოგონები... მერე გაირკვა, რომ მასზე ბევრად უფროსი და შვილიშვილებიანი ქალი მოუყვანია ცოლად, რომელთანაც ხელიც მოაწერა. ვინაიდან ჩვენ ხელი არ გვქონდა მოწერილი, ისე გამოვიდა, რომ მე საყვარელი ვიყავი, ის კი — ცოლი... როგორც გითხარით, თანაცხოვრების წლებში ჩვენი სახლი არ გვქონდა. ბინის ქირას დედამთილი გვიხდიდა და ვეღარც წილი მოვითხოვე და შეიძლება ითქვას, ჰაერში დავრჩით... მას შემდეგ, რაც ჩემი ქმარი სახლიდან წავიდა, დედამთილმა დახმარებაც შეგვიწყვიტა. შვილები პატარები მყავდა და ვერც სამუშაოდ გავედი, პურის ფული მაინც რომ მემოვა... ორ ბავშვთან ერთად, ქუჩაში აღმოვჩნდი. უფროსი დედამთილმა წაიყვანა და მასზე მუშაობა საკუთარ თავზე აიღო... ძალიან ბევრი წვალბის შემდეგ, მალაზიაში დავიწყე მუშაობა. მეორე გოგონა მაშინ ძალიან პატარა იყო — ერთი წლისა და 6 თვის, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა და ისიც თან წავიყვანე. ერთ დღესაც, ჩემმა ახლობელმა, რომელიც „პატრულში“ მუშაობდა, მიჩიო, — ბავშვი სანამ წამოიზრდება, დროებით თავშესაფარში მიიყვანე; ცოტა ფეხს რომ მოიკიდებ

და ბინის დამოუკიდებლად დაქირავებას შეძლებ, ისევ დაიბრუნებო. დავუჯერე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ბავშვთა თავშესაფარში მიყვანის პროცესი პატრულმა ვიდუბე გადაიღო: ასეა საჭიროო, მითხრეს და მერე ტელევიზორში უჩვენეს, სადაც ჩემმა დედამთილმა ნახა და ისტერიკა დაემართა, — ჩემს შვილიშვილის თავშესაფარში რა უნდაო?! თავშესაფარში ასეთი წესია — ერთი თვე კარანტინია გამოცხადებული ანუ ამ ხნის განმავლობაში ბავშვს დედასაც არ ანახებენ, — უნდა გადაეჩვიოსო... ერთი სიტყვით, როგორც კი ეს დრო გავიდა, ჩემი დედამთილი მისულა და ბავშვი გამოუყვანია.

### ეს თქვენი ნებართვის გარეშე შესაძლებელი იყო?

— დამიკავშირდა და მითხრა, — ბავშვის მეურვეობას ვიკისრებ და სახლში წავიყვან, მაგრამ საშუალება გექნება, როცა გინდა, მაშინ ნახოო... მას შემდეგ, 2 წელი ბავშვისთვის თვალი აღარც კი მომიკრავს... იმ მალაზიაში „კაპიკებზე“ ვმუშაობდი და აღებული თანხით, ბინის დაქირავებას კი არა, თავის რჩენას ძლივ ვახერხებდი... ერთხელაც ახლობელმა ქალმა შემომთავაზა, — თურქეთში წაგიყვან სამუშაოდ, საჭირო თანხას მე გადაგიხდი, მაგრამ მუშაობას რომ დაიწყებ, ვალს დამიბრუნებ; ბინის საგირაო ფულსაც მოაგროვებო. დავუჯერე და

წავყვი. ის პერიოდი იყო, როცა ადამიანები პურის ფულისთვის ყველაფერს აკეთებდნენ. ერთი სიტყვით, თურქეთში ჩასვლის შემდეგ ამ ქალმა სიტყვა გატეხა, პასპორტი წამართვა და უფულოდ მუშაობას მაიძულებდა; მეუბნებოდა, — ვალი გამის-



„ის შეცდომები, რომლებიც აქამდე დავეშვი, ალბათ ბევრისთვის ჭკუის სასწავლებელი იქნება“...

ტუმრე და მერე, სადაც გინდა, იქ წადიო... რამდენიმე თვიანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, წამების შემდეგ, ერთი თურქი კაცი გავიცანი, რომელიც ქართულად ლაპარაკობდა: წინაპარი ქართველი ჰყოლია და თავისი ფესვები რომ არ დაეკარგა, ენა უსწავლია... როცა მას ჩემი თავგადასავალი მოვუყვი, მითხრა, — იმ ქალს შენს პასპორტს გამოვართმევ, ვითომ სასტუმროში უნდა წაგიყვანო, და საქართველოში დაბრუნდიო. ცოტა ფული მომცა და იმავე ღამეს გამომაპარა საზღვარზე. ასე დავაღწიე თავი ტრეფიკინგს. მაგრამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ცხოვრება კიდევ უფრო ამეწენა.

### წინო, მითხარით, რომ დამაც გყავთ. მათთან თუ გაქვთ ურთიერთობა ან ხელს თუ გიმართავენ?

— დასთან მაქვს ურთიერთობა, ზოგჯერ მომიკითხავს კიდევ. ძმამ კი დამკარგა. მისიც მესმის, მაგრამ ამ ცხოვრებაში ყველაფერს სწორად ვერ დაგეგმავ; ერთხელ რომ გადაგიბრუნდება ფეხი, მერე სწორი გზით სიარული ძნელია.

### მამა მაინც თუ გყავთ?

— მყავს. ამ რამდენიმე დღის წინ ვნახე. ჩემი გაუხარელი ცხოვრების გამო ტიროდა. მაგრამ ჩემი ძმა მას-





თან ცხოვრობს და მის აზრს ითვალისწინებს. არც მამას ვამტყუნებ.

**— თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ ისევ მუშაობა დაინწყეთ?**

— დიას. სამგორში, ერთ-ერთ სადღეღამისო მაღაზიაში ვმუშაობდი. იქ გავიცანი ჩემი მესამე შვილის მამა. ცოლ-ქმარივით ვცხოვრობდით, მაგრამ ხელი არ გვქონდა მოწერილი, ისე დავრჩი მისგან ფეხმძიმედ. ძალიან გახარებული იყო. ბავშვის აღზრდის პასუხისმგებლობასაც თავის თავზე იღებდა, მაგრამ ერთ დღეს სარეცხს ვფენდი და ფანჯრიდან გადმოვვარდი. ისე ცუდად დავეცი, მეგონა, მუცელი მომეშალა. თურმე შევმცდარვარ. ვუთხარი, ბავშვი დავკარგეთქი. გაგიჟდა, — შენ მე შვილი მომიკალიო!.. ვიფიქრე, სანამ მშობიარობა მომიწევს, იქნებ დუბაში წავიდე და ერთი-ორი „კაპივი“ ვიმოვო-მეთქი. ვიზაც ჩამომივიდა და ვიფიქრე, აქ მუშაობაში არაფერი ხეირია, თან ვიზასაც ხომ არ გავაფუჭებ-მეთქი?! არც ჩემი ქმრის თხოვნას დავუგდე ყური და წავედი.

**— წინააღმდეგი იყო?**

— დიას, მეუბნებოდა, — იქ წასვლას, აქ დღიურ ლუკმაზე მუშაობა გერჩივოსო, მაგრამ არ დავუჯერე და წავედი... აღარ ვიცი, ეს უკვე მერამდენე შეცდომა იყო ჩემს ცხოვრებაში. იქ ისეთ დროს ჩავედი, როცა საშინლად ცხელა და მუშაობის სეზონი არ იყო. თან ფეხმძიმედ ვიყავი და იმ საშინელ სიცხეში მუშაობაც ვერ შევძელი. ერთი სიტყვით, მალე დავბრუნდი. მას კი ჩემს არყოფნაში ცოლი მოუყვანია... მერე, როცა უკვე ბავშვი შემეძინა, ერთხელ დამირეკა, — თქვენი ნახვა მინდაო. მაშინ ჩემი დის სოფელში ვიყავი წასული და ვერ შევძელი. შემდეგ რამდენჯერმე ცვადაც დაკავშირება, მაგრამ ნომერი, საიდანაც დამირეკა, გამორთული ჰქონდა. ჩვენმა საერთო ნაცნობებმა მირჩიეს, — მასთან დაკავშირებას ნუ ცდილობ, ოჯახი არ დაუნგრეოო...

**— ვინ არის ის ქალი, ვისთანაც ახლა ცხოვრობთ?**

— ახლობელი, რომელსაც წლებია, ვიცნობ. ის ძალიან ბევრჯერ ამომიდა მხარში. ფეხმძიმობის დროსაც ის მივილიდა... შვილი საპატრიარქოს სამშობიაროში გავაჩინე. 280 ლარი სამების ეკლესიის მღვდელმა გადამიხადა; 600 ლარი გადასახდელი მაქვს — საგარანტიო წერილით გამომიშვეს...

**— ბავშვს დაბადებიდანვე ჰქონდა პრობლემები?**

— დიას. ბარბარე მ-თვიანი გაჩნდა, თან ციანობით დაიბადა, ცხვირპირი გალურჯებული ჰქონდა, ცალი

ფილტვიც არ გაეხსნა. რამდენიმე ხანს აპარატზეც იყო შეერთებული; ყვანისას სახელობის ბავშვთა კლინიკაში, რეანიმაციაში მენვინა... კარგა ხნის



**ბარბარე მ-თვიანი გაჩნდა, თან ციანობით დაიბადა**

წვალეების შემდეგ, როგორღაც „გამოდვრა“, მაგრამ ბოლო დროს ღებინება დაეწყო; ისედაც ერთი ციციქნა და არაფერი ერგება. წონაში არ იმატებს. 3,800 კგ დაიბადა, ახლა უკვე 6 თვის არის და 2,700 კილოა... აღარც ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო: ანთების შედეგად, ორივე ფილტვი დაეხურო და ყელში ტრაქეოსტომა (სასუნთქი აპარატი) უნდა ჩაედგათ, მაგრამ არ დასჭირდა... იცით, ზოგჯერ, როცა მის ავადმყოფობის ისტორიას ვეცნობი, ისეთ დიაგნოზებს ვკითხულობ, აქამდე ყურიც რომ არ მომიკრავს... პატარ-პატარა პრობლემებს არც კი ვაქცევ ყურადღებას. ყველაზე ცუდი ის არის, რომ წონაში არ იმატებს. ამას წინათ ნევროპათოლოგმაც მითხრა, — გონებრივადაც არ არის განვითარებული, 2-3 თვის ბავშვის ტვინი აქვსო. არადა, რეაქციები აქვს: იცინის, თვალს მაყოლებს, ჩემი ხმა ესმის... უბრალოდ, ძალიან უმწეოა. ეს დღეები გაცივებული იყო და ხმაც დაკარგა... არ მინდა, ხავს ვებლაუჭებოდე, ვხედავ, რომ ძალიან სუსტია, მაგრამ იმდენი რამე გადაიტანა, ზოგი ამის ადგილზე ცოცხალიც არ იქნებოდა. ოღონდ ეს მყავდეს კარგად და ერთი წუთითაც არ მოვიცილებ გვერდიდან, ყველაფერს გავაკეთებ, შავ მუშადაც წავალ, ოღონდ ჩემს შვილს სიცოცხლე და ჯანმრთელობა შევუნარჩუნო.

**— ნინო, მკურნალობის ხარჯები ვინ აგინაზღაურათ?**

— დაზღვევა მქონდა, მაგრამ

რალაც ვალები მაინც მაქვს. კიდევ უამრავი რამე აქვს გამოსაკვლევი ჩემს გოგონას... დიდი მადლობელი ვარ ჟვანიას კლინიკის სამედიცინო პერსონალის: როგორც შეეძლოთ, ხელს მიმართავდნენ, განსაკუთრებით, ჩემი ბავშვის პირადი ექიმში, რომელიც ახლაც ყოველდღე რეკავს და ბარბარეს ამბავს კითხულობს... ასევე ექთანი, რომელიც ჩემს გოგონას შვილობილს ეძახის... ამდენმა გაჭირვებამ ადამიანები სხვა მხრიდან გამაცნო: თუ აქამდე ყველას ვენდობოდი და მათი მიაპიტუარა მჯეროდა, ჩემი შეცდომა ორმაგად მიბრუნდებოდა და მეგონა, ამქვეყნად კეთილშობილი ადამიანები აღარც კი არსებობდნენ; მაგრამ ახლა მიგზავდი, რომ ასეც არ ყოფილა საქმე... ბევრი რამის გაკეთება გარემოებამ მაიძულა და თუ ოდესმე მელირსა, რომ ჩემს შვილებს სრულფასოვანი დედობა გავუწიო, მათ სხვანაირად ვუპატრონებ, ადამიანების ამოცნობას ვასწავლი.

**— თქვენი უფროსი გოგონები ახლა რამდენი წლის არიან?**

— უფროსი 7-ის არის, მეორე — 6-ის. ჩემთან ურთიერთობის სურვილი აქვთ, მაგრამ ბებია ეუბნება, — დედაშენმა უპატრონო ბავშვთა სახლში დაგტოვაო. ეს ბავშვზე უარყოფითად მოქმედებს. ერთხელ მითხრა კიდევ, — შენ რომ კარგი დედა ყოფილიყავი, იმ სახლში არ მიმიყვანდიო... როცა გაიზრდება, კი დაველაპარაკებ, მაგრამ ახლა როგორ ავუხსნა ჩემი მაშინდელი მდგომარეობა?!

**— რამდენი ხანია, გოგონები არ გინახავთ?**

— ბოლოს ზაფხულში ვნახე; მერე ბარბარე საავადმყოფოში დავანვინე და ვეღარ ვტოვებდი... 27 წლის ვარ და თავს იმდენი რამე გადამხდა, არ მეგონა, თუ რამე დამაჩოქებდა, მაგრამ ამ პატარას ავადმყოფობამ ბოლო მომიღო.

**— ახლა ვინ გეხმარებათ? თუნდაც ბავშვისთვის ყოველდღიურ საკვებს ვინ განვდიო?**

— ის ქალი, ვისთანაც ვცხოვრობ. აქამდე თავშესაფრიდან მქმნარებოდნენ...

**— თვითონ მას ოჯახს არ აქვს?**

— არა... წვალობს, თან რესტორანში მუშაობას და ცდილობს, ჩვენც მოგვიმართოს ხელი. მისი წყალობაა, რომ ამ ცივ ზამთარში მე და ჩემი შვილი ქუჩაში არ ვართ და თავშესაფარი გვაქვს.





# ქართული „მარგალიტისკენა“ პარიზში

არსებობენ ადამიანები, რომელთა ქველმოქმედება იმდენად ბუნებრივია, რომ არც იგრძნობა... ქართველი ჰანისტი — თეა მარიაშიძე 7 წელია, საფრანგეთში ცხოვრობს. მან ასოციაცია — „ქართული მარგალიტები“ შექმნა. ამ ასოციაციის მეშვეობით, საფრანგეთში ქართული მუსიკა ხშირად უღერს... თეა მარიაშიძე საფრანგეთიდან გვესაუბრა.

## მანანა გაბრიჭიძე

— თეა, გვიამბეთ ასოციაციზე.  
— ასოციაცია „ქართული მარგალიტები“ 2007 წლის დეკემბერში შეიქმნა. მისი მიზანია — ქართული კულტურით გატაცებული მუსიკოსების, როგორც ქართველების, ასევე უცხოელების შემოკრება, საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ხელოვანების წარმოჩენა, კონცერტების, მასტერკლასების და სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება... ასოციაციის სახელით გაიმართა ბევრი კონცერტი, როგორც ქართული კლასიკური მუსიკის, ასევე შერეული პროგრამით, რომელიც წარმოდგენილია ძირითადად, დუეტების სახით: ხმა (გარი საფარიანი, — ტენორი, კონტრტენორი) და ფორტეპიანო (თეა მარიაშიძე); ვიოლინო (იგორ რამოსი) და ფორტეპიანო (თეა მარიაშიძე); ფორტეპიანო ოთხ ხელში (პიანისტ ნანა ჩიკაშუსთან ერთად). კონცერტები ტარდება პარიზის სხვადასხვა დარბაზში, მათ შორის — უცხოური კულტურის ცენტრებში; ასევე პარიზის რეგიონშიც. ასოციაციის სახელით ვატარებ ფორტეპიანოს გაკვეთილებს და წელიწადში ორჯერ — მოსწავლეების კონცერტს.

— თუ არ ვცდები, საქველმოქმედო ღონისძიებებიც ჩატარებ...

— ასოციაციის წარმომადგენლებმა 20 ნოემბერს გაემართეთ საქველმოქმედო კონცერტი საქართველოს ბავშვთა სახლების დასახმარებლად. კონცერტში ვმონაწილეობდით: მე, ანა ჩიკაშუა და ანსამბლი „განძი“, რომელიც როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მომღერლებისგან შედგება. ისინი ქართულ სიმღერებს არაჩვეულებრივად ასრულებენ. 11 დეკემბერს ჩატარდა ჩემი მოსწავლეების კონცერტი. 20 მარტს მივიღებთ მონაწილეობას ფესტივალში საქველმოქმედო კონცერტით, რომელიც ჰაიტის

ერთ-ერთი ბავშვთა სახლის დასახმარებლად გაიმართება. ამ კონცერტშიც შერეული პროგრამაა, სადაც პირველ განყოფილებას საფორტეპიანო მუსიკა დაიკავენ (კვლავ ნანა ჩიკაშუსა და ჩემი შესრულებით), ხოლო მეორე განყოფილებას — კამერული მუსიკა, ტენონ გარი საფარიანთან და ვიოლონჩლისტ ბორის ბარონთან ერთად. ამ კონცერტებს საქველმოქმედო შინაარსთან ერთად, სხვა დატვირთვაც აქვს: ქართული კლასიკური მუსიკის რაც შეიძლება, ხშირად და ფართოდ წარდგენა მსმენელის წინაშე.

— თქვენი ძალისხმევით, ქართული მუსიკის ჩანაწერებიც შეიქმნა...



უკვე 8 წელია, რაც საფრანგეთში ვიმყოფები

— დიას, ეს ჩანაწერები 2006 წელს შეიქმნა. ისინი 4 ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებებს მოიცავს: ცინცაძის 2 პრელუდიას, შავერზაშვილის კონცერტს, თაქთაქიშვილის სონატას (ორიგინალი ფლეიტისათვის), აზარაშვილის „პოემას ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის“... შემდეგ ამ ჩანაწერის წარსადგენად, კონცერტები ჩავატარეთ. კიდევ ბევრი იდებოდა მაქვს ქართულ მუსიკასთან დაკავშირებით და იმედია, ამ იდეების განხორციელებას შევძლებ.

— რამდენი წელია, საფრანგეთში ცხოვრობთ და მოღვაწეობთ?

— უკვე 8 წელია, რაც საფრანგეთში ვიმყოფები. თავიდან პარიზში, ამჟამად კი ქალაქ მარლი ლე რუაში

ვცხოვრობ... ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას, სტუდენტობის პერიოდში გავეცანი მესიანის შემოქმედებას, რომელმაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მესიანის მუსიკას თუ ერთხელ შეეხე, მას ვერასოდეს შეეღვევი. მახსოვს, როცა პირველად გავარჩიე მისი ერთ-ერთი პიესა — „ოცი მზერიდან“, უდიდესმა ინტერესმა მომიცვა და ძალიან მომინდა, სხვა პიესაც მესწავლა; იმ სხვას კიდევ სხვა მოჰყვა და ბოლოს გადავწყვიტე, მთლიანად შემესწავლა ეს „ოცი მზერა“. მაშინ სტუდენტი ვიყავი და მახსოვს, დიდი მსარდაჭერა გამოიჩინა ჩემმა პედაგოგმა — ქალბატონმა რუსიკო ხოჯავამ. ძალიან საინტერესო იყო ამ ციკლზე მუშაობა, მასთან დაკავშირებული კონცერტები... უნდა გავისხენო აგრეთვე თანამშრომლობა ბატონ მიშა კილასონიქსთან, რაც დაუვიწყარია ჩემთვის. ეს ჩანაწერი მესიანის მეუღლემ — ქალბატონმა ივონ ლორიომ მოისმინა (მაშინ ჯერ კიდევ საქართველოში ვცხოვრობდი) და ერთ დღეს ძალიან თბილი და საინტერესო წერილი გამომიგზავნა, მისი მეუღლის ფოტოსთან და რამდენიმე ბუკლეტთან ერთად, რომლებიც შეიცავდა ინფორმაციას მესიანის მუსიკის გარშემო მოწყობილი კონცერტების, ფესტივალებისა თუ კონკურსების შესახებ. ეს წერილი ძალზე ძვირფასია ჩემთვის, მით უმეტეს, რომ კომპლემენტებთან ერთად, საინტერესო „მასტერკლასს“ წარმოადგენს. ამ ყველაფერმა და ფრანგული ენის მიმზიდველობამ მიბიძგა საფრანგეთში გამგზავრებისკენ.

დიდ მადლობას ვუხდის დედას, რომელიც ჩემი დიდი გულშემატკივარი იყო, არის და ყოველთვის გვერდით მედგა სხვადასხვა იდეის განხორციელებისას.

— საქართველოში მიღებული განათლებით საფრანგეთში ადვილად გაიკვლიეთ გზა?

— ვიდრე გავემგზავრებოდი, თბილისის კონსერვატორია უკვე დამთავრებული მქონდა. იქ სწავლის წლები ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან შევხვდი იმავით პედაგოგს — ქალბატონ რუსუდან ხოჯავას. არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა მასთან სახლში პირველად მივედი და გავიცანი. იმავე წუთიდან ვთქვი, რომ ის პედაგოგი

გაგრძელება იხ. გვ. 89





# როცა ქალაუფლება ქალის ხელშია

სამწუხაროა, მაგრამ ხშირად, მამაკაცები ქალებზე ძალადობენ, ცოლებს შეურაცხყოფას საზოგადოებაში ყოფნის დროსაც კი აყენებენ და ჰგონიან, რომ მანდილოსნების დაჩაგრვა ყველა მამაკაცის ვალია; ფიქრობენ, რომ „ნამდვილ კაცს“ ცოლი შიშით, კრძალვით უნდა ექცეოდეს, ძალღივით ერთგული უნდა იყოს; რაც მთავარია, არცთუ ისე იშვიათად მიზანსაც აღწევენ: ქალები დამცირებას მორჩილად იტანენ, რადგანაც ამა თუ იმ მიზეზის გამო, ოჯახის დანგრევა არ სურთ. მაგრამ არსებობენ ისეთი ქალებიც, რომლებიც ძლიერი სქესის წარმომადგენლებს არ ემორჩილებიან, უფრო მეტიც — მამაკაცებზე თავად ძალადობენ; თუ რა ფორმით, ამაზე ჩემი რესპონდენტების გულახდილი ინტერვიუდან შეიტყობთ.

## „დაბრავებული“ ქმრები და „სადისბი“ ცოლები

ლიკა ქავია

ნა, 19 წლის:

„მინდა, ჩემი მეზობლების შესახებ გაიბოთ. მათ ოჯახში ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებს. ცოლს ქმარი ისე ჰყავს „დაჩორებულ“, რომ მისი საცოდაობით ვინც ვიცი. ეს კაცი თან მუშაობს და ნორმალური შემოსავალიც აქვს, თან — ვალდებულია, შინ მისულმა სადილი მოამზადოს, სარეცხი გარეცხოს და შვილებს გაკვეთილების მომზადებაშიც მიეხმაროს; ცოლი კი ამასობაში, სილამაზის სალონებს სტუმრობს, შოპინგზე დადის და შინ დატვირთული ბრუნდება. მართალია, ხშირად ქმრისთვისაც ყიდულობს სამოსს, სიურპრიზებსაც უმზადებს, მაგრამ საამისოდ ფულს, ცხადია, ქმარი აძლევს. მათზე ბევრი ჭორი დადის: ზოგი ამბობს, ის ქალი ქმარს ჯადოს უკეთებს და ასე იმორჩილებს, სხვები კი დევი, — კაცს რაღაც ისეთი საიდუმლო აქვს, რომლის დაფარვისთვისაც ცოლს დიდ პატივს სცემს, ყველაფრის უფლებას აძლევსო. ცხადია, მათი ცხოვრების დეტალები ყოველთვის მაინტერესებდა და ვცდილობდი, სიმართლე გამეგო, მაგრამ... ვინაიდან საკუთარი ძალებით ვერაფერს გავხდი, ამას წინათ უბანში ყველაზე ჭორიკანა ქალბატონს მივაკითხე და ვთხოვე, ამ ოჯახის შესახებ რაიმე მოეყოლა. აი, რა მითხრა თამრო ბიცოლა:

— ზაზამ ნაირა რომ შეირთო, მაშინ შენხელა — სულ რაღაც 21 წლის ვიყავი. მართალია, ზაზას ბინა ჰქონდა, მაგრამ სხვა არაფერი გააჩნდა, სახლში მხოლოდ ერთი „კრაოტი“ ედგა, კიდევ — 2 სკამი და მაგიდა. მიუხედავად ამისა, ფულიანი მამიკოს შვილი ცოლად მაინც გაჰყვა. მაშინ ზაზასი ყველა ბიჭს შურდა და ამბობდნენ, — ნეტავ, ამ საცოდავმა ბიჭმა ასეთ ქალს თვალი როგორ დაუბრმავა? რამ გადარია, ცოლად რომ მიჰყვება? უპატრონო



მანც იყოს, თავშესაფრის გამო რომ მისთხოვებოდაო; ზოგიც ოხრავდა, — რა შესძლება სიყვარულს! ნეტავ, ასე ძალიან მეც შევუყვარდებოდე ვინმესო. მოკლედ, შეიქმნა ოჯახი და აივსო ზაზას სახლი ცოლის მზითვით. მალე სიძეეცაც სიმამრმა მუშაობა დააწყებინა, კაცად აქცია და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ზაზას უბედურება. ნაირამ, რომელიც ამასობაში დაფხმძიმდა, ქმარი შინამოსამსახურედ აქცია, კაცს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა, სამსახურიდან მოსულს საოჯახო საქმეების კეთებას ავალებდა, თავად კი ფეხმძიმობას იმიზეზებდა და თეფშსაც არ რეცხავდა... ბავშვი რომ გაჩნდა, ახლა ჩვილის მოვლა-პატრონობაც ქმარს დაავალა, თავად კი მხოლოდ ძუძუს ანოვებდა. რაღაც პერიოდის შემდეგ, ზაზას ცოლის ავი ზნე ყელში ამოუვიდა და სცადა, მეორე ნახევრისთვის თავისი ადგილი მიეჩინა: შინ მთვრალი მივიდა, ყველაფრის გაკეთებაზე უარი თქვა, ცოლს საქმლის მომზადება უბრძანა; მაგრამ როცა უთხრეს, — კეთილი ინებე და კერძი თავად მოამზადეო, — ადგა და ჭურჭელი დაამტვრია, ცოლს ლანძღვა-გინება დაუწყო, რაც

ცხადია, უკვე თავს გასულმა მისმა ცოლმა ვერ აიტანა, მშობლებს დაურეკა და მოახსენა, თუ როგორი უზნეო ქმარი ჰყავდა. ზაზას სიდ-ედრ-სიმამრი სასწრაფოდ მოცვივდა და სიძეს ისეთი დღე დაანიეს, რომ მას შემდეგ ის ნასვამი ალარავის უნახავს. არ ვიცი, ამ კაცს რით აშინებენ, ასე როგორ ჰყავთ გამოჭერილი, მაგრამ მგონია, რომ ჯადო გაუკეთეს... თან, ხალხი იმასაც ამბობს, ბოლო დროს ნაირამ საყვარელი გაიჩინაო — ზაზას თანამშრომელი, ზეზვა, რომელიც მართლაც უნაკლო გარეგნობის კაცია. ეს ზაზასაც სცოდნია, მაგრამ თავს ხუჭავს, რადგან ოჯახის დანგრევა არ უნდა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჯადო „იჭერს“ და მეორეც — ნაირას მშობლების ეშინიაო... ისე, ცოდვა გამხელილი ჯობს და ზუსტად ვიცი, რომ ამ კაცს ვირის ტვინი აქვს ნაჭამი, მაგრამ ეს საიდუმლო არავის უთხრა...

— იქნებ, ეს ყველაფერი ჭორია?

— არსად გაამხილო, ამას რომ გეუბნები, მაგრამ ის ქალი, ვინც ნაირას ქმრის მორჯულებაში ეხმარება, ჩემი ბიძაშვილია. თუ გინდა, მასთან შენც მიგიყვან; თუ საყვარელი ადამიანის ფოტოსურათს მიუტან, ის კაცი მთელი ცხოვრება შენი ყმა იქნება, — მითხრა ჩურჩულით თამრომ.

— თუ ასეთი მაგარი ვინმეა, შენ რატომ ვერავინ მოგათვინიერებინა?

— ჯერ ისეთი კაცი არ დაბადებულა, რომლის გამოც მსგავს რამეს ვიკადრებ: ეს დიდი ცოდვაა, მე კი მორწმუნე ვარ, — აი, ეს სიტყვები მითხრა ქალმა, რომელსაც უბანში გაულანძღავი არავინ დაუტოვებია. ამით იმის თქმა მინდა, რომ არ მჯერა, ნაირამ ზაზა მართლა რომ მოაჯადოვა, მაგრამ ჩემი მეზობლების ამბავი მართლა მაკვირვებს.

იმ ყველაფერთან ერთად, რაც უკვე გაიამბეთ, კიდევ იცით, რა მოცეცხლს როგორ შეუძლია თითისტოლა, ტან-მორჩილ ქალს ახმახი კაცის ცემა?! ბევრჯერ მინახავს, როგორ იწევს ნაირა ქმრის საცემრად. ჰო, როცა საქეიფოდ მიდიან, ცოლი სვამს, კაცს





კი ვ ჭიქა ღვინოზე მეტის დაღვევის უფლება არა აქვს; ოჯახი ჰყავს მის-ახედი და რა ქნას?! ნეტავ, სინამდვილეში ასე რამ გამოამტერა?! არა, რა, ასეთი კაცების არ მესმის და ნამდვილად არ მბინდა, ზახანაირი „ჩმორი“ ქმარი მყავდეს“.

**პარლია, 54 წლის:**

„ყოველთვის კაცური კაცის სახელი მქონდა, მაგრამ მას მერე, რაც ცოლი ტილივით თავზე ამახობდა, მეგობრების დაცინვის ობიექტად ვიქცეი. მართალია, უკვე ცოლს გამოვრეზული ვარ, მაგრამ მათი ყბიდან მაინც ვერ ამოვვდი... იზო რომ გავიცანი, 18 წლის გახლდით, ის კი 16-ის იყო. სიფრიფანა, ნაზმა არსებამ დანახვისთანავე მომხიბლა და მას მერე თითქმის ყოველდღე, სატრფოს სანახავად მეზობელ სოფელში დავდიოდი. ბოლოს იმდენი ვქენი, რომ თავი შევყვარე, მაგრამ მისი მშობლები გვარს, ოჯახს მიწუნებდნენ და ამბობდნენ, — ჩვენი ქალიშვილი სულ მცირე, თავადური გვარის მქონეს უნდა მივათხოვოთ, ეს გლახაკი კი გლახაკად არ ივარგებს და ჩვენს შვილს ქმრობას როგორ გაუწევს?! მათზე გაბრაზებულმა, უინი გამოვიჩინე, ჯერ უნივერსიტეტში ჩავაბარე, მერე კი იზო მოვიტაცე და ცოლად დავისვი. მართალია, მისმა მშობლებმა მილიციაც მომიხიეს და მთელი სანათესავოც, მაგრამ ქალი არ დავთმე, თან — არც იზომ მოინდომა ჩემგან წასვლა და სიდედრ-სიმამრიც ბედს შეეგუა. თუმცა დამემუქრნენ: თუ ჩვენს ქალიშვილს დედოფალივით არ აცხოვრებ, რაიმეს მოაკლებ, იცოდე, საქმე ჩვენთან გექნებაო. მათი მუქარა ერთ ყურში შევუშვი და მეორიდან გამოვუშვი, მაგრამ იზო ისე მიყვარდა, რომ მას მართლაც, ხელისაგულზე ვატარებდი; მთელი დღე ვიშინებოდი, ოღონდ მას არ მოჰყვებოდა რამე. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, ვმუშაობდი კიდეც. მაშინ ცხოვრება არ ჭირდა და საკუთარ ოჯახს თავად ვარჩენდი. ვინაიდან ცოლი მალევე არ დაფხმძიმდა, მასაც მივეცი საშუალება, ესწავლა. ნიჭიერ გოგოს სამედიცინოზე ჩაბარება არ გასჭირვებია. ჰოდა, თავშიც აუვარდა: აქაოდა, მომავალი ექიმი ვარ, ყველამ პატივი მეცითო, ჩემს მშობლებს უკვე ზემოდან დაჰყურებდა, მეც ქედმაღლურად მექცეოდა, მაგრამ ამას მაშინ ვერც ვამჩნევდი, უფრო სწორად — ამ დასამინებელ თვალებს ვხუჭავდი, არ მინდოდა, მასში რაიმე ისეთი დამენახა, რაც გულს ამიცრუებდა. სამწუხაროდ, მალე მომიხდა თვალების ფართოდ

გახელა... იზომ იმდენი ქნა, რომ სოფელში სახლ-კარი გაგვაციდევინა და საცხოვრებლად თბილისში გადმოვბარგდით. მართალია, ჩემს მშობლებს საკუთარი შრომით შექმნილი ქონების გაყიდვა ეწინააღმდეგებოდათ, მაგრამ დედისერთა ბიჭის სურვილს წინ ვერ აღუდგენენ...

მალე იზოსა და დედაჩემს შორის ურთიერთობა საშინლად დაიძაბა. დედა მირჩევდა: ცოლს ხელი კარგად მოჰკიდე, თორემ იცოდე, ეგ ჩიტი გაგიფრინდებაო. დედაზე ვბრაზობდი, — რა ეჭვიანი გახდა-მეთქი და იზოს სრულ თავისუფლებას ვაძლევდი. როცა რძალ-დედამთილის ჩხუბი ყელში ამოვივდა, გადავწყვიტე, ცოლთან ერთად, საცხოვრებლად ცალკე გადავსულიყავი და ასეც მოვიქეცი. ბინა ვიქირავეთ. თავიდან იზო საოჯახო საქმეებს ხალისით აკეთებდა, მაგრამ მერე სიზარმაცის სენი შეეყარა და შინ დაბრუნებულს ხშირად ქვეშაგებიც კი აულაგებელი მხვდებოდა. მართალია, მასზე ვბრაზობდი, მაგრამ საყვედურის თქმას ვერ ვებედადი — ის ხომ ჩემი ქალღმერთი იყო და მეგონა, ნიგნების გადამიკიდეს, საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად დრო არ რჩებოდა. ჰოდა, შინ დაბრუნებული, არა მარტო სახლს ვალაგებდი, არამედ კერძებსაც ვამზადებდი, ის კი უკვე გაშლილ სუფრას მართლაც დედოფალივით მიუჯდებოდა ხოლმე და თან, ნახელავს მიწუნებდა. თურმე მაშინ რა იდიოტი ვიყავი!..

ერთ დღეს, შინ დაბრუნებულს ასეთი შინაარსის წერილი დამხვდა: ჩემზე ნუ ინერვიულებ, კურსელებთან ერთად საქეიფოდ მივდივარ და დამაგვიანდებაო. გავბრაზდი, მაგრამ ცხადია, ღამის 2 საათზე შინ მობრძანებული ცოლისთვის შედმეტი არაფერი მითქვამს. უფრო მეტიც — ყურმოჭრილი მონასავით მივეგებე და, — ნასვამი ხომ არ ხარ, რაიმე ხომ არ გესიამოვნება-მეთქი? — ვკითხე. — შენს მყავე სახეს თუ არ დამანახვებ, ბედნიერი ვიქნებიო. ვიფიქრე, ალბათ, ზომამე მეტი დალია-მეთქი და პასუხი არ დაუბრუნე, ტანთ ვახანდე და ლოგინი გავუშალე. მეორე დღეს მხოლოდ ის ვკითხე, — როგორი დრო ატარე-მეთქი? მიპასუხა: ისეთი, როგორსაც დედოფლები იმსახურებენ, მაგრამ შენ დროს ტარების რა გაგეგებო?! იმ დღის შემდეგ ხშირ-ხშირად მიდიოდა „საქეიფოდ“. თავიდან მაგიდაზე წერილს მაინც მიტოვებდა, მერე კი ამის ღირსადაც აღარ მხდოდა, მასხრად მიგდებდა. როცა მოთმინების ფიალა ამევსო და ვუთხარი, — იქნებ,

რაიმედ ჩამაგდო და ის მაინც გამაგებინო ხოლმე, ვისთან ერთად და სად მიდიხარ-მეთქი, — მიპასუხა: ახლა გამოფხიზლდი? ჩემო კარგო, უკვე გვიანია, რქები გადგას და ვერ ხედავო. იმდენად სულელი ვიყავი, რომ ვერ მივხვდი, რა რქებზე იყო ლაპარაკი და ვთხოვე, — იქნებ, ანი მაინც მოხვიდე აზრზე: როცა სადმე წახვალ, გამაფრთხილე-მეთქი! დამცინავად შემომხედა, მერე ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და გააბოლა. ხელეში ვეცი, — რას აკეთებ-მეთქი?! — იმას, რასაც ახლა ბევრი გოგო აკეთებს, მაგრამ შენ დროს ჩამორჩი, საკუთარი ცხვირის იქით ველარაფერს ხედავო. — ეგ შენი ჯანმრთელობისთვის მავნეა, ბოლოს და ბოლოს, მომავალი დედა ხარ-მეთქი. — ექიმს რას მასწავლი, რა ჩემთვის სასარგებლო და რა — არა? შენ ჯობია, სამსახურში წახვიდე და შინ დაბრუნებულმა სიგარეტი წამომიღო... სახლიდან გიჟივით გავვარდი. ვხვდებოდი, რომ ჩემს თავს რალაც ცუდი ხდებოდა, მაგრამ — რა, ამაზე ფიქრიც კი არ მინდოდა. მეგობრები მეუბნებოდნენ: ცოლს მიხედე, მისი საქციელი არ მოგწონსო და ამის გამო ყველა ნაღდი ძმაკაცი დაგვარგე... იმ დღეს 25 წელი მისრულდებოდა. ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს, ჩემთვის დაბადების დღე გადაეხადათ და სიდედრ-სიმამრიც კი დამიპატიყეს. იზო მზრუნველი ცოლივით, თავს მეველებოდა, აღარ იცოდა, სტუმრების თანდასწრებით ჩემთვის პატივი როგორ ეცა, მაგრამ მას მერე, რაც ჩემი ბავშვობის დროინდელი დაქალები შეუჩნდნენ, — ცოტა ჩვენთან ერთად დალიეო, — და მათი წინადადება მიიღო, „გააფრინა“: სამი ჭიქა ღვინო საკემარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გულახდილობის ხასიათზე დამდგარიყო და ჩემზე თქვა, რომ „ჩმორი“ ვარ, საოჯახო საქმეებსაც ვაკეთებ, ტანსაცმელსაც ვურეცხავ, რომ წლებია, საკუთარი საცვლებიც კი არ გაურეცხავს და ა.შ. სტუმრებიდან ზოგიერთს შევეცოდე, ზოგამაც დამცინავად შემომხედა; სიდედრი კმაყოფილი ჩანდა, სიმამრი კი — ოდნავ დარცხვენილი, თუმცა შვილის „ვაჟკაცობით“ კმაყოფილი იყო. იზო ოთახიდან გავიყვანე, — რაგებს ამბობ? სირცხვილია, თავს ნუ მჭრი-მეთქი! — უკვე მოჭრილი გაქვს, მაგრამ გგონია, რომ მაინც მხრებზე გადგასო... იმ დღეს მაგრად ვიჩხუბეთ და ის სახლიდან წავიდა. სიდედრმა სახალხოდ გამომლანძღა: მესმოდა, ჩემს შვილს რომ ეჩხუბებოდი და ახლავე მითხარი, ასეთი რა უქე-





ნი, ყველანი რომ მიგვატოვო?! მას დედაჩემი ეძგერა, — თქვენი დასაჩაგრნი შვილი არ გამიზრდიაო, — მერე საქმეში კაცებიც ჩაერთვნენ და დაიწყო საქმის გარჩევა. ვისაც სინდისი ჰქონდა, სასწრაფოდ დატოვა ჩვენი სახლი, მაგრამ სერიის მოყვარულებს რა გამოლევს?! ზოგს ვითომ გული შესტკიოდა ჩვენზე და დარჩა. სულ რაღაც 1 საათში იზოვიდაც კაცთან ერთად დაბრუნდა და თქვა, — ეს ჩემი მეგობარიაო, — მერე კი მშობლებს სთხოვა, ამ სახლიდან სასწრაფოდ წავიდეთ, ამ მხეცებთან არაფერი გვესაქმებაო. გაოგნებულმა ვერაფერი მოვიფიქრე, ვიდექი და ისე ვიყურებოდი, როგორც მარგალიტას ქმარი ფილმიდან — „შერევილები“ და ლამის, იმ უცხო კაცს ისიც ვუთხარი: თუ კარგ საქმეზე მიდიხარ, მეც წამიყვანეთ-მეთქი... მეორე დღეს „კეთილისმურველმა“ შემატყობინა: შენი ცოლი გათხოვილა! ეს რა გაგიგე, ამისთანა კარგ ბიჭს ასე როგორ მოგექცაო?! მოკლედ, სიმართლეს რომ მივხვდი, უკვე გვიანი იყო. მას შემდეგ გადავწყვიტე, — ყველა ქალი ერთნაირია, მათზე შური უნდა ვიძიო-მეთქი და ვაღიარებ, ათასი ქალის ცოდვა მანვეს კისერზე, რასაც დღეს ძალიან, ძალიან ვნანობ... მაინტერესებს — თქვენ, სუსტი სქესის წარმომადგენლებს, როგორ შეგიძლიათ, იყოთ ასეთი უგულოები?! კაცების სიყვარულით ბოროტად რატომ სარგებლობთ?! ახლა მჯერა, რომ ქალს კარგი მათრახი სჭირდება, რათა ხელიდან არ წავიდეს. არც ჩემი იზო გახლდათ ცუდი ადამიანი, მაგრამ მას მერე, რაც თავი დედოფლად ვაგრძნობინე, საკუთარ თავს ყველაფრის უფლება მისცა... არ გაინტერესებთ, ახლა როგორ ცხოვრობს? საოცრად ექვიანი ქმარი ჰყავს, რომელიც მის ოჯახს ჩაესიდა. იზო საბერძნეთშია გადახვეწილი, რათა ექვიანი და ლოთი ქმარი და შვილები არჩინოს. აქ რომ იყო, ყოველდღე ცემაში ხდიდნენ სულს მხოლოდ იმიტომ, რომ ექიმი ქალი პურის ფულს ვერ შოულობდა... მე კი, მართალია, 38 წლის ასაკში შევირთე ცოლი, მაგრამ ისე, რომ არ მყვარებია. ჰოდა, მან იცის, როგორ უნდა მოექცეს ქმარს. კაცებო, ქალს მათრახი მართლა სჭირდება, ეს დაიმახსოვრეთ! ნუ იქნებით ჩემსავით სუსტები, თორემ გადაგივლიან“.

**მარიანა, 26 წლის:**

„მინდა, ჩემი ბებია-ბაბუის ამბავი მოგიყვებო. მათ თურმე, ახალგაზრდობაში ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ მას მერე, რაც ხანში

შევიდნენ, ბებო ბაბუს საოცრად „აჩმორებს“, ხშირად ეჩხუბება და, დასჯის მიზნით, თქვენ წარმოიდგინეთ, თავს ჰპარსავს, ფრჩხილებს ისე ღრმად აჭრის, რომ სანყალ კაცს 2 კვირა სისხლი სდის ხოლმე... ალბათ მკითხავთ, — კი, მაგრამ ბაბუაშენი ისეთს რას აშავებს, ცოლი ასე რომ ექცევაო?! აბა, რა უნდა დააშავოს ბერიკაცმა, რომელიც თვალში ველარ იხედება და სახლიდან ვერ გადის?! მაგრამ იცით, რაზე კამათობენ ხოლმე? დასხდებიან, ძველ ამბებს იგონებენ, მერე ბებოს ასხენდებდა, რომ ბაბუამ ოდესღაც ვიღაცასთან უღალატა და იწყება ერთი ნივილ-კივილი: შე უნამუსო, მთელი

**წერილი რადაქმნა**

# „მიუპარდა და მისი დაკარგვა არ მინდოდა, თანაც უკვე ფახეძივად იყო“

**დაბოლოს, გაგაცნობთ ნერილს, რომელიც ერთ-ერთი მონასტრიდან მივიღე ის მოწვევა მამაკაცმა, რომელსაც საყვარელმა ქალმა თავიც შეატულა და მთელი „საქალაქი“ც, რადგანაც აღმოჩნდა, რომ ის გაცნობის დღიდანვე ატყუებდა. ნერილის ავტორმა მთხოვა, მისი გულსტკივილი მკითხველისთვის გაგვეცნო და ისიც დასძინა, — ეს ჩემი მომავლისთვის ძალზე მნიშვნელოვანია...**

„დიდხანს ვფიქრობდი, თქვენთვის ეს წერილი მომეწერა თუ არა, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, რომ ჯობდა, ჩემი გულსტკივილი ვინმესთვის გამეშხილა. ფიქრისგან, დარდისგან განადგურებულს ახლა მხოლოდ უფლის იმედი მაქვს და მჯერა, რომ ოდესმე სიყვარულს ისევ ვეღირსები... ყოფილი მეუღლე დანახვისთანავე შემიყვარდა. ის ჩემი რძლის შორეული ნათესავი გახლდათ და რაიონიდან ჩამოსულს რამდენიმე დღით ვუმასპინძლეთ. მისმა ცისფერმა თვალებმა დანახვისთანავე დამატყვევა და ისიც, ყოველ ჩემს შეხედვაზე წითლდებოდა; ვგრძნობდი, რაღაც იმგვარს განიცდიდა, რასაც — მე. მეორე დღეს, როცა ჩემი ძმა და რძალი სამსახურში წავიდნენ და დედაჩემიც რაღაც საქმეზე გავიდა, ამ მომენტით ვისარგებლე, ყავა მოვხარშე, მერე კი მას კარზე მივუკაკუნე და დავაბატიყე. უარი არ უთქვამს. იმ დღით, ყოველგვარი შესავლის გარეშე ვუთხარი, — არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ დანახვისთანავე შემიყვარდი-მეთქი. — პასუხს ახლა ვერ გეტყვი, ნურაფრის თქმას ნუ დამაძალებო. — კარგი მეთქი, — ვუპასუხე და სამსახ-

ცხოვრება მალაატობდი, ახლა კი გინდა, მოგიაროო?! მერე კი უბრძანებს: მომეცი ხელებიო! ბაბუამ უკვე იცის, რომ ცოლმა ფრჩხილები უნდა დააჭრას და ცდილობს, ხელიდან დაუსხლტეს, მაგრამ ბებო ჯანზეა და ერევა... ამ ყველაფერს ჩვენ, შვილიშვილები შორიდან ვუყურებთ. გვინდა, ბაბუს დავხმაროთ, მაგრამ ამას ვერ ვახერხებთ, რადგან ბებო თავის მოკვლით გვემუქრება და ვიცით, თუ რაიმეს დავუშლით, ყველაფერზე წამსვლელია. მოკლედ, ეს ქალი მოხუცებულობაში პატარა ბავშვივით ანჩხლბო გახდა და თუ იმას არ გაუუკეთებ, რაც სურს, შეიძლება, მერვე სართულიდან მართლა გადახტეს,

ურში წავედი. ჯერ კიდევ გზაში ვიყავი, როცა მან მესიჯი მომწერა: მეც მონონარ, მაგრამ ამას ნურავის ეტყვი, უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩამადებო. შინ დაბრუნებულმა, იების თაიგული მივუტანე, ხელები დავუკოცნე. იმ დღეს ერთმანეთს თვალებით ვეფერებოდით, მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევდა... რამდენიმე დღის შემდეგ ის თბილისიდან წავიდა და ჩემი გულიც თან წაიღო. შევირდი, — რამდენიმე დღეში ჩამოგაკითხავ და ჯვარი დავიწეროთ-მეთქი... ერთი კვირაც არ იყო გასული, როცა მასთან ჩავედი და თბილისში წამოვიყვანე. რძალმა და ძმამ თავი გაიგიჟეს, ჩემი საცოლედ გალანძღეს, მე კი მიმტკიცებდნენ, — თქვენი დაქორწინება არ შეიძლებაო, — მაგრამ ის ისე მიყვარდა, რომ სხვების რჩევას ყური არ ვუგდე. მაშინ ვერც ვხვდებოდი, ჩვენი ერთად ყოფნა რატომ არ შეიძლებოდა; არ მესმოდა, ჩემები რატომ იწუნებდნენ სარძლოს... ცოლზე ამოდდიოდა მზე და მთვარე, მას ჩემს ნატვრისთვალს ვეძახდი, დღით ადგომას ვასწრებდი, რათა მისთვის ყავა ლოგინშივე მიმერთმია, საუზმესაც ვუმზადებდი ხოლმე და ლამის, საკუთარი ხელით ვაჭმევდი... ჰო, სულ დამავინყდა: როცა სიდედრმა მნახა, თავი გაიგიჟა, — ჩემს შვილს ცოლად ვერ გამოგაყოლებ, რადგან მასზე უფროსი ხარო, მაგრამ გოგოს ვუნდოდი და ვინ რას დაგვიშლიდა?! მოკლედ, ბედნიერი ვიყავი მანამ, ვიდრე სამსახურიდან შინ დაბრუნებულმა ჩემი რძლისა და ცოლის ჩხუბი არ მოვიხსინე. ისინი ერთმანეთს ლანძღვდნენ და რძალმა ისეთი რაღაცები წა-



ამიტომ ოჯახის წევრები არ ვენი-  
ნააღმდეგებით. ერთხელ, როცა ბა-  
ბუს თავს ერთჯერადი საპარსით  
ჰპარსავდა და კაცს სისხლი წამოუ-  
ვიდა, ბებოს შეჩერება ვცადეთ, ის  
კი დაგვეშუქრა: არ გიყვარვართ,  
თორემ ამ გათახსირებული კაცის  
დასჯაში ხელს არ შემიშლიდით;  
რადგანაც ეს გირჩევნიათ, თავს მო-  
ვიკლავო. მის ნათქვამზე გაგვეცინა,  
მაგრამ იმ საღამოს უამრავი წნევის  
წამალი დაუღევია და ექიმებმა  
სიკვდილს ძლივს გამოსტაცეს ხელ-  
იდან. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ  
ახლა ცოლ-ქმრის საქმეში ჩარევას  
ვეღარ ვბედავთ?! ბაბუს მხოლოდ  
იმას ვურჩევთ, რომ წარსული არ

გაიხსენოს, მაგრამ ისიც ვერ აჩერებს  
ენას და ისჯება კიდევ. აი, ასეთი  
სასაცილო მოხუცები მყავს შინ. საინ-  
ტერესოა, თქვენ თუ იცნობთ ისეთ  
ქალებს, რომლებიც ქმრებზე ძალა-  
დობენ?..“

**ქატი მალრაძე, ფსიქოლოგი:**

— ხშირად მართლაც, ვხვდებით  
ისეთ ფაქტს, როცა ქალები მამაკა-  
ცებზე ძალადობენ. თუ ქმარის სისუს-  
ტეს იჩენს, ცოლი ცდილობს, უფრო  
ძლიერი იყოს და ოჯახი მართოს.  
ზოგჯერ ქალს ამისკენ შიშაც უბი-  
ძგებს.

**— რისი შიში?**

— შიში იმისა, რომ ქმარმა მასზე  
ძალა არ იხმაროს, მერე კი ქმარზე

ბატონობას იმდენად ეჩვევა, რომ უკვე  
ისიც არ შეუძლია, კაცს რაიმე დაუთ-  
მოს, სთხოვოს. ჰოდა, ნელ-ნელა კა-  
ცური მანერები უყალიბდება და  
ხშირად, ქმრის ღალატზეც კი თანახ-  
მაა, რა თქმა უნდა, თუ სასურველი  
ობიექტი გამოჩნდება.

**— თქვენი აზრით, ქალს მარ-  
თლაც „მათრახი“ სჭირდება?**

— რა სისულელეა?! ოჯახი, სა-  
დაც ქმარი ან ცოლი — მოძალადეა,  
დასანგრევადაა განწირული. არ შეი-  
ძლება, ნორმალურმა ადამიანმა ძალ-  
ადობას მთელი ცხოვრება გაუძლოს;  
ადრე თუ გვიან, ის თავის დაცვას  
შეეცდება, მაგრამ სულ სხვა საკითხ-  
ია, ამას რამდენად შეძლებს.

მოაძახა, გონება ამემღვრა, სასწრაფოდ  
ქუჩაში გავვარდი და გონს მოსასვლე-  
ლად ალკოჰოლს მივძალე. არ მინდო-  
და, დამეჯერებინა ის, რაც რძალმა  
ჩემს ნატვრისთვალს უთხრა... შინ დაბ-  
რუნებულს ცოლი კართან შემეგება,  
მომეფერა, მერე კი დასაძინებლად  
დავწეკით. თავიდან თავი მოვიმძინარე,  
მაგრამ მერე ქვითინი ამიტყდა, ცოლი  
გავალვიძე, გულში ჩავიკარი და  
ვუთხარი, რომ მისი წარსულის  
შესახებ ყველაფერი ვიცოდი.  
გაშრა, განითლდა, აკანკალდა,  
ცრემლად დაიღვარა, მაგრამ  
პასუხი ვერც ერთ კითხვაზე ვერ  
გამცა. ვუთხარი: ორ დღეში  
ქალაქიდან წავალთ, ჩვენი აქ  
ცხოვრება აღარ შეიძლება-მეთ-  
ქი. მისი დაკარგვა არ მინდოდა  
იმიტომ, რომ მიყვარდა და  
თანაც, ის უკვე ფეხმძიმედ იყო,  
მის სხეულში ჩემი შვილის გული  
ფეთქავდა. გაკვირვებულმა შე-  
მომხედა, — შენ რა, ყველაფერს  
მაპატიებო?! პასუხი არ გავე-  
ცი... ვერ ვხვდები, მაშინ ამ  
ყველაფრის პატიება როგორ  
შეეძელი, ამას ხომ ბევრი თავ-  
მოყვარე კაცი ვერ მოითმენდა:  
თურმე, როცა სასწავლებლად თბილის-  
ში ჩამოვიდა, ქირით ცხოვრობდა  
დაქალთან ერთად. მათ ჩემი ძმა და  
მისი ძმაცუბები გაუცნიათ, რომლებიც  
გოგონებს ხშირად სტუმრობდნენ, ერ-  
თად ღრეობდნენ, ტყე-ღრეში დადიოდ-  
ნენ და... ათასგვარ ორგაზასაც აწყობდ-  
ნენ. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ის  
ჩემს ძმასთან არასდროს ყოფილა...  
ყოველთვის კაცური კაცის სახელი მქონ-  
და, მაგრამ მაშინ სისუსტე გამოვი-  
ჩინე, სიყვარულმა დამაბრმავა. პირე-  
ვლ ღამესვე მივხვდი, რომ უბინო არ  
იყო, მაგრამ როცა მითხრა: ვილაცამ  
გამაუპატიურა, მაგრამ ძალიან გთხოვ,

მისი სახელი არ მკითხო, მაინც ვე-  
რაფერს გეტყვიო, შემეცოდა, დაუფერე  
და ყველაფერი ვაპატიე...

მოკლედ, საცხოვრებლად სხვა ქალაქში  
გადავედი. ხუთი თვის ფეხმძიმე გახლ-  
დათ, როცა მთხოვა, — დედაჩემთან  
წამიყვანე, ცოტა ხანს მასთან გაჩერდე-  
ბიო. მის ოჯახში წასვლა არ მინდოდა,  
ფეხს ვითრევდი, მაგრამ უარიც ვერ




**ძალიან მინდა,  
გავიცნო ისეთი  
ადამიანი,  
რომელსაც  
სიყვარულში  
ჩემსავით არ  
გაუმართლა**

ვუთხარი. დედამისთან მივიყვანე თუ არა,  
იმავე ღამეს მითხრა: არასდროს მყა-  
რებხარ. შენ გვერდით ვიყავი, მაგრამ  
სხვაზე ვფიქრობდი. „მანყობა“ და  
ცოლად ამიტომაც გამოგყვე, გამოგიყ-  
ენე. ახლა ვერაფერს დაამტკიცებ, ჩემე-  
ბი არ დაიჯერებენ, რომ უბინო არ  
ვიყავი და ხალხშიც ვერ გამიტყხ სახ-  
ელს. ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრ-  
და, შეგიძლია, აქედან მიბრძანდეთ. სიმ-  
წრისგან აკანკალდი, მაგრამ მისთვის  
რაიმეს დაშავება ვერ შეეძელი. დილით  
მისმა მშობლებმა მომთხოვე: ჩვენი სახ-  
ლი სასწრაფოდ დატოვეო და მეც, წამ-  
ოფდი. დღემდე ვკითხები საკუთარ თავს:

რატომ მომეცა ასე? მე ხომ ყველაფერი  
ვაპატიე, პატიოსანი ქალის სახელი შე-  
ვუნარჩუნე? ხალხს, რა ჰქვია ასეთი  
ქალის საქციელს? თუმცა, ალბათ ყვე-  
ლაფრის ღირსი ვარ იმიტომ, რომ ოჯახს  
წინააღმდეგობა გაუწიე, ყველაფერს  
მივაფურთხე და უღირსი შევირთე ცო-  
ლად, მაგრამ რას გაუტებ ამ სიყვარულს?!  
ჩემი შვილი ამ ქვეყანას უკვე მოველინა,  
მაგრამ მას არ მანახებენ. სხვებ-  
მა მითხრეს: ძალიან გგავსო. იმე-  
დი მაქვს, რომ შვილის დაბ-  
რუნებას, მის ჩახუტებას კანონის  
ძალით მაინც შეეძლება, მაგრამ  
თუ არაფერი გამოვივა, როცა  
გაიზრდება, მაშინ ენახვ და ყვე-  
ლაფერს აფუხსნი...

მას მერე, რაც ცოლს გავ-  
შორდი, ნერვიულობისგან დაღ-  
ლილს საჭესთან ჩამეძინა და  
ავარიამი მოვეყვი. სიკვდილს  
ძლივს გადავურჩი. 8 თვე ლო-  
გინს ვიყავი მიჯაჭვული, მა-  
გრამ ღმერთმა არ გამწირა.  
ყოფილი სპორტსმენი ვარ. არ  
ვწნევი, არც ალკოჰოლს ვეტ-  
ანები და ამ ყველაფერმა ჩემს  
გამოჯანმრთლებას შეუწყო  
ხელი. წარსულის დასავინყე-  
ბლად, ერთ წმინდა ადგილას წამოვე-  
დი და აქ, უფალთან ახლოს, მომავე-  
ლის იმედით ვცხოვრობ. ძალიან მინ-  
და, გავიცნო ისეთი ადამიანი, რომელ-  
საც სიყვარულში ჩემსავით არ გაუ-  
მართლა, თუნდაც — შვილი ჰყავდეს,  
მაგრამ უნდა იყოს პატიოსანი, უმნიე-  
ვლო ქალი; ვისთვისაც სიყვარული  
თამაში არ იქნება, ვისაც ღირსეული  
ოჯახის შექმნა სურს. ცნობისათვის,  
ახლა 36 წლის ვარ. ასე რომ, ახლა ეს  
ჟურნალია ჩემი იმედი, იქნებ ვინმე  
გამომეხმაროს. ტელეფონის ნომერს  
რედაქციაში დაგვტოვებ. პატივისცემით,  
ბათო. ღმერთმა დაგლოცოთ!“





# სამყარო

## რელიგია და ბიზნესი ანუ აღმსარებლობის პრინციპებზე აგებული კომერცია

ამბროსი ბრიუნიკაშვილი

საუკუნეების განმავლობაში, მსოფლიოს წამყვანი რელიგიები (ზოგი, მაგალითად — იუდაიზმი — უფრო დიდი ხნის მანძილზე, ზოგიც, მაგალითად — ისლამი — შედარებით ნაკლებ დროში) აყალიბებდნენ იმ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც ადამიანს სამეურნეო საქმიანობისთვის ესაჭიროება. ასე ვითარდებოდა ის პოსტულატები, რომლებიც მრევლში მეტ-ნაკლებად აღვივებდა ბიზნესინიციატივას. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ დღეს ზოგი ქვეყანა ეკონომიკურად აყვავებულია, ზოგიც — დაკნინებული-დაპყრობილი სხვის ხელში შემეყრედ ქვეულა.

ალსანიშნავია, რომ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ქვეყანაში ადამიანზე რელიგია ისე ძლიერ აღარ ზემოქმედებს, როგორც უნინ (თუნდაც იმავე ევროპაში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენი სამყაროს სამრეწველო განვითარებას, ადამიანები თითქმის უღმერთონი გახდნენ), მაინც იგრძობა მისი გავლენა. შედეგად, ზოგიერთი რელიგია დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, ზოგიც პირიქით, ხელს უშლის სამეურნეო აქტივობას.

მაგალითად, ებრაელები ირწმუნებიან, რომ მათთვის ფული არა მხოლოდ მატერიალური ღირებულების მატარებელია, არამედ (თან, უპირველესად) — სულიერისაც, რადგან იგი „გამომუშავებულია“ ბიზნესში პარტნიორებს შორის ურთერთბატივისცემის წყალო-

ბით. ებრაელთა აზრით, ფულის ნიშანი გაცილებით მეტია, ვიდრე მეტალის ნაჭერი ან ქალაქის ლამაზი ფურცელი...

ბიზნესში ამგვარი ურთიერთნდობის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ კანადა, სადაც ბოლო ორი ასეული წელია, კონტრაქტის დარღვევა არ დაფიქსირებულა. კონტრაქტის ასეთი დაურღვევლობის 200 წლისთვის კანადელებმა დღესასწაულიც კი მიუძღვნეს.

მსოფლიოში ისეთი წარმატებული ფირმების მაგალითებად, რომლებიც სწორედ ამგვარ ეთიკურ პრინციპებზე აგებენ თავიანთ საქმიანობას, დასახელებული არიან: BP, Royal Dutch Shell, HSBC, Nestle, GlaxoSmithKline, Vodafone.

ვფიქრობთ, დღეს საქართველოშიც საქმიანობენ ისეთი ფირმები, რომლებიც მომხმარებელთა და პარტნიორთა ნდობას იმსახურებენ. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთ ამერიკის თუ ევროპის ქვეყნებში ადამიანებმა გაცილებით მეტი ქონება დააგროვეს, ვიდრე სხვაგან, მიანიშნებს იმაზე, რომ ბიზნესის კეთების ქრისტიანული და იუდაისტური პრინციპები გაცილებით შედეგიანი და ნაყოფიერია, ვიდრე სხვა სარწმუნოებებისა.



ბიზნესის მორალურ-ეთიკური პოსტულატები ძირითადად, ბიბლიაშია ჩამოყალიბებული. თვით სიტყვები — „პატიოსნება“, „წესიერება“ სხვადასხვა რელიგიას სხვადასხვანაირად ესმის. იუდაისტური რელიგია უფრო თავისუფალი, ლიბერალური ეკონომიკის მომხრეა. მისთვის აუცილებელი არ არის მეურნეობის კონტროლი, რეგულირება. მისი ადებულების რწმენით, უმთავრეს ღირებულებას ოქრო წარმოადგენს, რადგან თავის წიგნებში მას მოსე, როგორც რვა უმთავრეს სიკეთეაგან ერთ-ერთს ასხენებს. მომდევნო ადგილს ებრაელთათვის — კერძო საკუთრება წარმოადგენს. ამის დასამტკიცებლად, მათ ასეთი მაგალითი მოჰყავთ: აბრაამს, გარდაცვლილი ცოლის დასაკრძალად სათანადო მიწის ნაკვეთს უფასოდ აძლევდნენ, მაგრამ მან ამაზე უარი თქვა და ნაკვეთში ფული გადაიხადა... ზოგიერთი ეკონომიკური ექსპერტის დაკვირვებით, მრავალი ქვეყნის ეკონომიკა იმიტომაცა კვლავ ჩამორჩენილი, რომ იქ უძრავი ქონება მოქალაქეებს შორის არ განაწილებულა, ხოლო სახელმწიფო (ეს საყოველთაოდ ცნობილია) ცუდი მესაკუთრე და მეურნეა... ვფიქრობთ, ის გარემოება, რომ დღეს საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ აქტივების პრივატიზება მიიჩნევა, მისასაღმებელია, თუმცა მხოლოდ პრივატიზება საკმარისი არ არის, პირიქით — ზარალიც კი შეუძლია, მოუტანოს ქვეყანას და მის მოქალაქეებს, თუ სწორად არ მოხდა ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემა...

ებრაელები „იუდაისტური“ ბიზნესის მთავარ იდეოლოგიად „ეთიკურ კაპიტალიზმს“ მიიჩნევენ. ამ ერის მოაზროვნეთა აზრით, სწორედ იმიტომ ჰყავს ამდენი მომხრე სოციალიზმს უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის (მათ შორის, აშშ-შიც), რომ „მიშველი“, „მგლური“ კაპიტალიზმი დაცლილია ყოველგვარი მორალური პრინციპებისაგან. იქ მართლაც, ადამიანი ადამიანისთვის — მგელია. ინტელექ-



ტუალებს, სტუდენტებსაც და მათ პროფესორებსაც რატომღაც მიაჩნიათ, რომ სოციალიზმი არის არა მარტო ეკონომიკური სისტემა, არამედ მორალურ ღირებულებათა სანიმუშო კოდექსიც.

ბუდიზმის მიმდევართა აზრით, დღევანდელი ეკონომიკური თეორიები მოგვაგონებენ იმ ბავშვების ოცნებას, რომლებსაც „მთვარის მოტაცება“ სურთ; ამის შედეგად, ადამიანები გონების დაკარგვამდე მოიხმარენ რესურსებს, რაც ეკონომიკურ კრიზისებსა და საზოგადოებრივ არეულობებს იწვევს. ბუდიზმი გარე სამყაროსთან ჰარმონიის მქადაგებელია (ეს დღევანდელი მსოფლიოსთვის მართლაც რომ უადრესად მწვავე პრობლემაა. თავად დაფიქრდეთ: მაგალითად, ბრაზილიის ტყეებში, რომელსაც „დედამინის ფილტვებსაც“ უწოდებენ, ყოველწლიურად, დაახლოებით ბელგიის ტერიტორიისოდენა ტყე იჭრება!).

მართალია, ჩინელები, მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდის მიზნით, ხშირად ბიზნესის გაძლიერების დასავლურ პრინციპებს მიმართავენ, მაგრამ ამას იმით ხსნიან, რომ იმულებული არიან, ისეთ ქვეყნებთან ჰქონდეთ ურთიერთობა, სადაც ასეთი მიდგომები გაბატონებულია. ჩინელები დიდ ყურადღებას აქცევენ და უფრო ხილდებიან კონტაქტებს, იციან, როდის და რა საჩუქარი უნდა მიართვეთ პარტნიორს და ასე შემდეგ. ამდენად, ჩინელებთან შეხვედრისას საჭიროა, ყურადღება მივაქციოთ არა მხოლოდ იმას, თუ რა ითქმება, არამედ იმასაც, თუ როგორ საუბრობენ პარტნიორები, როგორ იცვლება მათი სახის მიმიკა და ა.შ.

ბუდიზმის მიმდევრებისათვის ბიზნესის იდეა ნდობის ჯგუფის შექმნას ეყარება. კავშირები მრავალი წლის განმავლობაში, ერთი საზოგადოებრივი (თუ ეთნიკური) ჯგუფის წევრებს შორის იკვრება და მტკიცდება. ჯგუფში ახალი წევრის მიღების ღირსად იმას ცნობენ, ვინც შეითვისებს და გაითავისებს იმ ეთიკურ ღირებულებებსა და ქცევის წესებს, რომლებიც მასში პრიორიტეტულადაა დამკვიდრებული, მათ შორის, წვრილმანებიც — მაგალითად, თუნდაც ის, თუ როგორ აწვდი სავიზიტო ბარათს — ერთი ხელით თუ ორივეთი; მიუღებელია მოცემული ბარათის უცერემონიოდ ჯიბეში ჩაჭმუჭნა...

ბუდიზმი ბიზნესმენების აზრით, მათი დასავლელი პარტნიორები მეტისმეტად მოუთმენელნი არიან — სურთ, რაც შეიძლება მოკლე ხანში მიაღწიონ მოლაპარაკების შედეგს —

გააფორმონ კონტრაქტი, მიიღონ პროდუქცია თუ მომსახურება და სხვ.

„ასეთი საქციელი მიუღებელია. უნდა იყო მოთმინებით აღსავსე, თავს აგრესიის ნება არ უნდა მისცე,“ — წერია ბიზნესის ერთ-ერთ ჩინურ სახელმძღვანელოში. საქმისადმი მოთმინებით მიდგომა კი იმას ნიშნავს, რომ ფირმას განზრახული აქვს პარტნიორთან ხანგრძლივი და არა მოკლევადიანი ურთიერთობა და რომ იგი არ ცდილობს მისი ქონების ხელში ჩაგდებას და შემდგომ — „აორთქლებას“...

ბუდიზმის ქვეყნებში ბიზნესმენთან შეხვედრა ორი კვირით ადრე მანინც უნდა დაგეგმო. მიუტევებელ შეცდომად მიიჩნევა ეროვნული დღესასწაულების დღეებში ჩინელი ბიზნესმენისთვის საქმიანი შეხვედრის დანიშვნა. დაუშვებელია აგრეთვე შეხვედრაზე თუნდაც ორი წუთით დაგვიანება, შეხვედრის მაგიდასთან მიჯდომისთანავე საქმეზე საუბრის დაწყება — ეს ბუდიზმის პარტნიორის დარღვევის მაუწყებლად მიიჩნევა. ამასთან, უმჯობესია პარტნიორი „გამოიწვიო“ ანუ — პირველად კითხვის დასმის შესაძლებლობა მას მისცე...

ბუდიზმის მოდელის იდეალებთან ყველაზე მეტადაა მიახლოებული სინგაპური. იქ ბიზნესკონტაქტები მკაცრად რეგლამენტირებული ოქმის საფუძველზე იგეგმება და ურთიერთნდობის თანდათანობით განმტკიცებაზეა დაფუძნებული. სრულიად განსხვავებულია „მაჰადიანური“ ბიზნესი. განსაკუთრებით სპეციფიკურია მუსლიმანური საბანკო საქმიანობა. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში უკვე 30-ზე მეტი ბანკია, რომელიც შარიათის პრინციპების შესაბამისად ფუნქციონირებს: ისინი არ გასცემენ სარგებელს დეპოზიტზე, არ იღებენ პროცენტს სესხზე და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ სესხს არ გასცემენ ალკოჰოლური სასმელების, პორნოგრაფიული პროდუქციის წარმოება-რეალიზაციით დაკავებულ ფირმებზე, აზარტული თამაშების ბიზნესზე. საგულისმბოა, რომ ამგვარი ბანკების მომსახურებით მხოლოდ მუსლიმანები როდი სარგებლობენ. მათთან საქმიანი ურთიერთობა აქვთ ისეთ მსხვილ საფინანსო ინსტიტუტებს, როგორებიცაა Barclays, RBS, Lloyds Banking Group, რომლებმაც ფილიალებიც კი შექმნეს „განსაკუთრებული“ კლიენტებისთვის. მხოლოდ ბრიტანეთში ამგვარი „სუფთა“ ბანკების აქტივები

დღეისათვის 15 მილიარდ გირვანქა სტერლინგს აღემატება. დიდ ბრიტანეთში არსებობს 55-ზე მეტი სკოლა, სადაც ბიზნესსა და ფინანსებს ყურანის მოთხოვნების შესაბამისი წესებით ასწავლიან.

იმ ბანკებს, რომლებიც ისლამური პრინციპების საფუძველზე საქმიანობენ, საკუთარი სახედასხვედველო ორგანო აკონტროლებს — აუდიტისა და ბუღალტერიის სამსახური ისლამური



საფინანსო ორგანიზაციებისათვის. მასში თანამდებობებს იმ ქვეყნების ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები იკავებენ, სადაც ხალხი შარიათის კანონებით ცხოვრობს, კერძოდ — საუდის არაბეთის, ირანისა და სუდანის ფინანსისტები.

შარიათი თავის მიმდევრებს — ფართო მუსლიმანურ საზოგადოებას მოუწოდებს ასევე, მხარი დაუჭირონ ისლამურ ბიზნესს. შედეგად, ისლამის გულმხურვალე მორწმუნემ შეიძლება, რამდენიმე კილომეტრიც კი გაიაროს, რათა პროდუქტი „თავის“ მაღაზიაში შეიძინოს. სხვათა შორის, სამამულო ნაწარმს უპირატესობას ანიჭებენ იამონელებიც და ალბათ, ეს გარემოებაც თამაშობს დიდ როლს იმაში, რომ ამ ქვეყნის ეკონომიკა უკვე მეორე ადგილს იკავებს აშშ-ის შემდეგ. ორთოდოქსი მუსლიმანები, განსაკუთრებით — ამერიკაში მცხოვრებნი ჩივიან, რომ ასეთმა მიდგომამ შესაძლოა, საქონლის (მომსახურების) ხარისხის დაცემა გამოიწვიოს და არცთუ ისე შორეულ მომავალში, ისლამურ ბიზნესზე უარყოფითად იმოქმედოს. თუმცა ჯერჯერობით, ამ მიდგომის წყალობით, ისლამური ბიზნესი მხოლოდ ხეირობს. ამის დასადასტურებლად, ერთი მაგალითიც იკმარება: ჩიკაგოში ხორცის მაღაზია, რომელიც ძირითადად მუსლიმანებს ემსახურება, სწორედამ რომ ამგვარი, მხარდაჭერი სამეურნეო პოლიტიკის წყალობით, წელიწადში


დასასრული იხ. გვ. 41





# უნივერსალურ მებრძოლად აღიარებული ქართველი

22 წლის ქართველი ბიჭი უნივერსალურ მებრძოლად აღიარეს. ეს საპატიო ტიტული რატი წითელაძეს პროფესიონალურ ორთაბრძოლა-თა საერთაშორისო ლიგის დირექტორატმა ოფიციალურად მიანიჭა. ის ერთადერთი სპორტსმენია, რომელიც სამი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ორთაბრძოლის სახეობაში გახდა ჩემპიონი. K-1-ის წესებით, ბრძოლაში მსოფლიოს ჩემპიონი და პროფესიონალურ ტურნირთა მრავალგზის გამარჯვებულია, „კიოკუშინ-კაი“ კარატეში ევროპის, კავკასიისა და საქართველოს ჩემპიონია, „კუნფუ სანდაში“ კი — საქართველოს ჩემპიონი. რატი სულ ახლახან დაბრუნდა ჰოლანდიიდან და რედაქციაში გვეწვია. როგორც მისი მწვრთნელი, კახაბერ მარკოზაშვილი ამბობს, ჰოლანდიურ კლუბებში ქართველმა მებრძოლმა ადგილობრივი ჩემპიონები ისე სამარცხვინოდ დაამარცხა, რომ ორთაბრძოლების ორგანიზატორებმა შეჯიბრების ვიდეოკამერითა და ფოტოაპარატით გადაღება აკრძალეს. რინგზე ყოფნის დროს სასტიკი და დაუნდობელი მებრძოლი მეგობრებთან ურთიერთობისას გულჩვილი და მიმტევებელია. უყვარს კლასიკური მუსიკა, ფილოსოფიური ლიტერატურა, ხელოვნება და ადამიანები, რომლებიც ხელოვნების ნიმუშებს ქმნიან. ამბობს, რომ ბავშვობაში კარგად ხატავდა, უნდოდა კიდეც, მხატვარი გამხდარიყო, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი სპორტზე შეაჩერა.



## მსოფლიოს ჩემპიონის მიერ გახედილი საიღუმლო

### სათუნა გახტურია

— რატი, როგორ ახერხებ საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა სახეობის ერთდროულად შესწავლას, თანაც — ასე წარმატებით?

— სიმართლე რომ გითხრათ, ყველა სახეობა რიგრიგობით შევისწავლე — უბრალოდ, ეს ყველაფერი დროის მცირე მონაკვეთში მოვახერხე. ერთი უცნაური თვისება მაქვს — რა საქმესაც ხელს მოვკიდებ, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, ბოლომდე მიმიყავს, მაგრამ წარმატებას მივალწვევ თუ არა, მაშინვე ინტერესს ვკარგავ და ახლის ძიებას ვიწყებ. მინდა, ყველაფერში ჩემპიონი ვიყო... 6 წლის რომ გაგხდი, მშობლებმა ძალით მიმიყვანეს კარატეზე. თავდაპირველად, საერთოდ არ მომწონდა ვარჯიში, მაგრამ ერთ წელიწადში აჭარის ჩემპიონი გახდი. წარმატების მისაღწევად დიდი ძალისხმევა არ მჭირდებოდა, წლების განმავლობაში მეტოქეებს ადვილად ვამარცხებდი. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, გამაზარდაცა, მოგდუნდი კიდეც. ერთ „მშვენიერ“ დღეს კი, 15 წლის რომ ვიყავი, წავაგე. მარცხი ჩემთვის, მხოლოდ მოულოდნელი კი არა, მტკივნეულიც აღმოჩნდა, ლამეები არ მეძინა. რამდენიმე დღეში ბათუმიდან თბილისში ჩამოვედი და 5 თვის განმავლობაში შეუსვენებლად ვვარჯიშობდი. სპორტდარბაზში დავიწყე ცხოვრება, დღეს ვარჯიშით ვიწყებდი და ვარჯიშითვე ვამთავრებდი, საერთოდ მოვწყდი გარე

სამყაროს. შედეგს მალე მივალწვიე — საქართველოს ეროვნული ჩემპიონი გახდი „კიოკუშინ-კაის“ სახეობაში. ერთხელ, სპორტდარბაზში საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, კახაბერ მარკოზაშვილი მოვიდა და თავისი მოსწავლე მოიყვანა ჩვენთან „საჩხუბრად“. ჩემმა მწვრთნელმა ჩვენს შერკინებაზე უარი თქვა. მარკოზაშვილის მოწაფე „K-1“-ში გამოდიოდა. „კიოკუშინ-კაის“ მიმ-

დევრები ერთმანეთს სახეში არ ურტყამენ; ჩვენი მწვრთნელის უარიც ამ მიზეზით იყო განპირობებული. მე მწვრთნელს არ დავემორჩილე, ჩხუბი შედგა და მარკოზაშვილის მოწაფემ მაგრად მცემა. სერიოზული შოკი მივიღე, დეპრესიაში ჩავვარდი, ისევ დაიწყო უძილო ღამეები; ან ეკლესიაში ვიყავი, ან — სპორტდარბაზში. იმდენს ვვარჯიშობდი, რომ კრუნჩხვები მემართებოდა. ერთხელ ტელევიზორს ვუყურებდი და ეკრანზე კახაბერ მარკოზაშვილი დავინახე, რომელიც ჟურნალისტს ჩხუბის საკუთარ მეთოდებზე ელაპარაკებოდა. იმ დღესვე დავურეკე და ვთხოვე, ვვარჯიშებინე. არ მიმიღო, მაგრამ ფიზიკურ-ფუნქციონალურ ვარჯიშთა ჩამონათვალი მომცა და მითხრა, თავად ივარჯიშეო. ყველაფერი გულდასმით შევისწავლე და ბატონ კახას ისევ დავურეკე. ამჯერად მიმიღო თავის ფედერაციაში და „ნეკო-რიუ“ კარატეს შესწავლა დავიწყე. პირველი ორი თვე ძალიან გამიჭირდა, იმიტომ, რომ კარატე „ნეკო-რიუს“ ყველა წარმომადგენელი უმოწყალოდ მცემდა. მხოლოდ ნითელ მაისურებს ვიცვამდი, ჩემივე სისხლის ლაქები ყველასთვის თვალში საცემი რომ არ ყოფილიყო... გავუძელი და ძალიან მალე გუნდის კაპიტანი გახდი. როდესაც საბრძოლო ხე-



ქართველმა მებრძოლმა ჰოლანდიელი ჩემპიონები სამარცხვინოდ დაამარცხა...



ლოგოების ერთ სახეობაში ვალწევ წარმატებას, მერე სხვა სახეობის შესწავლის სურვილი მიჩნდება. მე პროფესიონალი მოჩხუბარი ვარ და მინდა, რაც შეიძლება ბრძოლის მეტ ხერხს ვფლობდე.

— ახლა რა სახეობაში ვარჯიშობ?

— ახლა „k-1“-ის წესებით ვჩხუბობ.

— როგორც ვიცი, სამედიცინო უნივერსიტეტი გაქვს დამთავრებული. ეს როდისღა მოახსნარი?

— კი, შარშან დავამთავრე სამკურნალო მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი. სიმართლე რომ გითხრა, უნივერსიტეტის დამთავრებაში ლექტორები დამეხმარნენ — როგორც წარმატებულ სპორტსმენს, შეღავათი გამიწიეს.

— შენთან სამკურნალოდ მოსული პაციენტი უკვე მეცოდება...

— სულ ტყუილად: მედიცინაში ძალების მოსინჯვას არ ვაპირებ. ისევ რინგზე ჩხუბი მირჩევნია.

— სახელმწიფო სამსახურზე არ გიფიქრო?

— არა, რას ამბობ, გამორიცხულია. სად უნდა ვიმსახურო — ჯარში თუ პოლიციაში? მე ძალადობის წინააღმდეგი ვარ, ჩიტის მოკვლაც კი არ შემიძლია. ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლეს არავის ნავართმევ.

— მაშინაც ასე ფიქრობ, როდესაც რინგზე მოწინააღმდეგეს სცემ?

— რომ ვთქვა, ორთაბრძოლის დროს მოწინააღმდეგე მეცოდება-მეთქი, ტყუილი იქნება. როდესაც ჩხუბის დროს გადაღებულ ჩემს სურათებს ან ვიდეოს ვუყურებ, საკუთარი სახის გამომეტყველება თავადვე მაშფოთებს. ჩემს სხეულში ორი რატი ცხოვრობს; რინგზე მოჩხუბარი რატი ძალიან განსხვავდება იმ ბიჭისგან, რომელიც ახლა გელაპარაკება. არადა, სწორედ რინგზე მოჩხუბარმა რატიმ მომიტანა წარმატება, შენც „მისი ხათრით“ მელაპარაკები. მართლა არ მსიამოვნებს ადამიანების ცემა, მაგრამ... თურქეთის საზღვართან, აჭარის ერთ პატარა სოფელში დავიბადე, სადაც მოსახლეობის 80% მუსლიმანია, მათ შორის — ჩემი მშობლებიც. ბათუმში

მოგვიანებით გადმოვედით საცხოვრებლად. ასეთი აგრესიული მოჩხუბარი რომ არ ვიყო, ცხოვრებაში ვერაფერს მივალწევდი. ისე, რინგზე უთანასწოროდ ხომ არ ვიბრძვი?! ჩემი მეტოქეები ისევე არიან მომზადებულნი ორთაბრძოლისთვის, როგორც მე.

— ალბათ განსაკუთრებული ცხოვრების წესი გაქვს...

— კი, ბევრი რამ მეკრძალება. კვებისა და ძილის განსაკუთრებული რეჟიმი მაქვს. რაც შეიძლება ჯანსაღად უნდა ვიკვებო და ყოველთვის კარგად უნდა ვიყო გამოძინებული. გაზიან სასმელებსა და ყავას არ ვსვამ, მცირე დოზით ალკოჰოლური სასმელი აკრძალული არ მაქვს, მაგრამ მაინც არ ვსვამ, არ მიყვარს. სიგარეტზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— შენი შესაძლებლობების გამოც



რატი მჭერთენელთან ერთად

ენება რინგის გარეთ, პირადი ურთიერთობების მოგვარებისას არასდროს დაგჭირვებია?

— არასოდეს. ყველანიარად ვცდილობ, კონფლიქტურ სიტუაციებს თავი ავარიდო. მე რინგზე, ტატამზე თითქმის ყოველდღე მეძლევა ჩემი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, ქუჩაში არავისთვის არაფრის დამტკიცება არ მჭირდება. გარდა ამისა,



ასეთი აგრესიული მოჩხუბარი რომ არ ვიყო, ცხოვრებაში ვერაფერს მივალწევდი

ყველას თავს ხომ არ გავუყადრებ! კაცს რომ ვეჩხუბო, ჩემს თანატოლად უნდა ვთვლიდე, უბრალო ხულიგანზე ხელს ნამდვილად არ ვავისვრი.

— სეროზული ტრავმა არასდროს მიგიღია?

— როგორ არა, ზოგჯერ თავში ისე ძლიერად ჩაურტყამთ, რამდენიმე დღე შევუწუხებია ვერაფერს. ისეთი ტრავმაც მიმიღია, რომ ჩხუბს ვინ ჩივის — 3 თუ 4 თვე სიარულიც ვერ მომიხერხებია.

— მშობლები როგორ ეგუებიან შენს საქმიანობას?

— სხვა გზა არა აქვთ. როგორც უკვე გითხარი, თავიდან ძალით მიმიყვანეს კარატეზე. ახლა ველარაფერს შეცვლიან. თბილისშიც არ უნდოდათ ჩემი გამოშვება. 15 წლიდან გადანყვეტილებებს დამოუკიდებლად ვიღებ. მშობლებმა თბილისში წამოსაგვლად ფული რომ არ მომცეს, ტოტალიზატორში წავედი სათამაშოდ, მცირე თანხა მოვიგე და მეორე დღესვე წამოვედი დედაქალაქში. ახლა მათ იციან, რომ ჩემს გადანყვეტილებას მაინც ვერ შეცვლიან, ამიტომ აღარც ცდილობენ.

— სულიერ ტკივილთან გამკლავებაც შეგიძლია?

— აბა, რა! ეს ჩემი პროფესიის ადამიანისთვის აუცილებელია. საქართველოსა თუ უცხოეთში, ძალიან ბევრ გუნდში ვარ ნავარჯიშები. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ რინგზე 10 წამში გამითიშავს ადამიანი, რომელსაც ჩვეულებრივი ვარჯიშისას ვუცემივარ. ეს სწორედ იმიტომ ხდებოდა, რომ მოწინააღმდეგე სულიერად საკმარისად ძლიერი არ ყოფილა. ადამიანს რაც უნდა კარგად ესმოდეს თავისი საქმე, წარმატებული ვერ გახდება, თუ საკუთარი გრძნობებისა და სურვილების გაკონტროლებას ვერ შეძლებს. როდესაც სემინარებს ვატარებ, მსმენელებს ძირითადად, სულიერ სიმტკიცეზე ველაპარაკები.

— რა სემინარებს გულისხმობ?

— საქართველოში ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანი ცხოვრობს, რომელ-





საც საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენის საშუალება არა აქვს. მე და ჩემი მეგობრები ვცდილობთ, ეს ნიჭიერი ხალხი მოვიძიოთ, ვესაუბროთ, უფასოდ ვავარჯიშოთ. შეიძლება, ყველა მათგანი კარგი სპორტსმენი ვერ გამოვიდეს, მაგრამ საშუალება მიეცემა, კარგ ადამიანად ჩამოყალიბდეს. მათ ტკივილისა და ტანჯვის ატანას ვასწავლით, რის შემდეგაც, ცხოვრებისეული პრობლემები უმნიშვნელო წვრილმანებად ეჩვენებათ. შეიძლება, დაუჯერებლად მოგჩვენოს, მაგრამ თუ სპორტს გააპყვები და სულის სიმტკიცეზე იზრუნებ, პირად ცხოვრებასაც უკეთ მოინწყობ.

— **შენს პირად ცხოვრებაზე რას იტყვი?**

— არაფერს.

— **რატომ?**

— შეყვარებული არასდროს ვყოფილვარ. 7 წელია, მარტო ვცხოვრობ; ხანდახან კი მყოლია საყვარელი გოგო, მაგრამ მაინც მარტო ვყოფილვარ. ჩემი თავი ჯერ არავისთვის მიმიძღვნია. მართალია, რისკზე ხშირად მივიდივარ და არც მნიშვნელოვანი გადანყვეტილებების მიღება მიჭირს, მაგრამ როდესაც საქმე სიყვარულს და სარწმუნოებას ეხება, ძალიან მიჭირს საბოლოო დასკვნის გაკეთება. როდესაც დავიბადე, მშობლებმა მუსლიმანური წესით მომნათლეს. ნამოვიზარდე თუ არა, მივხვდი, რომ ეს სარწმუნოება ჩემს სულთან ახლოს არ იყო. გამუდმებით ძიებაში ვიყავი, თითქმის ყველა რელიგიას გავეცანი თეორიულად — კრიშნაიზმიდან დანყებული, ბუდიზმით დამთავრებული; ერთი პერიოდი სექტანტებსაც კი დავუახლოვდი. ამ ყველაფრის პარალელურად ეკლესიაშიც დავდიოდი, მეშინოდა — ჭეშმარიტი ღმერთის ძიებაში ისე არ მოვძებნებაროყავი, რომ ეკლესიაში შესვლა ვერ მომესწრო... საბოლოოდ, ჭეშმარიტება მართლმადიდებლობაში ვიპოვე. ახლა ბრმად მორწმუნე არა ვარ — ნამდვილად მნამს უფლის და რაც უნდა მოხდეს, ერთხელ არჩეულ გზას არ გადავუხვევ. როდესაც ცხოვრებაში რაიმე სირთულე მხვდება ან რინგზე ვმარცხდები, ვფიქრობ, რომ ამ განსაცდელს უფალი მიგზავნის, რათა კიდევ უფრო გავძლიერდე. იცი, ჩემი მშობლები ახლა თქვენი ჟურნალის საშუალებით პირველად გაიგებენ, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანად მოვინათლე...

— **გმადლობთ გულახდილი საუბრისთვის!**

— მადლობა შენ, ჩემთან საუბარი რომ მოინდომე!

## ეკონომიურობით გამოჩეული ჰიბრიდული Volvo

კომპანიის ინჟინრებმა მიზნად დაისახეს, შეემუშავებინათ მცირელიტრაჟიანი ავტომობილივით ეკონომიური საოჯახო უნივერსალი, რომელიც 100 კმ-ის გასარ-



ბენად მხოლოდ 1,9 ლ დიზელის სანვავს მოიხმარს. ჩაიფიქრეს და განახორციელეს კიდევ: ეს გახლავთ ჰიბრიდული ავტომობილი Volvo V60, რომლის პრემიერაც უნევის ავტოსალონზე შედგება. მის შემქმნელთა თქმით, სიახლე თითქმის მზადაა წარმოებისთვის. ამასთან, თუმცა სერიული ვერსია მხოლოდ 2012 წელს გაჩნდება, დაანონსებული მანქანა კონ-

ცეპტუალურს არ წარმოადგენს — თავის დროზე, კონვეიერიდან პრაქტიკულად, მისი ასლი ჩამოვა. მის კაპოტქვეშ ხუთცილინდრიან დიზელის ძრავას ჩადგამენ, რომლის მოცულობა 2,4 ლ, ხოლო სიმძლავრე — 215 ცხდ იქნება; მანქანა ალჭურვილი იქნება ექვსსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფით და წინა ამძრავით, აგრეთვე — 95-ძალიანი ელექტროძრავათი, რომელიც ახალ „ვოლვოს“ სრულამძრავიანად აქცევს. მისი აკუმულატორი დენის კვებით ჩვეულებრივი წყაროდან დაიტენება, რის შედეგადაც მანქანა 50 კმ-ს უსანვავოდ გაივლის. ბოლოს დავძენთ, რომ ამგვარ ჰიბრიდზე არაერთი ევროპული ავტომწარმოებელი მუშაობს; ვინ დაჯაბნის კონკურენტებს — ამას გაისად შევიტყობთ.

## Volkswagen ერთლიტრიანი „ეკონომი“

ავტომობილი, რომელიც 100 კმ გარბენზე მხოლოდ 1 ლ სანვავს სჯერდება, უკვე 2013 წელს გამოჩნდება სარეალიზაციო ქსელებში. ყოველ შემთხვევაში, ამას ირწმუნება კონცერნ „ფოლკსვაგენის“ დირექტორთა საბჭოს თავკაცი ფერდინანდ პიჰი. ზოგადი წარმოდგენა ამ მანქანაზე ახლავ შეიძლება მივილოთ — მას შეგიქმნის „ფორმულა 1“-ის კონცეპტუალური მანქანა — XL1, რომლის პრეზენტაციაც ამ ცოტახნის წინ კატარში გაიმართა. ბოლო წლებში „ფოლკსვაგენმა“ „ერთლიტრიანი“ კონცეპტებისა და პროტოტიპების მთელი ოჯახი შეიმუშავა, მაგრამ სწორედ დასახელებული მოდელი აღმოჩნდა წარმოებისთვის ყველაზე გამოადეგი. ეს გახლავთ ორადგილიანი კუპე, რომელიც დამზადებულია ზემსუბუქი მასალის — ენ. კარბონის მონოკოკისგან; სწორედ ამის წყალობით, ავტომობილი 800 კგ-მდე იწონის. სალონი ორი მგზავრისთვისაა გათვალისწინებული, მოზრდილი ტვირთის გადაზიდვა კი გამორიცხულია: მისი საბარგული სულ რაღაც 100 ლ მოცულობისაა. ავტომობილი ალჭურვილია ორცილინდრიანი ტურბოდინზელით, რომლის მოცულობა 0,8 ლ, ხოლო სიმძლავრე 48 ცხდ-ია; მას ეხმარება 27 ცხდ სიმძლავრის ელექ-

ტროძრავა, რომელიც სრულად დატენის შემდეგ, სანვავის დაუხარჯავად, 35 კმ-ს გაირბენს. მაგრამ მაშინაც, როცა მანქანა სრული სიმძლავრით იმუშავებს, 100 კმ-ზე მხოლოდ 0,9 ლ სანვავი



დასჭირდება. ამასთან, წონისა და მოხდენილი აეროდინამიკის წყალობით, XL1 100 კმ-სთ სიჩქარეს 11,9 წმ-ში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე — 160 კმ-სთ იქნება. კონცერნი სულ 100 ასეთი ავტომობილის გამოშვებას აპირებს და მათი უმეტესი ნაწილი ბაზარზე ჩვეულებრივად გაიყიდება. მას პირველ რიგში, ევროპული დილერები მიიღებენ, შემდგომ კი აშშ-სა და ჩინეთში გაგზავნიან. ცხადია, ფასიც ერთობ არადემოკრატიული იქნება, რადგან ავტომობილის დამზადებისას, მაღალ ტექნოლოგიებსა და ძვირად ღირებულ მასალებს იყენებენ.

# „პაგანის“ სუპერკარგი

დაბალი სპორტული ძარა, რომელიც მსუბუქი მონოკოკისგანაა დამზადებული, მძლავრი ტურბოდირაჟი V12, რობოტიზებული გადაცემათა კოლოფი — ასეთია „პაგანის“ ახალი მოდელი —

აღჭურვილია 4 აქტიური აეროდინამიკური ელემენტით, რომელიც სიჩქარისა და მოძრაობის პირობების შესაბამისად, მანქანას ოპტიმალური მდგომარეობით უზრუნველყოფს და ჰაერის წინააღმდეგობის მინიმალურ შემოქმედებას შეუწყობს ხელს. მსუბუქი მასალის წყალობით, ავტომობილი 1350 კგ-ს იწონის, რაც იმაზე ნაკლებია, ვიდრე ზოგიერთი VW Golf-ის მასა. ტრადიციისამებრ, ძრავას Pagani Huayra-სთვის „მერსედეს-ბენცის“-ის დანაყოფში აშადავენ. ამჯერად ეს იქნება კუპესთვის — SL65AMG — შემუშავებული, ექსპლერიანი V12, რომლის სიმძლავლე, ვერსიისდა მიხედვით, 700-დან 730 ცხს-ს შორის მერყეობს.



Huayra. 100 კმ-სთ სიჩქარეს 3,3 წმ-ში განავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 370 კმ-სთ იქნება. ასეთი დინამიკის კვალობაზე, სხვა ყველაფერი უკანა პლანზე იწევს... ავტოფანატებისთვის უკვე კარგა ხნის განმავლობაში სათაყვანებელი Pagani-ს მესვეურებმა ახალ სუპერკარგის სახელიც შესაფერისი შეურიჩეს — Huayra — ინდიელთა ქარის ღმერთის პატივსაცემად. სიახლეს ქართან მართლაც ბევრი რამ აკავშირებს: მას კარგა ხნის განმავლობაში ცდიდნენ აეროდინამიკურ მილში, რათა მისი სილუეტისთვის იდეალური ფორმა მიენიჭებინათ. გარდა ამისა, ახალი „პაგანი“



# კონსერვატორი „კონდელების“ ახალი მოდელი

როგორც ცნობილია, იაპონელ ავტომწარმოებლებს, მოწინავე იდეებთან ერთად, კონსერვატიზმიც ახასიათებთ: ჩვეულებრივ, ახალი მოდელი წინამორბედის განვითარების მომდევნო საფეხურს წარმოადგენს, რესტაილინგური — შეცდომების გასწორებით აღინიშნება... ამის ნათელი მაგალითია „ჰონდას“ ახალი უნივერსალი „აკორდი“ — უკანასკნელი, მერვე თაობის ნიმუში კონსტრუქციითაც და დიზაინითაც წინამორბედის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, რომელსაც 2002-დან 2008 წლამდე აწარმოებდნენ. საგაისოდ დაგეგმილი რესტაილინგიც არსებითად ახალს არაფერს გვიქადის. სამაგიეროდ, იწყინ-

რებმა საკმაოდ ბევრი რამ შეცვალეს ავტომობილის კვანძებში. ძრავების ოჯახი ფაქტობრივად, იგივე დარჩა. აგრეგატების მოცულობაცა და სიმძლავრეც უცვლელია, მაგრამ იწყინერთა ძალისხმევის შედეგად, გაიზარდა ეკონომიურობა და ეკოლოგიურობა. 2008 წლიდან მოყოლებული, Honda Accord-ის მერვე თაობას შასის მეტისმეტად კომფორტული აგებულების გამო აკრიტიკებდნენ და იაპონელმა ინჟინრებმა ეს კრიტიკა გაითვალისწინეს, ერთობლივად სამუშაოდ მიიწვიეს კოლეგები ბრიტანეთიდან და გერმანიიდან და ამორტიზატორების მასხასიათებელთა ოპტიმიზაცია განახორციელეს. აქვე დავძენთ, რომ 1994 წლიდან მოყოლებული, „ჰონდა“ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში „აკორდის“ სახელით ორ განსხვავებულ მანქანას ყიდის. ბოლო დროს კი Acura TSX-ად ცნობილი მოდიფიკაცია როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში იგზავნება.



დასაწყისი იხ. გვ. 36

50-60 მილიონი დოლარის პროდუქციას ყიდის.

ყველა მუსლიმან ბიზნესმენს უნდა ახსოვდეს, რომ მისი საქმიანობა არ უნდა იყოს მხოლოდ მოგებისაკენ სწრაფვა, არამედ მათ თავიანთი საქმიანობით ალაპი უნდა ასიაშოვნოს. ბუნებრივია, მოგებაზეც უნდა იზრუნონ, მაგრამ ეს მაინც, მეორე ადგილზე უნდა იდგეს. მუსლიმანი ბიზნესმენისთვის აუცილებელი მოთხოვნაა — კარგი ურთიერთობა დაამყაროს კლიენტებთან, არ მოაწყუროს ისინი. ამასთანავე, წარმოუდგენელია, რომ ისლამურ მალაზიაში გაიყიდოს ისეთი პროდუქცია, როგორცაა ალკოჰოლი, პორნოგრაფიული ნაწარმი, ასევე — ზოგიერთი კატეგორიის ფილმები. ამ წესის დარღვევა დაუსჯელი რომ არ დარჩება, ამას ერთი მაგალითიც ნათლად მოწმობს: ამერიკაში, ერთი მალაზიის მუსლიმან მეპატრონეს პორნოგრაფიული ფილმების გაყიდვა აუკრძალეს. გარკვეული ხნის განმავლობაში ის ამ აკრძალვას იცავდა, მაგრამ გავიდა დრო და მისი მალაზიის დახლებზე კვლავ გამოჩნდა აკრძალული პროდუქცია. როდესაც „მუსლიმანმა ძმებმა“ ამაზე ახსნა-განმარტება მოსთხოვეს, მან განაცხადა, რომ მკვეთრად შეუმცირდა მოგება... მეორე დღეს მის მალაზიას „შემთხვევით“, ცეცხლი გაუჩნდა.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში ბიზნესეთიკის თვალსაზრისით. ალბათ, არცთუ ისე სასურველია. გარკვეულ წრეებში ერთმანეთის „გადაგდება“ არათუ „მოსულა“, არამედ „მაგარ ბიჭობადაც“ კი მიიჩნევა. ამის ერთი მაგალითით შემოვიფარგლებით და თუმცა პესიმისტური ნოტი დასრულება გამოძის, გამართლებულად მიმანჩნია: ფერეიდნელებს, რომლებიც დედასაქართველოზე ფიქრში ათენ-ალამებენ, ინტერნეტში საიტი აქვთ გახსნილი, სადაც ამას წინათ ერთმა წერილმა შემზარა: ავტორი წერს, — ჩვენ, ფერეიდნელები მდიდარი ხალხი არავართ, მაგრამ რამდენიმე ბიზნესმენი ჩვენცა გვყავს; ზოგიერთმა მათგანმა ქართველ ბიზნესმენტან საქმის დაჭერა სცადა, მაგრამ ყველა მისი მცდელობა მარცხით დასრულდა, რადგან ქართველმა პარტნიორმა იგი „გადააგდო“...

რომელი აღმსარებლობით შეიძლება ასეთი ქმედების „გამართლება“? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მკითხველისთვის მიმინდვია.





# როგორ მოკლეს გენერალი ლიახოვი ლაზა ფირალეზა

მიხეილ ლაბაქა

მეფის რუსეთის არმიის გენერალისა და დენიკინის „მოხალისეთა რუსული არმიის“ ერთ-ერთი მესვეურის, ვლადიმირ ლიახოვის სახელი ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგა ხანს ტაბუდადებული იყო. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგაც კი, არავის არაფერი დაუნერვა იმის თაობაზე, რომ | მსოფლიო ომის დროს — 1915 წლის გაზაფხულზე, ბათუმის ოლქის მურულულის მაზრაში (ეს ტერიტორია ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის), პლასტუნთა ქვედანაყოფებმა ადგილობრივ ქართველთა (ლაზთა და ნეგალელთა) გენოციდი სწორედ გენერალ ლიახოვის მეთაურობით განახორციელეს. ამ საკითხს ვრცლად ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსი, დევიდ ლენგი შექსო, რომელმაც დაადგინა, რომ ლიახოვის პლასტუნებმა 1915 წლის აპრილიდან ივნისამდე 100 ათასამდე ქართველი მშვიდობიანი მოსახლე გაანადგურეს. ამითავე დიდი უმრავლესობა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი იყო; ხოლო მათი „დანაშაული“ კი მხოლოდ ის გახლდათ, რომ ქართველები იყვნენ და იმანად გერმანიაში მოქმედ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“ თანაუგრძობდნენ.

1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შემდგომ გენერალი ლიახოვი, რომელიც მანამდე კავკასიის პირველ საარმიო კორპუსს მეთაურობდა, „თეთრ მოძრაობას“ შეუერთდა და 1918 წლის ზაფხულში ანტონ დენიკინის „მოხალისეთა რუსულ არმიაში“ შევიდა. იგი სათავეში ჩაუდგა პლასტუნთა დივიზიას, რომელიც ვლადიკავკაზის რკინიგზას იცავდა. ლიახოვმა ჩრდილოკავკასიელ მთიელთა შორის მალე გაითქვა სახელი, როგორც ერთ-ერთმა უსასტიკესმა გენერალმა — მისი სახელით ჩეჩნები და ინგუშები ურჩ ბავშვებს ამინებდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ მთიელებმა რვაჯერ სცადეს ვლადიმირ ლიახოვის მოკვლა, მაგრამ გენერალმა თავდამსხმელები რვაჯერვე დახოცა, თავები მოჰკვეთა და ვლადიკავკაზში, თავისი შტაბის შენობის წინ მარგილებზე ჩამოაცვა.

1919 წლის იანვარში, ანტონ დენიკინმა ვლადიმირ ლიახოვი თერგ-დალესტინის ოლქის ქვედანაყოფთა სარდლად დანიშნა; მიუხედავად იმისა, რომ

მოვალეობას ბრწყინვალედ ასრულებდა, იმავე წლის მარტში, გენერალი ჩრდილო კავკასიიდან მოულოდნელად გაქრა — ოფიციალური რუსული წყაროებით, ის იძულებული გახდა, გადამდგარიყო, რადგანაც მისი შტაბბინის კომენდანტმა, კაპიტანმა ჩაიდ-ოიანცმა ქურდობა ჩაიდინა, ხოლო ანტონ დენიკინმა კი მთელი პასუხისმგებლობა გენერალ ლიახოვს დააკისრა. ამ უკანასკნელმა მოპარული ნივთების საფასური გადაიხადა, პროტესტის ნიშნად სარდლობიდან გადადგა და ჩრდილო კავკასიაც საერთოდ დატოვა.

სინამდვილეში, დენიკინსა და ლიახოვს შორის არავითარი უთანხმოება არ მომხდარა — სისასტიკით ცნობილი გენერლის გაქრობა „მოხალისეთა რუსული არმიის“ უმაღლესი სარდლობის საიდუმლო გეგმებს უკავშირდებოდა. ანტონ დენიკინმა, რომელიც რუსეთის იმპერიის აღდგენაზე ოცნებობდა, 1919 წლის გაზაფხულზე მზერა მიაპყრო შავი ზღვის უმნიშვნელოვანეს ნავსადგურს — ბათუმს, სადაც იმხანად „ერთა ლიგის“ მანდატით ბრიტანელები იმყოფებოდნენ. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის გაზაფხულზე, ოსმალებმა ბათუმის და მისი ოლქის ოკუპაცია მოახდინეს. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა მაშინვე საბრძოლო მოქმედებები წამოიწყეს, მაგრამ დავაში დიდი ბრიტანეთი ჩაერია — მისმა მესვეურებმა ბათუმის ოლქში ადგილობრივ მოსახლეთა თვითგამორკვევის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება ივალდებულებს; მანამდე კი ოსმალების იმპერიას და ამიერკავკასიას დაპირისპირების რეგიონიდან ჯარების გამოყვანა მოსთხოვეს. მოთხ-



გენერალი ვლადიმირ ლიახოვი

ოვნა შესრულდა, ბრიტანეთმა კი ბათუმის ოლქში ინდოეთის კოლონიური არმიის ნაწილები (სიქები) შეიყვანა. გენერალ-გუბერნატორად ინგლისელი გენერალი კუკ კოლისი დაინიშნა, ხოლო სამოქალაქო ხელისუფლება ჩაჰბარდა ბათუმის საოლქო საბჭოს, რომელსაც დროებითი მთავრობის ყოფილი წარმომადგენელი, კადეტი პეტრე მასლოვი ხელმძღვანელობდა. ეს უკანასკნელი დენიკინის მეგობარი იყო და „დიადი და განუყოფელი რუსეთის“ აღდგენაზე ოცნებობდა.

ბათუმში ანტონ დენიკინმა ლიახოვი უაღრესად მნიშვნელოვანი მისიონით გაგზავნა: „ბათუმის ოლქის ბედი რეფერენდუმით უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ერთიანი რუსეთის ინტერესებს იქ არავინ ითვალისწინებდა, ჩემი მეგობრის — პ. მასლოვის გარდა... ამიტომ ჩვენ ველიკორუსულ საქმეთა მოსაგვარებლად, ბათუმში გენერალი ვლადიმირ ლიახოვი გავგზავნეთ, რომელიც იქაურობას ჯერ კიდევ | მსოფლიო ომის დროიდან ძალიან კარგად იცნობდა“, — წერდა დენიკინი თავის მოგონებათა ნიგნში; აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ იმ დროს „თეთრ მოძრაობაში“ საკმაოდ ძლიერი იყო პროგერმანული ფრთა, რომელსაც გენერალი პეტრე კრასნოვი მეთაურობდა. ანტონ დენიკინი ხვდებოდა, რომ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია „თეთრებს“ ველარ დაენმარებოდა, ამიტომაც პრობრიტანული ორიენტაციის ადგა გადაწყვიტა. გარდა ამისა, მას უნდო-

ვლადიმირ ლიახოვი (მარცხნივ) ბათუმის საოლქო საბჭოს მეთაურ პ. მასლოვთან ერთად, 1919 წლის ფოტო





და, ბათუმი „თეთრი მოძრაობის“ საიმედო დასაყრდენად ექცია და როდესაც რუსეთის იმპერია კვლავ აღდგებოდა, შავი ზღვის ეს უმნიშვნელოვანესი ნავსადგური, მთელ საქართველოსთან ერთად, ისევ რუსებს რგებოდათ.

სხვათა შორის, იმხანად დიდი ბრიტანეთის მესვეურები მიიჩნევდნენ, რომ რუსეთის დაშლა მსოფლიოსათვის ნამდვილი გეოპოლიტიკური კატასტროფა იქნებოდა — „თუ დაფუძვებით იმას, რომ რუსეთის ხალხებმა ეროვნული თვითგამორკვევის საფუძველზე მიიღონ დამოუკიდებლობა, მაშინ მალე მოგვინებს იმის აღიარებაც, რომ ირლანდიელი ან ინდოელი სეპარატისტების მოთხოვნებიც კანონიერია“, — ხშირად აღნიშნავდა ბრიტანეთის იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრი დევიდ ლოიდ ჯორჯი. ამიტომ ანტონ დენიკინმა სწორი და შორსმჭვრეტელოური დასკვნები გააკეთა — ჯერ გენერალი პეტრე კრასნოვი ბრიშორა, მერე კი ბათუმში მყოფ ბრიტანულ ადმინისტრაციასთან დაიწყო ფლირტი.

1919 წლის მარტის ბოლოს, გენერალი ლიხაოვი ბათუმში ინკოგნიტოდ ჩავიდა და კადეტ მასლოვს ეწვია. ცხადია, ამ უკანასკნელმა იგი დიდი პატივით მიიღო და გენერალ-გუბერნატორ კუკ კოლისსაც წარუდგინა. ბათუმის ბრიტანულ ადმინისტრაციაში გავლენის მოპოვება ვლადიმირ ლიხაოვს არ გასჭირვებია — ინგლისელმა გუბერნატორმა იგი „თეთრი მოძრაობის“ საგანგებო წარმომადგენლად ოფიციალურად აღიარა და შემდეგ კი ანტონ დენიკინსაც ნოვოროსიისკში რამდენჯერმე იარაღის სოლიდური პარტია გაუგზავნა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ლიხაოვს კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი დავალებაც ჰქონდა — მას ბათუმში, ყველასაგან საიდუმლოდ, მძლავრი პრორუსული გაერთიანება უნდა შეექმნა, რომ რეფერენდუმის ჩატარებისა და ბრიტანელების გასვლის შემდგომ, დენიკინის დახმარებით, მთელ ოლქში ძალაუფლება ხელში ჩაეგდო. ამ მიზნით, ვლადიმირ ლიხაოვი ბათუმის რუსული დიასპორის წარმომადგენლებს თავის ირგვლივ იკრებდა.

იმ დროს, ბათუმსა და მთლიანად აჭარაში უმთავრესი პრობლემა პროოსმალურად განწყობილი ელემენტების განუსჯელი პარპაში იყო — კადეტ პეტრე მასლოვთან თავს ცნობილი ახალციხელი კრიმინალი და პატრიოტ ქართველთა მოსისხლე მტერი, სერგერ-ბეგ ქვაბლიანელი აფარებდა, რომელიც ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ოსმალური რესპუბლიკის დეფინილ მთავრობას“ ხელმძღვანელობდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ბა-

თუმი ოსმალებს დარჩენოდათ. სერგერ-ბეგის ხალხი ბრიტანული ადმინისტრაციის ფარული მხარდაჭერითაც სარგებლობდა; ისინი ბათუმში გამოსცემდნენ გაზეთს „სედაი მილეთი“ (ოსმალურად — „ხალხის ხმა“), რომლის რედაქტორიც ტრაპიზონის ვილაიეთის ყოფილი პროკურორი, ნეჯათიბეი მედიშოლი იყო. რაც შეეხება ქართულ პარტიებსა და დაჯგუფებებს — ბათუმში ყველაზე მეტნი მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები) იყვნენ; მეზობლად — ლაზისტანის ყოფილ

სანჯაყში არაღებულად ისევ მოქმედებდა „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტი“, რომელიც ჯერ კიდევ 1915 წელს შეიქმნა, მაგრამ 1918 წლის მარტში, ლაზისტანში შემოსულ ოსმალურ არმიასთან ბრძოლაში მისი წევრების დიდი ნაწილი და მეთაურები განადგურდნენ. ვინც გადარჩა, ტყვეს შეაფარა თავი და ძველ ხელობას — ფირალობას დაუბრუნდა. 1919 წლის დასაწყისში, სოფელი პატრიოტის, ჰელიმ ჩოხატაროლის თაოსნობით, ეს ხალხი ისევ შეიჭრიბა და საქართველოსთან შეერთებისათვის დაიწყო ბრძოლა.

ცხადია, ვლადიმირ ლიხაოვი ბათუმში გამოჩენისთანავე ჩაერია ქართულ-ოსმალურ დაპირისპირებაში — მან ბათუმის საქალაქო საბჭოში ე.წ. „ეროვნებათა-შორისი კომისია“ შექმნა და ბრიტანელებს აღუთქვა, რომ ქართველებსა და ოსმალებს შორის ბათუმელი რუსები ჩადგებოდნენ. აღსანიშნავია, რომ „ეროვნებათაშორისი კომისია“ ფაქტობრივად, დამსჯელ რაზმად იქცა — ეთნიკური დაპირისპირების აღკვეთის საბაბით, ლიხაოვის ხალხი ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში რეიდებს აწყობდა, „ურჩ მუუიკებს“ სჯიდა და „წესრიგს“ ამყარებდა. გენერალი სერგერ-ბეგის ბანდიტების მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამო ქართველ მაჰმადიანებს აწიოკებდა და ქრისტიან ქართველობასაც მათ წინააღმდეგ განაწყობდა; ბათუმის ქართულმა პარტიებმა ამგვარი უსამართლობა ერთხანს ითმინეს, მაგრამ როცა სხვა გზა აღარ დარჩათ, შოვინისტი რუსი გენერლის სიკვდილით დასჯა გადანწყვიტეს; თუმცაღა, აქ კიდევ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი — ვლადიმირ ლიხაოვი გენერალ-გუბერნატორ კუკ კოლისის დიდი მხარდაჭ-

ერთ სარგებლობდა, მენშევიკებსა და ესერებს კი ბრიტანულ ადმინისტრაციასთან დაპირისპირება არ სურდათ, რადგანაც საქართველოს მთავრობას მაშინ მკვეთრად პრობრიტანული კურსი ჰქონდა აღებული და ცდილობდა, ბათუმი მშვიდობიანი გზით შეეერთებინა. კუკ კოლისთან დაპირისპირებას, შესაძლო იყო, რეფერენდუმის გადატანა მოჰყოლოდა, ეს კი საქართველოს მთავრობის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

აქედან გამომდინარე, ბათუმის



კოლხური არმიის სიქში ჯარისკაცები ბათუმის რკინიგზის სადგურში, 1919 წლის ფოტო

ქართული პარტიების მესვეურებმა მოილაპარაკეს, რომ ლიხაოვის ლიკვიდირება „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტისათვის“ შეეთავაზებინათ — ლაზეთში გენერლის სიკვდილი ისედაც ბევრს სურდა, რადგან 1915 წელს, მურულის ხეობაში მომხდარი გენოციდი კარგად ახსოვდათ. თუკი მკვლელობას ლაზისტანის ყოფილი სანჯაყის მკვიდრნი ჩაიდენდნენ, ბრიტანული გამოძიება საბაბად სწორედ 1915 წლის მოვლენებს ჩათვლიდა, მენშევიკები და ესერები კი საქმიდან „სუფთად“ გამოვიდოდნენ. მართლაც, მენშევიკები და ესერები ხოფაში ჰელიმ ჩოხატაროლის და მის ხალხს დაუკავშირდნენ და დახმარება სთხოვეს. ჩოხატაროლი დათანხმდა, მაგრამ საყვედურიც გამოთქვა — აქამდე რატომ არაფერი გაგვაგებინეთ, მაგ გიაურის მოსაკლავად რუსეთშიც კი მინდოდა ხალხის გაგზავნაო.

საბოლოოდ, „ლაზეთის კომიტეტმა“ ტერაქტის მოწყობა ხუთ კაცს — აზლალელ რასიმ კოსტოლის, სუნდურელ მემედ-ალი ჭერკეზოლის,





პაპილათელ ენვერ დელიკურტოლის, ლიმანელ სულიემან ჩაქიროლის და ხოფელ ზაბით აბდულოლის დაავალა. ხუთივენი სახელგანთქმული ფირალები იყვნენ, განსაკუთრებით კი

და თავდამსხმელებს შეუტია. მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცები მეტნი იყვნენ, ფირალებმა გაქცევა და მიმალვა მაინც შეძლეს; მძიმედ დაჭრილი რასიმ კოსტოლიც თან

მოკვდებოდა და, ძმასაც ამიტომ უხმო. 14 წლის იბრაჰიმ კოსტოლი ბათუმში ორიოდ დღეში მართლაც ჩავიდა და მძიმედ დაჭრილი ძმა რომ დაინახა, მაშინვე „მაუზერი“ მოითხოვა. ფირალებმა ბიჭი დაამშვიდეს და ლიხაზოვის დასჯა მეორე დღისთვის დაგეგმეს.

1919 წლის 10 ივლისს, დილით ადრე, გენერალ ლიხაზოვის სახლის კარზე იბრაიმ კოსტოლიმ დააკაკუნა. ბიჭს გიმნაზიელის ფორმა ეცვა და ხელში მოზრდილი კონვერტი ეკავა. ჩვეულებისამებრ, კარი გენერლის მსახურმა, პავლე კარპოვმა გააღო და იბრაჰიმს ჯერ რუსულად, მერე კი დამტკრეული ოსმალურით ჰკითხა, რა გნებავთო. პასუხად, 14 წლის ტერორისტმა მოულოდნელად, კონვერტიდან ხმისჩამწობიანი რევოლვერი ამოიღო და კარპოვს ერთი გასროლით ბოლო ისე მოუღო, რომ ამ უკანასკნელმა დაყვირებაც კი ვერ მოასწრო. იბრაჰიმმა იქვე, სადარბაზოში ჩასაფრებულ ფირალებს ანიშნა და, ისინიც ლიხაზოვის ბინაში უცებ, ფეხაკრევით შევიდნენ. როგორც აღმოჩნდა, გენერალს ეძინა და სწორედ მაშინ გამოეღვიძა, როცა თავდამსხმელები უკვე სანოლ ოთახში იყვნენ. „პავლე სად არის?“ — ამის კითხვალა მოასწრო მან და ზაბით აბდულოლიმაც უცებ „მაუზერის“ სასხლეტს თითი გამოჰჭრა. ვლადიმირ ლიხაზოვს ტყვია შუბლში მოხვდა და მაშინვე სული განუტევა. ამის შემდეგ კი, ფირალებმა სახლი გაჩხრიკეს და ხელს მხოლოდ დენიკინის ნაჩუქარი „მაუზერი“ გააყოლეს.

ვლადიმირ ლიხაზოვის გვამი მეზობლებმა ოთხიოდე საათის შემდეგ აღმოაჩინეს და ამის თაობაზე ბრიტანულ ადმინისტრაციას აცნობეს. მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა, მაგრამ დამნაშავეებს ვერ მიაგნეს — ლაზი ფირალები უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასულები.

*P.S. გენერალ ლიხაზოვის მკვლელობის საქმე აღძვრიდან სულ ორიოდ თვეში — 1919 წლის სექტემბერში დაიხურა. მეგობრის მკვლელების მოქმედებას თავად ანტონ დენიკინიც ცდილობდა; მან მათი ვინაობა მართლაც დაადგინა, მაგრამ ბოლშევიკთა გადაკვიდეს, საზღვარგარეთ გაქცევამ მოუწინა ისე, რომ სხვა ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იბრაჰიმ კოსტოლიმ ლიხაზოვის მკვლელობის ამბავი პირველად 1937 წელს, ცნობილ ფრანგ ენათმეცნიერს, ჟორჟ დიუმენილს მოუყვა, ამ უკანასკნელმა კი ის 60-იან წლებში ლინგვისტური დოკუმენტის სახით გამოაქვეყნა.*



ლამ ფირალთა ხუთეული. დგანან: მემედალი ჭერკე-მოღლი, ენვერ დელიკურტოლი და იბრაჰიმ კოსტოლი; სხედან: სულიემან ჩაქიროლი და ზაბით აბდულოლი. 1919 წლის ფოტო

— რასიმ კოსტოლი, რომელმაც ლიხაზოვს პირველად 1915 წელს, მურღულის ხეობაშივე მოუწყო ტერაქტი, თუმცა მძიმედ დაჭრილი გენერალი მაშინ სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა; ხოლო რასიმმა კი ფიცი დადო, რომ ადრე თუ გვიან, დახოცილი მურღულელების გამო, შურს აუცილებლად იძიებდა. 1919 წლის ივნისის ბოლოს, ფირალთა ხუთეული მისი მეთაურობით, ბათუმის ოლქში შეუმჩნევლად გადავიდა და სოფელ მახოში ჩასიძებული ვინელი ხუროს — ბესიმ გენჯალოლის სახლში დაიდო ბინა; გენერალს რამდენიმე დღე უთვალთვალეს, კარგად დააზუსტეს ყველაფერი და ტერაქტიც დაგეგმეს.

1919 წლის 4 ივლისს, ფირალები ვლადიმირ ლიხაზოვს თავს სწორედ მაშინ დაესხნენ, როცა ეს უკანასკნელი, ორიოდ თანმხლებთან ერთად, ეტლით სახლისაკენ მიიჩქაროდა. დღევანდელ გამსახურდიას ქუჩაზე, „სურბ-პრკიცის“ სომხურ ეკლესიასთან ჩასაფრებულმა მემედალი ჭერკეზოლიმ ეტლს თვითნაკეთი ბომბი ესროლა, რომელიც რატომღაც არ აფეთქდა. ლიხაზოვი მიხვდა, რომ ეს ტერაქტი იყო, სწრაფად იძრო რევოლვერი და იქით ისროლა, საიდანაც ბომბი გადმოვარდა. ამ დროს, ქუჩის მოპირდაპირე მხრიდან რასიმ კოსტოლიმ გახსნა ცეცხლი, თუმცა ლა გენერლის ერთ-ერთმა მხლებელმა „მაუზერით“ მისი მძიმედ დაჭრა მოახერხა — ფირალს ტყვია ყელში მოხვდა. ლიხაზოვის ბედზე, იქვე ახლოს თურმე, სიქი ჯარისკაცების პატრული გადაადგილდებოდა, რომელმაც სროლის ხმის გაგონებისთანავე ქუჩა გადაკეტა

ნაიყვანეს.

ვლადიმირ ლიხაზოვზე თავდასხმის გამო, ბათუმის ქუჩები იმწამსვე გადაიკეტა და კონტროლიც გამკაცრდა. ფირალებმა ქალაქიდან გასვლა ვეღარ გაბედეს — ეს სახიფათო იყო; მით უმეტეს, რასიმ კოსტოლიც მძიმედ იყო დაჭრილი და ექიმი ესაჭიროებოდა. მათ თავი აზიზიეს (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე მდგარ პატარა დუქანს შეაფარეს, რომელიც ერთ-ერთ ლაზ ვაჭარს ეკუთვნოდა. ნარუმბეტლობის მიუხედავად, ფირალებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ — გადაწყვიტეს, რომ გენერლის მოკვლა ისევე ეცადათ, ოღონდ ამჯერად არა ხმაურიანი ტერაქტით, არამედ უჩუმრად. ამასობაში კი, ბრიტანულმა ადმინისტრაციამ ქალაქში ტერორისტთა საფარაუდო პორტრეტები გაავრცელა და მათ დამტკრებებს ჯილდოდ სოლიდური თანხა — 100 ათასი ოსმალური ოქროს ლირა (იმხანად ბათუმის ოლქში ძირითადი ფულის ერთეული ლირა იყო) აღუთქვა. ასე რომ, ფირალები ბათუმში აშკარად ვეღარ გამოჩნდებოდნენ, რადგან ლაზური ჩაქურები ეცვათ და ძალზე იოლად ამოიცნობდნენ.

ამავდროულად, რასიმ კოსტოლიმ, რომელიც გენერლის ლიკვიდაციაშიც, ცხადია, მონაწილეობას უკვე ვეღარ მიიღებდა, მასპინძლის პირით ლაზეთში, სოფელ აზლალაში თავის 14 წლის ძმას შეუთვალა, სასწრაფოდ ჩამოდიო. საქმე ის იყო, რომ კოსტოლის რამდენიმე ახლო ნათესავი გენერალ ლიხაზოვს პირადად ჰყავდა დახვრეტილი; ამდენად, რასიმს სისხლი აუცილებლად უნდა აეღო, მაგრამ შეეშინდა — არ



# იგავი მდიდარსა და ლაზარესა


## შორენა პერაქვილაძე

„მდიდრისა და გლახაკი ლაზარეს“ იგავი მოთხრობილია ლუკას სახარების მე-16 თავში: „იყო ერთი მდიდარი კაცი, რომელიც ძონეულითა და ბისონით იმოსებოდა და ყოველდღე ნადიმობდა. ასევე იყო ერთი გლახაკი ლაზარე, რომელიც ამ მდიდრის ჭიშკართან იწვა, ერთიანად დანყლულებული. იმის ნატრული იყო, რომ მდიდრის სუფრიდან გადმოცვენილი ნამცეცები ეჭამა. ძაღლები მიდიოდნენ და ნყლულებს ულკავდნენ.“

მოკვდა ლაზარე და ანგელოზებმა მიიყვანეს აბრაამის ნიალში. მდიდარიც მოკვდა და დამარხეს. როდესაც ჯოჯოხეთში, ტანჯვა-წამებებში მყოფმა თვალი აახილა, შორიდან დაინახა აბრაამი და ლაზარე მის ნიალში. მდიდარმა შესძახა: მამაო აბრაამ, შემიწყალე და მომივიღე ლაზარე, რომ თავისი თითის წვერი წყალში დაისველოს და ენა გამიგრელოს, ვინაიდან ამ ალში ვიტანჯებიო. აბრაამმა მიუგო: „შვილო, გაიხსენე, რომ უკვე მიიღე შენს სიცოცხლეში სიკეთე, ლაზარემ კი — ბოროტება. ახლა ის აქ ნუგეშობს, შენ კი იტანჯები. ყოველივე ამის გარდა, ჩვენსა და თქვენ შორის დიდი უფსკრულია დამყარებული, ისე, რომ აქედან თქვენკენ გადმოსვლის მსურველები ვერც ჩვენგან თქვენკენ გადმოსვლენ და ვერც თქვენგან — ჩვენკენ“. ამის შემდეგ მდიდარმა სთხოვა: „რაკი ასეა, გვედრები, მამაო, მიავიღე ეგ მამაჩემის სახლში. ვინაიდან ხუთი ძმა მყავს, რათა მათ დაუმონწიოს, რომ არ მოხვდნენ ამ სატანჯველ ადგილას“. აბრაამმა უთხრა: „მათ ჰყავთ მოსე და წინასწარმეტყველნი; მათ უსმინონ“. მდიდარმა კვლავ თხოვნით მიმართა: „არა, მამაო აბრაამ, თუ ვინმე მკვდართაგანი მივა მათთან, მოინანიებენ“. ამაზე აბრაამმა ასეთი პასუხი გასცა: „თუ მოსესა და წინასწარმეტყველთ არ მოუსმენენ, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, არ იწმუნებენ...“ იგავს განგვიმართავს **არამიანდრეი ბაბარი** (აბესაძე):

— იგავში „მდიდარი და ლაზარე“ უფალი ერთმანეთს უპირისპირებს მდიდარ და ღარიბ ადამიანებს. მდიდარ კაცს მაქსიმალური მინიერი პატივი და დიდება ჰქონდა მოპოვებული. ლაზარეს არც თავშესაფარი აქვს და არც არსებობის სახსარი. მდიდარი ყოველდღე ხედავდა მას. ლაზარეც ხედავდა, რა ხდებოდა მდიდარი კაცის სახლში... იგავის მომდევნო ნაწილში ჩანს, რომ გარდაცვალების შემდეგ მდიდარი ჯოჯოხეთში იპყიდრებს ადგილს, გლახაკი

კი ლაზარე კი — „აბრაამის ნიალში“ ხვდება — ცხონდება. ამ იგავით უფალი ხაზს უსვამს, რომ ღვთის წინაშე მნიშვნელობა აქვს არა სიმდიდრესა და მინიერი ყოფას, მინიერი უპირატესობას, არამედ ადამიანის სულიერ მდგომარე-



ობას, ამიტომაც დაუპირისპირა მაცხოვარმა იგავში ერთმანეთს ორი სხვადასხვა სულიერი მდგომარეობის ადამიანი — მდიდარი, რომელიც არის უმოწყალო, და ღარიბი ლაზარე, რომელიც გულმონყალე, ღვთის მოყვარული და მიმტყვეველია. რის გამოც ცხონდა ლაზარე? ღმერთს არ ჰყვედრიდა, არავის აბრალებდა თავის მდგომარეობას; მოთმინებითა და მორჩილებით იღებდა თავის ხვედრს. მიუხედავად ამისა, რომ ხედავდა — მდიდრის ტაბლიდან გადაყრილი საკვებით ძაღლები იკვებებოდნენ, ერთხელაც კი არ განუკითხავს მდიდარი.

ლაზარე არა მარტო ღარიბი, არამედ მძიმედ დასნეულებულიცაა. მაცხოვარი გვეუბნება: „ძაღვნიცა მივიდოდნენ და ლომნიდნენ წყლულებსა მისსა“. იგავის ამ ადგილზე საუბრისას, წმინდა მამები ბრძანებენ: დაუკვირდით, ზოგჯერ პირუტყვიც კი უგუნურ ადამიანზე გაცილებით აღმატებულია — მდიდარი ადამიანი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ლაზარეს, ძაღლები კი წყლულებს ლოკავდნენ, რათა ამით შვება მიენიჭებინათ მისთვის.

მდიდარზე საუბრისას მაცხოვარი ყურადღებას არ ამახვილებს მისი სიმდიდრის წარმომავლობაზე, არამედ მის

ქონებაზე მიჯაჭვულობასა და უგულობაზე, უმოწყალობაზე. ცხადია, ქონება კეთილსინდისიერი გზით და საკუთარი შრომით უნდა ჰქონდეს მოპოვებული ადამიანს, მაგრამ მეორე მხრივ, როგორი კეთილსინდისიერი გზითაც უნდა მოიპოვოს კაცმა სიმდიდრე და ქონება, ეს უფლებას არ აძლევს, სიმდიდრეს მიეჯაჭვოს და მხოლოდ საკუთარი განცხრომით ცხოვრებას მოახმაროს. წმინდა მამები გვეუბნებიან: სიმდიდრე მაშინ ღუპავს კაცს, როდესაც მას ის ფლობს კაცს და არა კაცი — სიმდიდრეს. უამრავ ადამიანს ქონება მაცხოვრებლად ექცა, რადგან მას მონყალეობას ახმარდნენ. ამქვეყნად ყველაფერი უფლისაა — სიმდიდრეც ადამიანს უფლისგან ეძლევა, რათა კეთილად განაგოს.

ლაზარეს სიმდიდრეც რომ მისცემოდა, ის თავის ქონებასაც სულის ცხოვნებას, სასუფევლის მოპოვებას მოახმარდა, კეთილგონიერულად განაგებდა მას.

იგავის თანახმად, გარდაცვალების შემდეგ, ლაზარე ანგელოზებმა „აბრაამის ნიალში“ მიიყვანეს, მდიდარი კი ჯოჯოხეთში, სატანჯველში მოხვდა. როგორც ვიცით, ძველი აღთქმის პერიოდში დასშული იყო სასუფევლის ბჭენი, იქ ვერავინ შედიოდა ანუ — ცხონება შეუძლებელი იყო. მაცხოვრის მოსვლა, ღვთის განკაცება იმისთვის გახდა საჭირო, რომ ჯოჯოხეთის ბჭენი დასრულდეს და ადამიანი შერიგებოდა ღმერთს იმ მსხვერპლით, რომელიც თავად მაცხოვარმა გაიღო. სასუფევლის კარი სწორედ განკაცებული უფლის ჯვარცმითა და მკვდრეთით აღდგომით გაიხსნა. ამ დრომდე გარდაცვლილი მართალნიც ჯოჯოხეთში ხვდებოდნენ, მათთვის განკუთვნილ „აბრა-

**უყუჩაო!**  
www.palitrav.ge  
**PALITRA**  
TV-RADIO  
ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!





მის წიაღში“, მაგრამ „მდიდრისა და გლახაკი ლაზარეს“ იგავში „აბრაამის წიაღში“ იგულისხმება სასუფეველი. ამას იგავურად აბრაამის მდიდრისადმი ნათქვამი სიტყვებიც მოწმობს: „ჩვენსა და თქვენ შორის დიდი უფსკრულია დამყარებული...“ — ანუ მაცხოვარი ამ იგავს მომავლიდან ამბობს: როგორც ვიცით, როდესაც მაცხოვარი იგავებს წარმოთქვამდა, სასუფეველს ვერაფერ იმკვიდრებდა. ძველი აღთქმის დროს ადამიანები იმ იმედით, სასოებითა და რწმენით იყვნენ აღვსილი, რომ მოვიდოდა მაცხოვარი და იხსნიდა მათ სულებს, ტანჯვას არ განიცდიდნენ, თუმცა არც სიხარულსა და ნეტარებას განიცდიდნენ, რადგან გამოხსნის საიდუმლოება ვერაფერობით არ იყო აღსრულებული. ამიტომ, იგავის მეორე ნაწილში, როდესაც მდიდარი და ლაზარე უკვე გარდაიცვალნენ, უფალი აღგვიჩვენებს იმ მდგომარეობას, რომელიც უნდა დამდგარიყო მომავალში — მაცხოვრის ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის შემდეგ.

„მდიდრისა და გლახაკი ლაზარეს“ იგავის არსი არის ის, რომ დაგვანახვოს, თუ რა შეუძლია სიკეთეს და რა შედეგი მოჰყვება ბოროტებას, არალვთისათნო ცხოვრებას; როგორ შეიძლება დაღუპოს სიმდიდრემ ადამიანი, თუკი ის კეთილგონიერულად არ განაგებს თავის ქონებას და როგორ შეიძლება უკიდურეს სიღატაკეშიც კი ცხონდეს ადამიანი, თუკი მას აქვს უმაღლესი სათნოებები — გულმონყალება, განუკითხველობა, ღვთის სიყვარული და მოშიშება.

— როგორ შეიძლება გავიგოთ მდიდრის მიმართ აბრაამის იგავური თქმა: „გაიხსენე, რომ უკვე მიიღე შენს სიცოცხლეში სიკეთე და ლაზარემ კი — ბოროტება“?

— ვიდრე ადამიანის სული ხორცში იმყოფება, ვიდრე ადამიანი ცოცხალია, არ არსებობს კაცი, როგორი ბოროტიც უნდა იყოს, რაიმე სიკეთე არ ჰქონდეს; ასევე არ არსებობს ადამიანი, როგორი კეთილიც უნდა იყოს, რაიმე ბოროტება, ცოდვა არ ჰქონდეს ჩადენილი, „რამეთუ არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს“. ადამიანს, რომლის სულიერი მდგომარეობაც არის ისეთი, როგორიც მდიდარი კაცის იყო, — ამქვეყნიურის გარდა, აბსოლუტურად არაფერი აინტერესებდა და მისი მოქცევა შეუძლებელი იყო; იმ სიკეთის საზღაურს, რაც მას, როგორც კაცს, გაუკეთებია, უფალი აქვე, დედამიწაზევე აძლევს. ე.ი. უფალი მცირე სიკეთესაც არ უკარგავს ადამიანს. მდიდარი თავისი ცოდვებისა და უგუნურების გამო სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებდა, მაგრამ იმ მცირე სიკეთისთვის, რაც მას შეიძლება ჰქონოდა, აქვე მისცა უფალ-

მა სიკეთე. მაგრამ მცირედი სიკეთე, კეთილი საქმეები სასუფეველს ვერ მოაპოვებინებდა. ლაზარესნაირ კაცსაც, რომელსაც აქვს უამრავი სათნოება, შეიძლება ჰქონდეს ჩადენილი რაიმე ბოროტება, „რადგან არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს“, მაგრამ ლაზარემ თავისი გაჭირვებული მდგომარეობით, თავისი ცოდვებიც დაწვა ამ ქვეყანაზე და აბსოლუტურად უცოდველი წარდგა გარდაცვალების შემდეგ ღვთის წინაშე.

— რა არის უფლის სათქმელი იგავის ბოლო ნაწილის თანახმად, როდესაც ჯოჯოხეთში მყოფი მდიდარი თავის ძმებთან გაგზავნას ითხოვს, რაზეც აბრაამი მიუგებს „თუ მოსესა და ნინასწარმეტყველოთ არ მოუსმენენ, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, არ ირწმუნებენო“?

— იგავის ამ ადგილზე საუბრისას წმინდა მამები ბრძანებენ: უფალი ადამიანს ყველაფერს იმ დოზითა და ფორმით აძლევს, რაც მისი ცხოვრებისთვისაა საჭირო და აუცილებელი, დამატებითი სწავლებები და ქმედებები, მათ შორის სასწაულთა ძიება საჭირო აღარ არის.

— უფლის იგავთა შორის, „მდიდარი და ლაზარე“ ერთადერთია, როდესაც მაცხოვარი იგავის პერსონაჟს სახელით იხსენებს...

— როდესაც უფალი იგავებს ამბობდა, შეეძლო, პირობითად რაიმე სახელი ეთქვა — იუდა, სვიმეონი... მაგრამ ნებისმიერ მათგანთან დაკავშირებით, ვინმეს შეიძლებოდა ეფიქრა — ჩემზეა ნათქვამი; მაგრამ უფალი ხომ იგავებით, კონკრეტულ ადამიანს არასოდეს მიმართავდა. უფლის იგავების პერსონაჟებში თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი თავი უნდა ამოიცნოს, რათა შინაგანმა ხმამ მისი სინდისი გააღვიძოს და სინანულში მოვიდეს. სამწუხაროდ, ხშირად ისე ხდება — პატივმოყვარე და ამპარტავანი ადამიანი როცა თავის სახელს გაიგონებს, იფიქრებს, თავის მართლებას იწყებს და კიდევ უფრო ახშობს საკუთარ თავში სინდისის ხმას... რაც შეეხება ლაზარეს, — იმდენად კეთილად არის იგი წარმოჩენილი და იმდენად გაჭირვებულია და აღწერილი, რომ ერთი მხრივ, სულიერად, ლაზარეს ადგილას ყოფნას ყველა ინატრებდა და ინდომებდა, მეორე მხრივ კი, თავის თავზეც არავინ მიიღებდა, რადგან ასეთი გაჭირვებული თვითონ არ იყო... გადმოცემით, იმ დროს იერუსალიმში მართლაც ცხოვრობდა გლახაკი ლაზარე — უკიდურესად გაჭირვებული, რომელიც თავისი სათნოებებით იყო ცნობილი. ამის გამოც იყო, რომ უფალმა უკვე კონკრეტულად დაასახელა იგი.

## ტაბუ საკვება



ევროპელებისა და ამერიკელებისგან განსხვავებით, იაპონელები ძალზე იშვიათად ჭამენ საქონლისა და ფრინველის ხორცს, ცხოველურ ცხიმებსა და რძის პროდუქტებს, რადგან მათ რელიგია უკრძალავს ცხოველური საკვების მიღებას. სუმოისტებს წონის შესანარჩუნებლად, ცხოველური საკვები ესაჭიროებათ, მაგრამ აკრძალვა მათზეც მოქმედებს. შეჯიბრების დღეებში ფრინველის ხორცის ჭამა შეუძლიათ, მაგრამ არა საქონლის, რადგან ღორი და ძროხა ოთხ ფეხზე დადის — სუმოისტისთვის ოთხზე დადგომა კი წაგებას ნიშნავს. ჩინეთში სულ რამდენიმე წლის წინ დაიწყეს რძის პროდუქტების მიღება. მაგრამ დღემდე არ მიირთმევენ დამარილებულ თევზსა და „სალას“.

ინდოეთი ვეგეტარიანელების ქვეყანაა. ცხოველური საკვების მიღებას მათ რელიგია უკრძალავს. ძროხა მათთვის წმინდა ცხოველია და მის ხორცს დღემდე არ მიირთმევენ.

კარელიის მოსახლეობა არ მიირთმევს ცხენის, დათვის, ღორისა და კურდღლის ხორცს. დათვის ხორცზე უარის თქმას ახსნაც აქვს: ტყავა-ცლილი ცხოველის გვამი თურმე ადამიანისას ჰგავს. კარელიის მკვიდრთ სწამთ, რომ ისინი დათვის შთამომავლები არიან.

ძველი სლავები ფეხმძიმე ქალს უკრძალავდნენ: თევზის ჭამას — რათა ბავშვი ყრუ არ დაბადებულიყო;





შეზრდილ ხილ-ბოსტნეულს — ტყუპი რომ არ გაეჩინა; კურდღლის ხორცის ჭამას — რადგან მიაჩნდათ, რომ ამ ცხოველს არასდროს სძინავს და ბავშვიც უძილობით დაიტანჯებოდა.

ამერიკელებს ჭამაში შეზღუდვა არა აქვთ. მაგრამ არ მიირთმევენ ძაღლის ხორცს. სამაგიეროდ, კორეაში, ჩინეთსა და ვიეტნამში სხვადასხვა კერძს ძაღლის ხორცისგან ამზადებენ და ზოგიერთი ჯიშის „ადამიანის ოთხფეხა

მეგობარს“ საგანგებოდ ამრავლებენ კიდეც.

ტანზანიისა და მოზამბიკის (აფრიკა) ზოგიერთი ტომის წარმომადგენელი, რომელიც მეცხოველეობას მისდევის, არ ჭამს თევზს. ტომელებს აკრძალული აქვთ რძისა და ხორცის ერთად მომზადება. მიაჩნიათ, რომ თუ ხორცს რძე შეერევა, ძროხები ამოწყდებიან ან რძე გაუშრებათ. ისინი ხორციან კერძს რძის დაღვევიდან მხოლოდ 12 საათის გასვლის შემდეგ შეჭამენ. ამავე

ტომის ქალებს კი ფრინველის ხორცის ჭამა ეკრძალებათ, რათა ქარაფშუტები და მოლალატეები არ გახდნენ. აფრიკის ზოგიერთ ტომში მაიმუნის ხორცს მიირთმევენ.

კამბოჯის ხელისუფლებამ მოსახლეობას აუკრძალა კუს, ვეფხვის, დათვისა და გველის ხორცის ჭამა, რათა ზემოწამოთვლილი ცხოველები განყვეტის პირასაა.

მუსლიმანურ ქვეყნებში აკრძალულია ღორის ხორცის ჭამა. ■

## ყველაზე, ყველაზე...

✦ კოლუმბიის პროვინცია ჩაკოში ყველაზე მეტი ნალექი მოდის — საშუალოდ, 12 მმ დღე-ღამეში. 1974 წელს კი ქალაქ ტუტუნენდოში რეკორდული რაოდენობის — 26 მმ ნალექი მოვიდა. წვიმიან ადგილად ითვლება ჰავაის არქიპელაგში, კუნძულ კაუაიზე მდებარე მთა ვაი-ალე-ალე. იქ წელიწადში მხოლოდ 15 მზიანი დღეა, დანარჩენ დროს კი წვიმს.

✦ ჩრდილოეთ ამერიკის Mount Rainier-ის მთები ყველაზე თოვლიან ადგილად ითვლება — 1971-72 წლებში აქ თოვლის საფარმა 28,5 მეტრს მიაღწია. 1927 წლის 14 თებერვალს იაპონიაში, იბუკის მთაზე 12-მეტრიანი თოვლი იდო.

✦ დედამიწის ყველაზე მშრალ ადგილად ატაკამას უდაბნო (ჩილე, სამხრეთ ამერიკა) ითვლება. სინოპტიკოსების ცნობით, ქალაქ არიკაში 1903-დან 1918 წლამდე წვიმა არ მოსულა. ასეთი გვალვა ფლორა-ფაუნისა და ადამიანისთვისაც საშიშია.

✦ კალიფორნიაში „სიკვდილის მდელი“ პლანეტის ერთ-ერთ მშრალ ადგილად ითვლება. იშვიათად წვიმს, ქალაქ ბალდაში (ამერიკაშიც არსებობს ასეთი სახელწოდების ქალაქი) წვიმა 767 დღე არ ყოფილა. 1991 წელს, უამინდობის გამო, ქალაქი უკანასკნელმა მოსახლემ დატოვა.

✦ გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, პლანეტის ყველაზე ქარიანი ადგილი ანტარქტიდაში მდებარეობს. ქარის სიჩქარე საათში 240 კმ-ს აღწევს.

✦ ძლიერი ქარი იცის ორეგონის (აშშ) უკიდურეს დასავლეთ წერტილში — იქ ქარის სიჩქარე 200 კმ/სთ-ს აღწევს.

✦ ყველაზე ღრმა — 2191 მეტრი — კრუბერის გამოქვაბული აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი 1960 წელს გეოგრაფმა ალექსანდრ კრუბერმა აღმოაჩინა. ავსტრალიური გამოქვაბულის — Lamprochtsofen-ის სიღრმე 2000 მეტრია.

✦ კუნძულებსა და კონტინენტებს შორის ყველაზე მოშორებულია უკაცრიელი კუნძული ბუვე. იგი ნორვეგიას ეკუთვნის. ბუვენსა და უახლოეს კონტინენტს (ანტარქტიკა) შორის მანძილი 1600 კმ-ია. ახლომდებარე დასახლებულ კუნძულ ტრისტან და კუნიას შორის



2260 კმ-ია. ხოლო დასახლებულ კონტინენტს (სამხრეთ აფრიკა) შორის — 2680 კმ.

✦ 10 ათას კვკმ-ზეა გადაჭიმული დედამიწის ყველაზე ბრტყელი — ბოლივიის ველი, სალარ დე უინი. ძველად ამ ადგილზე ტბა იყო, ახლა კი მიწა 1 მეტრამდე სისქის მარილითაა დაფარული. წელიწადის მთელ დროს ველი გამომშრალია, მხოლოდ ნოემბერში, წვიმების დროს იფარება წყლით და ვარდისფერი ფლამინგოების სადგომად იქცევა, რომლებიც თბილ და მარილიან წყალში ამოზრდილი, წითელი წყალმცენარეებით იკვებებიან. ■



# გზაში საკითხავი კოლაჟი

ქპლენელი თქვს ივანიძე

1. ბუდას თექვსმეტი მონაწევე ჰყავდა.
2. „იფელი“ შემოდგომაზე ნათესი ხორბალია.
3. გენუფობია საფრანგეთისა და ფრანგული კულტურის შიშია.
4. მწერებში ოთხჯერ მეტი პროტინია, ვიდრე ძროხის ხორცში.
5. რასპუტინის ერთ-ერთი მკვლელი, თავადი იუსუპოვი, ბისექსუალი იყო.
6. შეერთებულ შტატებში ქალიშვილობის დაკარგვის პიკი ივლისის თვეში დგება.
7. პიანისტს, რომელიც მუნჯი ფილმების ჩვენების დროს როიალზე უკრავდა ტაპიორი ერქვა.
8. თეთრი დათვი იმდენად დაცულია სიცივისგან თავისი ქურქით, რომ ინფრანითელ კამერას, რომელიც სითბოზე რეაგირებს, მისი დანახვა უჭირს.
9. კატები წარმატებული მონადირეები არიან. მარტო დიდი ბრიტანეთში ისინი წელიწადში 4 მილიონ მგალობელ ფრინველს და მილიონ მცირე ზომის ცხოველს ანადგურებენ.
10. სათამაშოების კოლექციონერთათვის ძალზე მნიშვნელოვანია სათამაშოსთან ერთად მისი კოლოფის ფლობა. კოლოფი საგრძობლად ზრდის საკოლექციო ნივთის ფასს.
11. მტკვრისა და არაგვის წყალშესაყართან ქალაქი მცხეთა მდებარეობს, მტკვრისა და გუჯარეთისწყლის წყალშესაყართან — ბორჯომი, ყვირილასა და ძირულას წყალშესაყართან — შორაპანი, თეთრი და შავი არაგვის წყალშესაყართან — ფასანაური.
12. „იარალისა და აღჭურვილობის სიმსუბუქეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველი ზედმეტი გრამი მძიმე ტვირთია ჯარისკაცისთვის. ათვილომეტრიანი კროსის გარბენისას გრამები კილოგრამებად იქცევა, კილოგრამები კი — მტკივან კუნთებად“, — ამბობენ სპეცრაზმელები.
13. „ან გამარჯვება, ან ვესტმინსტერის სააბატო!“ — გაჰყვიროდა ესპანელების „უძლეველ არმადასთან“ ბრძოლის დროს ჰორაციო ნელსონი.
14. პირველი ქალი, რომელმაც მყინვარწვერი დაიპყრო, რუსი მასწავლებელი მარია პროუბრაჟენსკაია იყო. იგი მყინვარწვერზე პირველად 1901 წლის 2 აგვისტოს გაიყოლ ისაკ ბეზურთანოვის თანხლებით ავიდა. მას მერე ალპინისტმა ქალმა კიდევ რვაჯერ დალაშქრა მყინვარწვერი.
15. ტუბერკულოზზე გამოკვლევის მომიზეზებით, ფაშისტები ჩხეთის მოქალაქეებს ფარულად რასობრივი ნიშნით ახარისხებდნენ და იმ ჯგუფებს გამოყ-

# თუ სვრინვამ სისოსხლე ბაბიმწარბო...

ბევრმა შეიძლება არც კი იცის, რომ სვრინვის მიზეზით ოჯახებიც კი დანგრეულა. მაგრამ თუ ქმრის მიმართ სხვა პრეტენზია არ გაგაჩნიათ, მაშინ გაეცანით ჩვენს რჩევებს, ვგებ განხეთქილება თავიდან აიცილოთ.

**ფსიქოლოგიური:** ჩაუნერგეთ საკუთარ თავს, რომ სვრინვა სულაც არაა ისეთი საშინელება, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. წამოიდგინეთ, თითქოს აფრიკის სავანეში, კარავში გძინავთ და გარეული ცხოველების ბრდღვინვა გესმით. ხომ რომანტიკულია? რაც შეეხება ძილს, გამოიძინეთ მაშინ, როცა ამის შესაძლებლობა მოგეცემათ.

**ფილოსოფიური:** მოდი, საკითხს ასეთნაირად მივუდგეთ: რა არის 2-3-საათიანი ძილი სიყვარულთან შედარებით? ნუთუ, ამ ხმაურს შეუძლია, საყვარელი არსება შეგაძულოთ? ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, მის ადგილას თავად აღმოჩნდეთ?!

**შეღარებით:** წარმოიდგინეთ უარესი ხმაური (მონოტონური). მაგალითად, როცა ონკანიდან გამუდმებით მოწვეთავს წყალი თუ კარგად, „ნატურალურად“ წარმოიდგინეთ, შეიძლება სვრინვის ხმა ტკბილ იავნანადაც კი ჩაგესმათ.

**მექანიკური:** თუ ალერსიანი ჩურჩული და სტვენა არანაირ შედეგს არ იძლევა, მოჰკიდეთ მხრებში ხელი და შეაჯანჯღარეთ, აიძულეთ, გადაბრუნდეს — იქნებ სასურველ პოზას მიაგნოს (ყველაზე ხშირად მუცელზე წოლა ამართლებს, მაგრამ სამწუხაროდ, ეფექტი დროებითია).



**აღმზრდელობითი:** მიუჩინეთ ბინაში ყველაზე შორეული კუთხე. თუ წინააღმდეგობას გაგიწევთ, განქორწინებით დაემუქრეთ. როცა „მოგენატრებათ“, შეგიძლიათ იქაც მიაკითხოთ.

**მიწიერი:** თითებით დაუხშეთ ცხვირის ნესტოები, ხელისგული კი პირზე დააფარეთ. აი, ახლა ნამდვილად გაჩუმდება (ოღონდ, ფრთხილად, არ გაგუდოთ!).

**უკუაგზარი:** ჩაინერეთ მაგნიტოფონზე სამინელი ხმაური (მაგალითად, მძიმე როკი ან თანამედროვე, ავანგარდული რეპი) და როგორც კი სვრინას ამოუშვებს, ბოლო ხმაზე ჩაუერთეთ. ალბათ მაშინ მაინც მიხვდება, თუ რა ჯოჯოხეთში გინევთ ცხოვრება.

# მარტივი დიეტები

## წინიბურას ღია

წინიბურას სასარგებლო თვისებების წყალობით შესაძლებელია 1 კვირაში 5-დან 10 კილოგრამამდე დაკლება.

სალამოს მოხარშეთ 1 ან 2 ჭ წინიბურა 3-5 ჭ წყალში (უმარილო და უშაქრო).

გაღვიძებისთანავე უზმოზე აუცილებელია დალიოთ 1 ჭიქა ცხელი, ანადუღარი წყალი. ნახევარი საათის შემდეგ მიირთვით 3 ნაწილად გაყოფილი წინიბურას პირველი წილი, კეფირთან ან მანონთან ერთად. მიაყოლეთ უშაქრო ჩაი ან ბოსტნეულის წვენი



(გოგრის, სტაფილოს, ტომატის); საუზმეზე — მეორე წილი; ვახშამზე





# როგორ მოვუაროთ თმას სივ ამინდში



და მის სტრუქტურას აუმჯობესებს. კონდიციონერის შემავალი ამ მცენარის ფოთლების გელი თმას არბილებს, აფუებს და დამყოლს ხდის.

**ავოკადო** თმას განსაკუთრებულ ბზინვარებას ანიჭებს. ავოკადოს ზეთი კარგად შეიზილეთ თმის ძირებში და სავარცხლით მთელი სიგრძეზე გაინანილეთ.

**გარგარის** ზეთი მასში შემავალი რკინის მეშვეობით თმას უანგბადის უკეთ ათვისებაში ეხმარება და გაყოფილი ბოლოების კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა.

**ჟენ-შენი** თავის კანის აქერცლილ ზედაპირს ასწორებს. მდიდარია გამწმენდი ნივთიერებებით და თხელი თმის მოსავლელად შეუდარებელია.

**კრაზანა** — თავის კანზე დამამშვიდებლად მოქმედებს, აშორებს ქერტლს და მისი გაჩენისგან იცავს.

სპეციალისტების აზრით, მზის დეფიციტი წარმოშობს „ზამთრის დეპრესიას“, რომელიც ჩვეულებრივ, სტრესთან ერთად კანის მომეტებულ მგრძობელობას იწვევს. ამას ემატება „რეციდივისტები“ — მშრალი ჰავა, ტემპერატურის სხვაობა, ხისტი წყალი...

როგორ მოვიქცეთ? თმის დამამშვიდებელ საშუალებებში შემავალი მსუბუქი და რბილი კომპონენტები დაჭიმულობის შეგრძნებას და ქავილს ხსნის. ამავდროულად, ბევრ ასეთ საშუალებას არომათერაპიული ეფექტიც აქვს — ვინაიდან ნატურალურ მცენარეულ ექსტრაქტებსა და ეთეროვან ზეთებს შეიცავს.

## მხანარათა ენერგია თმის გასამაგრებლად

ლამაზი და მბზინავი თმის საიდუმლო არა მხოლოდ მათ სწორ მოვლაში, კარგ კვებაშიც მდგომარეობს. ნატურალურ ესენციებზე დამზადებული თმის მკვებავი საშუალებები კარგ ეფექტს იძლევა.

**ალე** — თმას ატენიანებს



— მესამე წილი.

შუალედებში აუცილებელია სითხის მიღება (უგაზო, უშაქრო, უმარილო); სითხის რაოდენობა 2 ლიტრამდე.

დიეტის ხანგრძლივობა 7 დღეა. ამ დიეტის გამეორება მხოლოდ 2 თვის შემდეგ არის შესაძლებელი. დიეტის დასრულების შემდეგ, სურვილისამებრ შეგძლიათ დილაობით ისევ წინაბურთა მიირთვათ. წონის შესანარჩუნებლად შეზღუდეთ ტკბილეული და მარილიანი საკვები.

## დაიწყეთ დილა ლიმონის წვენი

ფიზიკურ ვარჯიშებთან და სწორად შერჩეულ კვების რაციონთან ერთად ლიმონის წვენი დაგვ-

## მარებათ მოკლე ვადაში დაიკლოთ წონაში.

სხვათა შორის, თუ ლიმონის კანსაც მიირთმევთ, მაშინ შესაძლებელია 4 საათის განმავლობაშიც კი ჩაიხშოთ შიმშილის გრძობა: ნივთიერება, რომელიც ლიმონის ქერქშია, კუჭში მოხვედრისთანავე გადაიქცევა ბლანტი სითხედ და ეკვრის ნაწლავის კედლებს, რაც იწვევს ორგანიზმის „მოტყუებას“ და შიმშილის გრძობის შესუსტებას.

ამავე დროს, ლიმონი მდიდარია C ვიტამინით, რომელიც შემოდგომა-ზამთრის პერიოდში განსაკუთრებულად გვესაჭიროება იმუნიტეტის ასამაღლებლად, ასევე — სახის კანის ჯანსაღი ფერის შესანარჩუნებლად.

# გზაში საკითხავი კოლაქი

## ქპლენელი თქუი ივანიძე

ოფდენ, რომელთა გერმანიზაციაც, მათი აზრით, მომავალში იყო შესაძლებელი.

16. სასტუმრო „უოლდორფ ასტორიას“ რკინიგზის საკუთარი სადგური აქვს. ეს სადგური მეორე მსოფლიო ომის დროს სპეციალურად ფრანკლინ რუზველტისთვის აშენდა. პრეზიდენტი ხშირად ჩადიოდა ნიუ-იორკში და მატარებლის ვაგონიდან გადმოსულს შექმლო ყველასგან ფარულად ლიფტით მოხვედრილიყო საპრეზიდენტო ნომერში.

17. პოლონელებს რუსები რომ გულზე არ ეხატებოთ, ახალი ამბავი არ არის და თავიანთ საბაჟოზეც გვარიანად აწვალენ. ერთმა მოსკოველმა მგზავრმა ერთხელ იქაურ მებაჟეს ჰკითხა, თუ იცით, რომელ წელს დაესხნენ გერმანელები პოლონეთს? მებაჟე დაიბნა, მაგრამ მაინც უბასუხა, 1939 წელსო. — ის თუ იცით, გერმანელები საბჭოთა კავშირს როდის დაესხნენ თავს? — 1941 წელს! — კარგი, ახლა ისიც მითხარით, სად იყვნენ და რას აკეთებდნენ გერმანელები ორი წლის მანძილზე? — რას აკეთებდნენ? — საბუთებს აფორმებდნენ თქვენს საბაჟოზე! — გაუღიმა მგზავრმა.

18. სანდრო კანდელაკი განთქმული ქართველი ფალავანი იყო. საარაკო ლონის პატრონს ერთხელ იდაყვებზე აქეთიქით ლევდებით ორი ცხენი დაუბეს და მაინც ვერ გაახსნევენეს ერთმანეთზე გადაჭდობილი მკლავები. კანდელაკმა ცოტა აცალა, მერე დატრიალდა და თვითონ მოითრია ცხენები.

19. ზაქარია ფალიაშვილი პრაქტიკული და მომჭირნე კაცი იყო. ჰონორარის მისაღებად უამრავ დამატებით სამუშაოს ასრულებდა და საკუთარ თავზე თვითონვე ქილიკობდა, მე ფალიაშვილი კი არა, ფულიაშვილი უნდა ვიყო გვარადო.

20. ფილიპე მაკედონელმა ორ ყაჩაღს ასეთი განაჩენი გამოუტანა, ერთი უნდა გაქცულიყო მაკედონიდან და მეორე გაქცულს უნდა დასდევნებოდა.

21. ერთხელ ტირანმა დიონისემ თავისი ლექსები წაუკითხა პოეტ ფილოქსენეს და, რა აზრის ხარო, ჰკითხა. პოეტმა ლექსები დაინუნა. გაბრაზებულმა დიონისემ დასაჯა და ქვის სამტყლო კარიერზე სამუშაოდ გაამწესა. გარკვეული დროის შემდეგ დიონისეს წყნამ გაუარა, ახალი ლექსები დაწერა, ძველი შეასწორა, კვლავ ფილოქსენე მოიხმო თავისთან და ლექსები წაუკითხა. ფილოქსენემ ყურადღებით მოუსმინა, წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა. სად მიდიხარ? — გაუკვირდა დიონისეს. — ქვის სამტყლო კარიერზე! — უბასუხა პოეტმა.





# ლაქების ამოყვანის რამდენიმე მეთოდი

ლაქები მუდმივად ქმნის პრობლემებს რეცხვის დროს. ამიტომ მნიშვნელოვანია მათი რეცხვამდე ამოყვანა.

გთავაზობთ ლაქების ამოყვანის სხვადასხვა მეთოდს:

## ყავა, ჩაი

გადაჭიმეთ დალაქავებული ადგილი ქვაბზე (ან რაიმე ჭურჭელზე) და ზემოდან დაასხით მდულარე წყალი. გარდა ამისა, შეგიძლიათ გამოიყენოთ 1 ლ წყლისა და 1 ს/კ სპირტის ნარევი. შემდეგ ცივ წყალში გაავლეთ.

## ლუდი

წინასწარ გაავლეთ ქსოვილი თბილ წყალში ან 1 ს/კ სპირტისა და 0,5 ლ წყლის ნარევიში.

## შოკოლადი

დალაქავებული ადგილი ჯერ უნდა გაავლოთ წყალში. უკვე შემშრალი ლაქა კი გამორეცხეთ 10 გ ბორის საპნისა და 1 ლ წყლის ნარევიში.

## წვენი, ხილი

თეთრი ქსოვილისათვის გამოიყენეთ მათეთრებელი ხსნარი, ფერადი ქსოვილისათვის — ლიმონის მჟავა ან ლიმონის წვენი მარილით.

## ნაყინო

ჯერ გაავლეთ ცივ წყალში. უკვე შემშრალი ლაქა კი ამორეცხეთ 10 გ ბორის საპნისა და 1 ლ წყლის ხსნარში.

## ლიმონი

უნდა განმინდოთ ამონიუმის სპირტით.

## ჰოზიდრის წვენი

დალაქავებული ადგილი გარეცხეთ თბილი წყლისა და ამონიუმის სპირტის ხსნარში. შემშრალი ლაქა კი განმინდეთ წყალბადის პეროქსიდსა ან ამონიუმის სპირტში დასველებული ტამპონით.

## შაფი

აბრეშუმზე ან შალზე — უნდა განმინდოთ ამონიუმის, სპირტისა და წყლის ნარევი; კოტონზე — გამორეცხეთ თბილი ლიმონის წვენი.

## სისხლი

გამორეცხეთ ცივი წყლით ან თბილ წყალში გაზავებული ღვინის მჟავით.

## ოფლი

განმინდეთ ამონიუმისა და წყალში დასველებული ტამპონით, გაავლეთ დისტილირებულ წყალში.



## იოდი

განმინდეთ ამონიუმის სპირტში დასველებული ტამპონით.

## ჯეთონი საღებავი

მოათავსეთ ლაქიანი ქსოვილის ქვეშ მშრალი ქსოვილი და განმინდეთ ეთერზეთიანი ტამპონით. გამშრალი ლაქა უნდა დაარბილოთ ზეთით და შემდეგ გარეცხოთ.

## ვილანი

განმინდეთ ლაქა სპირტიანი ტამპონით და შემდეგ გარეცხეთ ქსოვილი.

## ცვილი

ფრთხილად მოაშორეთ ცვილის ნარჩენები ქსოვილს ბლაგვი დანით, დააფინეთ შემწოვი ფურცლები და გააუთოეთ. შემდეგ შეგიძლიათ გარეცხოთ.

## ფითალი ღვინო

კოტონზე — მოაყარეთ ლაქას მარილი და გარეცხეთ მოგვიანებით; აბრეშუმზე — დაარბილეთ ლაქა რძით, შემდეგ გარეცხეთ თბილ წყალში და გაავლეთ საგულდაგულოდ.

## სალაქი რეზინი

დაადეთ ლაქას ყინული. შემდეგ მოაცილეთ გამაგრებული რეზინის ნარჩენები. მოათავსეთ ლაქიანი ადგილი ფურცელზე და შიდა მხრიდან განმინდეთ სპირტიანი, აცეტონიანი ან ბენზინიანი ბამბით. შემდეგ გარეცხეთ.

## ცხიმი, კარაქი, ვარვარინი

მოათავსეთ დალაქავებული ადგილი ფურცელზე და შიდა მხრიდან განმინდეთ ბენზინიანი ან სპირტიანი ბამბით. გააშრეთ. შემდეგ დაასველეთ და გარეცხეთ.

25-50 წლის მამაკაცებს შორის ყველაზე ხშირი დაავადებაა პროსტატიტი, რაც წინამდებარე ჯირკვლის ანუ პროსტატის ანთებას ნიშნავს. თუმცა 30 წლის შემდეგ, პროსტატიტით ავადდება ძლიერი სქესის წარმომადგენელთა 30%, 40 წლის შემდეგ — 40%, 50 წლის შემდეგ — 50% და ა.შ.

პროსტატა ანუ წინამდებარე ჯირკვალის უზრუნველყოფს სპერმის გათხევადებას, ხელს უწყობს განაყოფიერების პროცესს, მონაწილეობს შარდვის აქტსა და ეპიკრიზის ანუ თესლდანთხევის პროცესში. პროსტატას აქვს გარკვეული ჰორმონული ფუნქცია, რომელსაც ამჟამად იკვლევენ.

## პროსტატიტის გამომწვევი მიზეზები:

- 1) სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები: ქლამიდია, ჰერპესის ვირუსი, ტრიხომონადა, გონოკოკი და სხვ., რასაც ურეთრიის დაზიანება და პროსტატის ქსოვილში გადასვლა შეუძლია.
- 2) მცირე მენჯის ორგანოებში სისხლის მიმოქცევის დარღვევა (შეგუბებითი მოვლენები იწვევს ჯირკვლის ანთებას); მჯდომარე ცხოვრების წესი; სქესობრივი ცხოვრების განხორციელება თავშეკავება.
- 3) ხშირი გაცივება (ექსტრემალური გართობის მოყვარულებში: დაივინგი, სერფინგი, სამთო-სათხილამურო სპორტის მიმდევრებში); შეკრულობა.
- 4) სხვადასხვა ორგანოს ანთებითი და ჩირქოვანი დაავადებები (მათ შორის: ანგინა, ქრონიკული ბრონქიტი, გრიპი, ტუბერკულოზი, პნევმონია, კარბუნკული, ფურუნკული).
- 5) შესაძლებელია, პროსტატიტის განვითარება შორისის ქრონიკული ტრავმის ნიადაგზე — ველოსიპედისტებში, მოტოციკლისტებში, ავტომობილისტებში. თუმცა სპეციალისტების აზრით, ეს ფაქტორები უფრო ხელს უწყობს ლატენტურად (ფარულად) და ნაკლები სიმპტომებით მიმდინარე, ინფექციური პროცესის გამოვლენას, ვიდრე თავისთავად წარმოადგენს პროსტატიტის განვითარების მიზეზს.
- 6) დაბოლოს, დათრგუნვილი იმუნური სისტემა, სტრესი, ფსიქიკური და ფიზიკური გადაღლა და უხარისხო (არაბალანსირებული) კვება.

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნიანიშვილმა



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიძევილი

# პროსტატიტი

## პროსტატიტის სიმპტომები

არსებობს მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი. ქრონიკული პროსტატიტი ხშირად, არასათანადოდ ნამკურნალები, მწვავე პროსტატიტის შედეგია, თუმცა შესაძლებელია, პროცესი თავიდანვე დუნედ მიედინებოდეს, არ იქცეოდეს პაციენტის ყურადღებას და შედეგად, ქრონიკული პროსტატიტი ჩამოყალიბდეს. ქრონიკული პროსტატიტის განაპირობებს მწვავე პროსტატიტის ხშირი რეციდივი ანუ გამეორება. მწვავე პროსტატიტის მოხშირება მეორეული მორფოლოგიური ცვლილებებისა და ქრონიკული პროსტატიტის მიზეზია. დაავადების გაქრონიკულებას ხელს უწყობს მკურნალობის თვითნებური, ნაადრევი შეწყვეტა, დაწყებული მკურნალობის გაგრძელება არა სპეციალისტის მეთვალყურეობით, არამედ საკუთარი შეხედულებისამებრ. ქრონიკული პროსტატიტი გამწვავების პერიოდებით გამოირჩევა.



- სქესობრივი ფუნქციის მოშლა;
- ურეთრის და სწორი ნაწლავის ტკივილი ეაკულაციის დროს;
- სუსტი ერექცია;
- ნაადრევი ეაკულაცია;
- ორგაზმის დაკარგვა (ანორგაზმია) და სხვა;

**ტკივილის შეგრძნება მუცლის ქვემოთა მიდამოში, საზარდულის არეში, თეძოების ან წელის არეში;**

ნერვული სისტემის მოშლა (ნევროზული მდგომარეობა, განპირობებული ავადმყოფობაზე ყურადღების კონცენტრირებით).

### პროსტატიტის მიმდინარეობა (როლის უნდა

### მიიტანოს მამაკაცმა ეჭვი პროსტატიტზე)

პროსტატიტი შეიძლება განვითარდეს უეცრად, როგორც მწვავე ანთებითი დაავადება, ყველა თანმხლები სიმპტომით. ამ შემთხვევაში ავადმყოფს აღენიშნება ცხელება, სხეულის ტემპერატურის მომატება 39-40 გრადუსამდე.

### მწვავე პროსტატიტის (ან ქრონიკული ფორმის გამწვავების) დროს:

- სხეულის ტემპერატურა მომატებულია 39-40 გრადუსამდე; ავადმყოფს ამცივენებს.
- თავს იჩენს შარდვასთან დაკავშირებული პრობლემა, რადგანაც ანატომიურად, ჯირკვალის მდებარეობს შარდის ბუშტის ქვეშ, ხოლო ურეთრა გაივლის ამ ჯირკვალს, ამიტომ პროსტატის ზომაში მომატების დროს ვითარდება შარდვის სხვადასხვა სახის დარღვევა:
- შარდვის დაწყების გაძნელება;
- წყვეტილი შარდვა;
- შარდის სუსტი ნაკადი;
- წვეთ-წვეთად შარდვა;
- შარდის ბუშტის არასრული დატვირთვის შეგრძნება;
- უნებლიე შარდვა, გახშირებული შარდვა, განსაკუთრებით — ღამის საათებში;
- იძულებითი ჭინთვა მოშარდვის სურვილით და შარდის შეუკავებლობა ამ დროს;

დე, მწვავე ტკივილი შორისის, საზარდულის, ბოქვენის, ანუსის მიდამოში. შარდვა და დეფეკაცია იმდენად მტკივნეულია, რომ ჩვეულებრივ, ეს უმტკივნეულო ფიზიოლოგიური პროცესი, მამაკაცს სატანჯველად ექცევა. აღსანიშნავია, რომ შეიძლება განვითარდეს აბსცესი (ჩირქგროვა) წინამდებარე ჯირკვალზე და სხვა.

უფრო ხშირად დაავადება ვითარდება ფარულად და თანდათან იძენს ქრონიკულ მიმდინარეობას. ქრონიკული პროსტატიტის დროს ავადმყოფის ჩივილები ძალზე ფართოა: სქესობრივი ფუნქციის დარღვევით დაწყებული, ნერვულ-ფსიქიკური მოშლილობით დამთავრებული. ასეთი ავადმყოფები ხშირად, წლების მანძილზე მიმართავენ თერაპევტს ჩივილებით — წელის ტკივილზე, დაღლილობაზე, გულის არეში ტკივილზე და ა.შ. ასეთი მიმართვების შედეგად დიაგნოზად დგინდება: რადიკულიტი, ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონია, ნევროზი და ა.შ. და მხოლოდ ექიმის მხრიდან პაციენტის სწორად წარმართული გამოკითხვა გამოავლენს ჩივილის ნამდვილ მიზეზს.

## ვირუსული პროსტატიტი

ცალკე უნდა შევეხოთ ვირუსულ პროსტატიტებს. გამომწვევია ჰერპესი, ციტომეგალია, პაპილომა ვირუსი. ეს ვირუსები არცთუ იშვიათად იწვევს ურეთრის (შარდსადენის ანთება), რაც პროსტატიტის მიმდინარეობას ამძიმებს და მამაკაცში უშვილობას იწვევს. განსაკუთრებულად ყურადსაღებია ამ ტიპის პროსტატიტები, რადგან კანსა და ლორწოვანზე ყოველგ-

უყუჩაძი!

www.palitrav.ge

PALITRA

TV-RADIO

ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!






ვარი გამოვლინების გარეშე, ვირუსი შეიძლება, აღმოჩენილი იქნას მხოლოდ სპერმის ან სეკრეტის ლაბორატორიული კვლევით. ხშირად ასეთი ავადმყოფები მკურნალობენ ანტიბიოტიკებით, ყოველგვარი დადებითი შედეგის გარეშე, რადგან დაავადების ვირუსული ფორმა მკურნალობის აბსოლუტურად სხვა ტაქტიკას (ანტივირუსული მკურნალობა, იმუნოთერაპია და ა.შ.) მოითხოვს.

**პროსტატიტის გართულება:**

ყველაზე არასასურველი და მძიმე გართულება, რაც შეიძლება ქრონიკულ პროსტატიტს მოჰყვეს, პროსტატიტის კიბოა. ბოლო ხანს ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგების თანახმად, ქრონიკული პროსტატიტის დროს, პერმანენტულად ხდება გარკვეული ნივთიერებების — კინინების პროდუქცია. კინინები ატიპური (კიბოსეული) უჯრედების გამრავლებას განაპირობებს. ამგვარად, ქრონიკულ პროსტატიტსა და პროსტატიტის კიბოს შორის უშუალო კავშირია.

გარდა ამისა, ქრონიკული პროსტატიტი რთულდება ვეზიკულიტით (სათესლე ბუშტუკების ანთება), ეპიდიდიმოორხტით (საკვერცხეების და მისი დანამატების ანთება). შედეგად ამას მოჰყვება მამაკაცის უნაყოფობა (წინამდებარე ჯირკვალს აღარ შეუძლია, გამოიმუშაოს საკმარისი რაოდენობით ხარისხიანი სეკრეტი, რაც აუცილებელია სპერმატოზოიდის მოძრაობისთვის), იმპოტენცია, ნაადრევი ეაკულაცია (თესლის გამოყოფა). ამიტომ პროსტატიტის დიაგნოსტიკა ადრეულ სტადიაზე აუცილებელი და ამაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მკურნალობის შედეგიც.



**პროსტატიტი და იმპოტენცია**

ჩვენ უკვე შევხებთ ამ საკითხს, მაგრამ გვინდა განვმარტოთ, რომ პროსტატიტის ანთება თავისთავად, არ იწვევს იმპოტენციას, თუმცა ქრონიკულმა პროსტატიტმა მკურნალობის გარეშე, ისევე, როგორც სათესლე პარკის ანთებამ, შეიძლება გამოიწვიოს სქესობრივი ლტოლვის დათრგუნვა, არასაკმარისი ერექცია, ნაადრევი ან დაჩქარებული ეაკულაცია და ე.წ. „ნაშლილი“ ორგაზმი.

**გამოკვლევა**

პროსტატიტის დიაგნოსტიკისთვის მნიშვნელოვანია შარდის სემენტური (და არა შარდის საერთო) ანალიზი. ეს კვლევა იძლევა შარდში არსებული ცვლილებების გენეზის დადგენის საშუალებას.

ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ექსკოპიური კვლევა. აუცილებელია აგრეთვე რამდენიმე სახეობის სხვა გამოკვლევების ჩატარება.

ტატიტის პროვოცირება, ამიტომ სქესობრივი ცხოვრება უნდა იყოს რეგულარულიც და უსაფრთხოც.

\* თითოეული მამაკაცი აუცილებელ პროფილაქტიკურ შემონმებას უნდა გადიოდეს წელიწადში ერთხელ მაინც. პირველ რიგში, გამოკვლევულ უნდა იქნას წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტი და ჩატარდეს უროლოგიური კვლევა;


\* დამზოგველი დიეტა (ალკოჰოლის, მწარე, ცხიმოვანი და კონსერვირებული საჭმლის გამორიცხვა);

\* ყურადღება უნდა მიექცეს კუჭ-ნაწლავის რეგულარულ მოქმედებას; ადამიანებისთვის, რომელთაც მუშაობის პროცესში ძირითადად ჯდომა უხდებათ, რეკომენდებულია ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სიარული, სპორტი — სირბილი, ცურვა, ჩოგბურთი და სხვა;

\* დაბოლოს, გადატანილი პროსტატიტის შემდეგ, ამბულატორიულად პრევენციული კურსის ჩატარება სულ ცოტა, წელიწადში ორჯერ, ერთი თვის განმავლობაში.

**მკურნალობა**

მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება კვლევის შედეგები, ექიმი-უროლოგი მკურნალობის პროგრამას შეადგენს. ეს პროგრამა სამკურნალო ღონისძიებების მთელ სპექტრს მოიცავს. პროსტატიტის განვითარების პროვოცირებას ყოველთვის რამდენიმე ფაქტორი იწვევს, ამიტომაც ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მოქმედებაა საჭირო. მკურნალობის კომპლექსურ პროგრამაში შედის, როგორც წესი: ანტიბაქტერიული მკურნალობა, მკურნალობა პრეპარატებით, რომლებიც აუმჯობესებს სისხლძარღვების ტონუსს, ფიზიოთერაპიული პროცედურები (მაგნიტო-ლაზერო-ინფექტოთერაპია,



**პროსტატიტის პროფილაქტიკა**

\* არ დაუშვით გადაცივება, განსაკუთრებით — ცივ ზედაპირზე ჯდომა;

\* რეკომენდებულია რეგულარული სქესობრივი ცხოვრება, რათა შენარჩუნდეს სპერმის მუდმივი ცირკულაცია და წინამდებარე ჯირკვლის აქტიური სისხლმომარაგება. თუმცა მხედველობაში მისაღებია სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით პროს-



ულტრაბგერა, რეფლექსოთერაპია, წურბელებით მკურნალობა), ასევე, ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალებები; პროსტატის მასაჟის კურსი.

პროსტატის მასაჟის კურსი, მიუხედავად უსიამოვნო შეგრძნებებისა, აუცილებელი პროცედურაა. თუმცა, მას ექიმები ყოველთვის როდი მიმართავენ.

**ეს მნიშვნელოვანია!!!**

პაციენტთა საყურადღებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პროსტატიტის ანტიბაქტერიული მკურნალობა სპეციალისტის მიერ უნდა ჩატარდეს, რათა ზუსტად იქნას შერჩეული სათანადო ანტიბაქტერიული პრეპარატი, განისაზღვროს მკურნალობის ხანგრძლივობა, დოზები. ზოგჯერ, როცა პაციენტები თვითმკურნალობას მიმართავენ, იყენებენ ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებს, ირჩევენ მათ უსაფუძვლო კომბინაციებს, დროზე ადრე წყვეტენ მკურნალობას, რაც დაუშვებელია.

შილი. მაგრამ შიმშილი მხოლოდ მცირე ხნით უზრუნველყოფს მდგომარეობის შემსუბუქებას; თუ ცხოვრების წესი არ შეიცვლება, ეს არ იქნება საკმარისი, რომ ჯირკვალის ზომამი მნიშვნელოვნად შემცირდეს. შიმშილის დროს შარდვა შედარებით თავისუფალია და ზოგიერთი უსიამოვნო შეგრძნება იხსნება.

პროსტატიტის საწყის სტადიაში ერთ და ორდღიანი შიმშილობა საკმარისია შარდის ნორმალური გამოდენის აღსადგენად. ეს პროცედურა შეიძლება განმეორდეს პერიოდულად, საჭიროების მიხედვით.

უნდა გახსოვდეთ, რომ ეს არის მხოლოდ დროებითი და დამხმარე საშუალებები. კვალიფიციური, პროფესიული დახმარების გარეშე შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიყენოთ ჯანმრთელობას.

P.S. პაციენტებზე მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გასურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

**პროსტატიტის მკურნალობა ხალხური მედიცინით**

**მკურნალობა სატაცურის წვეთით**

წვენი უნდა სვით იმდენი, რამდენიც გესიამოვნებათ, ძალდატანების გარეშე. როგორც წესი, შესამჩნევი შედეგისთვის აუცილებელია დღეში არანაკლებ 600 მლ-ისა.

ცხოველური ცხიმების მუდმივი მიღება იწვევს თირკმლებისა და სხვა გამომყოფი ორგანოების გადატვირთვას, შედეგად, ორგანიზმიდან სულ უფრო მცირე რაოდენობის შარდოვანა გამოიყოფა და შესაბამისად, კუნთების მიერ მეტი რაოდენობა შთაინთქმება. ეს პროცესი წინამდებარე ჯირკვლის დაავადების ერთ-ერთი მიზეზია. ამ შემთხვევაში კარგი საშუალებაა — სატაცურის წვენი, სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენთან ერთად.

**ოხრახუმის თესლი**

ა) ოხრახუმის თესლი უნდა დაიფქვას: 4 ჩ/კ ფხვნილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, ადუღეთ 15 წთ; გააცივეთ, განურეთ; მიიღეთ 1 ს/კ, 4-6-ჯერ დღეში.

ბ) ცივი წყლით მომზადებული ნაყენი: 1 ჩ/კ თესლს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი და გააჩერეთ 8 სთ; მიიღეთ 1/4 ჭიქა, 4-ჯერ დღეში. მიიღება წინამდებარე ჯირკვლის ანთების დროს.


**შიმშილით მკურნალობა**

თუ ზედმეტი წონა გაქვთ და პროსტატა ზომამი მომატებულია, რეკომენდებულია რამდენიმე დღიანი შიმშილი.

**მალე!** თავაზური წიგნები ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად

- დიაბეტი
- წნევა
- ბრიატი
- ალერგია და გავრი სწვა რამ...





# ადამიანი

## პედაგოგის ცხოვრების გზა და სასიაქონო მოპონებები

სხვა პროფესიაზე არასოდეს უფიქრია. პატარაობიდანვე მასწავლებლობაზე ოცნებობდა, მისი საყვარელი თამაშიც „სკოლაბანა“ გახლდათ... გავიდა დრო და აისრულა თავისი ოცნება. დღეს მზინა კინოპროდუქციის პედაგოგად მუშაობის 51 წელს ითვის უკვე და წარსულიდანაც ბევრი რამ აქვს გასახსენებელი...

### მარინა ბაგუნაშვილი

— მასწავლებლობა და ბავშვებთან ურთიერთობა იმდენად მინდოდა, რომ მაშინდელ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩარიცხულმა საბუთები დაუსწრებელზე გადავიტანე და მუშაობა პიონერმუშაკთა სახლში დავიწყე. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მშობლიურ სენაკში დავბრუნდი. ორი წელიწადი საყვარელ საქმეს ვაკეთებდი — სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი; შემდეგ თბილისელ კაცს ვაყვავი ცოლად და კვლავ თბილისში ვადმოვინაცვლე. როცა მითხრეს, 134-ე საშუალო სკოლაში ქართული ენის მასწავლებლის ადგილი გამომჩნდაო, სიხარულისგან აღარ ვიცოდი რა მექნა. მაშინვე სკოლაში გამოვცხადდი. თურმე, ცნობილი ფილოლოგი, დამსახურებული მასწავლებელი, ქეთევან თოფურაძე პენსიაზე გადიოდა და ის უნდა შემეცვალა. ეს დიდი რისკი იყო, რადგან გარდა იმისა, რომ სახელოვანი პედაგოგის კლასში შევდიოდი, ვიცოდი, რომ სკოლაში ბევრი წარჩინებული მოსწავლე სწავლობდა. პირველი გაკვეთილის ჩატარებამ მეთე კლასში მომიწია, გალაკტიონი უნდა ამეხსნა. ის-ის იყო, დავიწყე პოეტის ბიოგრაფიაზე ლაპარაკი, რომ ერთმა გოგონამ ხელი ასწია და კონსტანტინე გამსახურდიაზე რაღაც

მკითხა. არ ვიცოდი. გავშრი. ახლაც მიკვირს, მაშინ ეს რომ მოვახერხე. მოსწავლეს ვუთხარი, — მოდი, ჯერ იმაზე ვისაუბროთ, რაც გაკვეთილად გვაქვს და მერე გავცემ პასუხს-მეთქი. იმდენი რამ გავიხსენე გალაკტიონის ცხოვრებიდან, დრო უცებ გავიდა და ზარიც დაირეკა. მივუტრიალდი იმ გოგონას და ბოდიში მოვუხადე, — დღეს ვერ მოვასწარი და გპირდები, ხვალ-ინდელ გაკვეთილს შენს კითხვაზე პასუხით დავიწყებ-მეთქი. იმ დღეს გვიანობამდე ვიჯექი საჯარო ბიბლიოთეკაში და გამსახურდიას მთელი შემოქმედება და ცხოვრება თავიდან ბოლომდე გადავაბუღებულე.

— თქვენი ყოფილი მოსწავლეები სიამოვნებით იხსენებენ იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ატარებდით. ახლაც ისეთივე გატაცებით შეგიძლიათ ჩატაროთ რომელიმე საღამო, როგორც ადრე?

— ახლაც ხშირად ვატარებ ღონისძიებებს და მიხარია, რომ ბავშვები სიამოვნებით მთანხმდებიან ამაზე, თუმცა უნდა აღვნიშნო — კომპიუტერმა გაანელა ის ინტერესი, ხალისი და ენერჯია, რაც ადრე იყო. კომპიუტერის წინააღმდეგი სულაც არ ვარ, XXI საუკუნეში კომპიუტერი რომ არ იცოდეს ვინმემ, სირცხვილია, მაგრამ წიგნს, თეატრსა და კინოს ყავლი არ გასდის. ყველაფერს თავ-თავისი ადგილი აქვს. დღესაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ წიგნსა და ხელოვნებაზე შეყვარებული მოზარდი ცუდი ადამიანი არ გაიზრდება. წლების წინ ღონისძიებებზე ხშირად ვინვევდით მსახიობებს, მწერლებსა და სხვა საზოგადო მოღვაწეებს. ბავშვებიც უზომოდ კმაყოფილები იყვნენ და სტუმრებიც. ხშირად ვაწყობდით წიგნის განხილვას, დავდიოდით თეატრში. ასე ნელ-ნელა ისე დაუფახლოვდი მსახიობებს, რომ მეგობრადაც მიმიჩნევდნენ. რუსთაველის თეატრში მივიდოდი თუ არა, ეროსი თავისთან შემეყვანდა, რამაზს დაურეკავდა და, — თუ იცი ახლა, ვინ მყავს სტუმრადო? — შეეკითხებოდა. ისიც უმალ პასუხობდა, — ვინ იქნება და მზია კინო-მარიშვილიო. მერე ვსდებოდით და ვგეგმავდით, რომელ სპექტაკლზე სჯობდა ბავშვების წამოყვანა, ან რა სახის ღონისძიება უნდა ჩატარებინა სკოლაში.

— ცნობილი ადამიანები ახსენეთ. კიდევ ვისთან გქონდათ ახლო ურთიერთობა?

— მერაბ კოსტავასთან ვემგობრობდი. სულ იმას ვხეუნივოდი, წამიყვანე და ბატონი კონსტანტინე გამსახურდია გამაცანინებოდა. ერთხელაც შინ გამომიარა და მითხრა, მზად ხარ, კონსტანტინესთან შესახვედრაო? აბა, უარს როგორ ვეტყვდი. ჩემმა ძმამ წინდანინ გამაფრთხილა, იცოდე, თუ არ მოენონე, ხუთ წუთში დაგემშვიდობებო. ისე ვვლავ-



სკოლაში მუხრან მაჭავარიანის სტუმრობისას





დი, თითქოს მნიშვნელოვან გამოცდაზე გავდიოდით. კოლხური კოშკის ეზოში რომ შევაბიჯეთ, ბატონი კონსტანტინე სავარძელში იჯდა. ამხედ-დამხედა და რა გქვიაო, მკითხა. ბავშვობის დროინდელი სახელი — ძაბული — ვუთხარი. შევატყვე, ეს-იამოვნა. შემდეგ თავის ნაწარმოებებზეც შემეკითხა, ყველაზე მეტად რომელი მოგწონსო? არ დაუშვალე, ყველა მომწონს, მაგრამ „დიდოსტატის მარჯვენა“ ძალიან მიყვარს-მეთქი. გვიანობამდე შევეყვით საუბარს.

ის დღე უბედნიერესი იყო ჩემთვის. ერთხელ, სალომე ყანჩელს შინ ვესტუმრე. მინდოდა, სკოლის საღამოზე მომენვია. უხასიათოდ მომჩვენა. მომეხატრა, რაიმე მეკითხა, მაგრამ ისევ თვითონ გადამიშალა გული. პირადულზე მიაბობდა და ცრემლებს ვერ იკავებდა. მისი დამშვიდება ვცადე, — გთხოვთ, ნუ

ნერვიულობთ, დღეს ხომ „ხანუმაში“ უნდა ითამაშოთ-მეთქი. გაელიმა და მითხრა: როგორც კი თეატრის ზღურბლს გადავაბიჯებ, ყველა ჩემი პრობლემა მავინწყდებაო.

— **ალბათ, ბევრი ურჩი მოსწავლევც გყოლიათ.**

— რამდენიც გინდათ... ყველა ბავშვს თავისებური მიდგომა სჭირდება, ყველას ერთნაირად ვერ დაეღაპარაკები. ზოგზე პატარა საყვედურიც ჭრის, ზოგზე დატუქსვა არ მოქმედებს, ზოგს დაყვავება სჭირდება. ყველაზე დიდხანს 134-ე საშუალო სკოლაში ვიმუშავე. სწორედ იქ მქონდა მოწყობილი კაბინეტი, რომლის სანახავადაც სპეციალურად მოდიოდნენ სამინისტროდან და სხვადასხვა სკოლიდან. ყველაზე ბევრი ღონისძიებაც ამ კაბინეტში მაქვს ჩატარებული. ერთხელ, სექტემბრის დასაწყისში მასწავლებლებმა „მომახარეს“, ის მოსწავლე, რომლისაც არათუ სკოლას, მთელ უბანს ეზინოდა, კლასში ჩატოვდა და შენს სადამრიგებლოში გადმოიყვანესო. გულს შემომეყარა, მაგრამ ამას ხომ არ ვაგრძობინებდი ბიჭს? კლასში შესული თბილად მივესალმე მას, დაუფუყავე და იმედი გამოვთქვი, ალბათ, ბევრ სასკოლო საქმეში დამეხმარები, თანაკლასელები შენ დაგიჯერებენ-მეთქი. გავიდა ცოტა ხანი. თბილმა და მეგობრულმა

დამოკიდებულებამ იგი მთლიანად შეცვალა. კარგად მასხოვს, გიორგი ლეონიძის საღამოს გამართვა რომ გადავწყვიტე, იებით მინდოდა მომერთო კაბინეტი. არადა, აპრილის დასაწყისი იყო და ბაზარზე საკმაოდ ძვირი ღირდა ია. ადგა ეს ცნობილი, ამრევი ბიჭი (სახელს და



ანა კალანდაძე

გვარს შეგნებულად არ ვამბობ, რადგან ის დღეს ძალიან წარმატებული ადამიანია) და მე მოვიტანო, მითხრა. მეორე დღეს იის 60 ბოლქვი მომიტანა. წასულა და კოჯრის ტყეში ბოლქვიანად ამოუღია, ყვავილი რომ არ დამჭვანრიყო.

— **დღემდე მკაცრი მასწავლებლის სახელი გაქვთ...**

— სულაც არ მინდა, ბავშვებს ჩემი ეწინოდეთ. მოსწავლეებს შიში კი არა, რიდი და პატივისცემა უნდა ჰქონდეთ მასწავლებლის მიმართ. როცა საჭიროა, მკაცრიც ვარ და მომთხოვნიც, ზოგჯერ კი მათ ვაჭარბებ მხიარულებასა და დროს ტარებაში (ეს უფრო ხშირად ექსკურსიაზე ხდება). კიდევ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ წარსულიდან: „დათა თუთაშია“ ახალი გამოსული იყო ეკრანზე. ერთ დღეს გულმა შემომიტია და სკოლაში ვეღარ წავედი. როცა დამრიგებელს თვალს ვერ მოჰკრავენ, მოსწავლეები მაშინვე ენ. „შატალოზე“ მიდიან. გაგიკვირდებათ და იმ დღეს, ჩემი სადამრიგე-



მეღვაჯაფარიძე

ბლო კლასი სკოლიდან არ გაპარულა. როგორც კი გამოვკეთდი, გადავწყვიტე, ბავშვებისთვის მადლობა ისეთი რამით გადამეხადა, რომ მთელი სიცოცხლე დამახსოვრებოდა... და უცებ, აი რა მოვიფიქრე — მათთან ერთად კინოში წავალ „შატალოზე“-მეთქი. რა თქმა უნდა, დირექტორს წინასწარ მოველაპარაკე და მთელი ჩემი კლასი შრომის კაბინეტის ფანჯრიდან გადა-



ტარიელ საყვარელიძე და ირაკლი უჩანეიშვილი

ვაძვინე, თან დავარიგე, — ქუჩის კუთხეში დამელოდეთ, მეც მალე შემოგიერთდებით-მეთქი. ერთ-ერთმა მშობელმა გარეთ მყოფი ბავშვები რომ დაინახა, მაშინვე შეიცხადა, — რას აკეთებთ, მზია კინმარიშვილმა რომ გაიგოს, „შატალოზე“ ხართ, გული გაუსკდებაო. მოსწავლეებს გასცინებიათ და უთქვამთ: უკან მოგვდევეს კინმარიშვილი, ისიც ჩვენთან ერთადაა „შატალოზეო“. ზოგჯერ ბავშვებს ხასიათი უნდა აუნყო და ნაახალისო, სულ წივილ-კივილი და თითის ქნევა ვერანაირ შედეგს ვერ მოიტანს. რაც შეეხება გაკვეთილს, ის ჩემი სტიქიაა. როცა გაკვეთილს ვხსნი, ყველაფერი მაგინწყდება. ვრჩებით მხოლოდ მე და ბავშვები.





# „სასონარკვეთილი დიასახლისები“ ქართულად ანუ ქურნალისობიდან — დიასახლისობამდე...

## ნიმუ ჯავახიშვილი

ეს რამდენიმე წელია, ჯერ პირველი, შემდეგ კი მეორე შვილის გაჩენის გამო, აქტიურ ცხოვრებას ჩამოვმორდი და სახლში საფუძვლიანად ჩავჯექი. დროდადრო თუ „გავიფართხალედი“ რალაცას, ისიც იმიტომ, რომ მეშინოდა — გონება სულ არ დამიჩლუნგდეს ან წერაკითხვა არ დამავინწყდეს-მეთქი. როგორც კი გულში ეს შიში გამკრავდა, თავს ვიმშვიდებდი — მერე რა, ასეც რომ მოხდეს? ზოგი ისე მიდის იმ ქვეყნად, წერაკითხვა სულ არ იცის და არც ჭკუა-გონების ვარჯიშით იკლავს თავს, მაგრამ უბედურად სულაც არ გრძნობს თავს-მეთქი... რა ვქნა, მე თუ არ ვანუგეშე საკუთარი თავი, სხვა ვინ მანუგეშებს?! მაგრამ არაჩვეულებრივი მეზობლებიც მყავს (ღმერთმა გაახაროს!), რომლებიც ნუგეშსა და იმედიან სიტყვას არ იშურებენ, უხასიათოდ როცა მხედავენ. ან ვინ გაცლის უგუნებოდ ყოფნას? მაშინვე „მომცვივდებიან“ და საყვედურებით მავსებენ: რა იყო, რა ცხვირი ჩამოგიშვია?! ყველაფერი კარგად იქნება, გამოდი, რამე გემრიელი გავაკეთოთ, დარდი ჭამამ უნდა გადაგვატანინოსო, — სიცილსკისით მეპატიჟებიან.

აი, ასე, სამეზობლოში პატარა ბავშვების პატრონები და თან უსაქმურები (უფრო ზუსტად, უმუშევრები) მთელ ჩვენს ფანტაზიას კულინარიის ვიყენებთ. ხან ერთთან ვაკეთებთ გემრიელ საჭმელებს და ნამცხვრებს, ხან — მეორესთან... რა გვედარდება, ტკბილი შაქრის მწარე ფასი ჩვენმა ქმრებმა იკითხონ... თითო ჭიქა შავი ღვინოც არ „გვწყენს“ და აი, მერე უნდა მოისმინოთ სასონარკვეთილი დიასახლისების გულის მოსაფხანი ლაქლაქი (ცნობილი სერიალის გმირების სასონარკვეთილება რა მოსატანია ჩვენს უიმედობასთან?!): ძველ ამბებს ვისხენებთ, ტკბილსაც და მწარესაც (ტკბილი მოგონებების სადღეგრძელოში, მომავალს ვგეგმავთ, ვოცნებობთ, დედამთილებს ქოქოლას ვაყრით (რა თქმა უნდა,

ჩემსას — არა, ვიცი „გზის“ ყველა ნომერს კითხულობს და რა ძალა მადგას...) და არც მთავრობას ვინდობთ. აბა, ვისი ბრალია, სახლში რომ ვსხედვართ უმუშევრად და უსაქმურად? ჯავრი ვინმეზე ხომ უნდა ვიყაროთ!.. ჰო, სიტყვა გამიგრძელდა. დროა, ჩემი მეზობლებიც გაგაცნოთ: იმერელი მათა — ორი პატარა ანგელოზი ჰყავს, 3 წლის და 2 წლის (ხედავთ, უსაქმურობისგან რა დღეში ჩავარდა გოგო, ერთი წლის განმავლობაში ორი

იცი, რა მაგარი რამეები მოუტანია? — შემოვარდა ქაქანით ნანა. — მერე ჩავიდეთ და საფუძვლიანად ვნახოთ, რა! ღმერთმა გაახაროს, ვისაც ეს „მეორადები“ ჩამოაქვს. ყველაფერს იქ ვყიდულობ. კიდევ კარგი, ჩემი ქმარი ლამითაც „მეორადებში“ არ მგზავნის და არ მეუბნება: არ შემანუხო, კაციც მეორადი მოხმარებისა იშოვეო... გაგონილა? ახალს ვეღარაფერს ვყიდულობ, ჩემი შვილების გადამკიდე



შვილი გააჩინა!), მისი სახლიდან მთელი დღე ავტომატის კაკანი ან მანქანების ბლუილის ხმა ისმის. ქართლელი ნანა ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსია, მაგრამ ნაადრევად მოუსწრია ყველაფერი და უკვე სიდედრობისთვის ან უარეს შემთხვევაში — დედამთილობისთვის ემზადება. ისე, ვისთვის რომელია უარესი შემთხვევა, რას გაიგებ?!. ნანასნაირი „მწარე“ ქართლელი ჯერ არ მინახავს. „მწარე“ თავისი „მტრებისთვის“ არის (მისი მონათხრობიდან გაიგებთ, თუ ვინ იწვინა მისი „სიმწარე“, თორემ მეზობლებისთვის „ტკბილია“)... თქვენი მონა-მორჩილი კახელი გახლავართ. ახლა ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნება იმერელის, ქართლელისა და კახელის „ტრიუმფირატი“?!

— გოგო, მალაზიამი ვიყავი ჩასული და ნუნუკას „მეორადებში“,

(ოღონდ მაგათ ჩაიცვან და დაიხურონ) და ისიც აღარ სიამოვნებს, „მეორადში“ მაინც რომ ვიყიდო. ამას წინათ, აი, ეს „დუბლიონკა“ ვიყიდე 50 ლარად, ნახე რა კარგია (მარვენებს. — ავტ)? გადამაყოლა ამ ერთ „დუბლიონკას“. სახლში რამეს თუ მოვინაკლისებდი, მაშინვე წამომავედრებდა. ზეთი არ გვაქვს-მეთქი, დუბლიონკა! ხომ გაქვსო?! ჯემპრი არ მაქვს-მეთქი და „დუბლიონკა“ ხომ გაქვსო?! მწვადი მინდა-მეთქი, და — მერე „დუბლიონკა“ შეიწვიო!.. აი, რომ ავდგები და 500-ლარიანს ვიყიდი, სიგარეტის ფულსაც რომ აღარ დავუტოვებ, ზოგი მერე მაშაყროს... მადლობელი არავინაა, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს ეს ჩემი ბუზღუნა და პუსკუნა ქმარი, რა ვქნა?! ახალი წლის წინაღამეს მომიცუტქდა და მკითხა,



# თქვენი ოჯახის მკურნალი

რა გინდა თოვლის პაპამ საახალწლოდ რომ გაჩუქოსო?..

— მერე, გოგო, ღამე თუ იყო და თან თუ მოგიცუტქდა კიდევ, წარმომიდგენია, რა საჩუქარსაც აირჩევდი... უარს თუ ეტყობი, კი დარჩებოდი უსაჩუქროდ...

— შენ ნუ ხარ „მაკვარანცი“ ქალი! — წაუიმერულა მაიამ ჩემი მისამართით და საუბრის მთავარ თემას დაუბრუნდა: „მეორადებში“ იმიტომ ვყიდულობ ტანსაცმელს, რომ იაფად „გამოვძვრე“, ზედმეტი ხარჯი ავირიდო, მაგრამ არ ინერვიულო, არც მე მეუბნებიან მადლობას...

ამ ლაპარაკს მისმა ქმარმაც მოჰკრა ყური:

— მართლა „მეორადებში“ ყიდულობ ტანსაცმელს? რას ამბობ, ქალო?! არ ვიცოდი (ეცინება). ფულს რომ გაძლევ, რატომ ბაზრობაზე არ მიდიხარ, გიშლი თუ? რაც ცოლად მოვიყვანე, მარტო სპორტულ შარვლებსლა ყიდულობ, სამსახურში აღარ დავდივარ და სხვა ჩასაცმელი რად მინდაო, მეუბნები და მე რა გიყო, რა ჩემი ბრალია?!

— ოჰ, არ იცოდი, ხომ? პირველად გაიგე? რაც მთავარია, შენ ხომ ყიდულობ 80-ლარიან შარვლებს და 60-ლარიან მაისურებს, სამსახურში გამოწვეპილი რომ წახვიდე! ბაზრობაზე 100-150-ლარიანი კაპები რომ ვიყიდო, ხომ დარჩნენ მშვივრები შენი შვილები? ღმერთმა შეარგოს, რასაც ჭამენ, ამათ რაზე რომ მოაკლდეთ, გადამყლაპავენ, იცი?! მაგრამ შენ რას ხედავ, დილით გადიხარ, ღამე მოდიხარ, ჭამ, იძინებ. ჰოდა, სამსახურზე გამახსენდა: წადი, კაცო, რომელი საათია, ხომ ხედავ? დაგაგვიანდა! — ლამის ძალით გააგდო ოჯახის უფროსი სახლიდან.

გულიანად გამეცინა. როგორც ჩანს, მამაკაცები მართლები არიან, როდესაც ამბობენ, ქალები ყველანი ერთნაირები ხართო. ასეთი „ტექსტები“ ალბათ ბევრი თქვენგანისთვისაც ნაცნობია — საყვედურები მეორე ნახევარს, წუნწუნი ჩაცმაზე, დასურვებზე, გავლა-გამოვლაზე, ერთფეროვანი ყოველდღიურობით თუ ბავშვებით დალაზე და...

— ბედი უნდა ყველაფერს, ბედი... უნდა გვეპოვო ფულიანი ქმრები და მაშინ აღარც „მეორადებში“ ვივლიდით და აღარც ვინწუნებდით, — შევეცადა, სინანულის გრძნობა აღმეძრა წლების წინ გაკეთებულ არჩევანის გამო...

— ქმრებს უნდა გაუფრთხილდეთ, გენაცვალე, თავს უნდა დასტრიანლებდეთ, რა გესიამოვნება, რა მოგართვა-თქო? ამდენი წლის ცოლ-ქმარი ვართ და დღესაც კი სადილს პირველი რიგში, მისთვის ვაკეთებ, პირველი ლუკმა მისია, ყველაფერი იმას ეძღვნება. ჩემი შვილი მსაყვედურობს ხოლმე, საჭმელს რომ აკეთებ, მარტო იმას ფიქრობ, ისეთი გამოვიდეს, როგორც მამას უყვარსო...

— შენ შვილები უკვე გაზარდე და ქმრისთვის მეტი დრო გრჩება. აბა, მე მკითხე, მთელი დღის განმავლობაში ქანცს რომ მაცლიან ჩემი შვილები, ძალი კიდევ თუ მაქვს, ქმარს თავზე დავტრიანლებდე? — თავი იმართლა მაიამ. — ამდენი ფიქრისგან გონება ისე მაქვს გათიშული, ყველაფერი მავინყდება. მგონი, ნაადრევი სკლეროზი მჭირს. ვერ ხედავ, უშაქრო ყავას რომ გასმევთ ყოველდღე? შაქრის ჩაყრაც კი მავინყდება ჭიქაში.

— სკლეროზს დააბრალებ ახლა! — ვეუბნები. — შაქარი 2 ლარი და 80 თეთრი რომ გახდა, იმიტომ გავინყდება, ხომ? სკლეროზში ნუ შემეჯიბრები, ძალიან გთხოვ. ამას წინათ, სამსახურის თაობაზე შეხვედრა მქონდა დანიშნული. მაგვიანდებოდა. თავი დავიბანე,



[www.mkurnali.ge](http://www.mkurnali.ge)





ფენი ჩავრთე და გამწარებულმა თმის გაშრობა დავიწყე. არა და არ მიშრება, ხელს მოვიკიდებ თმაზე — ისევ სველია. გავგიჟდი. კარგა ხნის შემდეგ მივხვდი, რომ სარეცხის მანქანა ჩამირთავს, ფენს კი წალმასუკულმა ვატრიალებდი... არა, კი გამიკვირდა, უცნაური ხმა რომ ჰქონდა, მაგრამ... აბა, ეს არის ცხოვრება?

— ჩვენი თამაშობით, კარგ ადამიანებს გაუმარჯოს, იმ ხალხს, ვინც ერთმანეთს ბევრის და უფრო მეტის მოხვეჭაში კი არა, კარგი საქმის კეთებაში ეჯიბრება. ვისაც სჯერა, რომ კარგი ადამიანები ვართ, იმათაც გაუმარჯოს და თუ ვინმეს არ სჯერა, არც ამაზე გვედარდოს. ოდესმე ისინიც ისწავლიან კარგისა და ცუდის გარჩევას.

— მოკლედ, მოვიხიბლე შენი თავდაბლობით... — გაიცინა ნანამ. — ვის არ სჯერა ჩემი სიკარგე და, ჩემს დედამთილს, მეხი დავყარე მაგას, ვითომ ჩემზე კარგი რძალი შეუვიდოდა!..

— ნეტავ, რას ერჩით ამ დედამთილებს, ვერ გამიგია?! მე, მაგალითად, მიყვარს ჩემი დედამთილი. არაფერს მიშავებს, — ყავა მშვიდად მოსვავი, იმით ნასიამოვნებმა, რომ ვიცი — ნანა ჩემ მიერ გადაგდებულ ანკესს წამოეგება და „გაცეცხლდება“;

— შენ რატომ არ გეყვარება, გენაცვალე — „პრაზდნიკებზე“ ხედავ 2 საათით, ზოგჯერ — იმდენსაც არა. ჩემსავით „სახლში ჩადგმით“ უნდა გყავდეს და გემოს მაშინ გაუგებ...

— კარგი, ახლა, რას გიშავებს ის საწყალი ქალი?!

— აბა, საცოდავი!.. თავის დროზე ისეთი შებერტილი იყო, სიცოცხლეს მიმწარებდა. თავიდანვე არ მოვწონდი ქალბატონს. ერთხელ ჩემი ოთახის კართან სპეციალურად წყა-

ლი დაასხა, რომ მოყინულზე ნავქცეულიყავი. მართლაც, დილით აივანზე გამოვედი თუ არა, ამისხლტა ფეხი და საზამთროსავით დავასკიდი ძირს, ოღონდ ეგ არის, საბედნიეროდ, არ გავსკიდი... ნუ გეშინია, სამაგიერო კი გადავუხადე. ერთხელ ხეზე ავედი, ლედვის მოსაკრეფად. ვიცოდი, მაგასაც ძალიან უყვარს. შევთავაზე — დაკრეფით ბევრს ვერ დავკრეფ, მაგრამ თუ გინდა, ქვემოთ დადექი და ჩამოგიყრი-მეთქი. თავისდა საუბედუროდ, დამთანხმდა, ვერ მიხვდა, ოინს რომ ვუნწყობდი. ავარჩევდი კარგად მოწეულ ლედვს, დავუმიზნებდი სნაიპერივით და მთელი ძალით ვისროდი. გაეთხლანებოდა ხან თმაზე, ხან ტანსაცმელზე... ერთი სამი მცდელობის შემდეგ მიხვდა ალბათ, ეს კარგ დღეს არ დამაყრისო და ამომძახა, — ნუღარ წვალობ, აღარ მინდაო... ჩემთან არაფერი რომ არ გაუვიდა, დამიტყბა, მაგრამ რალა დროს — დღემდე მწარედ მახსოვს მაგისი „გაფრენები“.

— ჰო, რა ვიცი, ეტყობა, რალაცაში მაინც გამიმართლა, — მეცინება...

— ეტყობა კი არა, ნამდვილად გაგიმართლა, — დამამშვიდა მაიამ, — გადასარევი ქმარი გყავს, წყნარი, მშრომელი, მაგისი ზედმეტი სიტყვა ჯერ არ გამიგონია... ანგელროზივით შვილები გყავს — კოჭლები არ არიან, ყრუები და ბლუები და სხვა რალა ჯანდაბა გინდა?! დანარჩენიც ნელ-ნელა იქნება, ხელის გატოკება და მუშაობა ყოველთვის შეგვიძლია.

— ახლა ის მითხარი, როდის მიდიხარ შენს ხაშურში, როდის გვტოვებ?

— ხვალ მივიდვარ და უკვე ცუდ ხასიათზე ვარ — მგზავრობა არ მიყვარს: ერთი ბენო „მარშრუტკაში“ ხალხი ლამის ერთმანეთს თავზე აზის. გზა ძალიან მღლის, მაგრამ ჩემი ქმარი და შვილი მელოდებიან.

— მგზავრობით დალლა მაშინ ნახე, თუ „გაგიმართლა“ და ჩვენი სოფლის „მარშრუტკით“ მოგინია მგზავრობამ: ახალი წლის წინა დღეებში მძლოლს დილიდანვე დაეურევე, ვთხოვე, — ადგილი „დამიჯავშნე ერთვარსკვლავიანი“-მეთქი (მარტო მივდიოდი და ერთი ადგილი მჭირდებოდა). სამგორში რომ გავედი, ვერ გადმოგცემთ, რა ხდებოდა „მარშრუტკაში“ თუ მის ირგვლივ. დაახლოებით ერთი საათი მონადრომა მძლოლმა ხალხ-

ისა და მათი ნავაჭრის განაწილება-დაბარგებას. როგორც იქნა, ყველანი მოვთავსდით, ერთი ძალიან მსუქანი ქალბატონის გარდა. კართან რომ სკამია, მე ის მერგო. მძლოლს მგზავრის დაკარგვა არ უნდოდა და, — იქნებ როგორმე დავსვათო, — გვთხოვა. ცდილობდა, პატარა ხის სკამზე დატეულიყო 120-კილოიანი ქალი! მანაც ხან გვერდულად სცადა კარში შემოტევა, ხან წალმა და თქვენ წარმოადგინეთ, უკულმაც კი. „არა, მთელი 2 საათი ეს ქალი, ფაქტობრივად, მე უნდა მეჯდეს კალთაში“, — გავიფიქრე და ამ პერსპექტივით ცოტა არ იყოს, შეშინებულმა მძლოლს განწირული ხმით ვუვიკლე — ნამდვილად არ ეტევა-ბატონო, დანოლილს თუ წამოიყვანთ, მაშინ შეიძლება-მეთქი!.. ლოდინითა და საახალწლო ორომტრიალით დაღლილ ხალხს სიცოცხლის ტალღამ გადაურბინა; ყველა გავხალისდით, მძლოლის გარდა: რა ვქნა, რა გიყო, ვერ ეტევიო, — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ და ხელი ჩაიქნია, — თქვენს პირში ჩავარდნას 5 ლარის დაკარგა არ მერჩინაო?! გაგამხიარულეთ კიდეც, ხომ ხედავ, უარესებიც ხდება, ახლა კი გავიქეცი, მარიამი სკოლიდან უნდა გამოვიყვანო და მუსიკაზე წავიყვანო, — დროებით დავემშვიდობე მეზობლებს და სკოლისკენ გავიქეცი...

აი, ასე გადის დღეები. არ იფიქროთ, მხოლოდ ასეთ მსუბუქ თემებზე ვსაუბრობდით. რა თქმა უნდა, პოლიტიკურ მოვლენებსაც განვიხილავთ, ქვეყნის მომავალზეც ვჭობთ, შვილების აღზრდაზეც, თაობებს შორის სხვაობაზეც, განათლების რეფორმაზეც კი, რადგან სკოლის ასაკის ბავშვები გყავს და გვანტიერესებს რა სიახლეებია და კიდეც, ვინ იცის, რაზე აღარ... თუ გახალისდით და მოგეწონათ ჩვენი აზრები, მოგვწერეთ და კვლავაც შემოგთავაზებთ ნაწყვეტებს სერიალიდან — „სასონარკვეთილი დიასახლისები ქართულად“. მოგიყვებით თქვენი ყოველდღიური, უფერული თუ „ფერუმარილიანი“ ცხოვრების ამბები.

P.S. ბოლო სადღეგრძელოს კი თქვენ გთავაზობთ, მკითხველებო: სასონარკვეთილი დიასახლისებს გაუმარჯოს! უკეთესი მომავლის იმედი ნურასდროს დაგვეკარგოს და ღმერთმა ქნას, სასონარკვეთილი დიასახლისებიდან „ბიზნესის მაღალ ქუსლებზე“ ჩვენც შევმდგარიყავით, ოცნებებში მაინც... ხომ იცით, კაცი იმედით ცოცხლობს...

ავტორთან დაკავშირების მსურველებს შეგიძლიათ დარეკოთ ტელ: 8(93)49.95.02

უყუჩაოთ!  
www.palitrav.ge  
PALITRA  
TV-RADIO  
ლაპარაკობს და ურვენებს პალიტრა!





# თინეიჯარული ფანჯარები — როგორ ვიპოვოთ მილიონი

ბევრი ოცნებობს იმდენი ფულის შოვნაზე, რამდენიც მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იქნება საკმარისი, ზოგს კი მეტის შოვნა სურს, თუმცა ხშირად, ცხოვრება ისე გადის, რომ ოცნება ოცნებადვე რჩება, ადამიანები საკუთარი მოთხოვნილებების 50%-ის დაკმაყოფილებასაც ვერ ვახერხებთ და ამაში იღბალს ვადასაშუალებთ. როგორ უნდა ვიპოვოთ მილიონი? — ალბათ, ამის უამრავი გზა არსებობს, მაგრამ პირადად მე, სამწუხაროდ, არც ერთი არ ვიცი და რჩევასაც ვერ მოგცემთ; სამაგიეროდ, ჩემმა რესპონდენტებმა თავიანთ ფიქრს, ფანტაზიას გასაქანი მისცეს და ახლა სწორედ მათ მხარულ იდეებს გაგიზიარებთ.

## „მოსყიდული“ გეგმირები და მახათის ბიზნესი

ლიკა ქავიაი

სალი, 17 წლის:

— აუფ, მილიონის შოვნის გზა რომ ვიცოდე, მას თქვენ კი არ გაგანდობდით, არამედ პირდაპირ საქმეზე გადავიდოდი და ფულსაც ვიშოვიდი... ისე, ამაზე ბევრჯერ მიფიქრია. სრულწლოვანი რომ ვიყო და ფული მქონდეს, ისეთ ბიზნესს მოგვიდებდი ხელს, რომელიც დიდ მოგებას მომიტანდა. მაგალითად, თოჯინების ბიზნესს წამოვიწყებდი. თავდაპირველად, მეცნიერებს ისეთი თოჯინის დამზადებას დავავალებდი, რომელსაც მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა შეეძლებოდა, ირბენდა, წყალს დალევდა და ა.შ. დარწმუნებული ვარ, ასეთი თოჯინები მთელ მსოფლიოში, ძალიან სწრაფად ანუ პანტაჟენტით გაიყიდებოდა, თუ რა თქმა უნდა, ის ძალიან ძვირი არ ელიერებოდა და მხოლოდ მდიდრებისთვის არ იქნებოდა ხელმისაწვდომი.

— ალბათ, ასეთი თოჯინების დამზადებას ბევრი ფული დასჭირდება და თუ მათ იაფად გაყიდი, მალე გაკოტრდები, ვალი დაგედება.

— არა, ასე სულელურადაც არ მოვიქცევი, მაგრამ ხომ ჯობია, ერთ თოჯინაში დაგრჩეს ვთქვათ, 5 ლარი და წელიწადში უთვალავი სათამაშო გაყიდო, ვიდრე მხოლოდ 1000 გასაღდეს და მოგება — 5.000 დოლარი დაგრჩეს?..

— მილიონერი რომ იყო, რას იზამდი?

— პირველ რიგში, გაჭირვებულ, მიუსაფარ ბავშვებს დავეხმარებოდი. ძალიან მინდა, ყველა ბავშვს ჰყავდეს დედ-მამა, რადგან ვერ წარმომიდგენია, დედის ან მამის გარეშე როგორ უნდა მეცხოვრა. ჰოდა, შევეცდებოდი, თითოეულ მათგანს ეპოვა თბილი ბუდე, მათ შევუქმნიდი ისეთ პირობებს, რომ კარგად ესწავლათ და მერე, როცა უკვე სრულწლოვნები იქნებოდნენ, დავასაქმებდი კიდევ. მაგალითად, მათ ჩემს ბიზნესში ჩავრთავდი — ამით მეც ვიხიერებდი და მიუსაფრებსაც



მიცემოდათ ნორმალური ცხოვრების შანსი... კიდევ, ჩემს ბიძაშვილს, რომელსაც ცერებრალური დამბლა აქვს, სამკურნალოდ საზღვარგარეთ წავიყვანდი და თავადაც გავიკეთებდი პლასტიკურ ოპერაციას.

— საკუთარ გარეგნობაში რა არ გაკმაყოფილებს?

— ცალი ფეხი მეორეზე მოკლე მაქვს და ამას ძალიან განვიცდი. მართალია, არც ისე შესამჩნევად ვკოჭლობ, მაგრამ გოგოსთვის გარეგნული ნაკლი მოგესხენებათ, რასაც ნიშნავს; ეს ჩემთვის ძალზე მტკივნეული თემაა და ამაზე ლაპარაკი არ მსურს. და კიდევ, მილიონერი რომ ვიყო, მამაჩემს დავასვენებდი, ყოველდღე „ბირჟაზე“ დგომა და სამუშაოს ძებნა არ დასჭირდებოდა, დედას კი შინ დამხმარე ქალს მიუყვანდი, რომელიც საოჯახო საქმეების მოგვარებაში დაეხმარებოდა.

ნინა, 19 წლის:

— მილიონი რომ იშოვო, პირველ რიგში, იღბალი უნდა გქონდეს... ეჰ, ოცნებას კაცი არ მოუკლავს და ერთხელაც, თუ ჩემთვისაც დადგება გაზაფხული, პირველ რიგში, ბინას შევიძენ, თორემ ოროთახიანი ბინაში 7 სული ვცხოვრობთ და არათუ ჰაერი არ გვყოფნის, ერთმანეთს გვერდსაც ვერ ვუქცევთ ხოლმე და ამ სიციზროვისგან ფერდებიც კი ჩალურჯებული გვაქვს (იციინის).

— მილიონი რომ გქონდეს, კიდევ რას გააკეთებდი?

— სამოგზაუროდ ესპანეთსა და საფრანგეთში წავინგებდი და საქუჩარს ყველა ჩემს ახლობელ ადამიანს ჩამოვუტანდი... ისე, მილიონი რომ მქონდეს, შეყვარებულსაც ადვილად მოვუგრესდი კისერს და ოჯახის შექმნაზე დავითანხმებდი.

— ოჯახის შექმნისგან თავს იმიტომ იკავებთ, რომ ფული არ გაქვთ?

— ჰო, მისი ოჯახიც ხელმოკლედ ცხოვრობს, თავად არსად მუშაობს და მის ადგილას აბა, რომელი ჭკუათამყოფელი იფიქრებდა ცოლის მოყვანაზე?! ისე, ორივე ვყიდულობთ ლატარიის ბილეთებს და ვინ იცის, იქნებ ოდესმე ჩვენც გაგვიმართლოს, ჯექ-პოტი „მოვსხნათ“...

— წარმატებებს გისურვებ!

— გამადლობ, ეს ნამდვილად მჭირდება.

ბიბა, 18 წლის:

— ვისაც ფული გაქვთ და თანაც, იღბლიანი ბრძანდებით, აუცილებლად შეიძინეთ ლატარიის ბილეთი, ითამაშეთ და მილიონერი გახდებით, მაგრამ თუ უიღბლო ხართ, იმასაც დაკარგავთ, რაც გაგაჩნიათ.

— მილიონის შოვნის ასეთი გზა არა მგონია, ვინმეს ჭკუაში დაუფუდე.

— (მანყვეტიანებს) მაშინ ე.წ. მახათის ბიზნესი წამოიწყონ და ოდესმე აუცილებლად გამდიდრდებიან...

— შენ იცნობ ისეთ ადამიანს, რომელიც მახათის გაყიდვით გამდიდრდა?

— თუ მილიონ მახათს ლარად შეიძენ და მერე 2 ლარად გაყიდი, ხომ დაგარჩება მილიონი?!

— კი, მაგრამ მილიონ ნემსი როგორ ან სად უნდა გაასალო?

— ხომ გითხარი, ამას წლები დასჭირდება-მეთქი?! შეიძლება, მიზანს მაშინ მიაღწიო, როცა ცალი ფეხი სამარეში გექნება ანუ დაგროვილი ქონებით თავად ვერ გაიხარებ, მაგრამ შენი შთამომავლები ხომ გაიხარებენ, დაგლოცავენ?! ისე, ამ ყველაფერს დიდი ნებისყოფა სჭირდება და კიდევ, ამ გზით ფული რომ დააგროვო, ყველანაირ სიამოვნებაზე უარი უნდა თქვა, „კაპიკი“ „კაპიკს“ დაანებო და მხოლოდ ამ შემთხვევაში თუ მოაგროვებ მილიონს... სამწუხაროდ, მე ჩემს შთამომავლებს ქონებას ვერ დავუგროვებ, რადგან ფულის დაგროვებაზე მეტად, მისი ფლანგვა მიყვარს.





მირჩენია, შვილიშვილებმა მაგინონ, ვიდრე ძალღური ცხოვრება მქონდეს და როცა მოკვდები, მერე მაქონ.

— მილიონ რომ მოგცენ, რაში დახარჯავ?

— შენ მომეცი და ქარს ნამდვილად არ გავატან, რაიმეში გამოვიყენებ!.. პირველ რიგში, მანქანას ვიყიდი, მერე ცოლს შევირთავ და მასთან ერთად მთელ მსოფლიოს შემოვივლი. სამშობლოში დაბრუნებული დარჩენილ თანხას რაიმე საქმეში ჩავდებ, მაგრამ თუ ამ მოგზაურობიდან არაფერი ჩამომეყვება ანუ მილიონი მთლიანად შემომეხარჯება, დიდად არ ვინაღვლებ, რადგან ჩემი ოცნება ასრულებული იქნება.

— მილიონერს ქველმოქმედების სურვილი არ გააჩნდება?

— ყველა ნორმალურმა ადამიანმა ჯერ საკუთარ თავზე, სიამოვნებაზე უნდა იფიქროს და მერე — სხვებზე. თუ ოცნების ასრულების შემდეგ დამრჩება იმდენი თანხა, რაც კარგი საქმის გაკეთების საშუალებას მომცემს, ცხადია, ვინმეს აუცილებლად დავეხმარებ, თუ არა და, თავად გავხდები სხვების დასახმარებელი...

ფიქრია, 18 წლის:

— ოჰ, რა კარგია, როცა მილიონერი ხარ და შეგიძლია, ის აკეთო, რაც მოგესურვება. მილიონი რომ მქონდეს, პირველ რიგში, დედაჩემს ჩაუფსავამდი „ჰოლივუდის“ კბილებს და ოცნებას აფუხდენდი, მამას ჯიპს ვუყიდდი, ბებიას ანტალიაში წავიყვანდი დასასვენებლად (გამუდმებით ამაზე ოცნებობს), ბაბუს ახალგაზრდობას გავახსენებდი და ნაშუბთან გაუშვებდი; ჩემს ძმას სახლს ვუყიდდი და ცოლის მოყვანისგან თავს აღარ შეიკავებდა, ჩემს დაიკოს სასწავლებლად საზღვარგარეთ გაუშვებდი, თავად კი სკოლის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტში, სამედიცინოზე მოვეწყობოდი და პარალელურად, კოლეგებთან ერთად კიბოს წამლის

გამოგონებაზე ვიმუშავებდი. ცხადია, ამ საქმეს დავაფინანსებდი და მანამ არ მოვისვენებდი, ვიდრე სიმსივნის დამარცხების მეთოდს არ შევიმუშავებდი.

— და არასდროს გიფიქრია იმაზე, თუ როგორ უნდა იშოვო მილიონი?

— მიფიქრია, მაგრამ სამწუხაროდ, ამ კითხვას პასუხი ვერ გავეცი. იმედია, ოდესმე გამიმართლებს და მილიონს ლატარიაში მოვიგებ, მერე კი ოცნებებს ავისრულებ და ჩემი გამოგონებით ხალხსაც დავეხმარები.

სალომე, 17 წლის:

— მილიონს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიშოვი, თუ ბანკს გაფარცვავ, სხვანაირად არა მგონია, მიზანს მივაღწიო.

— სომ შეიძლება, მილიონერი პატიოსანი შრომით გახდეს?

— არა მგონია, საკუთარი შრომით ადამიანმა იმდენი ქონების დაგროვება შეძლოს, რომ მილიონერი გახდეს; თუ რაღაც არ იცუღლუტე, ვერ გადიდრდები... ჩემი მეგობრის მამა ხელოსანია და სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდა. 2 წლის განმავლობაში იმდენ ფულს გზავნიდა, რომ მის შვილებს საჭმელ-სასმელი არ მოჰკლებია, ნორმალურად ცხოვრობდნენ და ცოტაოდენი დანაზოგიც გააკეთეს, აქ მალაზიები გახსნეს და ახლა მშვენივრად ცხოვრობენ, მაგრამ თავზე ნამდვილად არ გადასდით. ჰოდა, ვერ დავიჯერებ, რომ მასზე მეტი იშრომა მეორე მეგობრის მამამ, რომელმაც არანაირი ხელობა არ იცოდა, ლურსმნის მიჭედებაც კი არ შეეძლო, მაგრამ 1 წელიწადში, ვითომც მშენებლობაზე მუშაობით, იმდენი ფული მოაგროვა, რომ თბილისში 2 ბინა იყიდა, წყნეთში „დაჩა“ შეიძინა და ბიზნესიც წამოიწყო. არა მგონია, საზღვარგარეთ წასულმა მშენებელმა კაცმა ერთ წელიწადში ამდენი ფულის შოვნა შეძლოს, თორემ საქართველოს მოსახლეობის 80% ახლა უმდიდრესი იქნებოდა.

ტინიხაძე, 20 წლის:

— მილიონის შოვნა ღვინის ბიზნესით თავისუფლად შეიძლება, მაგრამ ეს რომ შეძლო, ჯიბე ჩემსავით ცარიელი კი არ უნდა გქონდეს... მერნმუნეთ, საქართველოში წამოწყებული ღვინის ბიზნესით ბევრმა აივსო ჯიბე, ხელისუფლებამ კი ამ სფეროში დასაქმებული ბიზნესმენების წყალობით, ხელი კარგად მოითბო (თუ რას ვგულისხმობ, ამას თავადაც მიხვდებით).

— შენ ეს ყველაფერი საიდან იცი?

— კახელ კაცს ვერაფერს გამოაპარებ! საქართველოდან იცი, საზღ-

ვარგარეთ რამდენი ლიტრი ღვინო გადის?

— არა, არ ვიცი!

— ჰოდა, რომ არ იცი, მაგიტომაც გვაქვს საქმე კარგად.

— და შენ ამის შესახებ გაქვს ინფორმაცია?

— მე კი არა, ეს სააკაშვილმაც არ იცის; მხოლოდ ღმერთმა უწყის, სინამდვილეში ვის რა გააქვს ან შემოაქვს.

— კახელი ვარო, — ამბობ. სომ შეიძლება, ღვინო თავად დაწურო და მერე საქართველოს მასშტაბით მაინც იეჭრო, ფული დააგროვო...

— (მანყვეტინებს) ამის თავი რომ მქონდეს, რა მიჭირდა?! ჩვენი ოჯახი ღვინოს, ყურძენს ყიდის და წლიდან წლამდე თავს ასე ირჩენს, მაგრამ გადასანახი ანუ „ლეიბის ქვეშ ჩასადები“ ფული ნამდვილად არა გვაქვს.

— მილიონერი რომ იყო, რას იზამდი?

— კახეთში ფესს არც ერთ ბიზნესმენს არ დავადგმევივინებდი, მათ არ გავაჭაჭანებდი, ყურძნის მთელ მოსავალს გლეხებისგან თავად შევისყიდდი არა „კაპიკებად“, როგორც ახლა აკეთებენ, არამედ ისეთ ფასად, რომ გლეხს ცხოვრება არ გასჭირვებოდა, ვენახის გაჩეხის სურვილი არ გასჩენოდა. ვენახი, ვაზი ჩვენი სიმდიდრეა, მაგრამ ხელისუფლება ამას არად დაგიდევთ... მოგეხსენებათ, თავის დროზე დასავლეთ საქართველოში ჩაი იყო მაგარ „ხოლმი“, მაგრამ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში გაჩეხა და ხალხმა მის ნაცვლად სიმინდი დათესა, რათა შიმშილით არ დახოცილიყო. რა მოხდებოდა, ხალხისთვის ის პლანტაციები რომ შეენარჩუნებინათ? მაგრამ არა, ქართველ ერზე არავინ ზრუნავს!.. ახლა უნდათ, ხალხს ვაზიც გააჩეხონ.

— სომ შეიძლება, ხალხს სომინდი სხვაგან მოეყვანა და ჩაი არ გაეჩეხა?..

— იმ პერიოდში ფაბრიკა-ქარხნები დაიხურა და უმუშევრად დარჩენილება იფიქრეს, — ეს ჩაი მაინც არაფერში გვარგია, მოდი, გავჩეხოთ, სიმინდი მოვიყვანოთ და შიმშილით მაინც არ დავიხოცებით, სხვა თუ არაფერი, მჭადი და ლომი მაინც გვექნებაო.

— კახელმა კაცმა ამდენი საიდან იცი?

— ახლობლები სამეგრელოშიც მყავს და იმერეთშიც; სვანეთშიც მყავს ნათესავეები და ვიცი, სად რა ხდება.

— ცხოვრებამ სოფურში რომ მოგინცოს და მილიონერი გახდეს, შენს მეგრულ, იმერულ, სვან ნათესავებს არ დაიფინცებ, მათ დახმარების ხელს გაუწვდი?

www.palitra.ge  
PALITRA TV-RADIO  
ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!





— ეს რა კითხვაა? ცხადია, ასე იქნება, აბა, სხვანაირად როგორ შეიძლება?

— ამბობენ, — როცა ადამიანი ბევრ ფულს შოულობს, ხელმოჭერილი ხდება ანუ ღორდებაო.

— ჯერ რა მაქვს და ვცდილობ, სხვებს დავეხმარო და ბევრი რომ მექნება, მერე რა ჯანდაბა გამალორებს? არა, ზუსტად ვიცი, რომ გამდიდრების შემთხვევაში, მხოლოდ საკუთარ თავზე არ ვიფიქრებ, დახმარების ხელს არა მარტო ნაცნობებს, რამედ უცნობებსაც გავუწვდი!

**ზაზა, 17 წლის:**

— მილიონი რომ იშოვო, ამისთვის ბევრი გზა არსებობს; მთავარია, ადამიანმა ჭკვიანურად იცხოვროს და თუ მიზნად გამდიდრება აქვს დასახული, ამას აუცილებლად მიაღწევს. მე მაგალითად, ზუსტად ვიცი, რომ შეიძლება მილიონი ვერ ვიშოვო, მაგრამ ცხოვრებას ისე ავინყობ, როგორც მინდა — მანქანას, ბინას შევიძენ, ცოლს მოვიყვან და შვილებს ცივ ნიავს არ მივაკარებ.

**ნინია, 16 წლის:**

— ვაი! ამაზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ თუ დროს მომცემთ, შეიძლება, რაღაც მოვიფიქრო...

ნინიას ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ, კვლავ შევეხმიანე, მან კი მილიონის შოვნის ასეთი გზა შემოგვთავაზა:

— პირველ რიგში, საწყის ეტაპზე, ბანკიდან სესხი უნდა გამოვიტანოთ, რათა ბიზნესის წამოწყება შევძლოთ. კარგი იქნება, თუ მეცნიერების მოსყიდვას შევძლებთ, რათა მათ ჩვენთვის იმუშაონ და გამოიგონონ ისეთი რამ, რაც მსოფლიოში ჯერ არავის შეუქმნია და ხალხის გაოცებას შეძლებს.

**მაგალითად?**

— ისეთი აპარატი, რომელიც ნაგავს გააქრობს, მსოფლიოს დაბინძურებისგან იხსნის ან ისეთი ავტომობილი, რომელიც სანავის გარეშეც იმოძრაავებს. ისე, ხომ მაგარი იდეაა? დარწმუნებული ვარ, ასეთი გამოგონების პატრონი მილიონერი კი არაა, მილიარდერი გახდება და მასზე ვერავინ იტყვის, ფული ბინძური გზით იშოვაო, როგორც ამას ბევრ მდიდარ კაცზე ამბობენ ხოლმე.

— **შენც ფიქრობ, რომ ყველა მდიდარი კაცი ფულს მრუდე გზით შოულობს?**

— ცხადია, არა! ადამიანებს, რომლებსაც ამა თუ იმ საქმეში არ უმართლებთ და სხვების შურთ, ამბობენ, — ჩვენ ვერ მოვახერხებთ ქონებ-

ის დაგროვება მხოლოდ იმიტომ, რომ პატიოსნად ვშრომობდით, იმათ კი ალბათ მოიპარეს, თორემ ამდენ ფულს ვერ იშოვიდნენო.

— **როგორ ფიქრობ, შენი იდეების განხორციელება შესაძლებელია?**

— ალბათ კი, მაგრამ ამას ბევრი ფული და დრო დასჭირდება. სამწუხაროდ, არ მჯერა, რომ ამ იდეის განხორციელებას ოდესმე შევძლებ და იმა-



შიც დარწმუნებული ვარ, რომ ზოგ-ზოგიერთივით არც ლატარიაში გამომართლებს, თორემ აუცილებლად ვითამაშებდი.

— **ასე დარწმუნებული რატომ ხარ?**

— იმიტომ, რომ არც ერთ თამაშში არ მიმართლებს. კაზინოში ერთხელ შევედი, ჯიბეში 200 ლოლარი მქონდა და ისე „გამასუფთავეს“, გზის ფულიც კი აღარ დამრჩა, რუსთაველიდან გლდანში ფეხით წავედი; ლატარიის ბილეთიც უამრავჯერ ვიყიდე, მაგრამ ვერასდროს ერთი ციფრიც ვერ გავარტყი. ჰოდა, სისულელეა, რომ ჩემნაირი ბედის მქონე კაცმა თამაში განაგრძოს. კიდევ კარგი, ისეთი აზარტული არა ვარ, როგორიც ჩემი მეგობარია, თორემ მილიონერი კი არა, ახლა ჩემზე ლატაკი არავინ იქნებოდა, ოჯახის წევრებსაც ქუჩაში დავტოვებდი.

ნინიას ვთხოვე, ჩემთვის თავისი აზარტული მეგობარი გაეცნო, რომელიც ინტერვიუზე დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ძლივს დავითანხმე.

**ბიბი, 16 წლის:**

— აზარტული ვარ. მილიონი რომ მქონდეს, გამოგიტყდებით და, კაზინოში დავიწყებდი ცხოვრებას ან შეიძლება, თავად გამეხსნა ასეთი დაწესებულება და მერე საკუთარ თავთან მეთამაშა. ისე, ეს საუკეთესო ვარიანტია: არც წაგების შემეშინდებოდა და არც — მოგების (იცინის).

— **როგორც ვხვდები, არც ისე იღბლიანი ხარ...**

— ეს ნინიამ გითხრა? მართალია, ხშირად ვაგებ, მაგრამ ეს დიდად არ მაღარდებს, რადგან ბევრ თანხას არასდროს ვდებ.

— **იმიტომ, რომ არ გაქვს თუ იმიტომ, რომ წაგების გეშინია?**

— რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ არ მაქვს.

— **არასდროს გიფიქრია იმაზე, თუ როგორ უნდა იშოვო მილიონი?**

— სულ ამაზე არ ვფიქრობ და ვოცნებობ? კაზინოში იმ იმედით მივდივარ, რომ გამიმართლებს და მაყუთს მოვიგებ, ტოტალიზატორში რომ შევდივარ და გუნდებს ვარჩევ, ცხადია, მაშინაც მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობ...

— **ოდესმე დიდი თანხა თუ მოგიგია?**

— ტოტალიზატორს „ავახიე“ 1.300 ლარი, მაგრამ მთელი თანხა იმავე ლამეს, კაზინოში დავტოვე.

**16 წლის მოზარდს**

**საიდან მოგაქვს საიმისო თანხა, რომ კაზინოში შესვიდე? გასაგებია, რომ ტოტალიზატორში შესვლა და იქ თამაში 1 ლართაც შეიძლება, მაგრამ კაზინოში 1 ლართ რას ითამაშებ?**

— მშობლები მაძლევენ იმდენ ფულს, რომ ტოტალიზატორში შევიდე, იქ მოგებულ თანხას კი კაზინოში ვხარჯავ. მართალია, კრუპიეები მოგების საშუალებას არ მაძლევენ, მაგრამ სწორედ ამას აქვს მულამი — იმედს არ ვკარგავ, რომ ოდესმე გამიმართლებს და კაზინოდან საკმაოდ სოლიდურ თანხას „მოგხსნია“.

— **წარმატებებს და მოგებას გისურვებ!**

— გმადლობ. მერწმუნე, ოდესმე აუცილებლად მოვიგებ იმდენ თანხას, რომ კაზინო თავადვე გავხსნა.

**მეგი, 15 წლის:**

— ნამდვილად არ ვიცი, მილიონი როგორ უნდა ვიშოვოთ, მაგრამ ის კი ვიცი, მდიდარი რომ ვიყო, ფულს რაში დავხარჯავდი.

— **მაინც, რაში დახარჯავდი?**

— პირველ რიგში, ჩემს სწავლას დავაფინანსებდი, მშობლებს ნორმალურ სამუშაოს ვუშოვიდი, ჩემს საყვარელ ინგლისურის მასწავლებელს, ქალბატონ მაიას ბინას ვუყიდე (ნაქირავებში ცხოვრობს და ქირის გადახდა ძალიან უჭირს); ჩემს კლასელს, რომელსაც სიარული, გადაადგილება უძნელდება, ოპერაციის ფულს მივცემდი და კიდევ უამრავ კარგ საქმეს გავაკეთებდი.





# გიგლუსი


გიგლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

## წვეთი პოეზია

### ვერცხლის თასადამც მაქცია

ვერცხლის თასადამც მაქცია,  
რო ღვინით აგვესებოდი,  
დაფერილი მქნა წითლად,  
შამსვამდი, შაგერგებოდი.  
ანა მქნა ვერცხლის სათითუ,  
რო ხელზე ჩაგედებოდი;  
ანა მქნა ოქროს ბურთვაი,  
ქალთაში ჩაგემლებოდი;  
ან ვერცხლის ფულად მაქცია,

ჯიბეში ჩაგეყრებოდი!  
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,  
რო ფეხზე შაგეჭრებოდი;  
ანა მქნა ვარდი ყოილი,  
რო ჰიროზე დაგეყრებოდი;  
ანა მქნა მოვის პერანგი,  
რო გულზე დაგადნებოდი!  
ან შენი ძმა მქნა მოწილე,  
აროდის გაგეყრებოდი;  
ან შენი ნანდაური მქნა,  
გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი!  
ძალიან დანუხებული  
გზაზედამც შაგეყრებოდი!



ხალხური

### ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია  
არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით  
1982 წელს გამოცემული  
ქართული ენის  
ბანგარტაპიტი ლექსიკონის  
ერთტომეულის მიხედვით  
შემდგენილი თეზაუსი ივანიაძე

### კ

დასაწყისი იხ. „გზა“,  
№2-52, 2010 — №1-5, 2011

- კვეთი** — იგივეა, რაც დვრიტა (საყველედ რძის შესადედეული მასალა, რომელსაც იღებენ ჩვილი მცობნავი საქონლის კუჭიდან — მაჭიკი).
- კვეთი** — ხის სოკო, რომლისგანაც კეთდება აბედი.
- კვერი** — პატარა ჩაქუჩი.
- კვერნა** — ურმის ნაწილი: ერთი ოთხრიკთაგანი, რომელიც ხელნის ქვედა მხარეს არის ჩარჭობილი ღერძის მოსადებად // შესადგრების ამონაკვეთი, რომელშიც უძრავად მაგრდება ღერძი.
- კვიმატი** — 1. ავი, ბოროტი, უკულმართი, ფათერაკიანი; 2. მოსწრებული, ენამახვილი.
- კვინი** — თავის სარქველი — თხემი.
- კვირაცხოვლობა** — ქრისტიანული საეკლესიო დღესასწაული: პირველი კვირა აღდგომის შემდეგ.
- კვირადლი** — კვირადლის წინა საღამო, შაბათის საღამო (ავი მუშა კვირადალზე გამხნევდება).
- კვირიონი** — იგივეა, რაც მესკია (პატარა ჩიტი ერთგვარი).
- კვირისთავი** — 1. თითისტარის ბოლოზე წამოსაცმელი სამძიმი (რგოლი, თითისტარის ბრუნვის გასაადვილებლად); 2. მუხლისთავის პატარა მრგვალი ძვალი.
- კვირწლა** — პატარა ერთგვარი თევზი: გამრავლების დროს თავზე უჩნდება ლომის მარცვლისოდენა ხორკლები (სინონიმი: კუთხურად — ლომა).
- კვნიტი** — პატარა ნატეხი (მაქრისა, მარილისა).
- კვნი** — იგივეა, რაც კვნიტი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში





„ისტორიაში მე მხოლოდ ანეკ- დოტები მიყვარს. ანეკდოტებში კი ისეთებს ვამფლობინებ, რომლებიც უკეთ წარმომადგენლებს ეპოქის ზნე-ჩვეულებებსა და ხასიათის ნამ- დვილ სურათებს“, — ამბობდა ცნობილი ფრანგი მწერალი პროსპერ მერიმე და სწორედ ამ დამოკ- იდებულებით იყო გაუღწეველი მთე- ლი მისი შემოქმედება.

თამთა დოლიკა

„კლარა გაზიულის თეატრის“ წამყვანი მსახიობი

ახალბედა მწერლის მრწამსის საბ- ოლოდ ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა უფროს თანამედ- როვესთან, სტენდალთან (ნამდვილი გვარ-სახელი — ანრი მარი ბელი) შეხვედრამ. მისი პირველი კრებული — „კლარა გაზიულის თეატრი“ რომანტიკოსებისთვის ჩვეულ ლიტ- ერატურულ მისტიფიკაციას წარმოად- გენდა. მერიმემ დიდ სცენაზე გა- მოსვლის წინ პირველი ნილაბი მოირ- გო და წიგნის ავტორად არარსებუ- ლი ესპანელი ქალი — კლარა გაზი- ული დაასახელა, წინასიტყვაობად ამავე ქალის შესახებ გამოგონილი ბიოგრაფია დაურთო, გარეკანზე კი ქალის პორტრეტი დაბეჭდა. სინამდ- ვილეში, სურათზე თავად ქალის ტანისამოსში გამონყობილი პროს- პერი იყო გამოსახული.

მსგავსი თუ მთხრობალი

ორი წლის შემდეგ „კლარა გაზი- ულის თეატრს“ მოჰყვა „გიუზლა“ ანუ — ლირიკული პოეზიის რჩეუ- ლი. მერიმემ ისევ ოსტატურად მოირ- გო ნილაბი და იმდენად დამაჯერე- ბლად, რომ ბევრი ცნობილი მწერა- ლი და მეცნიერიც კი მოექცა მის მიერ დადგმული „სპექტაკლის“ გავ- ლენის ქვეშ. პროსპერ მერიმე ამტ- კიცებდა, თითქოს ეს ლექსები არარსებული სახალხო მთქმელის, იაკინთე მაგლანოვიჩისგან მოესმი- ნა. სინამდვილეში, ეს კრებულიც მწერლის ხანგრძლივი შრომის ნაყ- ოფი იყო, რომელიც სლავი ხალხის ისტორიის შესწავლის შედეგად დაი- წერა. პოლონელმა პოეტმა, ადამ მიცკევიჩმა „გიუზლა“ თარგმნა, გამოჩენილმა რუსმა მწერალმა, ალექსანდრე პუშკინმა კი პროზად დაწერილი პოემები გააღებდა და შექმნა შესანიშნავი თხზულება — „დასავლეთის სლავების სიმღერები“.

გაგრძელება იქნება

პროსპერ მერიმესთვის დამახა-

# ნიღბების დიდოსტატი

სიათბელი უცნაურობით თუ აიხ- სნება მისი წერის მანერაც: მწერ- ალს მოქმედება ბოლომდე არას- დროს მიჰყავს — როგორც კი ამ- ბავი კულმინაციურ წერტილს მი- აღწევს, სწორედ იქ ამთავრებს თხრობას. თავის სიჩუმეს კი ამ სიტყვებით ხსნის: „გადაწყვიტოს თავად მკითხველმა, რომელსაც შეუძლია, რომანი თავისი გე- მოვნებით დაასრულოს“. საინტერე- სოა, რა დასასრული ხვდა წილად პროსპერ მერიმეს ქარიშხლიან

ამბებს საქართველოში?..

## საუბრის მთხრობალები მოგვითხრობენ

7 თებერვალს, ჟურნალ „რეიტ- ინგთან“ ერთად, პროსპერ მერიმეს მოთხრობების კრებული გამოვიდა. ვინც ჯერ არ გასცნობია ამ ავ- ტორს, წინ დიდი სიამოვნება ელის და თუ ჩემმა მონათხრობმა ვერ დააინტერესა, ჩემი სტუმრების ნაამ- ბობის შემდეგ მისი გაცნობის სურ- ვილი უეჭველად გაუჩნდება.

ქმად უნდა მიხედოთ მოთხრობები  
ნიღბების მთხრობელებს!

ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად

წაიკითხოთ წიგნები -  
უწყოსად იქნები!

14 თაბაკილიან - ზომი №4  
მთხრობალი - თეოდორ დოსტოვესკი

ფასი ... 2 ლარი!!!

21 თაბაკილიან  
ტომი №5 - რეინოსკა აკუტაბავა





**ინოვაციური სადღოპალაშვილი, პოეტრი:**

— ცოტა შორიდან დავინწყებ ანუ — ამბიდან, საიდანაც „ჩემი“ პროსპერ მერიმე დაიწყო. როგორც ბევრი ჩემი თანატოლის, ასევე ჩემს „სამკითხველოში“ ეს მწერალი ლიტერატურული პარალელების პრინციპით, ქართველ მწერალთან, ალექსანდრე ყაზბეგთან ერთად შემოვიდა. ქართული ლიტერატურის მასწავლებლების აპრობირებული მეთოდის გამო, „ხევისბერ გოჩასთან“ ერთად, სასწრაფოდ წავიკითხე „მატეო ფალკონე“. ასეთი მძაფრი შთაბეჭდილება მის არც ერთ ნოველას აღარ მოუხდენია. როგორც იტყვიან — შემძრა. უცნაურია, რომ მრავალი კომპოზიციური თუ სემანტიკური მსგავსების მიუხედავად, მათი ნაკითხვისას სრულიად განსხვავებული განცდა დამეუფლა. მატეო ფალკონეს მიერ შვილის მოკვლა, შეიძლება ითქვას, გაშეშებული (უფრო სწორად, ლოგიკის ცივ, რაციონალურ გარსში მოქცეული) სულით, გათოშული შეგრძნებებით იკითხება. მოკლედ, პროსპერ მერიმეს შემოქმედება დიდებული „ულუფაა“ მათთვის, ვისაც „ქარიშხლიანი“ ლიტერატურა უყვარს.

**— თქვენი აზრით, რითი გამოირჩევა პროსპერ მერიმე თუნდაც მისი თანამედროვე მწერლებისგან, როგორც იყო, მაგალითად, მისი მეგობარი — სტენდალი?**

**ლელა კოდალაშვილი, ლიტერატორი:**

— პროსპერ მერიმე გამორჩეული მისტიფიკატორია. ამით ის სტენდალს წააგავს. თუმცა სტენდალი მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით აგებდა ე.წ. სიცრუის ხელოვნებას. ერთი პერიო-

დი ამ ორ მწერალს თემატურად და იდეოლოგიურად მსგავსი პათოსიც კი ჰქონდა. თუმცა იყო წინააღმდეგობები და გაუგებრობები ცნობილი ლიტერატურული ბრძოლების დროს.

**ინოვაციური სადღოპალაშვილი, პოეტრი:**

— მსგავსება აუცილებლად იქნება, რადგან ეს მწერლები ერთი ქვეყნისა და ეპოქის შვილები არიან, ერთი ტკივილი და სიხარული აწუხებთ. ჩემი აზრით, ნაპოლეონთან დაახლოებული ფრანგი მწერლისა და უბრალო კავკასიელი მეცხვარის, ალექსანდრე ყაზბეგის მსგავსება (თუნდაც ერთი მოთხრობით) მართლაც უცნაურია და აღსანიშნავი. ჩემთვის, პროსპერ მერიმე ქართული სულის „მონათესავე“ მწერლად რჩება. თან, სულ ესპანურ ამბებზე წერს, ესპანური მთები და ხალხიც ჩვენებს, კავკასიელებს ძალიან ჰგავს. მოკლედ, ერთი მწერლის თქმის არ იყოს, მერიმე — „ჩვენი დიდი პაპა“.

**— არსებობს წიგნები, რომლებიც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევს. არის თუ არა პროსპერ მერიმეს შემოქმედებაში თუნდაც ერთი მოთხრობა, რომელიც სამუდამოდ დაგამახსოვრდით?**

**ანი კოპალიანი, მთარგმნელი:**

— პროსპერ მერიმეს შემოქმედებაში ნამდვილად არის ისეთი მოთხრობა, რომელმაც არათუ მე, მთელ მსოფლიოს დაამახსოვრა თავი — ამ მოთხრობის მიხედვით შეიქმნა არაჩვეულებრივი ოპერა, ბალეტი, მრავალი კინოფილმი და სპექტაკლი და, რაც მთავარია, დაუვინყარი სახე ქალისა, რომელსაც იცნობს ყველა, ისინიც კი, ვისაც მოთხრობა არ წაუკითხავს. მოკლედ, მე მიყვარს „კარმენი“.

**ლელა კოდალაშვილი, ლიტერატორი:**

— პროსპერ მერიმეს აქვს რამდენიმე ნოველა, რომლის გმირებიც გასცდნენ საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟების „ნიშას“ და ცნებებად იქცნენ. ვფიქრობ, როცა მწერალი ქმნის სახეს, რომელიც წლების, საუკუნეების განმავლობაში იქცევა მოვლენად, ცნებად და შესაბამისად, ადამიანური ნორმების საზომად, ესე იგი, მისი შექმნილი სახე მარადიულია. ჩემი აზრით, ამ ტიპის მწერალთა რიგს მიეკუთვნება პროსპერ მერიმეც. რას შეეხება ერთ დაუვინყარ მოთხრობას, ასეთია „მატეო ფალკონე“, ან თუნდაც — „კარმენი“.

ჩვენ მათ ვისხენებთ, როგორც მაგიურ სიტყვებს, რომლებიც გვიხსნის მოსაუბრესთან ვრცელი განმარტებების პრობლემას.

**— თქვენი აზრით, შეფერება თუ არა პროსპერ მერიმეს შემოქმედებას გამონათქვამი — საკითხავი უნდა იკითხებოდეს! ანუ — როგორ დააინტერესებდით მისი წიგნებით მკითხველს, რომელიც ჯერ არ იცნობს ამ შესანიშნავ მწერალს?**

**ინოვაციური სადღოპალაშვილი, პოეტრი:**

— ალბათ ისევე იმ მოთხრობის ნაკითხვას ვურჩევდი, რომელმაც ეს ავტორი მე შემაყვარა — „მატეო ფალკონეს“ — და იქვე, ჩემი ქართულის მასწავლებელივით, „ხევისბერ გოჩასაც“ გავახსენებდი. მსჯელობისთვის, ფიქრისთვის, პარალელებისთვის, ბოლოს და ბოლოს, ერთი კარგი საუბრისთვის, მშვენიერი თემაა და სულის სარგოც.


**ანი კოპალიანი, მთარგმნელი:**

— პროსპერ მერიმე ნამდვილად მიეკუთვნება იმ მწერალთა კატეგორიას, რომელიც ნაწარმოების მაღალ ლიტერატურულ ღირებულებას სრულიად მარტივ, ყველასათვის იოლად გასაგებ სამწერლობო ენას უთავსებს. მე ვიტყვოდი, ეს არის ლიტერატურა ყველასათვის — ნებისმიერი თაობის, ასაკის, გემოვნების ადამიანს შეუძლია, ნაკითხოს და სიამოვნება მიიღოს პროსპერ მერიმეს მოთხრობებისაგან.

**ლელა კოდალაშვილი, ლიტერატორი:**

— ცხადია, მიმაჩნია, რომ მერიმე სწორედ ის მწერალია, რომელიც აუცილებლად უნდა იკითხებოდეს, რადგან ეს შემოქმედი შესაშური ოსტატობით ხატავს დაუვინყარ ლიტერატურულ ტილოებს. როცა მის მოთხრობებს ვკითხულობთ, ვგრძნობთ, თუ რამდენად ღრმად ესმის მას ადამიანის ფსიქიკის თავისებურებები, როგორ მარტივად ახერხებს, ჩამოაყალიბოს ამ სირთულეებისგან იოლად გასაგები ტიპაჟი და ამას ახერხებს ისე, რომ არ მიაყენოს შეურაცხყოფა იმ მკითხველს, რომელიც შეიძლება, არ დგას სათანადო მსოფლმხედველობრივ დონეზე. როგორ უნდა დააინტერესო მკითხველი პროსპერ მერიმეთი?.. ალბათ სწორედ იმით, რომ პრობლემები, რომლებსაც ის წარმოაჩენს, დღესაც აქტუალურია. ყველას სჭირდება ის ცოდნა, რასაც გვაძლევს მერიმეს პერსონაჟები, სხვაგვარად, მთელ რიგ საკითხში გამოუცდელები ვიქნებოდით.





მარი ჯაფარიძე

# მორიგანი

## არხიდიტა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-5, 2011

დავითი წავიდა თუ არა, ნინომ თვალი ჩამიკრა.

— ეტყობა, მოენონე ჩემს ქმარს...  
— თქვენ უკეთ იცით მისი ხასიათი,  
— პირდაპირ პასუხს თავი ავარიდე და „სასვებათშორისოდ“ გადავულაპარაკე.  
— მაკა, მეც წავალ. აბა, შენ იცი...  
დღეს განვატყაბდე ფირმაში ძიძის საჭიროების შესახებ და თუ დღესვე გამოგზავნიან ვინმეს, შეგიძლია, თავად გაესაუბრო, გენდობი.

ნინო რამდენიმე წუთში შინიდან ტყვიასავით გავარდა...

მომდევნო დღეებში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მეხუთე დღეს, როგორც იქნა, ახალი ძიძა აიყვანეს და ჩემი სტატუსი შეიცვალა.

მშვენიერი, ლამის ახალთახალი „ნისანის“ გასაღები ჩამაბარეს და ჩემს ახალ საქმიანობას შევუდექი.

თითქმის მთელი დღე გარეთ ყოფნა მინევიდა. უამრავი საქმე გამომიჩნდა. არადა, თავიდან მეგონა, ნახევრად უსაქმურად ვიქნებოდი. ერთ მშვენიერ დღეს, დილით სამზარეულოში ჩავედი და ჩემთვის გამზადებულ საუზმეს მივუჯექი. ცოტა ხანში თვალების ფშვინებით ნინო შემოვიდა.

— გამარჯობა, მაკა, — მომესალმა და გვერდით მომიჯდა. — რალაც მინდა გთხოვო, — ხმას დაუნია და თვალით ახალ ძიძაზე მანიშნა, რომელიც სამზარეულოს კარადასთან ფუსფუსებდა.

— რა ხდება? — ჩურჩულითვე ვკითხე.

— მაკა, შემიძლია, გენდო? — იდუმალი ხმით მომმართა.

— რა თქმა უნდა, — უყოყმანოდ დავთანხმდი.

— რასაც ახლა გეტყვი, ჩვენ შორის უნდა დარჩეს, — იდაყვებით მაგიდას დაფყრდნო და ლამის მთელი ტანით ზედ გადაწვა, რომ ჩემთან უფრო ახლოს ყოფილიყო.

— არ არის საჭირო ამდენი გაფრთხილება, გპირდები, რომ არ დაგალალებ.

— მაკა, წუხელ დათო შინ არ მოსულა, — ნალვლიანი ხმით მითხრა.

— ეს ამბავი უნდა შევინახო საიდუმლოდ? ვის უნდა დავუმალო? დედამის?

— არა, არა, მინდა, რომ უთვალთვალო და გაიგო, სად დადის...

— მდა...

— გპირდები, ამისთვის დამატებით გადაგიხდი...

— ნინო, — ვცადე, ჭკუა დამერიგებინა და მეთქვა, რომ ქმრისთვის თვალთვალი კარგი საქციელი არ არის, რომ ასეთი ქმედება მისთვის დამამცირებელი იქნებოდა; ჯობდა, ღირსება შეენარჩუნებინა და განზრახვაზე ხელი აეღო, მაგრამ სიტყვა არ მათქმევინა.

— მაკა, ნუ ეცდები ჩემს გადარწმუნებას — გადანყვეტილებას არ შევცვლი.

— კი, მაგრამ შუბლზე მანერია, რომ ამის გაკეთება შემიძლია?! — იმდენად გავოცდი, რომ კითხვა პირდაპირ ვაჯახე. არ შემშინებია, რაიმე ეჭვი არ გაუჩნდეს-მეთქი, რადგან საკმაოდ ჩერჩეტი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა და არა მგონია, ჭკუა ჰყოფნოდა საიმისოდ, რომ რაიმეს მიმხედარიყო.

— რალაცნაირი ტიპი ხარ, „ნავაროჩენი“... — მგონი, ამ სიტყვის მნიშვნელობაც არ იცოდა წესიერად. — და მჯერა, რომ თავს გაართმევ. უცხოს აყვანას, მირჩევნია, ისევ შენ გთხოვო დახმარება.

— კარგი, ვეცდები, დაგეხმარო.

— ეცდები კი არა, აუცილებლად უნდა დამეხმარო! წუხელ გვიან დამირეკა და მითხრა, სასწრაფოდ ქალაქიდან გასვლა მინევს და ამაღამ შინ ვერ მოვალო. მეეჭვება, რომ სიმართლე მითხრა და მინდა, გადავამოწმო.

— ამლამინდელ ამბავს ალბათ ვერ „გავაიასნებთ“, მაგრამ შემდგომში შეიძლება რალაცების დადგენა, — დავაიმედე და მხარზე ხელი დავადე.

— შენი იმედი მაქვს!

მართლაც საინტერესო სიტუაციაში აღმოვჩნდი: „დიდი ადამიანები“ უთვალთვალბენ დავითს, დავითი — ცოლს და ცოლი, თავის მხრივ — დავითს; სამივე მხარე ჩემი მომსახურებით სარგებლობს... ისე გამოვიდა, რომ ორმაგი კი არა, უკვე სამმაგი აგენტი ვიყავი... ახლა ისე უნდა მოქცეულიყავი, არც მწვადი დამეწვა, არც — შამფური. როგორც ჩანს, დავითს ზედა ემელონებში დიდი გავლენა ჰქონდა. მისი მომდურება არაფერს მარგებდა. გადავწყვიტე, მისი მხარდაჭერა მომეპოვებინა, რათა შემდგომში ჩემთვის სასარგებლოდ გამოიყენებინა. საამისოდ კი მისთვის უნდა

დავითისა და ნინოს საუბარს მეორე დილითვე შევესწარი.

— ნინო, ახალი ძიძა უნდა აიყვანოთ, — დაიწყო მამაკაცმა და ჩაიხმაურით მოსვა. თან თვალი ჩემკენ გამოაპარა.

გაზექურასთან ვიდექი და თამუნასთვის ფაფას ვხარშავდი. თან ძალიან ვჩქარობდი.

— რატომ? მაკას რას უწუნებ? მე უკმაყოფილო არა ვარ...

— მაკას საწინააღმდეგო მეც არაფერი მაქვს. პირიქით, რადგან დავისრუებულ მოვალეობას კარგად უძღვება, მინდა, „დავანინაურო“. დიასახლისად დავნიშნოთ და ოჯახის საქმეები მოავაროს, საქმე გაანაწილოს, საყიდლებზე იაროს... ვინაიდან თამუნას ძიძობასა და ამ საქმეს ვერ შეათავსებს, ჯობია, ბავშვი სხვას ჩავაბაროთ. თანაც, გუშინ მე და მაკამ ცოტა ხანს ვისაუბრეთ და მითხრა, რომ იურიდიული ფაკულტეტიც ჰქონია დამთავრებული. შესაძლებელია, მას სხვადასხვა საბუთის მონერეგებაც დავავალოთ.

— და ხელფასიც მომიმატოთ... — ჩავერიე მათ საუბარში.

— რა თქმა უნდა, — გამიღიმა დავითმა.

— კარგი, როგორც გენებოს, — უცებ დათანხმდა ნინო, — ისევ დავინყებ ძიძისთვის შესაფერისი კანდიდატურის ძებნას.

— მაკას კი იმ მანქანის გასაღები მიეცი, რომელსაც შენ არ იყენებ. ტრანსპორტი აუცილებლად დასჭირდება. მართვის მოწმობა ხომ გაქვს? — მომიბრუნდა.

— დიახ, — თავი დავუქნიე და მადლიერი თვალებით შევხედე.

მართლა ძალიან გამიხარდა, თუ საკუთარი ტრანსპორტი მიეცოლებოდა, ყველა საქმის გაკეთება გამიიოლდებოდა.





გამეხილა, რომ ცოლი მისი ყოველდღიური საქმიანობით ინტერესდებოდა და ინფორმაციის მოპოვება მთხოვა. მართალია, ამ შემთხვევაში ნინოსთან პირნათელი ვერ ვიქნებოდი და მიცემულ პირობას დავარღვევდი, მაგრამ სინდისის ქენჯნა არ მანუხებდა, რადგან მისი საქციელი ისედაც არასწორად მიმაჩნდა. თან მისი ნდობაც უნდა მომეპოვებინა, რაც თავისთავად, დავითისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებას გამოიწვევდა.

იმ დღეს დავითთან დალაპარაკება ვერ მოვახერხე, ვერც მეორე დღეს... მესამე დღეს დავურეკე და ვთხოვე, შემხვედროდა. საღამოს ერთ მყუდრო კაფეში დავსხედით, სადაც ჩვენს მეტი ფაქტობრივად, არავინ იყო.

— როგორც ჩანს, უკვე გაქვს რალაც ჩემთვის სათქმელი, — მომმართა და მიმტანს ყავა შეუკვეთა.

— კი, მაგრამ არა ის, რაც თქვენ დამავალეთ.

— აბა?! — ყურები ცქვიტა.

— საქმე ის გახლავთ, რომ ამასწინანდელმა თქვენმა შინმოუსვლელიობამ ნინოს ეჭვი გაუჩინა. როგორც ჩანს, ისედაც ჰქონდა ეჭვი, მაგრამ ახლა გაულრმავდა. თან მეც ისეთ ადამიანად მიმიჩნია, რომელიც დაეხმარებოდა და თქვენ შესახებ ყველაფერს გაიგებდა, ჰოდა...

— გინდა მითხრა, რომ ჩემი თვალთვალი დაგავალა?

— კი არ დამავალა, მთხოვა...

— რაო, რა გთხოვა?

— რაო და ყოველი მისი ნაბიჯი მინდა ვიცოდე და ამაში შენ უნდა დამეხმარო...

— მერე?

— შევპირდი, რომ თხოვნას შევუსრულებდი და იმის პირობაც მივეცი, რომ ამის შესახებ არავის ვეტყვოდი...

— მარგო, ერთი რამ მაინტერესებს, — მის სახეზე გაცუბა საქმიანობა გამომეტყველებამ შეცვალა, — რატომ მეუბნები ამას? მით უმეტეს, ნინოს შეპირებისხარ, რომ არავის გაუმხელდი.

— საქმე ისაა, რომ ჯერ ერთი, თქვენ პირველმა შემომთავაზეთ თქვენი ცოლის თვალთვალი ანუ პირველი კლიენტის ხართ... მეორეც — მიმაჩნია, რომ ქალმა თავს ამდენი უფლება არ უნდა მისცეს. რას ჰქვია, ქმარს უთვალთვალოს?! და მესამეც — მე თქვენ მჭირდებით და არ მინდა, გაგანაწყენოთ. ხომ იცით, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს ნინო ადგეს და ყველაფერს მოგიყვებოდა ჩვენი შეთანხმების შესახებ: ქალი ჩერჩეტი არსებაა და ამას არ გამოვრიცხავ. თქვენ კი ბუნებრივია, განრისხდებით. ეს არაფერს მარგებს.

— რისთვის გჭირდები? — გაცუბა ვერ დაფარა.

— ამაზე — სხვა დროს, — თვალი ჩავუკარი, შეთქმულებით.

— შენ ამბობ, ქალისგან ქმრის თვალთვალი ცუდი საქციელიაო. მიგაჩნია, რომ მამაკაცისთვის ამის გაკეთება დასაშვებია?

— ბევრი რამ არის ისეთი, რაც მამაკაცს ევატიება, ქალს — არა. ეს გაცვეთილი თემაა და არ არის საჭირო ამაზე კიდევ ერთხელ ლაპარაკი, ასე არაა?

— ნაწილობრივ გეთანხმები, მაგრამ ამაზე ნუ ვიკამათებთ. მოკლედ, შენ დაგევალა, ჩემ შესახებ ყველაფერი გაიგო და ნინოს მოუყვე?

— დიხ...

— კარგი, რადგან ასეა, მე თვითონ მოგანვდი ინფორმაციას, რაც მას უნდა უამბო და მერე შენ იცი. რადგან თამაშში უნდა, აყვით. ვნახოთ, რა მოხდება...

— სულ ეს იყო, ამის თქმა მინდოდა, ახლა წავალ, — ვთქვი და ფეხზე წამოვდექი.

— მოიცა, — ხელი ხელზე მტაცა, — მარგო, არ ნახვიდე, ცოტა ხანს დაჯექი ჩემ გვერდით.

ისევ დავეშვი სკამზე. მას ჩემი მჯავა არ გაუშვია. ასე ეჭრა კარგა ხანს. საოცარ სითბოს გამოსცემდა. ვერძენი, რომ გული ამიჩქარდა.

ხელი ნელ-ნელა გამოვაცალე. თითქოს ვერ მელვოდა, არ მიშვებდა, მაგრამ ვიძალავე...

თავს უხერხულად ვგრძნობდი. მგონი, ცოტა გავწითლდი კიდევ.

— მაპატიე, — ჩაილაპარაკა თავისთვის, თითქოს ჩემ გასაგონად არც იყო ნათქვამი.

— არაფერი გჭირთ საპატიებელი, — გავუღიმიე, თუმცა ნაწყენი სულაც არ ვყოფილვარ.

— ცოტა ხანს იყავი, მოვიფიქროთ, რა უნდა ვუთხრათ ნინოს. გეგმა დავანყოთ...

— მე მგონი, სჯობია, ახლა წავიდე და ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ.

— კარგი, — ნელმონწყვეტილებით, მძიმედ წამოვდგი.

იმ საღამოს შინ თითქმის ერთდროულად დავბრუნდით, მაგრამ თითქოს უბრაოდ ვიყავით, არც კი ვლაპარაკობდით. ნინოს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. თვალბრტყლი მანიშნებდა, ხომ არაფერი გაგიგიაო? მეც, უარის ნიშნად, თავი გავაქნიე. დავითს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია, მაგრამ თვალი აგვარიდა.

მეორე დღით ნინო შინიდან გავიდა და თუ არა, მეც უკან მივყვე, ოღონდ მანქანით კი არა — ტაქსით.

კარგა ხანს ვდიე. შემდეგ „ვაჟაზე“,

ერთ-ერთი სახლის ეზოში შევიდა და გაჩერდა. ცოტა ხანში სადარბაზოში გაუჩინარდა. მისამართი ჩავინერე, ცოტა ხანს დაველოდე და გამოვბრუნდი.

ის იყო, ეზოდან გამოვდი, რომ თვითონ დამირეკა. გულმა რეჩხი მიყო: მეგონა, დამინახა.

— გისმენ, — რაც შეიძლება მშვიდი ხმით ვუთხარი.

— სახლში ხარ?

— არა, ქალაქში.

— ნახევარ საათში შინ მოდი, საქმე მაქვს, — მოკლედ მოჭრა და ტელეფონი გათიშა.

მასზე ადრე მივედი და მისაღებში, დივანზე დავჯექი.

— მაკა, აუცილებელი საქმე მაქვს, ქუთაისში უნდა წახვიდე! — ქაქანით შემოიჭრა და დივანზე ჩემ გვერდით კი არ დაჯდა, დაეხეთქა.

— რა უნდა გავაკეთო ქუთაისში?

— რალაც უნდა გაატანო და იქ ერთ ადამიანს გადასცე.

— რალაც კრიმინალში არ გამხვიო და არ დამიჭირონ, — გამეცინა, მის საქმიან გამომეტყველებას რომ შევხედე.

— არა გრცხვენია?! — დამანამუსა.

— კარგი, წავალ. მაგრამ დათოს რას ეტყვი?

— დათოს ვუთხრათ, ვითომ შენ გამოგიჩნდა საქმე და იმიტომ მიდიხარ.

— დაიჯერებს?

— როგორ არ დაიჯერებს, ეჭვიც არ შეეპარება. წახვალ? — თვალბრტყლი ისევ ჩამაშტერდა, მივხვდი, მისთვის ძალზე მნიშვნელოვან საქმეზე მგზავნიდა.

— წავალ, რა თქმა უნდა.

— ძალიან კარგი. სვალ დილით გამეგზავრე. ყველაფერს მაშინ გეტყვი. იმ საღამოს დავითს თავად მოახსენა, რომ 3 დღით ქალაქიდან პირად საქმეზე მივიდიოდი. მან თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია და არც ჩემთვის უკითხავს რამე.

დილით ადრე ავდექი. ნინო უკვე ფეხზე ამდგარი დამხვდა და მივხვდი, მოუთმენლად მელოდა.

ვისაუბრე და მომზადება დავიწყე. ნინო გარშემო მიტრიალებდა, გვერდიდან არ მშორდებოდა, თითქოს ეშინოდა, არ გავცუვლიყავი.

ამ პროცესით ვტკბებოდი და მომზადების დროს ვახანგრძლივებდი. როგორც იქნა, დავითი წავიდა და ნინო მომვარდა:

— კიდევ კარგი, ვერაფერს მიხვდა,

— შეთქმულებით ჩამჩურჩულა.

— რას უნდა მიმხვდარიყო? — ვიფიქრე, რომ ამ ყველაფრის მიღმა რალაც, ძალზე იდუმალი ამბავი იმალებოდა, რომელიც ახალი დანაშაულის უნდა ყოფილიყო...





ნინომ მომცრო ჩანთა და ფურცელი გადმოცა, რომელზეც ტელეფონის ნომერი ეწერა...

— ქუთაისში რომ ჩახვალ, ამ ნომერზე დარეკე და შეხვედრას დაგინიშნავს... ამ ჩანთას გადასცემ და შემდეგ, როგორც ის კაცი გეტყვის, ისე მოიქეცი, — როგორც ჩანს, ჯაშუშების შესახებ ბევრი ფილმი ჰქონდა ნანახი, რადგან გამომეტყველებაც და ლაპარაკიც ზუსტად ისეთი ჰქონდა, როგორც იმ ფილმების გმირებს აქვთ ხოლმე. ძალიან მინდოდა, ხმამაღლა გამეცინა, მაგრამ თავი შევიკავე.

მხოლოდ თავის დაქნევით ვანიშნე, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა-მეთქი და ეზოდან გავედი.

ყოველთვის, როცა ამ უზარმაზარ ალაყაფის ჭიშკარში გავდიოდი, რომელიც პულტით იღებოდა, რალაცნაირი გრძნობა მეუფლებოდა — მეგონა, საიქიოში შესასვლელი ჭიშკარი იყო... შესაძლოა, ამ ასოციაციას მისი შავი ფერი იწვევდა ან ის, რომ ეზო წალკოტს ჰგავდა, ჭიშკრის გარეთ კი ნაცრისფერი ქალაქი მხვდებოდა, თავისი ნაცრისფერი ცხოვრებით...

ახლაც, გავედი თუ არა, მაშინვე ეს გამახსენდა და პირჯვარი გადავინერე.

ნაშუადღევს უკვე ქუთაისში ვიყავი და შესაბამის ნომერზე დავრეკე, მაგრამ მამაკაცის საკმაოდ ბოხმა და მომხიბლაგმა ხმამ მიპასუხა, რომ შეხვედრას საღამომდე ვერ მოახერხებდა.

რამდენიმე საათი ძლივს გავიდა. უცხო ქალაქში კარგა ხანს ვიხეტილავ ალმა-დალმა, მდინარის ნაპირზეც კი ჩავედი და კარგა ხანს, ქვაზე დამჯდარი ვუყურებდი წყლის დინებას. როგორც იქნა, ჩემმა ტელეფონმა დარეკა და უკვე ნაცნობი ნომერი დაინერა.

შეხვედრა ისეთ ადგილზე დავთქვით, რომელსაც უცხო ქალაქში იოლა დივაგნებდი. სიმართლე რომ ვთქვა, უზომოდ მაინტერესებდა, რა იდო ჩანთაში, მაგრამ არ გამიხსნია. თუმცა ასე იმიტომ როდი მოვიქეცი, რომ სინდისი შემანუხებდა; უბრალოდ ვიფიქრე, რომ არ ღირდა — ვაითუ რალაცით დაეტყობოდა...

ერთი სიტყვით, დათქმულ ადგილზე მივედი. დიდი, თეთრი ჯიპი დამხვდა, რომლიდანაც ჩემი მანქანის დანახვისას 2 მაღალი მამაკაცი გადმოვიდა. ერთ-ერთი მათგანი მაშინვე თვალში მომივიდა. მზერა ვერ მოვწყვიტე, ისეთი სიმპათიური იყო. გემოვნებით ჩაცმულს, ძალიან ლამაზი თმა და ვარცხნილობა ჰქონდა... დავინახე თუ არა, მაშინვე გულში გავიფიქრე, — რადაც უნდა დამიჯდეს, ეს კაცი ახლოს უნდა გავიცნო-მეთქი...

დინჯად მომიახლოვდნენ და სწორედ იმან, ვინც მომწონა, პირველმა გამომინოდა ხელი ჩამოსართმევად.

— მაკა, — ხელი ხელში ჩაივადე და თითები ოდნავ მოვუჭირე.

ამ დროს მისი გოაცემული თვალები შევნიშნე. სულ ერთი წამით დაიბნა, მაგრამ უცებ მოეგო გონს, გაიღიმა და საპასუხოდ, თვითონაც მომიჭირა თითები.

მეორეს არ გამოჰპარვია ჩვენი წამიერი არშიყი და უცნაურად გაეღიმა. იმანაც გამომინოდა ხელი.

— ბონდო, — ბუხუნა ხმით მითხრა და განზე გადაგა.

— ნამდვილი ქუთაისური სახელი გქვიათ, — გაშეღიმა.

— ჰო... ამას ავთო ჰქვია, — მიმოითითა ძმაცაცზე.

ასე გავიცანი ავთო და ბონდო...

ცოტა ხნის შემდეგ კი მათთან ერთად, რესტორნის მაგიდასთან ვიჯექი და კონიაკს ვწრუპავდი...

— მაკა, გარეგნობა ქართული არა გაქვს, უაქცენტოდ კი ლაპარაკობ. სანამ ხმას ამოიღებდი, მეგონა, ქართული სულ არ გეცოდინებოდა.

— ქართველი ვარ, უბრალოდ, ასეთი მატყუარა გარეგნობა მაქვს.

— ლამაზი ხარ...

კომპლიმენტი უპასუხოდ დავტოვე და გონებაში საკუთარი თავი შევათვალე...

მუქი ხაკისფერი, გარედან დაკრებული ჯიპებიანი, ტანზე მოტმასნილი შარვალი, რომელიც მაღალყელიან, დაბალძირიან სამხედრო „ბათინკებში“ მქონდა ჩატანებული, სვიტერი, შავი, მოკლე, ტანზე მომდგარი ტყავის ქურთუკი მეცვა და ცხენის ძუასავით გამონასკვეული მქონდა თმა. არანაირი სექსუალური დეტალი და არანაირი ქალური ხიბლი ასეთ ფორმაში არ მქონდა. თუმცა ვიცოდი, რომ ასეც საკმაოდ კარგ ეფექტს ვახდენდი მამაკაცებზე. საერთოდ კი ქალური სამოსი მაინცდამაინც არ მიზიდავდა და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ვიცვამდი — როცა ეტიკეტი მოითხოვდა.

საკუთარი თავის „თვალყერებას“ მოვრჩი თუ არა, მაგიდასთან მსდომთ შევხვედი. ავთო ისეთი თვალებით მიყურებდა, ტანში ჟრუნტელმა დამიარა. მომხიბვლელად გავუღიმე და სასმელი მოვსვი.

— მაკა, ქუთაისში დიდი ხნით ხარ ჩამოსული?

— ეს თქვენზეა დამოკიდებული.

— მაშ, კარგი. ამაღამ სასტუმროში დაგტოვებთ და ხვალ დილით შევხვდებით. ამაზე რას იტყვი?

— როგორც გენებოთ...

რესტორანში ცოტა ხანს კიდევ გაჩერდით და მერე, ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, წამოვიშალეთ. დადღილი ვიყავი და დასვენება ყველაფერს მერჩინა.

სასტუმროს გარეგნული იერით მივხვდი, რომ საკმაოდ მდიდრული და ძვირად ღირებული იყო. ავთომ ადმინისტრატორს ლუქსი შეუკვეთა.

— მე გეპატივები, არაფერზე ინერვიულო, — ყურში ჩამწერწულა.

მხოლოდ თავი დავუქნიე. მისი სუნამოს სურნელმა, რომელიც მანამდე მხოლოდ შორიდან მცემდა და ახლა ასე ახლოს და მძაფრად შევიგრძენი, თავბრუ დამახვია. ისე მოვიტენთე, ლამის მუხლები მომეკვეთა.

მეთხე სართულზე ლიფტით ავედი. ავთო გამომეცა, მაგრამ არ გამიპროტესტებია. ვფიქრობდი, ახლა თუ ჩემთან დარჩენას მოინდომებს, არავითარ შემთხვევაში უარს არ ვეტყვი-მეთქი. ლიფტში საკმაოდ დიდი ადგილი იყო, მაგრამ ის ისე ახლოს იდგა, რომ მისი სუნთქვა და გულის ფეთქვაც კი მესმოდა... კარი რომ გაიღო, გზა დამითმო და გამატარა. ნელზე ხელი მომხვია, მაგრამ ისე მსუბუქად შემეხო, მეგონა, მომეჩვენა-მეთქი. ნომრის კარს გასაღები მოარგო და გამატარა. ოთახში შესულმა, გასაღები მაგიდაზე დაუდევრად დააგდო და ცხვირს აჩუქა. ხელები შემომხვია და ტანზე მიმოვიკრა. მიზნული თვალებით შევხვედი. მთელი არსებით მასთან ალერსს მიველტვოდი და ამას არც ვშალავდი... დაიხარა და ტუჩებით ტუჩებზე შემეხო. ხელები მოვხვიე და კოცნას კოცნითვე ვუპასუხე...


— წავედი, ღამე მშვიდობის, — უეცრად ხელი გამიშვა, შებრუნდა და უკანმოუხედავად დავრჩი.

გაოგნებული დავრჩი. ამას არ ველოდი. გაოგნებულმა და ცოტათი შეურაცხყოფილმაც, ტანისამოსი იქვე გავიძვრე, ძირს დავყარე და სააბაზანოსკენ დედიშობილა გავემართე. კარგა ხანს ვიდექი შხაპის ქვეშ, თვალმდებარე უჭული. წყლის ჭავლი სახესა და ტანზე მელვრებოდა და სიამოვნებას მანიჭებდა. თითქოს მთელი დღის ჭუჭყთან ერთად, მოძალბულ ვნებას მამორებდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში







ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

რუსუდან ბერიძე  
დასაწყისი ნ. „ზა“ №51, 2010 – 1-5, 2011

კომპიუტერთან ორსაათიანი მუშაობის შემდეგ, ლელამ უკვე პირველი შედეგები დადო.

— აბა, მაჩვენე ერთი, რა გამოჩნრიკე, — გოგონას გვერდით მიუჯდა გოგლა.

— უცნობი მხატვრების რამდენიმე ტილო ვიპოვე, დაახლოებით XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ნამუშევრებია.

— შესანიშნავია. სწორედ ისაა, რაც გვჭირდება. ამიტომ კოორდინატები აუცილებლად ჩაინიშნე.

— ფაბერჟეს კვერცხიც აქვთ და არც ძვირს ითხოვენ.

— არ გინდა, ნაყალბევი იქნება.

— გასაგებია. გავაგრძელო?

— აბა, რა!

— ძველებური ხატი...

— ხატებს შეევი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეს ჩვენი ფირმის მთავარი წესია — ხატებს ხელს არ ვკიდებთ! ხატებით ვაჭრობა ჩემთვის მიუღებელია!

— კარგი, როგორც იტყვი...

— კიდევ რა ნახე?

— XVII საუკუნის კედლის საათი.

— აი, ეს მესმის. ხომ ხედავ, ყველაფერი როგორ კარგად გამოგდის? ახლა კი მოდი, ერთად ვივანშმოთ, — ფეხზე წამოდგა კმაყოფილი გოგლა.

— ერთად ვანშმოთ არ გამოგვივა, — მაშინვე ადგა ლელაც.

— რატომ, სადმე მიგეჩქარება?

— არა, უბრალოდ არ მინდა.

— რა არ გინდა, ჭამა?

— არა, შენთან ასე გაშინაურება.

— გაშინაურება? — გაკვირვებით შეხედა გოგლამ გოგონას. — მე ეს არც კი მიფიქრია. უბრალოდ, მინდოდა, რომ...

— ჩემი წასვლის დროა, — სათქმელი აღარ დაასრულებინა ლელამ ლალიძეს და ოთახიდან სწრაფად გავარდა.

— მაშინ ხვალ გელოდები! — სათქმელი ძლივს დაანია მას შეფიქრებულმა გოგლამ.

მეორე დღეს ლელა დანიშნულ დროს გამოცხადდა.

— გამარჯობა, — მშვიდად მიესალმა ის ლალიძეს და მაშინვე კომპიუტერს მიუჯდა.

— ყავა ხომ არ გინდა? — ჰკითხა მას გოგლამ.

— არა.

— უკვე დალიე?

— მომისმინე, — როგორც იქნა, კომპიუტერს მოსწყდა და გოგლას პირდაპირ თვალეში შეხედა ლელამ, — მოდი, ერთხელ და სამუდამოდ შევეთანხმდეთ, რომ მე და შენ მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა გვექნება და სხვა არაფერი. თანახმა ხარ?

— მეც მხოლოდ ყავა შემოგთავაზე, — ხელები დაბნეულად გაშალა გოგლამ, — მაგრამ თუ ასეა, როგორც გენვოს...

— დიდი მადლობა, — მაშინვე ისევ კომპიუტერს მიუბრუნდა ლელა. ლალიძეს ისლა დარჩენოდა, მეორე ოთახში გასულიყო და თავადაც საქმე გაეგრძელებინა.

— ინტერნეტში შენი განცხადება ვიპოვე! — გამოსძახა მას უცბად ლელამ. — შენ რა, იაშვილის სურათს ყიდი?

— ეგ ძველი განცხადებაა, ნაშალე.

— ანუ უკვე გაყიდე?

— არა, მაგრამ რეალური მყიდველი მყავს. რატომ მეკითხები?

— ისე... — ცოტა არ იყოს, დაიბნა გოგონა. — უბრალოდ, ამ სახლში იაშვილის სურათი არ მინახავს.

— იმიტომ არ გინახავს, რომ სხვასთან მაქვს შენახული.

— ცუდია.

— რა არის ცუდი?

— ის, რომ ნამუშევარი სხვას მი-

აბარე. ძალიან მომწონს ეს მხატვარი და შევხედავდი მაინც, შენ რომელი სურათი გქონდა.

— მოიცა, — მაშინვე თავზე წამოადგა ლელას გოგლა, — იმის თქმა გინდა, რომ იაშვილის ნამუშევრები გინახავს?

— ჯერ მხოლოდ ერთი ვნახე.

— შეგიძლია, მითხრა, ვისთან?

— არაა... — თავი დამნაშავესავით დახარა გოგონამ. — ვერ ვიხსენებ.

— საწყენია. რომ გხსომებოდა, ერთი მაგარი საქმის გაჩარხვა შეგვეძლო.

— რა საქმის?

— რა და ამ მხატვარზე მოთხოვნა გაჩნდა. წელანაც ხომ გითხარი, რომ ერთი სოლიდური კლიენტი მეც მყავს, რომელიც იაშვილის ნებისმიერ სხვა სურათშიც კარგ ფულს გადაიხდიდა.

— მესმის, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიხსენებ, სად ვნახე, — შენუხდა ლელა.

— მაგაზე არ იდარდო, რალაცას მოვიფიქრებთ.

დაახლოებით 1 საათის შემდეგ ლელამ უკვე თვითონ მიაკითხა გოგლას და კიდევ ერთხელ გააოცა:

— კარგი, რაც არის, არის, მოიტა შენი ყავა.

— ხაჭაპურიც ხომ არ გინდა? — დაინტერესდა ლალიძე, როცა ორივე სამზარეულოში გავიდა.

— შენ?

— მე პირველმა გკითხე.

— კარგი, ხაჭაპურიც იყოს, — სამზარეულოს სკამზე მოხერხებულად მოეწყო გოგონა.

— ეგრე, რა, — როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა ლალიძემ, — თორემ რა აღარ ვიფიქრე...

— მაინც რა? — თვალეში ემმაკურად მოწკურა გოგონამ და ხაჭაპურის მოზრდილი ნაჭერი გემრიელად ჩაკბინა.

— ისეთი არაფერი, — სიტუაციის გართულება აღარ ისურვა გოგლამ, — უბრალოდ ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო და მიხარია, რომ შემომიერთდი...

— ესე იგი, იაშვილზე დიდი მოთხოვნაა, ხომ? — ჰკითხა ლელამ გოგლას მოგვიანებით.

— დიდს ვერ ვიტყვოდი, მაგრამ მოყვარულები ნამდვილად გამოჩნდნენ. ამიტომ კარგი იქნებოდა, მისი სურათები რაც შეიძლება იაფად ჩაგვეგდო ხელში და მერე, რაც შეიძლება ძვირად გაგვეყიდა.

— მაშინ იქნებ, ეს სულაც უფულოდ მოგვეხერხებინა?

— ეგ როგორ?





— როგორ და ძალიან მარტივად.  
— მაგალითად?  
— მაგალითად, შეგიძლია, სურათი მოიპარო.

— შენ რა, ამას სერიოზულად მეუბნები? — გაოცებისგან თვალებიც კი გაუფართოვდა გოგლას.

— არა, რა თქმა უნდა, ვხუმრობ, — დანაშაულზე წასწრებულად გაეღიმა ლელას და თემის სასწრაფოდ შეცვლა სცადა, — და შენ ამას კარგად ახერხებ?

— რას?  
— რაღაცის იაფად ყიდვას და ძვირად გაყიდვას.

— საკმაოდ და იმასაც ვფიქრობ, შენი გამოჩენის შემდეგ უკეთესად მოახერხებ, — ხმაში კვლავ კმაყოფილება და ეტყო გოგლას.

— ვნახოთ, ვნახოთ...  
კვირისთავზე გოგლამ ერთი ძველებური სტატუტის სარფიანად გაყიდა მოახერხა და მაშინვე ლელასთვის სიურპრიზის გაკეთება გადაწყვიტა.

ქალ-ვაჟის ურთიერთობაში ჯერ არაფერი შეცვლილიყო. ლელა კვლავაც დისტანციას იცავდა და მთელ დროს კომპიუტერთან ატარებდა. გოგონა გოგლას, ძირითადად, საქმიდან გამომდინარე თუ ეკონტაქტებოდა და ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ ის ხანმოკლე შესვენებები შეადგენდა, როცა სამზარეულოში ყავას ერთად შეექცეოდნენ.

„ეტყობა, ვიღაც ჰყავს, — დანებით ფიქრობდა გოგლა, — როგორმე უნდა ავალაპარაკო და ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიო. თუმცა ჩემთან სამუშაოდ ნებისმიერ შემთხვევაში დავტოვებ, რადგან საქმეს ნამდვილად კარგად ართმევს თავს“.

— შენთვის ახალი ამბავი მაქვს, — მოსვლისთანავე მიახარა ლელას გოგლამ.

— იმედია, კარგი ამბავი იქნება.  
— გამოიცანი, — კონვერტი გაუწოდა გოგონას ლალიძემ, — გახსენი.

— ლელამ კონვერტი ფრთხილად გახსნა და ფული ამოიღო.


— ეს რა არის?  
— შენი პირველი ხელფასია.

— გმადლობ, მაგრამ არ მესმის, ჯერ რა დამსახურებისთვის...

— გახსოვს, ვარდისფერი მარმარილოს სტატუტი რომ მოძებნე ინტერნეტში?

— მყიდველი გამოჩნდა?  
— და მერე რამდენი! ერთმანეთს ასწრებდნენ. მოკლედ, კარგად იმუშავე და ფულიც გეკუთვნის.

— თუ ასეა, მაშინ ძალიანაც კარგი, — მცირეოდენი ფიქრის შემდეგ ფული ისევ კონვერტში ჩააბრუნა



ლელამ, — ალბათ, ეს როგორღაც უნდა აღვნიშნოთ, ხომ? ახლავე მაღაზიაში ჩავიბრუნე და...

— არსად ჩარბუნა არ არის საჭირო, — შეაჩერა ის გოგლამ, რომელსაც ამ იდუმალი გოგონას ახლოს გაცნობის იმედი მიეცა, — ყველაფერი სახლში მაქვს.

ლელა გოგლას დიდად აღარ გასძალიანებია და სუფრაც მალევე გაშალეს.

— რა დავლიოთ, შამპანური თუ კონიაკი? — ჰკითხა ლალიძემ გოგონას.

ლელამ შამპანური აირჩია.

— შენი პირველი წარმატებისა იყოს! — გოგლამ შამპანურით სავსე ფუფური ასწია.

— ჩემი კი არა, ჩვენი საერთო წარმატებისა! — ფუფური მიუჭახუნა ლალიძეს ლელამ და სულმოუთქმელად გამოცალა.

„მოგონი, ეს აღარ ხუმრობს“, — გაიფიქრა კმაყოფილმა გოგლამ და მანაც გოგონას მიჰბაძა.

— მოდი, იღბალს გაუმარჯოს! — ამჯერად სადღეგრძელოს წარ-

მოთქმაც დაასწრო გოგლას ლელამ და ფუფური ისევ ბოლომდე გამოცალა.

„დღეს რაღაც მეტისმეტად უცნაურად იქცევა“, — შეფიქრიანდა ლალიძე, მაგრამ გოგონას არც ამჯერად ჩამორჩა.

— მესამე სადღეგრძელო კი უკვე სიყვარულისა და კიდევ ნაღდი მეგობრობისა იყოს! ჰა, რას იტყვი? — შამპანური ისევ ბოლომდე დალია ლელამ.

— რა უნდა ვთქვა? ჩინებული სადღეგრძელოა, — ისევ მხარი აუბა მას გოგლამ, — მაგრამ რატომ არაფერს აყოლებ?

— არ მინდა, — ხელი დაუდევრად ჩაიქნია ლელამ, — არ მშია.

მეხუთე ფუფურის „დამრობის“ შემდეგ ლელას ცეკვა მოუნდა. გოგლამ მუსიკა ჩართო და ისინი ერთმანეთს მიუახლოვდნენ.

— შეიძლება, რაღაც გკითხო? — დაიწყო გოგლამ, როცა სასმლისგან სახე-ავარდისფრებულმა გოგონამ თავი მხარზე დაადო და გაიტრუნა.

— მკითხე.  
— ვინმე გყავს?  
— ვინმე?... ვინ ვინმე?  
— შეყვარებულს ვგულისხმობ.

— ა, შეყვარებულს? — თითქოს სიზმრიდან გამოურკვაო, თავი ისე გაიქნია გოგონამ. — არა, ახლა არავინ მყავს.

გოგლას სახეზე მაშინვე კმაყოფილება ღიმილმა გადაურბინა:

— გინდა, მე ვიქნები შენი შეყვარებული?

— შენ? არა, შენ არა... — ცეკვა სასწრაფოდ შეწყვიტა ლელამ და ვაჟს გაეცალა.

— რატომ? — გული ჩასწყდა გოგლას.

— არა, — შუბლი გამეტებით მოისრისა ლელამ, — ასე არა... მოკლედ, იმის თქმა მინდოდა, რომ ჯერ არა-მეთქი. ცოტა დრო კიდევ მჭირდება.

— კარგი, მოვიციდი.

— მართლა? — გაოცდა ლელა.

— რა თქმა უნდა. თანაც, რამდენ ხანსაც გინდა, იმდენს.

— მართლა? — კიდევ უფრო გაციებული სახე მიიღო გოგონამ.

— რა თქმა უნდა. შენზე სერიოზულად ვფიქრობ.

— ესე იგი, სერიოზულად, ხომ?





— ისევ მიუახლოვდა ლელა ვაჟს და თვალი თვალში გამომცდელოდ გაუყარა.

— კი, ძალიან სერიოზულად.

— მაშინ გინდა, ამაღამვე დავრჩები შენთან?

გოგლა ამ სიტყვებმა იმდენად გააოგნა, რომ ერთხანს ხმა საერთოდ ვეღარ ამოიღო.

— რა თქმა უნდა... — დაბნეულად ჩაილაპარაკა მან შემდეგ. — თუკი შენ გინდა...

— შენ კი არა? — თვალეები ეშმაკურად მოწკურა ლელამ.

— რა თქმა უნდა, მინდა, მაგრამ... — ნაძალადევად გაეღიმა გოგლას.

მას მართლა უნდოდა, რომ გოგონა მასთან დარჩენილიყო, მაგრამ არა ასეთ მდგომარეობაში.

— მაშინ ნამოდი, — საძინებლისკენ თითქმის ძალით წაიყვანა ის ლელამ.

— მაგრამ ჯერ რომ არ დაღამებულა? — ბავშვივით გულუბრყვილოდ წაილულულა გოგლამ.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს? — სანოლისკენ უბიძგა მას გოგონამ. — გამოტყდი, რომ ძალიან გინდოვარ.

— მართალი ხარ, მაგრამ... — ხასიათი საბოლოოდ გაუფუჭდა გოგლას.

— ისიც კარგად ვიცი, ახლა ჩემგან რისი მიღებაც გინდა.

— ჰო, მაგრამ...

— ჰოდა, მიიღებ კიდევ, — სიტყვის დასრულება აღარ აცალა ვაჟს გოგონამ, — პირობას გაძლე! ოღონდ, ცოტა ხანს დამელოდე. — ღიმილით დაუქნია მან შემდეგ ხელი და სააბაზანოსკენ გაქცურიალდა.

„ფუ ამის... — ლელას გასვლისთანავე გულში ბოლმინად შეიგინა თავჩაქინდრულმა გოგლამ. — მგონი, ეს გოგო მთლად ნორმალური არ უნდა იყოს; ანდა ძალიან დათვრა და თავს საერთოდ ვეღარ აკონტროლებს. როგორმე გონს უნდა მოვიყვანო, თორემ ხვალ საკუთარი საქციელის ძალიან შერცხვება“. უცბად კართან რალაც გახმაურდა. გოგლამ თავი ასწია და გაშეშდა: ოთახის ზღურბლზე მდგარ ლელას ხელში „მანერჰეიმის“ რევოლვერი ეჭირა და ძველი იარაღის ლულა პირდაპირ მისკენ მიემართა.

— რა ხდება? — თვალეებს მაინც არ დაუჯერა გოგლამ.

— აღიარე, რომ ეს შენ ჩაიდინე! — მრისხანე მზერა ესროლა მას ლელამ და რევოლვერის ტარი გამეტებით ჩაბლუჯა.

— არ ვიცი, რას გულისხმობ, მა-

გრამ ამის ახსნა ალბათ, იარაღის მოღერების გარეშეც შეიძლება, — ლულას თვალს აღარ ამორებდა ლელიძე.

— თავს ნუ იკატუნებ! — ჩახმახი ფეხზე შეაყენა ლელამ. — ვითომ ვერ ხვდებოდე, რაზე გელაპარაკები.

— რას შვრები?... გასწი იქით ეგ ოხერი, მართლა არ გავარდეს!

— ეჭვიც არ შეგეპაროს, რომ გავარდება! — ხმას აუნია ლელამ.

— კარგი, გეყოფა ხუმრობა!.. მომეცი იარაღი! — ხელი გაიშვირა გოგლამ.

— არ გაინძრე, თორემ ახლავე გესვრი!

— რა დაგემართა? ეტყობა, შამპანურმა...

— შამპანური არაფერ შუაშია.

— მაშინ მთლად სრულ ჭკუაზე არ უნდა იყო.

— თვითონ კი ჭკუაზე ხარ ხოლმე, როცა ადამიანს კლავ? — ღვარძლიანად ესროლა მას ლელამ.

— რაო? — საბოლოოდ გაოგნდა გოგლა. — ვის ვკლავ? რატომ? საიდან მოიტანე ეგ სისულელე?

— სისულელე, ხომ? — ხმა აუცახცახდა გოგონას. — ერთადერთი ძმა მომიკალი და ამას სისულელეს ეძახი?

— რას ამბობ?! რომელი ძმა?

— თავს ნუ იკატუნებ-მეთქი! — ჩემი თვალით ვნახე, მისი სადარბაზოდან როგორ გამოდიოდი. მხოლოდ რამდენიმე წამით დავაგვიანე, თორემ ახლა ჩემი უბედური ძმა ცოცხალი იქნებოდა.

ისტერიკაში ჩავარდნილ ლელას ცრემლები უკვე ლაპალუპით სცვიოდა.

— მოიცა! მართლა ვერ ვხვდები, რას ამბობ. აშკარად ვილაცაში გეშლები.

— მეშლები, არა?.. ლაჩარო, შენ ხომ მხოლოდ ზურგში სროლა შეგიძლია. მაგრამ არა უშავს, მეც ასევე გიპასუხებ!

— ლელა, მოიცა! — ორივე ხელი მექანიკურად ასწია გოგლამ. — იქნებ მართლა დავილაპარაკოთ...

— კარგი, — მოულოდნელად დაეთანხმა მას გოგონა. — დავილაპარაკოთ. ოღონდ, საინტერესოა, თვითონ მოჰყვები ყველაფერს თუ მე შეგახსენო?

— კარგი იქნება, თუ შემახსენებ.

— შეგახსენებ, რომელია! პირველად მე და შენ ჩემი ძმის სახლთან შევეჩხეთ ერთმანეთს. მაშინ მოტოციკლისტის ჩაფხუტი მესურა და მეორედ ნახვისას ამიტომაც ვერ მიცანი.

— აჰ, აი, თურმე, რატომ მომეჩვენა, რომ საიდანაც უკვე გიცნ...

— შენი მოჩვენებები შენთვისვე შეინახე და ისე მომიხმინე! — გაანყვეტინა გოგლას ლელამ.

— კარგი, კარგი, ყურადღებით გისმენ!

— შენ ჯერ დარწმუნდი, რომ ჩემს ძმას იაშვილის ნამუშევარი ნამდვილად ჰქონდა. მერე კი კლიენტს მოელაპარაკე და ისევ უკან დაბრუნდი. მაგრამ ეტყობა, ჩემმა ძმამ სურათის გაყიდვაზე უარი გითხრა, ანდა ფასზე ვერ შეთანხმდით და ამიტომაც გადანყვიტე მისი მოკვლა. ასე არ იყო?

— მგონი, როგორც იქნა, მივხვდები, რაზე მელაპარაკები, — ოდნავ შვებით ამოისუნთქა გოგლამ, — და თუ დამაცლი, შენც ყველაფერს აგინისნი.

— გისმენ! — მოკლედ მოუჭრა ლელამ.

— შენს ძმას ვაჟა ერქვა, ხომ?

— გაგახსენდა, ხომ, როგორც იქნა? სწორედ ვაჟაზე გელაპარაკები.

— მართალი ხარ, მე მას ნამდვილად შევხვდი და იაშვილზეც გვერინდა ლაპარაკი, უფრო სწორად — მის ნახატზე, მაგრამ ფასზე ვერ შევთანხმდით.

— და ამიტომაც მოკალი.

— დამიჯერე, მოკვლით ნამდვილად არ მომიკლავს. ან როგორ უნდა მომეკლა, როცა მეორედ მისვლისას უბრალოდ კარი არავინ გამიღო?

— თუ ფასზე თავიდანვე ვერ შეთანხმდით, მეორედ რისთვისღა მიხვედი?

— კლიენტმა მთხოვა. მას იაშვილის ნახატის საკუთარი თვალით ნახვა უნდოდა და უკვე ფასის მომატებაზეც ყაბულს იყო. მაგრამ როგორც უკვე გითხარი, კარი არავინ გამიღო. მერე კი ვაჟა საერთოდაც დაიკარგა. აღარც ტელეფონზე მპასუხობდა და არც შინ გამოჩენილა.

— ეგ საიდანღა იცი?

— იქიდან, რომ ერთხელ მის ლოდინში ლამის მისსავე სადარბაზოსთან დავალამე.

— ის ვაჟას მკვლელობის დღე იყო.

— მით უმეტეს.

— რას გულისხმობ?

— რას და აბა, კარგად დაფიქრდი: შენი ძმა რომ მართლა მე მომეკლა, როგორ ფიქრობ, მთელ დღეს მის სახლთან, ყველა მეზობლის თვალწინ გავატარებდი? ეს ხომ უბრალოდ სიგიჟე იქნებოდა.

— ჰო, მაგრამ მაშინ იაშვილის ტილოს რატომ მალავ?

— მიზეზი მაქვს და იმიტომ.

— ვიცი, რა მიზეზიც გაქვს. ეს





სწორედ ის ნამუშევარია, ჩემი ძმის ბინიდან ქურდულად რომ წამოიღე.

— არა-მეთქი! — ხმას აუწია გოგლამ. — შენ ის სურათი საერთოდ თუ გინახავს?

— რა თქმა უნდა.

— და რა არის მასზე გამოსახული?

— ჩემზე უკეთ იცი. პეიზაჟია — „გაზაფხული რიონზე“.

— მართალი ხარ,

— კიდევ ერთხელ შვევით ამოისუნთქა გოგლამ, — იმ ნახატს კი, რომელიც მე მაქვს, „უკანასკნელ გაზაზე“ ჰქვია და შენი ძმის სახლიდან წაღებულ სურათთან საერთო არაფერი აქვს. უფრო სწორად — მხოლოდ ავტორი ჰყავთ საერთო.

ლელა ჩაფიქრდა და ერთხანს ორჭოფობაც დაეტყო.

— არ არსებობს! — სახეზე ხელი ისე ჩამოისვა მან შემდეგ, თითქოს ეჭვების გაფანტვა სურდა. — იტყუები!

— არ ვიტყუები! შეგვიძლია, თუნდაც ახლავე წავიდეთ ჩემს ძველ კომპანიონთან, ვისთანაც იაშვილის ნამუშევარს ვინახავ და ყველაფერში თვითონვე დარწმუნდები.

— შეუძლებელია. ნუთუ მართლა შევცდი? — ისევ ცრემლი წასკდა გოგონას და იარაღიანი ხელი უღონოდ ჩამოუვარდა.

— ახლა კი რევოლვერი დამიბრუნე, — იარაღის გამოსართმევად ნაბიჯი წადგა გოგლამ.

მაგრამ უცბად ლელამ რევოლვერი ისევ მოიმარჯვა, კუთხეში მდგარ ტორშერს დაუმიზნა და ჩახმახს გამოჰკრა. იმავე წამს გასროლის ხმა გაისმა და ტორშერის ნათურა ნამსხვრევებად იქცა. ამის შემხედვარე გოგლა თავადაც ტყვიანაკრავით გაშეშდა. ლელა კი ოთახიდან გიჟივით გავარდა...

მეორე დღეს ლელა აღარ გამოჩენილა. ტელეფონიც გათიშული ჰქონდა. გოგლა კი ოთახის ნერვიულად გადვი-გამოდროდა. მისთვის ახალა სავსებით გასაგები იყო ლელას უცნაური საქციელი. „საბრალო გოგონას ერთადერთი ძმა მოუუკლეს, მკვლეელი კი შეცდომით მე ვეგონე. კიდევ კარგი, რომ მისი გადარწმუნება შეეძელი, თორემ კაცმა არ იცის, რით დამთავრდებოდა გუშინდელი ამბავი, — ფიქრობდა ლალიძე, — ნეტავ, იარაღის გამართვა როგორ მოახერხა? თუმცა ადამიანი რომ გამ-

წარდება, რას არ მოახერხებს. ახლა კი ეტყობა, საკუთარ საქციელს ძალიან ნანობს და ჩემთან ალბათ,



საერთოდ აღარ დაბრუნდება“. არადა, გოგლას ლელას დაბრუნებაც ძალიან უნდოდა და მასთან კიდევ ერთხელ დალაპარაკებაც. „თუმცა უკეთესი იქნება, თუ მანამდე კოტეს იაშვილის სურათს გამოვართმევ, ლელას ვაჩვენებ და დავარწმუნებ, რომ მისი ძმის სიკვდილთან საერთო არაფერი მაქვს“, — დაასკვნა ბოლოს და ხელი ტელეფონის ყურმილისკენ წაიღო, მაგრამ უცბად ტელეფონი თავად აწკრილდა.

— ალო, გოგლა, როგორ ხარ?

— კოტეს გაუმარჯოს! ნამდვილი გულთმისანი ხარ. სწორედ ახლა ვაპირებდი შენთან დარეკვას.

— ძალიანაც კარგი. გისმენ.

— რაკი პირველმა დარეკე, ჯერ შენ მითხარი, რამ შეგანუხა?

— ვინმე ლელას თუ იცნობ?

— ლელას? — დაიძაბა გოგლა.

— ჰო, შავგვრემანი გოგოა, თმა ბიჭურად აქვს შეჭრილი.

— ასეთ გოგოს ვიცნობ. თუ, რა თქმა უნდა, ერთსა და იმავე ადამიანზე ვლაპარაკობთ. მერე?

— მერე ის, რომ დღეს დილით შენი სახელით გამომეცხადა, უფრო სწორად, თავზე გიჟივით დამაცხრა, უნდა დავრწმუნდე, რომ იაშვილის ნამუშევარი ადგილზეაო.

— მერე?

— რა მერე? მეც ავდექი და ვაჩვენე.

— გამოდის, რომ ბოლომდე მანაც არ დამიჯერა...

— რა არ დაგიჯერა?..

— არა, არაფერი. კარგად მოქცეულხარ.

— ჰო, მაგრამ არ მესმის ეს ყველაფერი რა საქირო იყო, აღარ მენდობი თუ რა?

— რა სისულელეა. უბრალოდ, ის გოგო ჩემი ახალი თანამშენა და შენთან მოსვლა და იაშვილის ნამუშევრის წამოღება დავავალე, მაგრამ ეტყობა, მთლად სწორად ვერ გამიგო. ეს არის და ეს. მამა-პატივ, რომ პირადად არ გაგაფრთხილე.

— თუ ასეა, კარგი მაშინ... ისე მაგარი თანამშენა კი გიშოვია, თუ ასეთ მარტივ დავალებასაც კი ვერ ართმევს თავს.

— ჯერ ახალბედაა და ისწავლის.

— რას გეტყვი, იცი? ასეთი ქალი თანამშენად არ გამოგადგება, რადგან სილამაზე და ტვინი (შენს საქმეს კი, პირველ რიგში, ტვინი სჭირდება) ერთ-

მანეთთან სრულიად შეუთავსებელია.

— კარგი, კოტე, — გაელღმა გოგლას, რომელიც უკვე დარწმუნებული იყო, რომ ამჯერად ახალკაცი ძალიან ცდებოდა, — გავითვალისწინებ.

— შენთვისვე აჯობებს, თუ მართლა გაითვალისწინებ. ნამუშევარს კი თუ გინდა, თვითონ მოგიტან. მაინც შენს სახლთან მაქვს რაღაც საქმე და ბარემ შემოგიბრებ...

გოგლა ლელას ძებნას იმ დღესვე შეუდგა და რადგან სახლი არ იცოდა, სასწავლებელში მიაკითხა, მაგრამ ცოტა დაავგინა და გოგონა ადგილზე აღარ დახვდა. უკან წამოსულმა კი რატომღაც სწორედ იმ ბარში შეუხვია, სადაც ლელა პირველად ნახა. ბარში ცოტა ხალხი იყო. გოგლამ დახლთან უსაქმოდ მდგარ ბარმენს კოქტეილი შეუკვეთა.

— კიდევ ხომ არაფერს ინებებთ? — ჰკითხა მან.

— რა არის, იცი, — სასმელი უხალისოდ მოსვა ლალიძემ, — ერთ სიმპათიურ გოგოს ვეძებ. ერთი სიტყვით, მოკლედ შეკრეჩილი შავი თმა აქვს და სპორტულად აცვია. პირველად ამ ბარში ვნახე და რატომღაც მგონია, რომ აქაურობის ხშირი სტუმარი უნდა იყოს.

— აბა, რა გითხრა, ძმაო, — გაელღმა ბარმენს, — აქ ყოველდღე იმდენი სიმპათიური გოგონა შემოდის, რომ... აი, თუნდაც იმას რას დაუწუნებ? — დარბაზის სიღრმეში მაგიდასთან მჯდარი გოგონასკენ ანიშნა შემდეგ.

გოგლამ იქით გაიხედა და საკუთარ თვალებს არ დაუჯერა: მაგიდასთან ლელა იჯდა და თავი ხელზე ჩამოეყრდნო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში





დასაწყისი იხ „გზა“ №2-5

ზურას მანქანა ნელი სვლით მიჰყავდა, დროდადრო, მის გვერდით საცოდავად მობუზულ ნუკის გამოხედავდა.

— აბა... მეტყვი, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა? — დაარღვია დუმილი მამაკაცმა.

— მე ქურდი არა ვარ! — აღელვებული ალაპარაკდა გოგონა. — ამას ვერავინ დამწამებს! აღარ შემიძლია მეტის ატანა! შეურაცხყოფაც არის და შეურაცხყოფაც!

— მერედა, ვინ გითხრა, ქურდი ხარო, რა დაგაბრალებს? ვინ? — ზურამ სვლა კიდევ უფრო შეანელა.

— ეკამ საყურე დაკარგა და მე მომდგა, — შენ გარდა არავინ აიღებდაო. როდის ერთხელ ამიღია რამე?! ცხოვრებაში ხელი არ მიხლია მისი ნივთებისთვის! — ხმა აუკანკალდა ნუკის, ნიკაპი დაუგრძელდა. საცაა, ატირდებოდა.

— დამშვიდდი, რა განერვიულებს?!

— ამ დილით არც კი შევსულვარ მის ოთახში, მაქსის მომერიდა. ვიფიქრე, მოგვიანებით დავალაგებ-მეთქი. არადა, არ მესმის, ამხელა გოგოს მე რატომ უნდა ვულაგებდე ოთახს, რას მიკეთებს თვითონ? მიეჩვია კომფორტს! უმადური! მადლობის მაგიერია? მე რომ არა, მაქსის ცოლი ვერასდროს გახდებოდა!

— ეგ რანაირად? — ეშმაკურად ჩაელიმა მამაკაცს, თუმცა მშვენივრად იცოდა, რა წვლილიც მიუძღოდა ნუკის ეკას გათხოვებაში.

— არა უშავს, მოვა დრო და ყველაფერს მიხვდება... იმედია, — მისი შეკითხვა უპასუხოდ დატოვა გოგონამ, — კაცმა არ იცის, სად მიაგდო ის საყურე და ახლა ყველაფერში მე უნდა დამადანაშაულოს. თუ მისთვის ასეთი ძვირფასი იყო, ვერ გაუფრთხილდა?! მე რა შუაში ვარ?! — არ ჩერდებოდა.

— თამარამ რა თქვა ან ბიძაშენმა?

— არ იყვნენ სახლში. ბიცოლაჩემთან ისედაც აზრი არა აქვს ლაპარაკს, მინც მის მხარეს დაიჭრდა. ბიძია კიდევ... ეჰ... — უკმაყოფილოდ გადააქნია თავი და ფანჯარაში გაიხედა.

ამასობაში თავსხმა წვიმა დაიწყო. მანქანის სახურავი წამოსული თქეშისგან ძლიერად ახმაურდა.

— რა დაუშვა! — ცას გახედა ზურამ. — ახლა რას აპირებს?

— თუ თბილისამდე ჩამიყვან, მერე მივხვდავ ჩემს თავს. ბინას ვიქირავებ, სამსახურში მოვეწყობი... თუ არა და, მაშინ სადმე გამიჩერე და რამეს გავყვები, ფული მაქვს.

# ნაადრევი ენქელაბი



## სკეზა კვარაცხელია

წაწარმოებზე თქვენი  
შთაბეჭდილება შეგიძლიათ  
გაგვიზაროთ ელფოსტით  
gza.fantazia@gmail.com

— ამდენი?! — გაეცინა მამაკაცს. — თან თბილისამდე ჩახვიდე, თან ბინა იქირაო, თან სამსახური იშოვო...

— მექნება!

— თბილისში ვისთან უნდა მიხვიდე, ლამე სად უნდა გაათიო?

— მეგობართან, საბურთალოზე ცხოვრობს. თან მარტოა. დროებით მასთან დავრჩები... მერე ვნახოთ.

— იცის, რომ მიდიხარ?

— არა, არ იცის, მაგრამ პრობლემა არ არის, ნებისმიერ დროს მიმიღებს.

— შინ რომ არ დაგხვდეს? ან მარტო არ იყოს? იქნებ...

— რა — იქნებ? — ნუკის შიში ჩაუდგა თვალებში.

— რა იცი, რა ხდება. იქნებ გათხოვდა, ან მეგობარი მამაკაცი გაიჩინა, ან... რა ვიცი, შენ არა თქვი, მარტო ცხოვრობსო?

— რომ გათხოვილიყო, შემატყობინებდა. მეგობარი მამაკაცი კი... — ოდნავ შეეყოყმანდა. — ეგეთი არ არის. — ბრახნარევი ტონით დააყოლა.

— როგორი — ეგეთი? — მამაკაცს სიცილი აუტყდა.

ნუკი დადუმდა. რა თქვა სასაცილო? ნირწამხდარმა ტუჩი აიბუზა და კოპები შეყარა.

— მაპატიე, არ გეწყინოს. უბრალოდ, ძალიან ბავშვურად გამოგივიდა. ჩემი აზრი თუ გაინტერესებს, მეგობარი მამაკაცის ყოლა „მეგობობას“ სულაც არ ნიშნავს.

გოგონა აიღენა, მაგრამ კვლავ დუმილი ამჯობინა.

— ბიძაშენი რომ მოგიკითხავს, უხერხული არ იქნება? ძებნას დაგინ-

ყებენ, ანერვიულდებიან. გიფიქრია ამაზე?

— თავს არავინ მოიკლავს. პირიქით, გაუხარდებათ, საბოლოოდ დაისვენებენ ჩემგან!

— ხუტაც?

— ის... ის ერთადერთია, ვისაც გული შესტკივა ჩემზე. არა უშავს, მერე დავურეკავ და დავამშვიდებ.

— იმედია, იპოვიან საყურეს, შენც შეურიგდები ეკას და უკან დაბრუნდები, — ზურა შემპარავად ლაპარაკობდა, აინტერესებდა, რამდენად გაბედული იყო მისი მირანდას გადადგმული ნაბიჯი.

— არავითარ შემთხვევაში! მორჩა, საბოლოოდ წამოვედი მათგან. თუ იპოვიან იმ საყურეს, ხომ კარგი, თუ არა და... 200 ლარი დავუტოვე და დანარჩენს მერე გამოვუგზავნი, როგორც კი მუშაობას დავიწყებ.

— რა 200 ლარი?

— გადანახული მქონდა და მივეცი საყურის სანაცვლოდ. დანარჩენი ვერ გავიმეტე, სახარჯოდ დავიტოვე ცოტა.

— აუჰ! აბა, გაკოტრებულხარ! — გაიხუმრა ზურამ.

— არაფერიც! ეგ ფული საერთოდ არ მადარდებს. კიდევ ვიშოვი! — ჯიბრიანად პასუხობდა.

— ნუკი, გგონია, რომ ამ ყველაფერს ასე ადვილად გაართმევ თავს?

— რატომაც არა?! რა, ეჭვი გეპარება? — ირიბად გამოხედა.

— თანაც ძალიან... შენ ხომ ფანტაზიების სამყაროში ცხოვრობ.

ნუკის ფერი ეცვალა ამ სიტყვებზე, თითქოს მტკივნეულ ადგილას დააჭირეს ფეხი. იქნებ შეგნებულად (მიზანმიმართულად) გააკეთა ზურამ ეს, რომ გოგონა მინაზე დაშვებულიყო?

— მოდი, ასე მოვიქცეთ, — გააგრა-





ძელა მამაკაცმა, — ჩავიდეთ თბილისში, რამდენიმე დღით ჩემთან წამოდი, დარჩი, დაისვენე, ცოტა აზრზე მოდი, დაწყნარდი და მერე მოვიფიქროთ, რა ჯობია. არც ბინის ქირა გექნება გადასახდელი და არც მეგობრის შეწუხება მოგიწევს. კარგი?

— მაგრამ...  
— არ გვინდა ახლა ეს „მაგრამ“ და ა.შ. დამიჯერე, რასაც გუბნები. უცხო არა ვარ, ხომ მართალია? ამდენი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ. თუ მაინცდამაინც გეუხერხულება ჩემთან ერთად ცხოვრება, შენ დარჩი და მე ჩემებთან გადავალ დროებით, სანამ რამეს მოვიფიქრებთ. განყოფილება გოგონას ცეცხლი წაეკიდა სახეზე. ვერც „პოს“ ამბობდა, ვერც — „არას“. მასთან ცხოვრებას სიხარულით (ფრენა-ფრენით) დათანხმდებოდა და მაღლიერიც (ბედნიერიც) დარჩებოდა, მაგრამ ნათესავები როგორ შეხვდებოდნენ მის საქციელს? არ უნდოდა, ვინმესთვის საჭორო საბაბი მიეცა.

— დროებით-მეთქი, გითხარი, — მის ფიქრს გამოეპასუხა ზურა, — შენებთან საქმეს მე მოვაგვარებ, მაგაზე არ იდარდო.

— არ ვიცი, მოვიფიქრებ, — ჩაიჩურჩულა ნუკიმ და თავი ჩალუნა.

— რა თქვი? — მამაკაცმა წვიმის ხმაურში მისი სიტყვები ვერ გაარჩია.

— ვნახოთ, რაღაცას მოვიფიქრებ, შენი შეწუხება არ მინდა, — ხმას აუნია ნუკიმ.

— ნუ ხარ ეგრე, ძალიან გთხოვ. ცოტა გაბედული იყავი — აი, ისეთი, ქობულეთში რომ გაგიცანი... ან ისეთი, დამწვრილობების წინ რომ დაგტოვე... რომ ვერ მეღეოდი... — თვალბრუნვით ლიმილით (სიყვარულითაც) შეხედა. — რაო, როგორ მითხარი? როცა ორი ადამიანი ერთმანეთს შორდები, რაო?

— არ მახსოვს, — ნუკის უკვე უხერხულა ლანჯები (და მთელი სხეული).

— კარგი, კარგი... არ გახსოვს და ნუ გახსოვს, — დაუთმო ზურამ, — თუ გინდა, ერთი 15 წუთით წაუძინე. როცა ჩავალთ, გაგაღვიძებ.

— არა, არ მინდა. ახლა არაფრით დამეძინება.

— მაშინ სადმე გავაჩეროთ და წავიხემსოთ. იდეებიც მოგვივა. მე ძალიან მშია. შენ?

— დიდი მაღლობა. ახლა ლუკმა არ გადამივა ყელში.

— მაინც ვცადოთ. იქნებ მოვახერხო და გავაღვიძო შენში მადა, — ხაზგასმით წარმოთქვა ზურამ და უხერხულად შეიმშუშა, მერე კი მაგნიტოფონი ჩართო, რათა თავისი უხერხულობა (თუ გულისნადები) ამით დაეფარა.

— ეს არც ისე ადვილია, — ორაზროვნადვე უპასუხა გოგონამ და ძალაუხერხულად გაეღიმა.

— ყოველი შემთხვევისთვის, ძალღონეს არ დავიშურებ, — უკან არ დაიხია მამაკაცმა.

— ვაიმე, როგორ წვიმს, არაფერი ჩანს, თითქოს ნისლიაო! — გულუბრყვილო შეძახილით აიცდინა მისი შეფარული „შემოტევა“ ნუკიმ.

— ჰო, ამაზე იტყვიან, წვიმამ ნისლის ქოლგა დაიხურაო, — შენიშნა მამაკაცმა, — მოგონს ასეთი პოეტური გამოთქმები?

— კი, ძალიან... ბავშვობაში ლექსებსაც ვწერდი, — წამოსცდა გოგონას და უმალ ენაზე იკბინა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.



— რას მელაპარაკები! ამას მიმაღავდი?! აბა, მითხარი, როგორ ლექსებს წერდი?

ნუკის კვლავ ალმური წაეკიდა სახეზე.

— ახლა აღარ მახსოვს, ეს დიდი ხნის წინ იყო.

— ესე იგი, შეყვარებული იყავი...

— არაააა! — ტყუილზე გამოჭერილი ბავშვივით დაიმორცხვა.

— როგორ არა?! გგონია, არ ვიცი, რა აწყებიანებს ადამიანს ლექსების წერას?

— ამის მიზეზი მხოლოდ სიყვარული არ არის.

— 99 პროცენტი — სიყვარულის ბრალია. არ მეთანხმები?

— არ ვიცი, მე მაგის გამოცდილება არ მქონია.

— რისი, სიყვარულის? თუ სიყვარულის ბრალდების პროცენტების გამოთვლის?..

— ერთისაც და მეორისაც.

— როგორ, არასდროს არავინ გყვარებია?

— არა, — ნუკიმ განზე გაიხედა, რათა თვალი აერიდებინა მისკენ ეშმაკურად მომზირალი მამაკაცისთვის.

— აბა, რა განერიებდა ლექსებს — თამარას მზრუნველობა?

გოგონას კისკისი აუტყდა. ზურასაც გაეღიმა. გამოუცნობმა სიამოვნების ტალღამ მესამე ქიქა კონიაკივით გაუხურა სხეული (შუბლიც), მათობელა იყო ეს სიცილი.

— გინდა, მე და შენ ერთად დავწეროთ ლექსი? — ზურაც გამხიარულდა.

— ახლა? — ცალი წარბი აზიდა გაკვირვებულმა.

— ჰო, ახლა. მე დავიწყებ, შენ გააგრძელებ... ვცადოთ?

— არააა, ეგრე არ შემიძლია.

— ვცადოთ, შენი რა მიდის?! მოიცა!.. — ზურამ წარბები შეჭმუნა და წამით ჩაფიქრდა, მერე გამოხედა მოლოდინით აღსასვე ნუკის და ხავერდოვანი ხმით დაიწყო:

— „მაგიუბს ეგ შენი ტუჩები“... გააგრძელე!

ნუკიმ უნებურად ტუჩებზე ხელისგული აიფარა და მორცხვად გახედა.

— გააგრძელე, მიდი! გამოგივა! — შეაგულიანა ზურამ.

გოგონამ ჩაახველა, მერე თვალები მზაკვრულად მოხუჭა და ამოთქვა:

— „მე — წვიმით ნაცემი ქუჩები“.

— აბა, ერთი ამას დამიხედეთ! მე კომპლიმენტებით ვავსებ, ეგ კიდევ, ქუჩებზე ფიქრობს! — სიცილით შესძახა მამაკაცმა და გოგონას ზუსტად ისე მოქანა გაშლილ თმაზე, როგორც — ბავშვობაში ნაწნავებზე.

ნუკი შეაკრთო ამ შესტმა. წარსულმა ტკბილად შეახსენა თავი. ჯერ ნაზად შეხედა ზურას, მერე კი სევდაგაჯერებული ხმით გააგრძელა.

— „შენ რომ მეფერები, ვყუჩდები“...

ზურამ ძლივს მოასწრო დამუხრუჭება. იმდენად გულისმიერი იყო ნუკის ხმა, იმდენად სულში ჩამწვდომი, გონება აერია და ლამის საჭე „გაექცა“. სალონში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ წვიმის ხმაური ერეოდა ამ სიჩუმეს.





„ვაკოცო თუ არ ვაკოცო?“ — ყოყმანობდა კაცი. „მაკოცებს თუ არ მაკოცებს?“ — მკითხაობდა ქალი... რამდენიმე წამს გაგრძელდა დაძაბული დუმილი. შემდეგ ზურამ უცნაურად ჩაილიმა, თვალებში ჭინკები აუცვევდა, მანქანა დაქოქა და ირიბად შემოხედა მღელვარებისგან სახელწინილ გოგონას.

— „ნუკიმ გადათელა ბუჩქები“.

იგი ჯერ გაოგნდა, მერე მიხვდა, მამაკაცი მეორე სტრიქონისთვის სამაგიეროს რომ უხდიდა, პატარა ბავშვივით დაიჯღანა და კეკლუცად მოჰყვა ჭუჭყუნს:

— ეე! ეგრე არ გამოვა! შენ გააფუჭე ლექსიიი!

ზურას კმაყოფილი ღიმილი გადაეფინა სახეზე. როგორც იქნა, მოახერხა სიტუაციის განმუხტვა. კიდევ კარგი, არ აკოცა, თორემ მათი ურთიერთობა სულ სხვა გზით წარიმართებოდა და ვინ იცის, რა შედეგით დასრულდებოდა... არ ღირდა მოვლენების დაჩქარება...

ამიტომაც ვერ გაბედა...

— აი, აქ შევიდეთ, — ზურამ მანქანა ტროტუარზე შეაყენა და ძრავა გამორთო, — აქ კარგი სალატები იციან. „ცეზარი“ გაგისინჯავს?

— გამისინჯავს, ოღონდ მაგას „ცეზარი“ კი არა, „კეისარი“ ჰქვია, — შეუსწორა ნუკიმ და ნიშნის მოგებით გაუღიმა.

— მართალი ხარ, ქართულად ასე ჟღერს. გამოდის, შენც მოგნონს, არა?

— კი, მაგრამ არ მინდა, არ მშია.

— მომისმინე ერთი წუთით. თუ გინდა, დანიშნულების ადგილამდე მშვიდობით მიგიყვანო, ხელი უნდა შემინყო. შენს მძღოლს ძალიან შია და სასწრაფოდ უნდა ყავის დაღვევა, ვანლ საჭესთან ჩასძინებია. ასე რომ, კანადებული ხარ, ჩემი მოთხოვნა დააკმაყოფილო.

— ო, ღმერთო! — იძულებულია, დამორჩილდეს, რადგან ამხელა პატივი სცა.

— რას ოხრავ? ხომ გაგიგონია, კეისარს კეისრისაო... ეს იმ სალატის დასახელებიდანაა, რომლის დაგეგმვებზე შენ უარს ამბობ, — გაეხუმრა ზურამ, — თანაც, ვიფიქრე, სანამ ვივასშმებთ, საქმეზეც ვილაპარაკებთ-მეთქი.

ამწუთას მამაკაცს სხვა არაფრის შეთავაზება შეეძლო მისთვის. ან კი რა უნდა შეეთავაზებინა?! მარტოხელა კაცს შეიძლება, პურის ნატეხიც არ ჰქონოდა სახლში, მშვიერს ხომ არ დაანვენდა სტუმარს! „დაანვენდა“... ამ სიტყვამ ფიქრები (იქნებ ვნებებიც) აუშალა გოგონას. როგორ უნდა გაა-

თიოს ღამე მასთან ერთ ჭერქვეშ ვაითუ, რამე „იმნარი“ ჰქონდეს ჩაფიქრებული? ენდოს? არ ენდოს? ეს არ იცოდა ნუკიმ, მაგრამ ერთ რამეს დანამდვილებით ხვდებოდა — მათ რალაც უკვე აკავშირებდა ერთმანეთთან... და ეს „რალაც“ (სიყვარული?!) დიდი ხანია, მოსვენებას არ აძლევდა... ზუსტად იმ მომენტიდან, როცა თავის გახურებულ ტერფებს უტრიალებდა თვალწინ ზღვის სანაპიროზე... შესაძლებელია, უფრო ადრეც (მორეულ წარსულში), როცა მალულად გააპარებდა თვალს მათ ჭიშკართან ჩავლირი თავმომწონე ბიჭისკენ.

— დღეს ყველაზე უცნაური რამ ხდება ჩემს ცხოვრებაში, — თქვა პასუხად, — ისეთი, რაც ადრე არასდროს მომხდარა. შემთხვევით, ქალის გატაცებასთან ხომ არ გვაქვს საქმე? — ეშმაკურად მოიქცია კბილებშუა ქვედა ტუჩი. — თუ ასეა, ტყუილად ირჯები, გამტაცებელი. ჩემ გამო ფულს არავინ გადაიხდის.

— თუ არ ვცდები, ჩვენ შევთანხმდით, რომ მეგობრები ვართ... ხომ არ მალალოტობს მეხსიერება? არც შენ გახსოვს? — ზურამ მანქანიდან გადავიდა, უკნიდან მოუარა, ნინა სალონის კარი გააღო და თვალებით ანიშნა, გადმოდი, ნუ მალალოტინებო.

ასხოვს, როგორ არ ასხოვს?! ეს იმ ღამეს იყო, პირველად რომ აკოცა... რა თქმა უნდა, შუბლზე... თუ მეორედ (თანაც, მამინაც შუბლზე)? ასხოვს, მაგრამ განა ეს საკმარისია? განა ვერ ხვდება, რომ გრძნობა, რომელიც ზურასთან აკავშირებს, უფრო მეტია, ვიდრე მეგობრობა? ჯერ სახელი ვერ დაურქმევია ამ გრძნობისთვის, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარი ის არის, რომ ამას მეგობრობას ვერ უწოდებს (ჯერ ვერც სიყვარულს). სხვა მხრივ კი, თუკი გათვალს მხოლოდ მეგობრობაზე გააკვეთებს და „მეგობარიც“ იმავეს მოიმოქმედებს, ეცდება, ბედს შეურიგდეს და მიიღოს მისგან ურთიერთობის ეს „ყველაზე მშვიდობიანი“ ფორმა.

ნუკიმ ორჭოფული მზერით გახედა შუშისკედლებიან რესტორანს და შეეცადა განესაზღვრა, რა უფრო ანუხებდა ამწუთას — შიმშილი (არადა, მართლა შიოდა), შარდის ბუშტი (ძალიან მოაწვა უკვე) თუ სიამაყე... ეს უკანასკნელი უკანასკნელ ადგილზე აღმოჩნდა. ჯერ საპირფარეშო, შემდეგ ვახშამი. იმეღია, ცოდვაში არც ერთი ჩათვლებოდა და არც — მეორე...

— კარგი, ერთ „კეისარს“ როგორმე მოვერევი, — მორცხვად ჩაილაპარაკა და ზურას გამოწვილ ხელს თითები ნაზად შეაგება.

— ერთს კი არა, ათ კეისარს მონერევი შენი თვალებით, — სიცილით უთხრა მამაკაცმა, მანქანა ჩაკეტა და გოგონას მკლავი თავისაში ჩახლართა.

ტუალეტში შესულმა გააგრძელა ფიქრი. როგორი მსუბუქი ადამიანია, რბილი, ყურადღებიანი, კეთილი, მზრუნველი. ის ყველას უყვარს, პატივს სცემენ. და ეს კაცი მისი მეგობარია. მეგობარი? ხმამაღალი ნაფიქრია! ასეთი სექსუალური მამაკაცი არ შეიძლება, მხოლოდ მეგობარი იყოს. მისი მამაკაცური ხიბლისგან წარამარა ყრუანტიური უფლის, რა დროს მეგობრობაზე ლაპარაკი! თანაც, ვინ გაიგონა ამ დროში ქალისა და კაცის მეგობრობა, ეს ხომ აბსურდია?!

გამოსვლის წინ სახეზე წყალი შეისხა და ქალადის ხელსახოცით შეიმშრალა. ბოლოს სარკეში ჩაიხედა და თავი უკმაყოფილოდ გადააქენა — როგორი განამებული სახე აქვს! არ უნდა განერვიულებულიყო ასე. შეიძლება, ნორმალური ადამიანი ევას კაპრიზებს აჰყვეს?

— მშვიდად ვარ, — შელიმა თავის თავს სარკეში და დარბაზში გამოვიდა. მედიდურად მიმოიხედა ირგვლივ. რესტორანში სულ რამდენიმე მაგიდა იყო დაკავებული.

— რა დაღლილი სახე გაქვს, — შენიშნა ზურამ, — ისევ ბობოქრობ? მგონი, ასეთ რამეებზე არ ღირს ნერვიულობა.

— აღარ ვნერვიულობ. სამარცხვინო არაფერი ჩამიდენია, თუმცა კი უსამართლოდ მოინდომეს ჩემი დასჯა. არა უშავს, ადრე თუ გვიან, სიმართლე გაირკვევა და მერე სხვები ინერვიულებენ.

— აი, ეს მომწონს! ყოჩაღი გოგო ხარ! მე უკვე შეეუკვეთე ორი სალატა და ორი ყავა. კიდევ ხომ არ ინებებდი რამეს?

— არა, მართლა არაფერი მინდა.

— გარდა ამისა, სანამ შენ ქალების ოთახში „ერთობოდი“, მე რალაც-რალაცები მოვიფიქრე შენთან დაკავშირებით. იმეღია, მოგწონება. ორი შემოთავაზება მაქვს.

— მართლა? — გოგონა იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და ყურადღებით შეაჩერდა.

— გითხრა?

— აბა, რა. მეგობარი, პირველ რიგში, იმისთვისაა, რომ გირჩიოს, შენ კი მოუსმინო, — ოდნავ დამცინავმა ტონმა გაიჟღერა ნუკის ხმაში.

მამაკაცმა აღმაცერად (უფრო ირონიულად) გახედა.

— ჰოდა, მომისმინე... შემოთავაზება ნომერი 1: ის, რაც მოხდა, უმიზ-





ეზოდ არ მომხდარა. მცირე ბიძგი გჭირდებოდა, რომ იქიდან წამოსულიყავი და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაზე გეფიქრა. იმ სახლში ამას ვერასდროს მოახერხებდი. ახლა მეტი ასპარეზი გაქვს. მოდელირების ფაკულტეტი თუ დაამთავრე, დროა, შენს ოცნებებს ფრთები შეასხა.

— და რა? ტანსაცმელი შევკვრო? მერედა, ვისთვის? კლიენტები საიდან მოვიყვანო?

— ნუ მანყვეტიხები! შენ სურვილი გამოთქვი და კლიენტები გამოჩნდებიან.

ამ დროს შეკვეთაც მოიტანეს და ორივე უთქმელად შეუდგა ვაზშობას.

— გეთანხმები იმაში, რომ სწორი გადანივებით მისივე მივიღე, იქიდან რომ წამოვედი, თუმცა მაგ სკანდალის გარეშეც ვაპირებდი ამის გაკეთებას.

— როდის აპირებდი?

— რა თქმა უნდა, ქორწილის შემდეგ. ასე რომ, შენმა ნომერ პირველმა შემოთავაზებამ ნამდვილად სარგებლობა მომიტანა.

— მიხარია.

— მაგრამ, მგონი, მეორე შემოთავაზებაც გქონდა, — შეახსენა.

— ჰო... თუმცა, მეორე რაც უნდა მეთქვა, შეკითხვა უფროა, ვიდრე შემოთავაზება. რატომ ყოყმანობ ჩემთან დარჩენაზე? არა მგონია, სხვასთან უკეთ იგრძნო თავი. თუ მეგობრები ვართ, ერთმანეთს გვერდში უნდა დავეუდგეთ. შეიძლება, ძალიან ბანალურად ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ ასეა. არც ღამის გასათევვი გაქვს და არც პერსპექტივა, ჯერჯერობით. არა მგონია, იმდენი გქონდეს, რომ თავის შენახვა შეძლო, თუნდაც ამ ეტაპზე. ამიტომ მიიღე ჩემი შემოთავაზება.

— რომელი? — ვითომ ვერ მიუხვდა ნუკი.

— დარჩი ჩემთან... და მე მაქსიმალურად დაგეხმარები ყველაფერში.

— მაგრამ...

— მაგრამ, მაგრამ... რა გიყვარს ეს სიტყვა! რას ხედავ ამაში მიუღებელს? — გაღიზიანდა ზურა.

— მაგრამ... — ჯიუტად გაიმეორა ნუკიმ. — ერთი მიზეზი მაინც მითხარი, რატომ უნდა მოვიქცე ასე, რატომ უნდა შევანუხო? ჯერ ისე კარგად არ ვიცნობთ ერთმანეთს, რომ...

— ვ მიზეზი რომ დაგისახელო? — შეანყვეტინა მამაკაციმა.

— ზურა, მესმის, რომ ჩემთვის სიკეთე გინდა, თუმცა კი ბევრი არ გიფიქრია, სანამ ამ გადაწყვეტილებამდე მიხვიდოდი. შენ მარტო ცხოვრობ, შენს გემოზე. რატომ უნდა შემოვიჭრა შენს ცხოვრებაში? ამწუ-



თას ჩემი ინსტინქტი მხოლოდ ერთ რამეს მკარნახობს. რომ ეს არ იქნება გონივრული ნაბიჯი, თუმცა ჩემი წარმოსახვა სხვა რამეს მეუბნება...

— რას გეუბნება? — დაინტერესდა მამაკაცი.

ნუკიმ თავი ასწია და თამამად შეხედა თვალებში. მათი რამდენიმედღიანი ნაცნობობიდან გამომდინარე, გოგონა, რა თქმა უნდა, თანახმა იყო, შეეყვარებინა ეს მომხიბვლელი კაცი, მიუხედავად დიდი ასაკობრივი სხვაობისა, მაგრამ ისეთი სულსწრაფობა (ნდომაც) გამოსჭვიოდა მისი მზერიდან, რომ ნუკი წამიერმა უნდობლობამ შეიპყრო. მამაკაცებთან ურთიერთობაში იგი არც ისე ჭკვიანი იყო და არც ისე გამოცდილი, რომ დაუფიქრებლად მინდობოდა თუნდაც უკვე მეგობრის შემოთავაზებას. ამიტომ სიფრთხილის გამოჩენა არ აწყენდა.

— ჯერ ის ვ მიზეზი დამისახელე და მერე გეტყვი, — ეშმაკურად მოჭუტა თვალები.

— კარგი, თანახმა ვარ... პირველი — დაღლილი ხარ... მეც... ჩვენ ორივე დავიღალეთ. მძიმე დღე გვქონდა თავისი წვიმებით, თქმებით და ცრემლებით... ამიტომ აუცილებელია, კარგად გამოვიძინოთ. გვაქვს ამის უფლება. ხომ მართალია?

ნუკიმ ეჭვნარევი მზერით დაუქნია თავი.

— მეორე: შეიძლება, იმ შენს დაქალს არ ჰქონდეს საშუალება,

თავისთან დაგტოვოს. სასტუმროს ხარჯებს კი ვერ გასწვდები. ერთ და ორ დღეში კი ბინას ვერ იშოვი, თანაც იაფფასიანს...

გოგონამ წარბები შეყარა.

— ასე რომ, სხვა არჩევანი არ გაქვს, — დაამთავრა მამაკაციმა.

გოგონამ ამოიოხრა. მან ზურას გარეშეც მშვენივრად იცოდა ეს ყველაფერი.

ის კი არა, მეტიც იცოდა — მას ძალიან უნდოდა დასთანხმებოდა შემოთავაზებას, უბრალოდ, თავბატიუს იღებდა. — შენ მესამე მიზეზი არ დაგისახელებია... — ნუკი დროს წელავდა.

— სიამოვნებით. მიზეზი ნომერი 3 იმაში მდგომარეობს, რომ... — ზურამ გულიანად გაუღიმა. — ძალიან დაძაბული ხარ და დასვენება გჭირდება. დაისვენე და მოვიფიქროთ, რა მოვიმოქმედოთ.

— მატყუებ... —

ბავშვური სიკვლეუცით შენიშნა ნუკიმ. — ეს იყო მიზეზი ნომერი პირველი, ოღონდ ცოტა შეცვლილი. მითხარი მესამე მიზეზი.

უეცრად მამაკაცს სახე დაუსერიოზულდა, ხელი წელა გაინვდინა მისკენ, მის ხელის ზურგს ზემოდან დააფარა თავისი ვეებერთელა ხელისგული, ოდნავ მოუჭირა თითები და ხმადაბლა (მაგრამ მთელი გრძნობით) წარმოთქვა.

— მინდა, რომ ჩემთან დარჩე... შენ? შენ რა გინდა?

ნუკიმ პაუზა განელა.

— ყავა... — დააიწორჩულა და ხელი გაითავისუფლა.

ზურამ დაკვირვებით შეხედა მის არეულ სახეს. გოგონას ისეთი სისწრაფით ეცვლებოდა გამომეტყველება, ძნელი იყო, მიმხვდარიყავი, რას განიცდიდა იგი ამ წუთებში.

— ვცდილობ, გავალამაზო შენი მარტოობა, — გაისმა ზურას ხმა.

— შენ ცდილობ, ფერი შეუცვალო მას, უბრალოდ, გადაღებო და მეტი არაფერი, — გულგრილად შეუსწორა ნუკიმ და რესტორნის ვეებერთელა შუშებიან კედელში (თუ ფანჯარაში) გაიხედა.

გარეთ, ქუჩაში, მანქანები ერთიმეორის მიყოლებით მიქროდა. ჩანდა, ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობა იყო, ხოლო სალამო — რუსი და მოქუფრული, თუმცა კი გადაელო წვიმას...

— შენ ცდილობ, ფერი შეუცვალო მას, უბრალოდ, გადაღებო და მეტი არაფერი, — გულგრილად შეუსწორა ნუკიმ და რესტორნის ვეებერთელა შუშებიან კედელში (თუ ფანჯარაში) გაიხედა.

გარეთ, ქუჩაში, მანქანები ერთიმეორის მიყოლებით მიქროდა. ჩანდა, ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობა იყო, ხოლო სალამო — რუსი და მოქუფრული, თუმცა კი გადაელო წვიმას...

გარეთ, ქუჩაში, მანქანები ერთიმეორის მიყოლებით მიქროდა. ჩანდა, ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობა იყო, ხოლო სალამო — რუსი და მოქუფრული, თუმცა კი გადაელო წვიმას...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# გზის გზნიღლები

## სიჯიუტა და მისი უაღაბი

მარი ჯაფარიძე

მეგსალმები ყველას... ჯიუტსა თუ დამჯერს... როგორ ხართ? ცოტა გაბრაზებული კი ვარ ზოგიერთ მგზავნელზე, რომელსაც ენა ვერ გაუჩერებია, უფროსსა და უმცროსს და მგზავნელებსა და „გზავნილებს“ ავტორს ერთმანეთისგან ვერ არჩევს და თავს ზედმეტის უფლებას აძლევს, მაგრამ ეგ არაფერი... ასეთებს მხოლოდ შევასხენებ, რომ „ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად — ზრდილობა“... არა ვარ თქვენი ტოლი, რომ აგყვეთ და საქმეების გარჩევა დავინყო... მოკლედ, მოჭრი საყვედურებს (თვითონ მისვდებიან, ვის ვგულისხმობ) და ჯიუტად განვაგრძობ ჩემს საქმეს (სხვათა შორის, ჩემი სიჯიუტის გამო, ოჯახის წევრები ვირ-ჯინას მეძახიან) ისე, როგორც სწორად მიმაჩნია...

## ჟურნალისტიკის მსხვერპლი

„ჟურნალისტიკა რომ საბასუსისმგებლო, რისკიანი, თავგადასავლებით სავსე და დამლელი პროფესიაა, ამაში ალბათ თითოეული თქვენგანი, ყველაზე მეტად კი მარიამული დამეთანხმება... მიუხედავად ამ პროფესიის ადამიანების მიმართ საზოგადოების ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულებისა, პატარაობიდანვე ზუსტად ვიცოდი, რომ როცა გავიზრდებოდი, „მიკროფონიანი ბიჭი“ გავხდებოდი... მაშინ, როცა ჩემი ტოლი ბავშვები „დახუჭობანას“, „ტანკობანას“ და „დაჭერობანას“ თამაშობდნენ, მე, სახტუნაოს ერთ-ერთი სახელურით „შეიარაღებული“, ინტერვიუებს ვწერდი... რას ამბობ შვილო, ვერ ხედავ, ჟურნალისტებს ყოველდღე ხოცავენ? შენც არაფერი დაგემართოსო, — ჩემი მიზნის მიღწევამდე ძალიან დიდი ხნით ადრე წუხდა ბებო, მაგრამ ზუსტად იცოდა, რომ ვერ გადამათქმევინებდა, არჩეული გზის ბოლომდე გაკვალვას... ასაკის მატებასთან ერთად, უფრო და უფრო ხელშესახები მეჩვენებოდა ჩემი მიზანი და თანდათან ვრწმუნდებოდი ჩემი გადაწყვეტილების სისწორესა და ჭეშმარიტებაში, როცა კახეთის ერთ-ერთ რადიოში, წამყვანის თანამდებობაზე კასტინგი გამოაცხადეს. არც დაგვიტყობს ვინ ვარ, გაჯგამული და თავანუელი წავედი გასაუბრებაზე... 1-საათიანი დახასიათების, თავის მონებისა და ამოუსუნთქებლად ლაპარ-

აკის შემდეგ, ჟიური მხოლოდ 2 სიტყვით შემოიფარგლა, — მოვიფიქრებთ და დაგირეკავთო. უაზროდ გადიოდა დღეები სასიცოცხლო მნიშვნელობის ზარის მოლოდინში, ტელეფონი კი გულისგამანვრილებლად დუმდა... მაშინ, როცა „ზემოდან“ დაკავშირებისა და რადიოში მუშაობის დაწყების ყოველგვარმა იმედმა ღრმად „დაიძინა“, ნანატრი ზარიც გაისმა და სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად, წელში გაჭიმული, სიამაყით აღსავსე წავედი... შენობაში შესვლისთანავე მივხვდი, რომ იქ მივედი, სადაც ჩემი ადგილი იყო... თითქმის ჰაერიც კი სხვანაირი იყო შიგნით, იატაკი ბამბასავით რბილი, სახურავი ძალიან მაღალი იყო... კი არ დავდიოდი, დავფრინავდი... შემდეგ იყო პირველი ლაივი, პირველი მესიჯი, პირველი ზარი ეთერში და პირველი ხელფასი... ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა... ეთერში უამრავი, გზასაცდენილი ადამიანი რეკავდა, ზოგს ნომრეფანი უნდოდა, ზოგი მეკაიფებოდა, ზოგი თავის მოკრძალებულ აზრს გამოთქვამდა გადაცემის თემასთან დაკავშირებით, ზოგი სიმღერას უძღვნიდა საყვარელ ადამიანს, ზოგი კი... ერთხელ, როცა გადაცემის თემა „სიყვარული და ასაკი“ იყო, ეთერში ზარი გაისმა... ბოხხმიანმა გოგონამ თუ წვრილხმიანმა ბიჭმა ისე

ამაღლებლად მთხოვა, შეყვარებული მეჩხუბა და კაცურად, შემარიგეო, უარი ვერ ვუთხარი... „უმაღური გოგონას“ ტელეფონის ნომერი გამოვართვი და... 2 წუთში, ჩვენი რადიოს სისშირე განწირული მამაკაცის სასონარკვეთილმა ღრიალმა ჩაახშო. :) საქმე ისაა, რომ როგორც კი ტელეფონმა ჩვეული „ტუუუ-ტუუუუ-ტუუუ“ შეწყვიტა, ამოუსუნთქებლად მივყარე გადაცემის მთავარ ობიექტს „ლოვეს“ დანაბარები და ამაყად ვაჯახე, — ლამაზ ძალიან უყვარხარ და აუცილებლად უნდა შეურიგდე-მეთქი. :) ნაკარნახევი ნომერი შეცდომით ამიკრებია და ალბათ ხვდებით, რა რეაქცია ჰქონდა სრულიად უცხო მამაკაცს, პირდაპირ ეთერში ახსნილი სიყვარულის მოსმენისას... როგორც შენი მოსვლით გაგვახარე, ისე შენი აქედან წასვლით მოგვანიჭე ბედნიერებაო, — ყოველგვარი სინანულის გარეშე მითხრა მომხდარით საშინლად აღშფოთებულმა, რადიოს ხელმძღვანელმა და ერთი დღის შემდეგ, სამსახური უკვე ტკბილ მოგონებად იქცა ჩემთვის... თუმცა დამრჩა გამოცდილება... ერთხელ, როცა რადიოს ნოსტალგია მომეძალა და მელანქოლიამ შემომიტია, ჩემი „ეფ-ემ“ მიმღები ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სისშირეზე მოვმართე და გადაცემის წამყვანის მოსაზრებით გაცეცხლებულმა, მისი გაკრიტიკება განვიზრახე...



საქმე ისაა, რომ თემაზე — „რა მიზნით გაივსო ქალაქი სოფლებით“ — ასეთი მოსაზრება დააფიქსირა: გაივსო ქალაქი სოფლებით! ნემსი რომ გადააგდო, სოფლიდან ჩამოთრეულს ჩაესობა თავში, თან რა ძუნძღლიანები არიანო. ავკრიბე ტელეფონის ნომერი და ყელის განმენდის მიზნით, გემრიელად ჩახველების შემდეგ დავინწყე: იცით, რას გეტყვით, ქალბატონო? სანამ ვინმეს შეურაცხყოფას მიაყენებთ, ძალიან გთხოვთ, დაფიქრდით, ყველას ერთ ქვაბში მოხარშვას გამართლება არა აქვს-მეთქი... — თითქმის ასეთი ინტერპრეტაციით ჩაიარა ჩემმა 7-ნუთიანმა მონოლოგმა. მსმენელის პასუხი კი ასეთი იყო: უკაცრავად და, პირველი, რაც ამ სამარცხვინო ზარის შემდეგ გავაკეთე, მოსაბოდიშებელი მესიჯის მიწერა იყო, გაოგნებული „დაზარალებულისთვის“ — „შენი სული ზედმეტად ერთფეროვანია და მინდა, მოგიხატო“... წამის მესამედში მიპასუხა იამ... აქედან დაიწყო ჩემი და იას მშვენიერი, ლამაზი და თბილი სიყვარულის ამბავი... მთელი მონდომებით, არსებით, წრფელი გულით ცდილობდა ჩემი სულის გაფერადებას, მასში წარუშლელი ნახატების შექმნას, ფიგურების გამოძერწვას, მაგრამ რამდენად გამოსდიოდა, ეგ სხვა ამბავია. მისი სულის, სხეულის თითოეული ნაწილი მიზიდავდა... სუნი, თმის, კანის ფერი... მისი სუნთქვა ყველაზე ლამაზი და ჰიტორი სიმღერა იყო ჩემთვის... ის კი... შენში



ყველაფერი მომნონს, ხუჭუჭები, თვალები, სიმაღლე... ჩემი მოხატული სულიც ძალიან საყვარელია, ჩვენი გემოვნებაც ემთხვევა, მაგრამ ჩვენს ურთიერთობას მომავალი არ ექნება, თუ არ გასუქდები, შენნაირი გაჩხინკული ბიჭები ჩემს გემოვნებაში არ ჯდება და რამე იღონეო... დროის გასვლასთან ერთად, მივხვდი, რომ ია ისეთი არ იყო, როგორც მეგონა. სანამ მე წონაში მომატებას ვცდილობდი, ის ჯიბის „გასუქებაზე“ აქტიურად ფიქრობდა და ამ ფიქრის შედეგს „პრაქტიკაში“ ცდიდა. :) როცა მოთმინების ფიალა აივსო და მისი ტუჩების დაგემოვნების სურვილი ცხოვრების მთა-

ვარ აკვიატებდა მეცა, წონაში მომატების იოლ გზას მივაგენი და ლურჯი, გვერდზე თეთრზოლიანი, მუხლებგამობერილი სპორტულის ტანზე მორგების, გარედან ელასტიკებითა და ჯინსის შარვალში გაკვეთების შემდეგ, საკუთარ თავსა და წონაში ღრმად დარწმუნებული, ამაყი, ნელში გამართული წავედი პაემანზე... მოვლენები იმაზე სწრაფად განვითარდა, ვიდრე წარმომედგინა... აუუ, რა მაგარ ტანზე ხარ, სის! — ასეთი იყო იას პირველი რეაქცია... — ჰო, რა ვიცი, რაც მე ცხიმი ვჭამე ამ ორ თვეში... — სასონარკვეთილმა ვუპასუხე... განმარტობა... ტუჩების გემო, ჩახუტება და... — მგონი, დროა, რომ... — ლილების გახსნას შეუდგა აგზნებული გოგონა... — იცი, ახლა არ შემიძლია, — დარცხვენილმა, თავდახრილმა და იმედგაცრუებულმა ვუპასუხე... ალბათ სვედებით, როგორი სირცხვილი იქნებოდა ჩემთვის, როცა საყვარელი ადამიანის წინ, ელასტიკებითა და სპორტული შარვლით დამშვენებული წარვდგებოდი... დღემდე პოტენციალდაქვეითებული ვგონივარ ჩემს მეგობარ გოგონას და აღარც მეკონტაქტება. ვიცი, ამას ნაიკითხავს და მინდა, გაიგოს: მე გამხდარსაც ის შემიძლია, რაც 20 კგ-ით მეტს... P.S. ძალიან ბრჭყვიალა აღმოჩნდა შენი ფერები ჩემი პიროვნებისთვის, მაგრამ მაინც დააჩინე ჩემს „მეს“, შავ-თეთრი, გაურკვეველი ორნამენტები... გთხოვ, დაამთავრე ხატვა, რა... ძალიან მიყვარხარ! რუსიპირი (YELLOW)“.

ტკივილი

„გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. მინდა, ჩემს დედიკოზე მოგიყვებო. პირველად რომ მოვდიოდი ათენში, 2 თვე საზღვარზე დაგვაკავებს. მე ყოველდღე ვურეკავდი დედას და ვეუბნებოდი, რომ უკვე ათენში ვიყავი და ვმუშაობდი. 2 თვის მერე დაგვაბრუნეს უკან. დედაჩემმა არაფერი იცოდა. მინდოდა, სიურპრიზი გამეკეთებინა. მე და ჩემი მეუღლე საღამოს წავედით მასთან. დედა იჯდა, მე კი დიდხანს ვეფერებოდი ჩემს დატანჯულ დედას, რომელსაც ძლიერ უყვარდა კითხვა და ჟურნალი „გზა“ მუდამ თან ჰქონდა. ჯიუტი რომ ვარ და არ დავუჯერე დედას, რომელიც მეუბნებოდა, — მოიცადე ცოტა, მოკვდები და მერე წადი სამუშაოდ ათენშიო. ამიტომ ვტირი ახლა მთელი ღამე, თავზე საბანგადაფარებული, ბებიები რომ არ გავალვიძო. ისედაც მსაყვედურობენ, ნუ ტირიო. ეს მოვიმკე ჩემი სიჯიუტით. დედას ვინც არ

დაუჯერებს, ყოველთვის ნანობს. მინდა გითხრა, რომ ახლა ჩემთვის ურთულესი პერიოდი. „გზამ“ ერთი ერთგული მკითხველი დაკარგა, დედაჩემის სახით. ამ გაუსაძლის ყოფაში „გზას“ ერთი ნუთით არ დავტოვებ, მაინც წავიკითხავ და თუ მესიჯებს ვერ მოგწერთ, მაპატიეთ. ამ მესიჯს, ახლა რომ მოგწერთ, დედაჩემის ხსოვნას მივუძღვნი. დამიბეჭდეთ. ჩემო კარგო მგზავნებო, გიყვარდეთ დედა და ეცადეთ, იყოთ კარგი შვილი. იცოდეთ, დედა მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მას ასაკი არა აქვს. მე, შორეულ ქვეყანაში მყოფი, ძალიან განვიცდი დედის დაკარგვას. მე ის მივატოვე და ახლაც არ შემიძლია, მასთან დავბრუნდე, უკანასკნელად მოვეფერო და ვუთხრა: დედა, მიყვარხარ, მაპატიე, რომ მიგატოვე. გერასიმე“.

მოტაცება ქართულად

„ეს ბიჭები რომ უცნაურები არიან, ჯერ კიდევ მაშინ დავრწმუნდი,

ჩემი თანაკლასელი ბიჭი ჩემ მიმართ სიყვარულს უხეშობით რომ გამოხატავდა. რას გიშავებ, რას გადაამეკიდე, უპატრონო ხომ არ გგონივარ-მეთქი?! — რომ ვკითხე, მიპასუხა: მიყვარხარ და აბა, რა ვქნაო? გარდა ამისა, დიდი გულუხვობითაც არ გამოირჩევიან. ერთ შანსს მოგცემენ და თუ არ გამოიყენე, დარჩები გალიმებული (გამონაკლისებიც არიან ალბათ). ჰოდა, მე რომ დავრჩი გალიმებული, მაგიტომაც გწერთ ამ გზავნილს. 2010 წლის ცხელი ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს შეყვარებულთან მქონდა შეხვედრა დაგეგმილი. მივდიოდი და მიწას ფეხს არ ვაკარებდი, ისე მიფრინავდი... გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და ყველა ის სიმპტომი მქონდა, რაც საყვარელი ადამიანის სიახლოვეს გვემართება ხოლმე. ჩამეხუტა... ჩავეხუტე... ლამაზი სიტყვები მითხრა, გავიტრუნე საპასუხოდ. გასეირნება შემომთავაზა. პარკს, სადაც ჩვენ ვისხედით, ორივე მხრიდან გზა აქვს. აქედან წავიდეთო, მითხრა ჩემმა





რომეომ. აარა, იქიდან წავიდეთ-მეთქი, გაჯიუტდი... გაჯიუტდა ისიც. აი, აქ გამოვაჩინე ვირივით ჯიუტი ხასიათი და ცოცხალი თავით არ გავეყვი იქით, საითაც ის მიმითითებდა. საბოლოოდ, გამარჯვება მე მხვდა წილად და ჩემ მიერ არჩეული გზით წავედით. ჩემს რომეოს ხან ბიძაშვილი შეხვდა, ხან — ძმაკაცი... მივხვდი, აქ რალაც ისე ვერ იყო. რა ხდება-მეთქი? — ვვითხე. — რა ხდება და იქით რომ წამომყოლოდი, მანქანა მელოდებოდა და უნდა მომე... აჰ, აღარ დავამთავრებინე სიტყვა და ტირილი მოვრთე. გადმოვყარე კურცხლები (არის ჩემში რალაც მსახიობური)... აქ უკვე მეორედ ვაჩვენე სიჯიუტის კლასი. ჩემს რომეოს შევეცოდე და ყველაფერი ისე დატოვა, როგორც იყო. იმ დღის მერე აღარ დაუპირებია ჩემი მოტაცება და აღარც ჩემს ცოლად შერთვას ჩქარობს. მეგობარი მეუბნება ხოლმე, ბიჭი ერთხელ რომ დაგიპირებს მოტაცებას, მაშინვე უნდა გაჰყვე, თორემ მერე კიდევ როდის „მოიხაზრებს“, კაცმა არ იცისო. ჰოდა, ჩემი სიჯიუტის წყალობით, ვზივარ ახლა და ველოდები, როდის „მოიხაზრებს“ ჩემი რომეო და შემომთავაზებს ქმრობას. პატივისცემით, განძის მაძიებლის მაძიებელი“.

### სწორი არჩევანი

„ვეხმაურები გოგონას, რომლის დაქალსაც მისი სიმპათიის ობიექტი ეტრფის. თუ მათი გრძნობა სერიოზულია და მოზრდილ ასაკში ხართ, ამ ფაქტთან შეგუება მოგიწევს. გაზაგრძობ თუ არა ამ წყვილთან რალაც ფორმით ურთიერთობას, შენი გადასაწყვეტია. წლების წინ მე და მეგობარმა გიო ერთდროულად გავიცანით. თურმე მას ეკა წლების წინ უყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი მოგვწონდა, ეკასთან დაახლოების მერე გიოს ძველი გრძნობები განუახლდა, ჩემგან აორთქლდა ჩუმად და მას აბამდა და ბრანზდებოდა, რომ ვერაფერს ხდებოდა. მიუხედავად მისი მომხიბვლელობისა და აქტიურობისა, მიზანს ვერ მიაღწია. დაქალმა მე ამირჩია. ვერც სხვა მეგობრებს ჩავხედავდი თვალებში, შენთვის რომ მელაღატაო. ახლანდელი გადასახედიდან, ჩემი გრძნობა არც ისე სერიოზული იყო და ალბათ ოდესმე ამ ამბავს შევეგუებოდი, მაგრამ ეკამ მალე იპოვა ნამდვილი სიყვარული, ბედნიერია ქმარ-შვილით და ვაპირებთ, მთელი ცხოვრება ვიმეგობროთ და დავნათესავდეთ. გიომ ეკას ჯიბრზე,

მალე, შეუხედავი გოგო მოიყვანა ცოლად. მიუხედავად დიდი ამბიციებისა, დღემდე მიყრუებულ სოფელში ცხოვრობს, მე კი ძალიან კარგი შეყვარებული და ერთგული მეგობრები მყავს. თავსაც კარგად ვგრძნობ. დასკვნა თავად გააკეთე. კეთილისმსურველი“.

### ჯიუტსთარი

„ერთ უჯიუტეს ადამიანს ვიცნობ, ჯიუტსთარია, რა. ყველაფერს ეჯიუტება, რაც კი ბუნებაში არსებობს. თვით სიყვარულთანაც კი მოინდომა გაჯიუტება და უზომო სიყვარულის მიუხედავად, ჯიუტსთარი ჯიუტად ამტკიცებდა, რომ საყვარელ ადამიანთან ერთად ვერ იქნებოდა, რომ მათი სიყვარული უბრალოდ, სიყვარულად უნდა დარჩენილიყო, მაგრამ აქ კი არ გაუმართლა: ჯიუტსთარს გულის სწორი მასზე ჯიუტს უხვდა და როგორც კი წინააღმდეგობას წააწყდა, საშინლად გაჯიუტდა, აამუშავა ჯიუტი ტვინის ყველა ჰემოსფერო, თვით კუბიდონიც კი ჩართო საქმეში და, როგორც იქნა, დაარწმუნა ჩვენი ჯიუტი, რომ თვით სიყვარულთან გაჯიუტება ჯანმრთელობისთვის და გულისთვის მავნებელია. ამ სიჯიუტენარევი სიყვარულის შედეგი კი ერთი პატარა ანგელოზია, რომელიც ახლავს გამოირჩევა შეუვალი სიჯიუტით. ჯიუტსთარი. P.S. ჰო, მართლა, მადლობა ბოტებისთვის. მაშინ გავეჯიუტდი, ვითომ არ მომეწონა“.

### სასარგებლო სიჯიუტე

„20 წლის გავთხოვდი. ჭკუაზე მომეკითხებოდა და საღ აზრზეც ვიყავი, მაგრამ მაინც შეცდომა დავუშვი: ნარკომანის ცოლობა, მისი „გადარჩენისა“ და „გამოსწორების“ იმედით, რბილად რომ ვთქვათ, სიმტერეა. 6 თვეში ის საზღვარგარეთ წავიდა, მეტადონის პროგრამაში ერთი ადგილი გაუჩალიჩეს მისმა მშობლებმა, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ. წავიდა და დავფიქრდი იმაზე, რომ ეს იყო ის შანსი, რომელიც ბედმა თუ ღმერთმა მომცა, დავშორებოდი მას, რომ ცხოვრება თავიდან დამეწყა. საშინელებათა, ყოველდღიურ დამცირებაში, ჩხუბში, ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაარჩინო საკუთარი თავი... დავშორდი ძალიან „თანამედროვედ“ — ინტერნეტით. ჩემი ამ ნაბიჯის შემდეგ საშინელი მუქარა და ფსიქოლოგიური ძალადობა (ტერორი)

დაიწყო მისი მხრიდან, ჩემი ფიზიკური განადგურების მუქარით გაჯერებული... ძლივს გავეძევი, ძლივს გადავიტანე, „ვიდეორესიე“ და დაახლოებით 2 წლის შემდეგ ისევ შემიყვარდა ბიჭი, თან იმდენად მოულოდნელად და არალოგიკურად, რომ მიჭირდა ამის გამხელა საკუთარი თავისთვის. თითქოს არაფრით იყო გამორჩეული, მაგრამ ამავდროულად, საოცრად მხიბლავდა მისი ხასიათი, პიროვნული სიძლიერე და ჩემდამი დამოკიდებულება. ჩვენი გაცნობის ინიციატორი ხომ თვითონ იყო... მან 2 დღეში დამახარჯვინა მთელი ის უარყოფითი ემოცია, რაც კი გამაჩნდა (თუ დამრჩა), ჩემს ქმართან დაკავშირებით. იცით, როგორ? თავისი ჰობი — ავტორალი გამოიყენა იმისათვის, რომ თავი კარგად და მსუბუქად მეგრძნო. დაყვავი შეჯიბრებებზე ყოველ მეორე დღეს და ადრენალინის ისეთ დოზებს „მჩუქნიდა“, სახლში მივფრინავდი ხოლმე. მან მე მიშველა... და მეც შემიყვარდა... თან ისეთი ღირსეული სიურპრიზები იცოდა... ყველაფერი ისე მოხდა (სექსს ვგულისხმობ), რომ იმედგაცრუებული და გაკვირვებული დავრჩი: ძალიან ჩვეულებრივი, არაემოციური, არასიტყვიერი და „როგორც ხდება ხოლმე“ იყო ყველაფერი. იყო, მხოლოდ იყო... საუბრისას (ამ დროს სიგარეტს ვწვინავ, წესით) მითხრა, — მე უშვილო ვარ, ასე მითხრეს პროფესორებმაო. შემეცოდა და ვანუგეშე, დავამშვიდე... და მომდევნო დღეს ვიგებ, რომ მას ცოლი ჰყავს. ბანალურია, არა? ჰო, მეც ასე მეგონა და მეც ბანალურად მეტყინა იმ მომენტში. რა თქმა უნდა, მას დავშორდი. დავშორდი და ყველაფერზე ხელი ჩავიქინე, რადგან მესამე და არასამართლიანი ვერ ვიქნებოდი ვერავის ცხოვრებაში. არადა, მისთვის ნათქვამიც კი არ მქონდა ჯერ, რომ მიყვარდა. გადის ერთი თვე და ვიგებ, რომ ორსულად ვარ. ეს იყო ისეთი შოკი, რომ არ შემიძლია, ეს სიტყვებით აღვწერო. ბავშვს ველოდი იმ ადამიანისგან, რომელიც უშვილო იყო... ორი დღის განმავლობაში ვცდილობდი მასთან დაკავშირებას, მაგრამ არც კი იღებდა ყურმილს, ჩემი დამორებით მიყენებულ დამცირებას ასე პასუხობდა ალბათ; საკუთარ მამაკაცურ თავმოყვარეობას ასე „მკურნალობდა“. მე კი გულგახეთქილი ვიჯექი და არ მჯეროდა, რომ ეს ჩემს თავს ხდებოდა... ორჯერ (ჩემდა სამარცხვინოდ) ვიყავი ექიმთან მისული ბავშვის მოსამორებლად, ამის „ფინანსებიც“ მქონდა და საზოგადოებაშიც არ



მექნებოდა პრობლემა, ჩემი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში. ვიყავი და არ გავაკეთე ეს. მადლობა უფალს, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე! გავჯიუტდი, არად ჩავაგდე ხალხის აზრი იმის თაობაზე, რომ ასე ვაჩენდი შვილს. ფსიქოლოგიურად ვცდილობდი, მზად ვყოფილიყავი იმისთვის, რაც ამის გამო მელოდა, პირველ რიგში — ჩემი ოჯახის მხრიდან. ჩუმად ვყიდულობდი ჩემი პატარისთვის ტანსაცმელს და ჩემს ტანსაცმელთან ერთად ვაწყობდი ერთ დიდ ჩანთაში. გადაწყვეტილი მქონდა სახლიდან წასვლა, სანამ ჩემები ამას გაიგებდნენ. მანამდე კი ჩუმად ვჭამდი ხაჭოს, ვაშლს, ჩუმად ვუვლიდი თავს, მონვენას თავი დავანებე... ეს „ჩუმად“ 7 თვე გაგრძელდა. ბოლოს ყველაფრის თქმა მომიხდა და იცით, რა მოხდა? ჩემმა მშობლებმა თანამიგრძნეს, დამაწყნარეს და დახმარებას დამპირდნენ! ეს ღვთის შენეგნა და საჩუქარი იყო! ვერ ვიჯერებდი... აი, ნათესავების ნაწილმა კი უარი თქვა ჩემზეც და ბავშვზეც... ჩემი მშობიარობის დროს, იმ ოთახში, სადაც მშობიარეს გულშემატიკვრები არიან ხოლმე თავმოყრილი, მხოლოდ დედაჩემი იჯდა, მარტო და მტირალი, გულგატეხილი, ნათესავების გულცივიობის გამო. იჯდა და ღმერთს ეხვეწებოდა, მეც და ბავშვიც კარგად ვყოფილიყავით... ღმერთმა ამჯერადაც სასწაული მოახდინა: მე გავაჩინე ჯანმრთელი ბავშვი მაშინ, როცა ქალთა კონსულტაციაში შვიდი თვის მივედი პირველად. ამის მიუხედავად, არც ერთი წამალი არ დამჭირვებია ორსულობის პერიოდში. გამიჩნდა ბიჭი და გავზდი დედა. მარტოხელა, მაგრამ — დედა! ჩემმა სიჯიუტემ სოციალისტურ სიჯიუტეს და მახინჯი დამოკიდებულების მიმართ თავისი შედეგი გამოიღო. გავიდა რაღაც პერიოდი და ყველა ის ადამიანი, ვინც მე და ჩემი შვილი უარგვყო, გმირს მიწოდებდა და ცდილობდა, მცირედით მაინც გამოეხატა თავისი შეცვლილი დამოკიდებულება ჩვენ მიმართ. მე ყველას ვაპატიე. ალბათ იმიტომ, რომ ასე იყო საჭირო. ბოროტებას ბოროტებით არ უნდა უპასუხო... დღეს მე და ჩემს შვილს მამამისიც

და მისი მამის მხრიდან ნათესაობაც გვერდში გვიდგანან და ყოველმხრივ ცდილობენ, ყურადღებისა და სიყვარულის გამოჩენას ჩემი შვილის მიმართ. განსაკუთრებით კი ჩემი შვილის მამის დედა არის საოცარი ქალი, უზომოდ მიყვარს... ღმერთმა ჩემი სიჯიუტე ასე გადამიხდა: მყავს შვილი, ვარ დედა და ვარ ბედნიერი იმით, რომ დღეს ყველაფერი კარგადაა. გაკოცეთ. ვერძი.

დამავინწყდა იმის თქმა — მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შვილის მამას თავი უშვილო ეგონა, მას არ მოუთხოვია არანაირი დამამცირებელი ექსპერტიზა ან ლაბორატორიული გამოკვლევა იმის დასადგენად, ნამდვილად მისი იყო ბავშვი თუ — არა. იცით, რატომ? შვილი მამას საოცრად, წარმოუდგენლად ჰგავდა გაჩენის დღიდანვე! ის ერთი წუთითაც არ გაჰქცევია იმ პასუხისმგებლობას, რასაც მამობა გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ მე გადავიტანე ეს ყველაფერი, მე შეტყინა, მე ვიყავი დამცირებული, მე ვიყავი შეურაცხყოფილი, ისევე მე გადავწყვიტე, რომ ჩემს შვილსა და მამამისს ურთიერთობა ჰქონოდათ. ჩემი შვილის მამის ოჯახობა და საახლობლო ჩვეულებრივად, დაუბრკოლებლად და არაჩვეულებრივად დიდი სითბოთი და სიყვარულით ურთიერთობს ჩემს შვილთან, გვერდში გვიდგანან მატერიალურად და ყოველ ნახვაზე საჩუქრებს უკეთებენ პატარას. მეც დიდ პატივს მცემენ და მადლობასაც კი მიხდინან, რომ ეს ბავშვი არსებობს. როგორ შეიძლება, არ მიყვარდეს ეს ხალხი?... მარი, ჩემი ამ ამბის შემდეგ ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ ხასიათობრივ სიჯიუტეს გაცილებით სჯობია, ცხოვრებისეული პრობლემებისა და განსაცდელის მიმართ გამოჩენილი სიჯიუტე. სიჯიუტე იმის შეგნებით, რომ ცუდი კარგი შეცვალო, შეცდომა სიკეთით ჩაანაცვლო, ბოროტს ღირსეულად უპასუხო და საკუთარი ცხოვრება, შვილი, სოციალური სტატუსი თუ პიროვნება შენთვის და შენით გადაარჩინო. ხალხი ხომ ისედაც ლაპარაკობს და დაე, ილაპარაკონ. მთავარია, შენ იყო ღმერთ-

თან, საკუთარ თავთან და მომავალთან მართალი. წისქვილმა კი ფტვას... ვერძი“.

ყვამერცხალა

„თემო კეთილი და ალალ-მართალი კაცია. როცა მის ოჯახში ნანატრი რძალი შევიდა, სიხარულით ცას ეწია და ყოჩალი რძლითაც ხშირად იკვებნიდა. ყველაზე ახლო მეგობრად მეზობელ ბართლომეს მიიჩნევს და მას უზიარებს თავის ჭირსა თუ ლხინს.

— ეს რა რძალი შემომივიდა, ნამდვილი მერცხალია, — მეგობარს გაეტრახახა თემო.

— ჩემი რძალიც მერცხალი იყო, მაგრამ ახლა ყვავი გახდა, — უთხრა ბართლომემ და უღვაშში ეშმაკურად ჩაიციცინა...

მართლაც, სულ მალე გადაიქცა თემოს რძალი ყვავად და ბრჭყალები გამოაჩინა. მისი ოთახი მამამთილის ოთახის გვერდითაა. ქალბატონს, მამამთილის ოთახის გავლა არ სიამოვნებდა და გარეთ ძველი საკუჭნაოდან გადიოდა. ბევრს ეხვეწა ქმარი, ნუ იქცევი ასეო, მაგრამ ქალის სიჯიუტეს ბოლო არ ჰქონდა. თავისი ორი პატარა ბავშვით, ყოველ წუთს იმ საკუჭნაოში დაძვრება, რომელსაც ისეთი ვიწრო ხვრელი აქვს, შიგ ძლივს ეტევა. გახსოვთ ალბათ, ამ რამდენიმე დღის წინ, მინისძვრა რომ იყო. ჰოდა, ამ ჩვენს ქალბატონს შიშისგან რომ ვერ გაუგია, სად გაქცეულიყო, ეტყობა, შეეშინდა, ვაითუ საკუჭნაოს ხვრელიდან გასვლა ვერ გავასწროო და მამამთილის ოთახიდან გავარდნილა, მაგრამ არ იკითხავთ, როგორ? მთელი ძალით დასჯაჯგურებია კარს და ვაი-ვიშით შევარდნილა მამამთილის ოთახში. სანყალ კაცს შიშისგან გული გახდომია ცუდად და მთელი ორი კვირა ექიმების ზედამხედველობის ქვეშ იყო. საბრალდომ, მერეღა შესჩვილა მეგობარს, მართალი ყოფილხარ, ჩემო ბართლომე, მერცხალი კი არა, ყვავზე უარესი ყოფილა ეგ ჩემი ცოდვით სავსეო. მუდამ თქვენი ლუნა“.

**ყურადღება!** თუ გასურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „საკუთარ შეცდომაზე ნასწავლი ჭკუა“ ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე 8.77.45.6861 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com





# „პოპულარული ბიჭები ერთგულად არ გამოირჩევიან“

„გზის“ №4-ში დაიბეჭდა მარის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ უყვარს 2 წლით უფროსი, ძალიან ლამაზი ბიჭი. „მისი დავინწყება რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ არაფერი გამოივიდა. ის რალაცნაირად მექცევა, სულ მე მიყურებს, მაგრამ ამასთანავე, გაბუდებით მეუხეშება. ჩემმა ყოფილმა „ლოვემ“ მითხრა: ტყუილად გაქვს რაიმეს იმედი, იმ ტიპს შეყვარებული ჰყავსო“. მარის არ სჯერა, რომ ექსპეცვარებული სიმართლეს ეუბნება და ამიტომაც, „გზის“ მკითხველებს მოგმართათ თხოვნით: იქნებ, თქვენ მირჩიოთ რამე. მითხარით, ჩემს ადგილას როგორ მოიქცეოდით?..



## „ის ბიჭი შენი ასირებაა“

### კუსა:

„როცა ბიჭს გოგო უყვარს, კი არ ეუხეშება, არამედ მის მიმართ სითბოსა და ყურადღებას იჩენს. საინტერესოა, სხვების ნათქვამს რატომ უგდებ ყურს? ჩემო კარგო, ისიც გაითვალისწინე, რომ სიყვარული მხოლოდ მზერით არ გამოიხატება. წარმატებები!“

### ლუნა:

„მიყურებსო, — ამბობ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უყვარხარ. საკუთარი თავისთვის მისი შეყვარების უფლება არ უნდა მიგცვა. შეიძლება, იმ ბიჭს შენ მიმართ სულ სხვა გრძნობა აქვს, რალაც განზრახვა ამოძრავებს და ასე ამიტომაც გექცევა. არ ვიცი, სხვა რა გითხრა... ცნობისათვის, ბიჭი მანამ არ უნდა შეიყვარო, ვიდრე სიყვარულს მისგანაც არ იგრძნობ. აბა, შენ იცი, ლამაზ ცხოვრებას გისურვებ!“

### უცნოზი:

„გირჩევ, რაც შეიძლება ნაკლები „ექსლოვე“ იყოლიო, თორემ ყოველ „ექსლზე“ შენი რეპუტაცია დაბლა დაიწვეს. რატომ? იმიტომ, რომ სხვების თვალში ქარაფშუტა ადამიანის შთაბეჭდილებას დატოვებ!.. იმ ბიჭს კარგად დააკვირდი: შენი დანახვისას ქცევის მანერები ეცვლება? ლაპარაკს წყვეტს და შენ გაკვირდება? თვალბეჭდით გიყურებს ხოლმე? თუ დადასტურდა, რომ შენდამი ინტერესი ნამდვილად აქვს, ამ ინტერესის მიზეზიც უნდა გაირკვეს. ახალი არაფერია იმაში, რომ პოპულარული ბიჭები დიდი ერთგულებით არ გამოირჩევიან, თავიანთი გარეგნობის წყალობით პარტნიორებს ხშირად იცვლიან. კიდევ გიმეორებ, მის საქციელს დააკვირდი“.

### უნუნური:

„მეც მსგავს სიტუაციაში ვარ: სამსახურში მივალ თუ არა, ერთი ბიჭი

კარში „დაერჭობა“ ხოლმე და თვალბეჭდით მიბღღვრიალებს, გეგონება, ამქვეყნად ჩემზე ძვირფასი არავინ ჰყავს. თავიდან ვიფიქრე, — მეჩვენება, მე არ მიყურებს-მეთქი, მაგრამ უკვე 5 თვეა, ასეა „დარჭობილი“ და მიმზერს. ჰოდა, მეც ვერთობი: ხან ვუცინი, ხანაც — ვუბრაზდები. რა ვქნა, აბა, თუ მისი საქციელი ჩემს განწყობილებაზე დადებითად მოქმედებს?! ისე, ასეთ ადამიანებზე არ უნდა გადაირო. ეცადე, რაიმე უფრო სერიოზულზე იფიქრო. მერწმუნე, მასზე შორიდან „აფრენ“, თორემ როცა გაიცნობ, შეიძლება ისეთი მაგარი არ აღმოჩნდეს, როგორც გგონია და მერე, „გაფრენილს“ ველარავინ დაგიჭერს. P.S. დააცადე და თუ უნდა, პირველ ნაბიჯს თავად გადმოდგამს, თუ არა და, არც ყოფილა შენი ყურადღების ღირსი“.

### ბარიკუნა 9:

„მგონი ჯობს, ჯერ ის გაარკვიო, მართლა უყვარხარ თუ არა. ხომ იცი, ბიჭების უმეტესობა გართობაზეა გადასული“.

### CREZY:

„ჰაი“. შეიძლება მოსწონხარ კიდევ, მაგრამ საინტერესოა, რატომღა გეუხეშება? იქნებ გეჩვენება, რომ სულ შენ გიყურებს? ჩემი აზრით, ამ სიტუაციაში სიყვარულზე ლაპარაკი ზედმეტია. P.S. მაგრამ ვინ იცის, იქნებ მე ვცდები და მართლა მოსწონხარ...“

### გაბარაული:

„აბა, როგორ გითხრა, იმ ბიჭს უყვარხარ თუ არა, როცა ისიც კი ვერ გამოიგია, მე ვინ მიყვარს...“

### ბება:

„ახალი ვარ და გთხოვთ, არ „დამბლოკოთ“. მარი, როდესაც ბიჭს გოგო უყვარს, მას კი არ ეჩხუბება, არამედ პირიქით, თბილად ექცევა. ერთს გირჩევ: არავის დაუჯერო; თავად გადაამოწმე, უყვარხარ თუ არა და

მერე გადაწყვიტე, რა და როგორ უნდა გააკეთო“.

### ძვირი:

„ეს არის ტყუილი, რომელიც გინდა, დაიჯერო და შენც, რა თქმა უნდა, იჯერებ. რომ უყვარდე, ამას აუცილებლად გეტყვოდა; არა მგონია, შენი რცხვენოდეს. ვიდრე ფრთებს დაგამტვრევინ, ჯობია, თავადვე დაეცეო“.

### უცნოზი:

„მისი მზერა იმის მანიშნებელი არ არის, რომ უყვარხარ; მეტიც — ასე მგონია, ის ბიჭი შენი ასირებაა“.

### სვანის ასული:

„თითქმის უპერსპექტივო მდგომარეობის მიუხედავად, თუ მისი დავინწყება ამდენ ხანს ვერ მოახერხე, საქმე რთულად ყოფილა და ამაში დამნაშავე მისი კარგი გარეგნობაა, რომელმაც დაგაბრმავა; შენ იმ ლამაზი ბიჭის ვითომ ყურადღება რალაცნაირად გეაძევა... ჭორებს ნუ ენდობი და ნურც ილუზიებს შეიქმნი. იცოდე, ურთიერთობა ყოველთვის ორს შორის უნდა გაირკვეს. იქნებ, ცოტა ხანს იგნორირება გაუკეთო და მის რეაქციას დააკვირდე ან როგორმე, უკეთ გაიცანი, მის სამეგობრო წრეში შეაღწიე. P.S. ღირს თუ არა ამდენ წვალეზად, ეს უკვე შენი გადასაწყვეტია. ისე, არც ის გამოიკვირდება, რომ მოსწონდე და ამას ასეთი უცნაური ხერხით, კერძოდ — უხეშობით გამოხატავდე“.

### BLOODZ:

„გულისთქმას მიენდე. თუ სიმართლის გაგება გინდა, გირჩევ, ეს ყველაფერი თავად მასთან გაარკვიო. იქნებ მართლა უყვარხარ და ვერ გეუხეშება?..“

### WADERER:

„გამარჯობა, მგზავნელებო. მარის წერილი წავიკითხე და გამომხაურების სურვილი გამიჩნდა: ჩემო კარგო, ზოგიერთი ბიჭი მოსწონებას უხეშო-





ბით გამოხატავს. ჰოდა, თუ ფიქრობ, რომ მოსწონხარ, შენსას მიანეცი. აბა, შენ იცი“.

**გიორგი, სორკონა:**

„მარი, „უძალიანმაგრესი“ გოგო ხარ. ბოლომდე იბრძოლე და მერნშუნე, შენი მონდომება უშედეგოდ არ ჩაივლის, ოღონდ — გაითვალისწინე, იმ ბიჭთან ურთიერთობისას დისტანცია უნდა დაიცვა“.

**SEX-MAQS:**

„მო, ყური მიგდე გაჭირვებისა ტალკვესსა: თუ მართლა ასე გეუხეშება, ძნელი სათქმელია, მოსწონხარ თუ

არა; და თუ მოსწონხარ, შეიძლება, შენთან სერიოზული ურთიერთობა არ უნდოდეს. რაც შეეხება ძველ „ლოვეს“, მას უბრალოდ, არ სიამოვნებს, სხვაზე რომ ფიქრობ და შესაძლებელია, მისი ნათქვამი მართლაც ტყუილი იყოს. P.S. ვიდრე გვიანი არაა, დაივიწყე. წარმატებები! კარგს იზამ, თუ იმასაც გაგვაგებინებ, როგორ განვითარდება მოვლენები“.

**მისი ძოთოთა:**

„ყოფილ „ლოვეს“ ნუ დაუჯერებ, რადგან შეიძლება, ეგოისტობდეს... მარი, შეეცადე გაარკვიო, რას გრძნობს

ის ბიჭი შენ მიმართ. ჩემო კარგო, მწელი ცოტა ნამდვილად არაა. დაე-ლაპარაკე, თორემ შეიძლება, ამ ყველაფრის ფონზე დეპრესიული გახდეს, ეს კი შენს მომავალზე ცუდად აისახება. P.S. მიდი, დაელაპარაკე და მერე თუ გინდა, აღარც დაენახვო; თუ უყვარხარ, თავად მოგძებნის“.

**პუშკიკ 96:**

„იცი, რა? შენი „სტარიკი“ „ლოვე“ მაგრად ეჭვიანობს და ეს ყველაფერი ამიტომაც გითხრა... მერე რა, რომ ის ბიჭი გეუხეშება? თუ ასე უნდა, შენც ეუხეშე“.

# „სასიდედროს თვალში უნდა აგაღლდე“

„გზის“ №4-ში დაიბეჭდა 18 წლის სტარკას მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ჰყავს შეყვარებული, რომლის მშობლებიც მათი ურთიერთობის წინააღმდეგნი არიან: „მეტოც, სასიდედრო დასანახავად ვერ მიტანს და არ ვიცი, რა ვქნა...“

**„ისინი შეატყობინა, ბრმად შეყვარებულს თვალი აუხილონ“**

**დალუ-გაჩი:**

„სასიდედროს ვინ რას ეკითხება? „დაიკიდე“, რა. მთავარია, ერთმანეთი გიყვარო, ჰოდა, თქვენსას მიანეცი! უფალი გფარავდეთ“.

**მირაზი:**

„ვაჟა... სასიდედროს შეეშვი და გოგოს მიხედვ, შენი შეყვარებული კი დედამისს თავადვე აუხსნის ყველაფერს. დაიმასხვოვე: ვინც სძულთ, ის მერე ყველაზე მეტად უყვარდებათ“.

**ტამ:**

„თუ იცი, რომ სიძულვილის მიზეზი აქვს, ეს მიზეზი უნდა გააქრო. ჩემო კარგო, სასიდედროს თვალში უნდა ამალდე; მას უნდა დაუმტკიცო, რომ პატიოსანი, შრომისმოყვარე, განათლებული და სანდო ადამიანი ხარ. ქუჩას 100%-ით მოშორდი და დარწმუნებული ვარ, მოენონები. P.S. მთავარია, გოგოს უყვარდე, თორემ ქორწინების მერე, მუუღლზე ზრუნვით, მისი ყველა ნათესავის გულს მოგებ. წარმატებები!“

**ანუა:**

„ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რატომ ვერ გიტანს სასიდედრო — ამაზე დაფიქრდი და იქნებ საკუთარი ნაკლი აღმოაჩინო, მერე კი მის გამოსწორებაზე უნდა იზრუნო... ყველაფერი კარგად იქნება. წარმატებები!“

**ფლაშინა:**

„ლოვეს“ თუ უყვარხარ, მერნშუნე, ვერავინ ვერაფერს დაგაკლებთ. მის მშობლებს როგორ უნდა მოაწონო თავი? — არა, ეს მართლა არ ვიცი... ისე, ცნობისათვის, ჩემმა ერთმა ნაცნობმა სასიდედროს თავგული გაუგზავნა. მართალია, მაშინ ის სანაყალი ქალი ისე გამწარ-გაბრაზდა, რომ ლამის გულმა „გლიჯა“, მაგრამ დღეს ისინი ერთად, თანაც — ძალიან ბედნიერად ცხოვრობენ და წარსულს ღიმილით იხსენებენ. შენც

წარმატებებს, ბედნიერებას გისურვებ!“

**რუისირი (yellow):**

„თუ შენ და შენს „ლოვეს“ ერთმანეთი მართლა ისეთი გიჟური გრძნობით გიყვარო, როგორც ამას თავად ამბობ, მაშ, პრობლემა არც გქონია. მთავარია, გოგოს უყვარხარ და მზადაა, შენი ცხოვრების თანამგზავრი გახდეს, სიდედრს კი ადრე თუ გვიან, გული აუცილებლად მოუღებება. სამწუხაროდ, ცოლის ნათესავებისთვის თავის შეყვარების წესები ჯერ არავის მოუგონია. წარმატებები!“

**გარი ჯა:**

„რადგან ვერ გიტანს, ეტყობა, სამაგისო მიზეზიც აქვს. დაფიქრდი, იქნებ შენშია პრობლემა? P.S. ჭეშმარიტ სიყვარულს წინ ვერავინ და ვერაფერი ალუდგება“.

**ლუნა:**

„კარგი იქნებოდა, დაგკონკრეტებინა, თუ რატომ ვერ გიტანს სასიდედრო... ისე, შენი მშობლებიც ხომ არ არიან თქვენი ურთიერთობის წინააღმდეგი? თუმცა, მთავარი ისაა, რომ ერთმანეთი გიყვარო! სტარიკ, ადექი და ეგ გოგო ცოლად მოიყვანე, მერე კი დედამისს სხვა გზა აღარ ექნება და მიგიღებს... თავის მოწონებას რაც შეეხება, იმ ქალთან გულწრფელი იყავი, პატივისცემით მოეპყარი და დაუმტკიცე, რომ მისი ქალიშვილი ნამდვილად გიყვარს, რომ მის დათმობას არ აპირებ. შენ და შენს პრინციპსა ლამაზ ცხოვრებასა და ოცნებების ახდენს გისურვებთ!“

**ჩუა-ჩუა:**

„მთავარია, სატრფოს მოსწონხარ, სასიდედრო კი „მოჯდეს“ თავის ადგილას. მერნშუნე, ადრე თუ გვიან, შექარდე დიკო თავად შეგესვენება, ხშირ-ხშირად მნახეო“.

**ძოთოთა:**

„თუ თქვენ შორის ნამდვილი სიყ-

ვარულია, მას ვერავინ დაანგრევს! მშობლებს შვილის ბედნიერების გარდა, არაფერი უნდათ და დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში ყველაფერი მოგვარდება. იცოდე, რალაც სისულელის გამო შეყვარებული არ დაკარგო. წარმატებები!“

**აპრა:**

„ნახე სასიდედრო და აუხსენი, რომ მისი შვილის გაბედნიერება გასურს. შენ იმ ქალს თავი საკუთარი გულწრფელობით უნდა მოაწონო. ხომ იცი, მანაც მშობელია და ქალიშვილის მომავალზე ნერვიულობს. წარმატებები!“

**BLOODZ:**

„მის მშობლებთან ხშირ-ხშირად იკონტაქტე; მათ დანახვ, თუ როგორი ყურადღებიანი ხარ შენი რჩეულის მიმართ. მიდი, სასიდედროს უჩვენე, რაც შეგიძლია. აბა, ჰე...“

**სვანის ასული:**

„ყველა დედ-მამას შვილისთვის საუკეთესო უნდა. ვფიქრობ, მათ აქვთ საბაბი იმისა, რომ შენ მიმართ არაკეთილად განწყონ. ჰოდა, ეცადე, ეს ნაკლი შეძლებისდაგვარად გამოასწორო, შედეგს კი მერე თავადაც ნახავ. იმედია, შენი გულწრფელობა, შეყვარებულისადმი უდიდესი პატივისცემა შეუმჩნეველი არ დარჩებათ და მიგიღებენ... P.S. თუ იმ გოგოს მშობლების პრეტენზიები საუფშვილიანია და მიუხედავად ამისა, შენ არაფრის შეცვლას აპირებ, ვფიქრობ, მომავალში დიდი იმედგაცრუება გელის, რადგანაც ისინი აუცილებლად შეეცდებიან, ბრმად შეყვარებულ ქალიშვილს თვალი აუხილონ“.

**ძვირი:**

„სასიდედროს თავი რომ მოაწონო, ამისთვის გამჭირახი გონება საჭირო, შენ კი ამკარად, ამის დეფიციტს განიცდი. უკეთესი იქნება, თუ შეყვარებულს ხელს ჩასაჭიდე და ცოლად მოიყვან, მერე კი დედამისს თავს ზემოთ ძალა აღარ ექნება, ყველაფერს შეეგუება. P.S. მიდი, რალას ელოდები?..“




# მოხილი-ზასია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოხილი-ზაციაში“ მოხდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრძობთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრძობთ სასურველი ტექსტი შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



## ქალბები

1. გულით მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო მოსიყვარულე მამაკაცი. მქვია ნინიკო. დამირეკეთ სერიოზული ურთიერთობისთვის.
2. გთხოვთ მისცეთ „გზა“ №2, 1-ელი მესიჯის ავტორს ჩემი ტელეფონის ნომერი. მადლობა.



## ქაჯაბი

3. მარი, ძალიან გთხოვ, „მოხილი-ზაციაში“ გამოქვეყნებული, პირველი სმს-ის ნომერი მითხარი, რა. ჟურნალი №4.
4. მოდი ჩემთან, შენ სითბო და სიყვარული გაკლია, მეც მხოლოდ მაგას გთავაზობ. ლევანი, 38 წლის, თბილისი.
5. ვარ 53 წლის მამაკაცი, მარტოხელა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე ასაკის, სოფელში მცხოვრებ, სერიოზულ ქალბატონს.
6. გთხოვთ მომცეთ 2010 წლის 48 ნომრის მე-7 განცხადების ავტორის ნომერი.
7. ერთი გოგო მინდა ვნახო, მერე არასდროს დავკარგო. უნდა იყოს კობტა, ნახი, ლამაზი, პატიოსანი, ერთგული და ჩემი ფასის არ გააჩნდეს სხვა არავინ. თბილისი. აკო.
8. მომწერეთ მეორე ნომრის ტელეფონის ნომერი.
9. გთხოვთ, გამოგიგზავნოთ მე-14 სმს-ის ავტორის ნომერი.

10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, 25-32 წლამდე ასაკის ქალიშვილს, მორწმუნეს, 160 სმ სიმაღლის, ლარიზ გოგოს. ვარ დასაქმებული. დანარჩენი — პირადად. ვანო.
11. ვეხმიანები „გზის“ მე-4 ნომერში, პირველი სმს-ის ავტორს, 20 წლის, მდიდარ და ლამაზ გოგოს. მეც ვარ მდიდარი და სიმპათიური, 25 წლის ბიჭი. როგორ დაგიკავშირდებ? იკა-კო.
12. ვარ 33 წლის მამაკაცი. გავიცნობ სერიოზულ, კულტურულ ქალბატონს.
13. ვეხმიანები „გზა“ №5, მე-3 სმს-ის ავტორს. სერიოზული, 33 წლის მამაკაცი. მიეცით ან მომეცით მისი ნომერი. გმადლობთ.
14. გავიცნობ გოგოს. ვარ 25 წლის. ლევანი.
15. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. გიო, 24 წლის.
16. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 27-33 წლამდე გოგოს. ვარ შრომის-მოყვარე, პატიოსანი და ყურადღებიანი ადამიანი.
17. თუ თბილისში ხარ, თუ ვისიცა ხარ, ვერ გაიგო მან შენი ფასი, თუ შენც ჩემსავით სიყვარულში არ გაგიმართლა, დამეკონტაქტე. გია, 38 წლის.



## სსვლასსვა

• აქ თითქმის გადაათვრა ყველაფერი. იცით, რა მაგარია?! მიყვარს თოვლი, იმიტომ, რომ თეთრია. ყველა მიყვარხართ. გაკოცეთ. თქვენი ციკოედელვასი.

• ნაომი რუისპირის გაღიზიანებით მისი ყურადღების მიქცევას ცდილობს! არ მომწონს ნაომი, რამ დაბოღმა ასე?! რუი, ძალიან კარგი ხარ! პირველად

გწერ, მარ, მიყვარხარ! ანუნა.

• ადრეც გამოვაგზავნე მესიჯი და რატომ არ გამომიქვეყნეთ? მე ის მანუხებს, ქართული პროზის საგანძურში ჯეშალ ქარჩხაძე როდის გამოვა-მეთქი, იცის ვინმემ?

• მე ახალი ვარ. დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ, მაგრამ დღეს პირველად გწერთ. ყველანი ძალიან საყვარლები ხართ, კლემპატრას კი მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მაგარ ლექსებს წერს. არ შეიძლება, რომ შენი და ბელურას ამბავი „გზაში“ დაიბეჭდოს, თუნდაც პატარა მინირომანის სახით? მე ძალიან მაინტერესებს და... ბარჯავაუზა.

• გაია ჯანდაგაშვილს (ბაია): ბაია, როგორ ხარ? რატომ დამივიწყე? რატომ არ მირეკავ? მე ყოველთვის მახსოვხარ და ბევრს ვფიქრობ შენზე. შენზე ძალიან გული მტკივა. გელოდები. ბაია, ნანა ვარ, უზომოდ შენატრები, უშენობა მტკივა მთელი გულით, ნუ დამივიწყე, გთხოვ, როგორმე დამიკავშირდე. ლალისგან მოკითხვა. გაკოცე.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილი-ზაციისთვის“ გამოისავზავნე მესიჯის ტექსტი უნდა აკრძობთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h





• პატარავ, ჩემო მწვანეთვალეზავ და თავფოტორავ... დედი, როგორ ხარ? ცოტა მშვიდად ვარ, რომ გნახე... თითქოს იმედი მომეცა... ამ დღეებში გადაწყდება ყველაფერი ალბათ და სანამ ამას წაიკითხავ, ადვოკატიც შემოვა შენთან. სხვა ყელაფერი ძველებურადაა... შენი ტანსაცმლის ჯიბეში სანთებლიდან ამოღებული კამათლები ჩარჩენილა და ატყდა იმ დღეს ერთი ამბავი. აღარ შემოგზავნეს. გკოცნი, გეფერები, გვენატრები, გეხუტები და შენთან გვინდა... არა, კაცო, რა შენთან გვინდა, შენ რომ იყო ჩვენთან, ის გვინდა, სიხარულო...

• ისევ ღამეა და ისევ შენვე ვფიქრობ/ გარეთ თოვლია და ყინავს/ სევდა მომეძალა, გული დამიძიმდა/ ალბათ იმიტომ, რომ მცिया./ შუალამეა, თუმც არ მეძინება/ ისევ შენვე რატომ ვფიქრობ?/ გული მოგიპარავს, გული წაგიღია/ გულიდან დარდს შენ მიქრობ./ გულს მწუხარება შენ რომ შეასწავლე/ ცრემლი მოეძალა ტალღებად/ შენ სიყვარული შემასწავლე/ აი, ეს არის განგება.../ მიყვარხარ. უფლის წყალობა გქონდეთ და ერთმანეთი გიყვარდეთ, მგზავნილებო და სრულიად საქართველოვ. ციკო-დედღეაინი.

• რავა ხართ? მე ახალი ვარ, გამეცნობით? მხოლოდ გოგონები გამეცანით, რადგან გათხოვილი ვარ. ყველანი მიყვარხარ, უფალი გფარავდეთ, სიხარულეზო. მოხეტიალე სული16.

• აუ, ძალიან მაგარი ჟურნალია, მიმიღებთ „მოზილი-ზაციაში“? გენათალეთ გულეში, გაკოცეთ ყველას. მიყვარხარ. მოხეტიალე სული16.

• მარიამ, გამარჯვება, სიხარულო, რა აჩხუბებთ ამ ბავშვებს, ვერ გავიგე ან რუის რას ერჩის ნაომი? გადავირიე. მოკითხვა ძველ მგზავნილებს. მიყვარხარ. გკოცნით. მოხუცი.

• ძალიან მომწონს კლეოპატრა... ძალიან სევდიანი ლექსები აქვს. ტკივილს ვერ დაივიწყებ, უბრალოდ, ეცადე მასთან ერთად ცხოვრება ისწავლო. უფალი გფარავდეს. უსუსური.

• ულიბკა, მხოლოდ ერთხელ დავამესიჯე „გზაში“ და ვხედავ, არ გამოგრჩენია ჩემი SMS. :) იქნებ მართლა მოგძებნო ფეისბუქზე. მე მეგობრებს ვეძებ. შორენა.

• დათ, აცივდა და მგონია, რომ მანდაც ცივა. ინტერნეტში ვნახე, როგორი ოთახებია მანდ. სულელივით ვტიროდი. შენი ბიძაშვილი სულ რეკავს, მთელი ოჯახი წუხს. მგონია უკვე, დათ, რომ არაფერი ვიცი და მგონი არავინაა აზრზე, რეალურად რა ხდება. აბსურდია ეს ყველაფერი. ყივჩაღმა იცი, რა მითხრა? კარგი გოგო ხარო. დღეს 3.02-ია და უცბად მივხვდი, რომ ზუსტად 4 თვე გავიდა!.. 4 თვე!!! სიგიჟეა ნამდვილი. მერე მახსენდება გამოთქმა: ფეხი გტკივა? არა უშავს, გისაროდეს, რომ ცოცხალი ხარ. ჩვენს კონტექსტში ეს ასე იქნება: 4 თვე გაშორებით? არა უშავს, მთავარია, გიყვართ ერთმანეთი და ცოცხლები ხართ. ალბათ ომის დროს ფიქრობდნენ ასე. 3 საათი დაიწყო უკვე... ვერ ვიძინებ. უძილობა დამჩემდა და მერე მთელი დღე დაშტერებული დავმდივარ. ყოველი კვირის მთავარი მოვლენა შენს კედლებთან მოსვლაა. შენ არ

იდარდო, პატარებს არაფერს მივაკლებ. ზუსტად ვიცი, ამაზე ნერვიულობ. პატარა ძალიან გაიზარდა. სუფთა თავის ბავშვობაა, ოღონდ — თეთრი. იმედი მაქვს, მეტი ფოტოს გამოგზავნა აღარ დამჭირდება. დამთავრდება მალე ეს აბსურდი და ერთად ვიქნებით.

• სპილო, როგორ ხარ? ვერ ვიძინებ, რა ვქნა? უძილობა მჭირს ისევ. შტერი ხარ, რა! ნერვები მემულება. არა უშავს, არ ინერვიულო, მომენატრე. გკოცნი უამრავს. მიყვარხარ.

• კესამე, რისი თქმა გინდა? თქვი, გულში ნურაფერს დაიტოვებ და უფრო თავისუფლად იგრძნობ მერე თავს. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი. ყველაზე კარგო, დამიბეჭდე, რაა. ქვრივი.

• გამარჯობაა! რას შვრებით, მგზავნილებო? ყველას დიდი მოკითხვა, ჩემგან. ახალი ვარ და მოუთმენლად ველი, მიმიღებთ თუ არა. ულიბკა, როგორ გნახო ფეისბუქში? გაკოცეთ, ბარამბო.

• კიდევ ვერ ვიძინებ, ახლა წესით, ტელეფონზე უნდა ვილაპარაკოდე. ყველაფერი მომენატრა. მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ! რა იდიოტური სექტაკალი იყო, ხომ? გეძინებოდა.

• ჩემო სიცოცხლე მელოვო, მეც ძალიან, ძალიან მიყვარხარ და მენატრები! მთელი გულით და სულით მინდა, ერთად ვიყოთ და მალე ასეც იქნება, გპირდები!

• დათუნა, დავითობას გილოცავთ! ყივჩაღს ძაან მოეწონა შენი გამოგზავნილი ჯვარი. არ იშორებს. ძალიან გიყვარხარ! იმედი მაქვს, 14-ში გნახავთ. თავს გაუფრთხილდი.

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ჯარუსულთან“ ერთად, გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

აღუქანდრე მაკედონელი  
 ალბერტ აინშტაინი  
 მარკო პოლო  
 ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი  
 გალილეო გალილეი  
 მიგელ დე სერვანტესი  
 მაჰათმა განდი  
 უოლტ დისნეი  
 ნიუოლაი კომუნია

ფრედრიკი მოუნე  
 ტუონარლო და ვინჩი  
 ლუი პასკერი  
 ნაპოლეონ ბონაპარტი  
 ისააკ ნიუტონი  
 პლატონი  
 კომას ალვა ელისონი  
 ქრისტეფორე კოლუმბი

მიზიდე სუხვანტესი  
 თებერვლიდან თებერვლამდე  
 მაჰათმა განდი

წიგნის ფასი: 2.50 (ჟურნალთან ერთად 3.50)  
 წიგნების სერია ბავშვებისთვის

შემდეგ

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები





• მისტერ, თქვენს მუზას რა ჰქვია? სურვილი — კი... შესაძლებლობა არის? P.S. მგზავნილებიდან ზოგიერთი ჯერ კიდევ ბავშვურ ოცნებებშია :) 18-12.

• ჭკუიდან გადავყავარ იმაზე ფიქრს, რომ ჩვენთან აღარ ხარ, ვერ ხედავ ჩვენს პატარას, როგორ იზრდება და ამბობს „აღუს“. თან ისე გგავს, გადარევა შეიძლება. სულ შენი სახე მიდგას თვალწინ. მართალი ყოფილა, სიყვარული მარადიულიაო, სიკვდილმაც ვერ გამოიწვია შენდამი სიყვარული. გეფიცები, შენს ლამაზ სულსა და სსოვნას არასოდეს მივაყენებ ჩრდილს, როგორც შენ მიგლოვებდი, ისე უნდა ვიგლოვო უშენობა. ჩემი იმედები და ბედნიერებაც 11 ოქტომბერს გარდაიცვალა, ჩემო მარადიულო სიყვარულო. ქვრივი.

• რუსიპირ, მისტერ, კლეოპატრა, ულბიკა, პარიფანკა, ბლოზ, ლაკვისტ, SWEET, გურულო, კარგები ხართ, მიყვარხართ. რუი, ბანძებს იგნორი. უღიბკა, მასე გააგრძელო. ა) გაკოცეთ. მეგობარ.

• აქ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება, ორიგინალური გამოჩნდეს და (ვითომ) უცნაური სიტყვები დაახეთქოს. არადა, ამასობაში ინდივიდუალობას კარგავენ. აუტანელი.

• მისტერ, საერთოდ კომპლიმენტს იშვიათად ვამბობ, მაგრამ შენ ნამდვილად იმსახურებ: მაგარი ხარ! დაიკვიდე (ნუ, ისედაც გკიდა) ყველაფერი და ბოლომდე მიანეცი. აუტანელი.

• 5-7, ჩემს ამბავზე ვიყავი ორშაბათს და 14-სთვის გადადიო. ერთი სული მაქვს, როდის გავა ეს დრო. მიყვარხარ. გამაგრე და კველაფერი კარგად იქნება, შენთან ვარ, გკოცნი.

• ყველას მოგესალმებით. თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, წლების მანძილზე. სურვილი გამოჩნდა, მომენერა. არც მაქვს იმედი, რომ დაბეჭდავ, მარ. ვიმეგობროთ. თქვენი ლი23.

• ენებს დაგაძრობთ ყველას, უზრდელე-ბო! თავებს დაგიხეთქავთ და კვერცხებივით შეგალენავთ ერთმანეთს. მაიმუნებო, ენები დაიმოკლეთ-მეთქი და წესიერად ილაპარაკეთ! ჩუპა-ჩუპი.

• კლეოპატრა, ხიპაა ხომ არ გჭირს, რა გახიხინებს ჭლეკიანივით?! :) ნახევრად მსუქანავ! მარი ჯაფარიძეს შენი დაცვა ყველაზე ნაკლებად სჭირდება. ჩუპა-ჩუპი.

• რუსიპირმა მაინც დამაინც ლედი გაგას და ბიონსეს რომ შეადარა თავი, აშერი მაინც დაენერა. :) ნომინაციებს რაც შეეხება, ტუტუტური იყო, ჩვენში დარჩეს. ჩუპა-ჩუპი.

• ნაომ, გთხოვოვ, მაპატიე, რააა, ჩემი უხეში გზავნილი შენზე. ძალიან საყვარელი და მაგარი ადამიანი ხარ. ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ გაგიცანი. მაპატიე, ლეო.

• მარიაშულ, როგორ ხარ, ჩემო სიხარული? ვდარდობ შენზე. რა კარგია, რომ გიპოვეთ და დღემდე თქვენთან ვარ... მარ, ერთი თხოვნა მაქვს, „ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა“, ისევე აამოქმედე. ყველაზე გონებაშევილური პასუხი კი დიდი შრიფტით ან რაიმე განსხვავებულ ფორმატით დაბეჭდე. ადრე კარგი იყო ხოლმე. თუ მოგეწონება ჩემი იდეა, რომელიც უბრალოდ, იმით არის გამოწვეული, რომ მინდა „წარწერადგარეული“ ფოტო დაბრუნდეს, ძალიან გამიხარდება... გკოცნი და მეძვირფასები! შენი ლუნა.

• დილა მშვიდობისა, მარიაშულო, როგორ გაქვს ხელი? თბილად გკონდეს,

არ შეგცივდეს... გკოცნი! მიყვარხარ, მარ. შენი ლუნია.

• როცა გაიცნობთ გოგოს და სახე მიუგავს დაჭყანულ მოსკვირის ლოგოს, მაინც მიეცით კომპლიმენტის მცირე დოზა, შეუფასეთ დგომის პოზა, ამით აფიქრებინებ, რომ ხარ კარგი ბჭი და გაქვს მდებარის დაფასების ნიჭი... ხოლო შენ კი, ჩემო მარ და არა ჩემო დო, ვითომ აღარ დამეძინება ღამე, შენი მოსახონი რომ ვერ ვწერ რამე? დამეგარგება მადა და აღარ მომინდება ქადა? არა მგონია, იყო ტილიანი და რატომ ხარ საუბრის უცნაურსტილიანი? ასე რომ, სახელით მარ და სხულით ყრმა, გამოიხატე დაამეგარგე ონავი ენა, თუ გინდა, რომ აიცილო დიდ ლოყებზე ენებიანი კენა. P.S. თუ დაგეფლათ ხასიათი ცუდი, ტყვიანეთ ერთი ჭიქა კარგაგამანყობელი ლუდი და თუ ჩატკოვთ კაიფში მწვანე ბალახმა, ილოცეთ, რომ გადაგარჩინოთ ბუდას კოლეგა ალაშმა... :) მისტერ.

• მოვიდა დოლარა — ნავიდა ენიგმა... მოვიდა რუსთავი — ნავიდა ბერძინჭა... მოვიდა ნაომი... — ვერ მოგართვი... :) არსად, არსად ვაპირებ წასვლას, მით უმეტეს, შენ გამო, შე ტვინშლახაყებულო, გამოიხატე დაამეგარგე ბულო, დოყლაპია ბანძო! :) ახლა არ დაინყო, გოგონასთან ასე საუბარი ტუხავსო... ვინც ასე გაიფიქრებს, სრულიად მართალია, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ სიტყვას — გოგონა. :) გახსოვს, ერთხელ გითხარი, უკანალით კაკლის მტვრევას მორჩი-მეთქი? შენ კი რა ქენი? იმის ნაცვლად, დაგეჯერებინა, ახლა ნივრის ჭყლეტაც დაიწყე :) ცოლო ხარ, ნაომი ცოოოოოოოოოოოოოოო!! და კიდევ ერთი: ვხვდები, მხოლოდ ჩემს ხარჯზე თავის წარმოჩენას ცდილობ და დღეიდან, სულ რომ 1-მილიონიანი აქცია მომიწყო სახლის წინ, მაინც აღარ მოგაქცევ ყურადღებას. ასე რომ, იბუტუტურ, რაც გინდა... ეგვიპტური წარმოშობის, ორკუზიან აქლემებთან მე საერთო არ მაქვს... :) რუსიპირი (YELLOW).

• ნაომი, იმდენჯერ მიწოდე უკვე ბინძური, ამ კვირას ეჭვი შემეპარა ჩემს აქოთებულეობაში და საგულდაგულოდ შევიხსენე (ცხვირით ბატონო, ცხვირით) საკუთარი სხული. ლიმონის საწინა და მამაკაცური სურნელის ყნოსვისგან დაგტკბი... თუ ასე განუხებს ჩემი სიბინძურე, თანახმა ვარ, გამხეხო. :) თუ გინდა, მაჭყუმალავე, ან თავად იყავი მახალკა. არჩევანის საშუალებას მოგცემ. :) მე, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეპყვრის, ბოდიში მოგიხადე, შენ კი... მგონი ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც ძროხასთან დამყარა კონტაქტი. გმადლობ, ყოველ ხუთშაბათს რომ მაძლევ ახალგახეხილი კბილების დემონსტრაციის საშუალებას. :) მე, რაც გინდა მითხარი, ოღონდ მარიაშულს შეეშვი, OK? P.S. ოკ, ხომ იცი რასაც ნიშნავს? რუსიპირი (YELLOW).

• მარი ჯაფარიძეს: მაინტერესებს, მთავარი რედაქტორი თუ კითხულობს „გზავნილებს“? როგორ შეიძლება ჟურნალში „სამში გრძელის“ ძახილი? დიდი რიხით რომ აწერდ ჟურნალს, „გზა“ ყველაზე მაღალტირაციანი ჟურნალი საქართველოშიო, მაგას დაფასება უნდა, ჩემო მარიაშ. თინეიჯერებს ხელს ნუ შეუწყობთ.

• ქ-ნ ნანი, გესალმებით და გესიყვარულებით. ჩემი დიდი თხოვნაა, თვალისჩინს მოუფრთხილდე. ვერაგია დაავაჯდება, ვიცი და დავკვიანება არ ივარგებს, იქჩარეთ. ტირიფი73.

• მილე, ჩემო სამოთხის ჩიტო, ლამაზი ოცნების ცისფერო ფერია, გეხუტები და გესიყვარულები.

• სიჯიუტე რომ არა, მთელ ზაფხულს სვანეთში გავატარებდი. ავიკვირებ, სახლში მინდა დაბრუნება-მეთქი და რა არ გავაკეთე იქედან წამოსასვლელად. ახლა კი ძალიან ვნანობ. ბუბუკი.

• თუო, მიგიღებთ, აბა რას ვიზამთ, დიდი მადლობა სიყვარულისთვის. გაიხარე. პ.ს. არ გინდა, ნიკი აირჩიო? დაგეხმარო? კლეოპატრა.

• ძალიან მინდა, ეს წერილი დაიბეჭდოს. ისე, საინტერესო თემებზე რომ ისაუბროთ, უკეთესი იქნება. ნაომი, აღფრთოვანებული ვარ შენი კონკურსებით, მაგრამ მაგარი იდიოტი ხარ. ცოფიანი.

• ქ-ნო ნანი, ძალიან თბილი ადამიანი ბრძანდებით, ძალიან თბილი და ტკბილი ხმა გაქვთ. ძალიან მიყვარხართ. ჯანმრთელობას გისურვებთ. კლეოპატრა.

• უკვე საზიზღრობაა აქ ამდენი ლანძღვა-გინების ატანა. დავიჯერო, ამ ცხოვრებაში მარტო სიბინძურეებით იკვებებით? როგორ შეგიძლიათ ასე უხამსოდ ლანძლოთ ერთმანეთი? არ მესმის, ოღონდ მართლა. შევწუხებ უკვე კლეოპატრა.

• საოცარი ღამეა, ასეთი ღამე არასდროს მინახავს, თეთრ საბურველშია გახვეული მთელი სამყარო, ხეებიც თეთრად შემოსილან, მოწმენდილ ცაზე კი მთვარეც თეთრად ამობრწყინებულია. რა ლამაზია ეს ყველაფერი და რა ცივი... ისეთივე ცივი, როგორც მე. მეც ხომ თეთრად ვარ შემოსილი და თითქოს მინდა, ამ ყველაფერს შევუერთდე, მეც თოვლად ვიქცე, სიბოზე გავდენ და გავერე, მხოლოდ მოგონება დარჩეს ჩემგან და მერე ისიც გაქრეს, მეორედ მოსვლამდე, ვიცი, მე აღარ დავბრუნდები, მხოლოდ თოვლი მოვა, ისეთივე ცივი და ბრწყინვალე... ეს ალბათ ნამთვრალევი ადამიანის ოცნებაა, გაყინული გულისგან წამოსული ნამთვრალევი ნაბოღვარი, ყურში დარჩენილი სადღეგრძელოს ნაწყვეტი ფრაზები — სიყვარულს გაუმარჯოს, ყველა ადამიანი ბედნიერი უნდა იყოს, თუკი ერთხელ მაინც ჰყვარებია, თუკი ერთხელ შეიძინა ეს სულისშემძვრელი გრძნობა. მთავარია, შეყვარებული იყო და არა — შეყვარებული გყავდეს. უპასუხოდ მიჭახუნებული ჭიქა და სადღაც, გაყინულ გულში ჩასული ცრემლი, შემდეგ თოვლი, მარტო ყოფნა, სიცივე და ფიქრი, მრავალჯერ გამეორებული ფრაზა, მთავარია, შეყვარებული იყო, მთავარია... მთავარია... ტელეფონზე ათასჯერ მაინც აკრებილი ნომერი, დავრეკო — არ დავრეკო. ჯობს, ისევე არ დავრეკო, მთავარი ხომ... ასე პოეტურად სიყვარული, შორიდან ტრფობა, სიტყვებით თამაში და რა იქნება ბოლოს?

• დღეს პირველად ვიგრძენი, თუ როგორ შეგწვევივარ უშენობას, პირველად ვიგრძენი, რომ ჩემგან სამუდამოდ წახვედი. მერე რა, თუ ასეთი ძვირფასი იყავი (და ალბათ ამიტომაც არ შეთმობოდი ამდენ ხანს, თორემ გრძნობა უკვე აღარ სიხეობდა); მერე რა, რომ ახლა ჩემში სიცივილე მეფობს, მუზასაც დაუძინია, არადა, როგორ მიხაროდა მისი გაღვიძება და მაინც მიხაროდა შენით სიცოცხლე, ნაომ, საუკუნოდ განვლილი, ნახვიდან ნახვამდე. შენით ამოსუნთქვა მიხაროდა, შენით ამოსუნთქვა. და აი, ნახვედი და სამუდამოდ გაიხურე კარი, ჩემში კი სიცივილე დატოვე, რომელსაც ველარავინ



შეავსებს... და სიმარტოვე... მაგრამ მე ხომ უკვე დიდი ხანია, უშენოდ ვცხოვრობ, თურმე დიდი ხანია... არ ვიჯერებდი, არ მეთმოზოდი, მაგრამ... დღეს პირველად ვიგრძენი, რომ შევჩვევივარ უშენობას და ამ სიცარიელეს... და ამ სიმარტოვეს... მერე რა, რომ ჩემი სუნთქვა იყავი...

• იცი, არ მადარდებს არავის აზრები, დავწერ მე ყოველთვის იმას, რაც მალეღვებს, თუმცა მე არ მგრუზავს ხალხები, თავხედნი, თქვენც ნუ განიკითხავთ ჩემს ფიქრს და ნაწერებს. იცი, არ მინდა არავის განკითხვა და არც შეფასებას ჩემს ლექსთა მოვითხოვ, დაუშვებ შეცდომას, დავიწყებ თავიდან და მე თუ შევცოდავ, გთხოვთ, არ განმიკითხოთ. იცი, არ მადარდებს არავის აზრები, მე დავწერ ყოველთვის იმას, რაც მადარდებს, მე ამ სიკვრივასაც წამით არ დავნებდი და ეს სიძლიერე რატომღაც მახარებს. კლუპატრა.

• რაღაც, ლაკვასტის „გემრიელი“ ჩანახატიბი არ მომხვდა თვალში. ცუდია. კლუპატრა.

• გამარჯობა, მარი, იმედია, კარგად ხარ. შენი ცუდად ყოფნა დაუშვებელია. რა უნდა ვქნათ ამდენმა ბავშვმა? ძალიან მიყვარხარ, მალე გამოჯანმრთელდი. გკოცნი. გრუზინკა.

• მოვიკითხავ დიდი სიყვარულით ჩემს კუტრინას, ტირიფი73-ს, მგზავრს, კლუპატრას, ფლამინგოს, ლაკვასტს, მილეს, ქაჯების დედოფალს, ელისოს, ბოხოს, ეკობოის. ძალიან მიყვარხართ. გრუზინკა.

• რუი, შეეშვი, რა, ამათთვის პასუხების გაცემას, ასეთმა გონებაშეჭანჭყარებულმა ადამიანებმა როგორ უნდა გაგაღიზიანონ? კლუპატრა.

• რუი, მოგკლავ შეენ. რა გინდოდა ბელურასგან, ჰაააა? ოქროს გალია კი მაგარი იყო. :) კლუპატრა.

• ჩუბა-ჩუბს, რა ხაარა? დჰ. კლუპატრა.

• ვეხმაურები 14 წლის გოგონას. მინდა გითხრა, რომ დედაშენი სუსტი ყოფაქცევის ქალი ყოფილა. მასესს კი შენ ვერაფერს უშველი. ნუ ლელავ, ტყუილად, კუზიანს სამარე გაასწორებს.

• შავ თვალებში ტრფობის ალი, შენმა ტრფობამ შემძინა, ნუხელ ღამით შენთან ვიყავ, შენ კი მაშინ გეძინა... არა, კი არ გიბრაზდები, არ გეგონოს მეწყინა, ფიქრმა შენზე ოცნებები, გრძობა წამით გაყინა... სულ ეს იყო, რაც იყო და ახლა ისევ მიყვარხარ, სულ მუდამ რომ გულს მიღონებ, იქნებ მითხრა, ვინა ხარ? ლუნა.

• მე როგორ ვარ? ვარ რა, ემოციებ-წაშლილი და გრძობებამოცლილი. კლუპატრა.

• გამარჯობა, ჟურნალო „გზა“, შეგენი-ოთ დღისა და თქვენთან რომ იბეჭდება, ხატების მადლი და ძალი.

• სიზმარს ხომ ვერ ვნახავდი, რომ პარიჟანკა დაგვიბრუნდებოდა, აბა? არა, რაც კაია, კაია, რააა... :). P.S. მარი, მე ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი მირჩევნია. გამოჯანმრთელეებას გისურვებ, გულსუფთად, ოღონდ. აბა რა, სულ შენ ამიშლი ნერვებს, გგონია? ნაომი.

• სულიერ და ბუნების კანონებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. ბუნებრივი კანონები არ არის გულმტკივნეული და ადამიანს მათი შეცვლა არ შეუძლია, ხოლო სულიერი კანონები გულმტკივნეულია იმიტომ, რომ სულიერი კანონების მიხედვით, ადამიანს საქმე აქვს თავის

შემქმნელთან და შემოქმედთან — მრავალმონყალე ღმერთთან ანუ როდესაც გაცნობიერებს, თუ რა მალა ააფრინა საკუთარმა ამპარტავნობამ, იგი იტყვის: ღმერთო ჩემო, რაც მაქვს, არაფერი ჩემი არ არის და კიდევ ამპარტავნობაში ვარ?! შემინდე! და მაშინვე ადამიანს შეეშველება ღვთის მზრუნველი ხელი, რომელიც წამიერად იპყრობს მას და ნაზად დასვათ მინახე. ისე, რომ მისი დაცემა შეუმჩნეველი დარჩება. ამგვარად, ადამიანს არ შემუსრავს დაცემა, რამდენადაც მას წინ უძლოდა შემუსკრილება გულისა და შინაგანი სინანული. სწორედ ასე ხდება სახარებისეულ კანონებთან მიმართებაში: „რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ“. ანუ: თუ მე ვინმეზე მახვილს აღვმართავ, სულიერი კანონების მიხედვით, ამას იმით გამოვიყვანი, რომ თავად ჩემზეც აღიმართება მახვილი. მაგრამ თუ საკუთარი ცოდვას გავაცნობიერებ, თუკი საკუთარი სინდისი აღმართავს მახვილს ჩემზე და მე ღვთისგან შენდობას ვითხოვ, სულიერი კანონები მოქმედებს შეწყვეტს და მეც მაკურნებელი ბალზამის დარად, ღვთის სიყვარულს მივიღებ. ანუ: საღვთო სამართლის სიღრმეში, ხოლო მისი სამართალი არის უფსკრული, ვხედავთ, რომ ღმერთი იცვლება მაშინ, როდესაც ადამიანები იცვლებიან. როდესაც გაუგონარი ბავშვი გონს მოდის, ნანობს და სინდისის ქვენას გრძობს, დედა ეფერება მას და ამშვიდებს. ადამიანს შეუძლია, ღვთის გადამწყვეტილება შეცვალოს! ეს კი სახუმარო საქმე როდია? შენ ბოროტება აღასრულე? ღმერთი ამისთვის მუჯღუგუნით დაგჯის! აღიარე, რომ შესცოდე!

**ქართული შრომის საგანძური**

**თარი №50**  
ელგუშა მალრამი (ნაწილი II)

**თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!**  
ყოველ ხუთშაბათს, ვერნალ „გზასთან“ ურთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

<b>მამარჯონე ბაგაშვილი</b>	<b>ზრიბოლ როზაძე</b>	<b>ოთარ ჩხიძე</b>
<b>50</b>	<b>52</b>	<b>53</b>

უკვე გამოცემული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

<p>№1 ბუბაშვილი დიმიტრი</p> <p>№2 შიხიძე ვახტანგ</p> <p>№3 ნუგაშვილი დავით</p> <p>№4 ილიაშვილი მამია</p> <p>№5 ბუბაშვილი დიმიტრი</p> <p>№6 მამარჯონე ბაგაშვილი</p> <p>№7 რაჭოშვილი თეიმურაზ</p> <p>№8 ბაბიანი დიმიტრი</p> <p>№9 ბუბაშვილი დიმიტრი</p> <p>№10 დამიანი კლემენტე</p> <p>№11 ოთარ ჩხიძე</p> <p>№12 ზრიბოლ როზაძე (ნაწილი I)</p> <p>№13 ზრიბოლ როზაძე (ნაწილი II)</p> <p>№14 არაბული სულთან</p> <p>№15 ნიკოლოზ მუსხელიანი</p> <p>№16 გომეზი როზაძე</p> <p>№17 ლევან ბროთა</p> <p>№18 პას მორჩილაძე</p> <p>№19 ვასილ ზაქარაიძე</p> <p>№20 თამაზ ბიბილაძე</p> <p>№21 რაჭაშვილი დიმიტრი</p> <p>№22 მამია მუსხელიანი</p> <p>№23 ბუბაშვილი დიმიტრი</p> <p>№24 კონსტანტინე ბაგაშვილი (პარი I)</p> <p>№25 კონსტანტინე ბაგაშვილი (პარი II)</p>	<p>№26 კონსტანტინე ბაგაშვილი (პარი III)</p> <p>№27 ილიაშვილი დიმიტრი</p> <p>№28 ლავროვი არაგვისი</p> <p>№29 მამია მუსხელიანი</p> <p>№30 ალექსანდრე მამიაშვილი</p> <p>№31 ნუგაშვილი დიმიტრი</p> <p>№32 თამარაძე (კონსტანტინე თამარაშვილი)</p> <p>№33 დიმიტრი ზაქარაიძე</p> <p>№34 ნიკოლოზ მუსხელიანი</p> <p>№35 კონსტანტინე ბაგაშვილი</p> <p>№36 ლევან ბროთა (ნაწილი I)</p> <p>№37 ლევან ბროთა (ნაწილი II)</p> <p>№38 თამაზ ბიბილაძე</p> <p>№39 ნიკოლოზ მუსხელიანი</p> <p>№40 მამია მუსხელიანი</p> <p>№41 გომეზი როზაძე</p> <p>№42 მამია მუსხელიანი</p> <p>№43 ზაქარაიძე დიმიტრი</p> <p>№44 ოთარ ჩხიძე (ნაწილი I)</p> <p>№45 ოთარ ჩხიძე (ნაწილი II)</p> <p>№46 ოთარ ჩხიძე (ნაწილი III)</p> <p>№47 გომეზი როზაძე</p>
---	--

**წიგნის ფასი 3 ლარი!**  
**10-დან - 17 თებერვლამდე!**  
წიგნითა თიგნითა-უკითხვად იძიებთ!

გამოიწერეთ **გზა** საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**ელგუშა**“ ბელ: 38 26 73; 38 26 74



ის თავის კურთხევას მოგანიჭებს. ლაკვასტი.

• უნიკოდ რომ მეტილიკინება ზოგიერთი, მათ საყურადღებოდ, არ ვაპირებ თქვენთან ჩხუბს, რუის გამო. თქვენ არც თავი იცით ამ ჩხუბის და არც — ბოლო. არცოდნა არცოდნა, ასე რომ, ვერ გაგიბრაზდებით. ერთს კი გეტყვი: ნუ მიყოფთ ცხვირს იქ, სადაც არავინ არაფერს გაითხავთ. ირმა, ჩემი ნომერი ითრიე და ვილაპარაკოთ. ნაომი.

• მარ, ეგ რა კარგად გამოგივიდა?! თუმცა, უკეთესადაც შეიძლება. მე მაინც ვიჭირობ, რომ ჩემი ეჭვი უსაფუძვლო არ არის. :) ინგლისურში SMS-ს ყოველთვის შემოკლებითა და უშიგთავსოდ მიბეჭდავ. რატომ? ჩემზე ნერვიულად, მივხვდი. რუი, სად შემიძლია ამდენი, ნუ... :) ინგლისურში 30%-იანი დაფინანსება რომ გამოცხადდება ჩვენთანაც, მეც ვირბინო იქნებ შენსავით, მის მოსაპოვებლად და შესასწავლად. მერე, როცა მეცოდინება ინგლისურად წერა და კითხვა, საერთოდ აღარ წავიკითხო იქნებ „გზა“ და მარის მინირობაზე. მერე შენც ბედნიერი იქნები და მეც. :) მარი — თავისთავად (გენაცვალე შენ). იცი, ახლა რა გამახსენდა, რუი? გიჟოვტას ლექსები რომ დაიბრალე, ჩემი დანერვილიაო. რაფერ არ ვთქვამ და იმ შენს ურცხვ ფანტაზიაზე — „ახდენილი წინასწარმეტყველება“, ძალიან არადამაჯერებელი პასუხი გაციე იმ ქალბატონს. თუ შეიძლება, მას პასუხი ვუწოდოთ. საერთოდ, ჩემი ბრალია, ჩემი, აღარ განმეორდება. :) ნაომი.

• ნანი ბებოს ველაპარაკე და უბედნიერესი ადამიანი ვარ დღეს :) ულიბკაა, ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ჩემს სიყვარულს სიყვარულით უპასუხებდი.

• ქვრივი, შენი გაცნობა და მეგობრობა მინდა. ბათუმელი ხარ?

• ბოლომდე ვერა, მაგრამ ნესმის მათი. ერთი ნუთით წარმოიდგინეთ თავი მათ ადგილზე და... ღმერთი დაგეხმაროთ, სწორ გზაზე გატაროთ. თეთრო.

• ყველას მოვიკითხავ, ვისაც სხვების ესმის და მათი ტკივილი გულთან მიაქვს. თეთრო.

• ნაომი, მაგარი ხარ. კიყვარხარ, მისტერ, რუისპირ, ლაკვასტი, კოლოპატრა, მემე, ნანი ბებო. მაპატიეთ, თუ გამომჩნა ვინმე. ყველანი კარგები ხართ. თეთრო.

• მალადეც! ბრავო, რუისპირ... ჩაგმთვალა! თუმცა, მინდა გითხრა, რომ მართლაც თვისის არც სხვა დროს და არც ახლა არ მისაყვედურია. კიდევ ერთხელ წაიკითხე ჩემი მისიჯი და ამაში შენც დარწმუნდები. მე სხვა რამეს ვაფხვნი ხაზი. შენც კარგად იცი, ჩემო რუისპირ, რომ დიდი პატივს გცემ და სულაც არ მიგულისხმია ის, რომ შენს გზავნილებზე სხვისი გზავნილების ზომა და შინაარსი იმოქმედებდა. თუმცა, შენი საყვედურიც მიღებულია და ბოდიშიც მომიხდია შენ წინაშე. ჰო, კიდევ... ყველაფერს წარმოვიდგინე, ყველაფერს, მაგრამ შენ თუ ნომინაცია — „წლის შეცდომა“ — კანდიდატად დამასახელებდი, ამას ვერ წარმოვიდგინდი. :) ნუ, ნომინაცია „გულჩამწვარი“ გამარჯვება აღბათ ჩემი ლექსებიდან გამომდინარე მერგო წილად, არაა? უნიკოვ, გაიხარე, მადლობა სიტბოსთვის. მუდამ თქვენი ლუნა.

• არ მომენატრები, არ მომენატრები, ნულარ მელოდები ტყვილად, ქარმა ამიშ-

ალა ოცნებები, სევდამ ამიყვანა შვილად... არ მომენატრები, არ მომენატრები, აღარ დამიგულო შენად, ჩემი ჩუმი გლოვა, შენ ვერ გაიგონე, ქარი გადაიქცა სმენად... არ მომენატრები, არ მომენატრები, ბედის აღარ მჯერა მეტად, სევდაც ასე მწარე აღარ იქნებოდა, რომ ვყოფილიყავით ერთად. არ მომენატრები, არ მომენატრები, თუმცა თავს ვიტყუებ, ვიცი, ასე მშვიდად რომ ხარ ალბათ, რომ მომენატრები, იცი. ლუნა.

• მარი, გულწრფელად გეტყვი, თუ რას ვამბობ, როცა ჩემს შესივებს ნავიკითხავ, ჩემს საყვარელ უწინა „გზაში“. გალიმბული სახით ვამბობ: მარ, მიყვარხარ, მარი, ჯიგარი ხარ.

• რუისპირ, რატომ ვერაინ ვერ გიტანს, რა ხდება, მუშია ხარ?

• რუისპირ, რა გინდა ნაომისგან? მან დეტალურად ჩამოაყალიბა თავისი აზრი და მომწონა.

• რუისპირ, ნაომს ფეხები დაჰბანე და წვენი მიირთვი, დილით და საღამოთი. შეგარგოს ღმერთმა, დედის რძესავით. ცოფიანი.

• ჯერ ერთი, რჩევა არც უნდა იკითხო, რადგან როცა ხედავ, რომ ბიჭს შენი დაქალი უყვარს, მას როგორც მამაკაცს, ისე არ უნდა შეხედო. ცოფიანი.

• ზოგიერთმა ადამიანმა ცოდვები მოინანია და ღმერთმაც შეუწილა. სულიერმა კანონებმა შეწყვიტეს მოქმედება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანებს არ ავინყდებათ საკუთარი ცოდვები. ისინი გააუღმებთ იათხოვენ ღვთისგან სასჯელს ამ ცოდვებისთვის, რომ ისინი აქვე, ამქვეყნიურ ცხოვრებაში გამოისყიდონ და რამდენადაც ისინი თავად მოითხოვენ ამას, სახიერი ღმერთი აღასრულებს მათ ღვთისმოსურ ვედრებას. სამაგიეროდ, იგი თავისი ზეციური შემნახველ საღაროში ინახავს მათთვის საზღაურს და იმ სულიერ პროცენტებს, მათზე რომ გროვდება. ასეთი ადამიანები მაღლიერი შვილები არიან ღვთისა, ყველაზე ღვთისმოსავი შვილები. ნიგნში „ლიმონარი“, მოთხრობილია ამბავი პიემენზე, რომელიც მწყემსი იყო. ერთხელ მას ერთი ადამიანი ესტუმრა და ითხოვა, რომ მისთვის თავის სენაკში ღამის გასათევად დარჩენის ნება მიეცა. რამდენადაც მას სტუმრებისთვის ღამის გასათევი ადგილი არ ჰქონდა, ამბავ იგი თავის ადგილზე დაანვინა, თვითონ კი ღამის გასათევად ერთ-ერთ გამოქვაბულში წავიდა. დილით სენაკში დაბრუნებულს სტუმარმა ჰკითხა: „როგორ გაატარე ღამე, ამბა, არ გაიყინე?“ ამბავ მიუგო: „არა, ღამე კარგად გავატარე, ერთ გამოქვაბულში შეძვერი და იქ მინარე ღამე დავინახე. მეც დავნექი და ზურგიით მის ფაფარს ჩავეხუტე. ღამის სუნთქვა მთელ გამოქვაბულს აცხუნებდა, მეგონა, ღუმელში ვიყავი და გაყინვას გადავრჩი. — არ შეგეზინდა, რომ ღამე შეგჭამდა? ჰკითხა სტუმარმა. არა, მაგრამ იცოდე, რომ მე ველური მხეცები დამტყვევე. საიდან იცი ეს? გაუჭიროდა კაცს, ამბავ კი უამბო: ერთი მწყემსი ვიყავი, ჩემს ფარას ვაძოვებდი და ერთხელ ჩემმა ქოფაკებმა დაგლიჯეს გზად გამვლელი ადამიანი. შეშეშო, ამ ადამიანს დავხმარებოდი, მაგრამ გულგრილობა გამოვავლინე. მას შემდეგ გამუდმებით ვითხოვ ღვთისგან, რომ ველურმა მხეცებმა დამტყვევე და მჯერა, რომ ღმერთი ამ წყალობას მომანიჭებს. თუმცა, იმქვენიურ ცხოვრებაში ასეთი ადამიანები ყვე-

ლაზე გამორჩეული ადგილის დამკვიდრებას შეძლებენ. ლაკვასტი.

• ვაიმე, გადარეულს როგორო ვყვარებივარ, გავგიჟდი. ნაომი.

• კოლოპატრა, ვინ გექჩაება მერე ენაზე? სიყვარულით მომდის ჩხუბი რუისთან, ნუ განიცდი. :) ჩუპა-ჩუპს, გაიხარე. ჯიგააარ. ნაომი.

• მიკვირს, ხალხს რა უფლებით განიკითხავთ? რა მნიშვნელობა აქვს, ტრანსსექსუალია თუ არა. ძალ მოგწონთ? — თავი შორს დაიჭირეთ მათგან და მორჩა. ღმერთი ხარ, რომ განსაჯო? აბა, რომელიმე ჩვენგანი იყო ასეთი? მერწმუნეთ, ყველაფერს სხვაგვარად შეხედავდი. მათ არ უნდათ, განსხვავებული იყვნენ, მაგრამ ეს მათზე არაა დამოკიდებული.

• 2 თებერვალს ლაგოდეხიდან რუსთავში მივემგზავნებოდი, ძალიან დიდი თოვლი იყო, მძღოლი თოვლიან გზაზე მგზავრობას ერიდებოდა. 2 მგზავრი თუ მოვა, ნავალ, განაცხადა. ცოტა ხანში მანქანა გაჩერდა, იქიდან ახალგაზრდა ქალ-ვაჟი გადმოვიდა. ჩემი ყურადღება ქალის მიიპყრეს. გოგონა თოჯინასავით მოხდენილი და კოსტა იყო, ვაჟიც არ ჩამოუვარდებოდა. ნაზი და სათნო ხმით იკითხა, რუსთავში გადის? ბილეთები აიღეს, მძღოლის გვერდით მოკალათდნენ და მთელი გზა ჩემთვის მტად ნაცნობ სახელებს ახსენებდნენ. ნარნარი ხმა, განონასწორებული და მალაღვარდოვანი საუბრით მომიხიბლეს ახალგაზრდებმა. ბოლოს, თავისი ფსევდონიმი ახსენეს და გულმა უჩვეულოდ დამინყო ცემა. ბედნიერების უზომო, ამაღლებული შეგრძნება დამეფლავა. ესენი ხომ ჩვენი მგზავნელები, უნიჭიერესი ჯაყისმანელი და ლაკვასტი გახლდნენ. შემოგველოთ ეკატერინე დეიდა.

• არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ნაჯღანბი დღის სინათლეს იხილავს, მაგრამ მე ხომ სასწაულებს მჯერა. ავაზაკი სვანი.

• ერთხელ სიზმრად გნახე, თვალი ვერ მოგწყვიტე, შენი შეყვარება იმ დღეს გადაწყვიტე, ისევ დღემდე და ისევ შენვე ფიქრში, წამი წამს მისდევდა, შენ კი მყავდი გულში, ისევ დამეხიზმრე, ისევ თვალწარმტაცი, გული ამიჩქარდა, სუნთქვას აღარ მაქვდა, წამი წამს მისდევდა, დრო კი გადიოდა, შენ კი იმ წამს ჩემთან, მაშინ არ გინდოდა, ახლა სხვა დრო დადგა, მე ვარ შენთვის ის ერთი, მე ის ცხოვრება ვარ, ვინც შენს ცხოვრებას ერთვის, უკვე აღარ მაქვს მე დღეს იმის დროდი, ჩემთვის შენ ხარ ახლა ზღვაც და ლურჯი ზეცაც, ფიქრში დრო გადის და ფიქრებს ვეღარ იტევს, ზეცაც იმ დღის შემდეგ, როცა შემყვარდი. შენ ხარ ჩემი ნატვრა, ჩემი გულის ვარდი.

• ის, ისეთივე დარჩა! ეული, მარტოსული, მეამბოხე. მისი მოღარავე მზერა უწინდელი დაფიქრებით მიჰბჯენოდა ჰორიზონტს, თითქოს რაღაც იდუმალი ნიშნების მოლოდინში. და, ახლაც, როგორც წინათ, მისი სულიერი და ფიზიკური განცდები ველური ბუნების პირველყოფილი სილამაზის და თავისუფლების ანასხლელის ჰგავდა. ჰგავდა, მხოლოდ მას! და, მხოლოდ იქ! სადაც არსად არის ნუგეში. და თუ იბრძვიან, იბრძვიან მხოლოდ სიცოცხლისათვის! და იბრძვიან, სისხლის უკანასკნელ ნვეთამდე! და თუ უყვართ, უყვართ ინსტინქტურად, უყვართ ბოლომდე, უყვართ თავგანწირვით და უკანასკნელ ამოსუნთქამდე. და, თუ სძულთ ერთმანეთი, სძულთ — ღიად, დაუ-



# „გამომცემლობა ვალიბრა L“-ის ახალი წიგნები

## ჩაგი პირველი დღიური



პირველი დღიური დაბადებიდან სკოლამდე ასაკამდე. შავსეთ ალბომი თქვენი პატარას ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებით: ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით... მრავალი წლის შემდეგ კი ერთად გაიხსენებთ, როგორ დაიწყო ყველაფერი...

სიახლე!

ფასი: 14.99

## მოაფრათ პატარას


სმოკანი წიგნი



ამ ხმოვან წიგნს, პატარები მამინვე შეიყვარებენ. მხიარული ხმები კი, რომელსაც ჩანართების გადაშლისთანავე გაიგონებთ, ბავშვებს და მათ მშობლებს მეტად გაახალისებს.

სიახლე!

ფასი: 15.99



## იყავი ყურადღებიანი

ეს წიგნი თქვენს პატარას გულისხმიერებას, თანადგომასა და სიყუთის უთუბას ასწავლის. წიგნის წაკითხვის შემდეგ ისინი თანატოლების მიმართ უფრო ყურადღებიანები, უფრო მზრუნველები გახდებიან.

სიახლე!

ფასი: 8.99



## თქვი სიბართლა

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ბავშვები მიხვდებიან, თუ რა ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყველაზე უწყინარ ტყუილსაც კი, რატომ არის ტყუილის თქმა ცუდი საქციელი და რატომ არის საჭირო სიბართლის თქმა ყველგან და ყოველთვის.

სიახლე!

ფასი: 8.99



## დადამინის სოფარი ადგილები

ამ წიგნის დახმარებით, იმოგზაურებთ დედამინის გარშემო, დატკბებით ჩვენი პლანეტის მშვენიერებით. იხილავთ: საჰარის უდაბნოს, ავსტრალიის ქვის ტყეებს, ისლანდიის გეიზერებს... ბუნებრივი ფოტოების საშუალებით ახლოდან შეიგრძნობთ ამ საოცარ ადგილებს.

ფასი: 16.99



## ჭიანჭის ბავშვთილაბი

გაღაზლეთ წიგნი და გაჰყუვით ჭიანჭის... თითოეულ გვერდზე დასმული ჯიბეები კი პატარებს გაახალისებს და სიამოვნებით უპასუხებენ.

სიახლე!

ფასი: 7.99



## დათუნის ძილის დრო

წიგნი ყველაზე პატარებისათვის, სადაც მოთხრობილია დელიკო დათუნისა და მისი ბულის ამბავი, რომელიც პატარებს ძლიერ გაახალისებს.

სიახლე!

ფასი: 7.99



## გრანდიოზული ნაგებობები

წაიკითხეთ ეს წიგნი და გაიგეთ, როგორ შენდებოდა პირამიდები, ტაძრები, აკლდამები, ცათამბეჯენები, ჯამბლები, ეოსმოსური სადგურები და სხვა გრანდიოზული ნაგებობები... შეიტყუეთ ამ ნაგებობებთან დაკავშირებული საიდუმლოებები.

ფასი: 16.99



## ინტელექტი დანაშაულის წინააღმდეგ

ამ წიგნიდან თქვენ შეიტყობთ, როგორ ხდება დანაშაულის გამოძიება. რა არის ბალისტიკა, კიბერდანაშაული, რით აიხსნება უჩვეულო და დაუკერებელი მოვლენები! როგორ ეკეთენ გვამს, რას იკვლევენ დნმ-ის ანალიზით...

ფასი: 16.99



შეიძინეთ წიგნის პალატივში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნაგების გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 [www.elva.ge](http://www.elva.ge)



ფარავად და თვალისდახამხამებში შეუბრალებლად ანადგურებენ ერთმანეთს. სადაც მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი რჩება გამარჯვებული; სადაც მხოლოდ არნივს ძალუძს, თვალი გაუსწოროს მზეს.

• თუმცა, წინა წლებისაგან განსხვავებით, მისი გამოხედვა უფრო სენტიმენტალური გახდა. შესაძლოა, მის თვალებში სევდაც ჩაიდვარა?! იქნებ, მიხვდა, რომ აღარ შეძლო წინანდელივით თავგანწირვაზე ფიქრი?! იქნებ, იმასაც მიხვდა, რომ უკვე გარშემორტყმული და ალყაში იყო მოქცეული? რომ მას შობლიური სამყარო ტოვებდა და მის ადგილს სხვა, უცხო სამყარო იპყრობდა?! სადმე, სადაც ყელზე ჯაჭვგამოხმულს, პირბადეფარებულს უცხო და უცნაურ ქუჩებში უნდა ეხეტიალა; სამყარო, სადაც აღარ იყო უცნაური მოულოდნელობა, რომ ვიღაცას გაგვიღვივებდა, რომ ვიღაც პირისპირ შეფეთებულს გაენადგურებინე, ან დასწრების შემთხვევაში თავადვე გაენადგურებინა. თუმცა, იქ, ველური სიყვარულით თავდაიწყებდა უცხო იყო.

• შესაძლოა, იგრძნო, რომ მოტყდა?! შესაძლოა, იგრძნო, რომ ნებდებოდა?! ნებდებოდა დიდი ხნის წინ მის მიერვე უარყოფილ სამყაროს და ძალაუბრებურად, ცხოვრების საყოველთაო, უღიმღამო და მღვრიე დინებისაგან უსიტყვოდ მიექანებოდა. ნუთუ მისი კისერი სულგრძელად დაელოდებოდა ვიღაცის მზრუნველ ხელს, რომელიც რკინის საყელურს ნაზად ჩამოაცმევდა ყელზე და ჰიგიენური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ერთი და იმავე დროს, ერთი და იგივე ქუჩით გაასივრებდა? ნუთუ, ის ისე დაჩაჩანკდა, რომ ასე ერთბაშად დაჰყვებოდა მომშინაურებლის დამაცირებელ და მომბებურებელ მეურვეობას? ყოველ შემთხვევაში, იმ წუთებში, ის სწორედ ასე ფიქრობდა.

• თუმცა, ჯერ ისევ საყოყმანო იყო, გახდებოდა თუ არა ის მგელი რომელიც შინაურ ძალად გადაიქცა თუ ისევ ძველებური შეუპოვრობით გააგრძელებდა ბრძოლას, ეულ ბრძოლას — სიცვიის, შიმშილის, უთვალავი მტერის წინააღმდეგ?! რათა, ისევ ისე, როგორც ადრე, ჭკუშარიტი თავისუფლების და სიყვარულის გრძნობით ეტოცხლა; რათა, ისევ ისე, როგორც დიდი ხნის წინ, მხართან მუდმივად მოღიმარი სიკვდილის სახე დაენახა და მასაც გაეღიმა საპასუხო!

• გზა, ერთი მიმართულებით იქით! გზა, ერთი მიმართულებით აქით! გზაზე, აქით და იქით არაფერი იცვლება. გზის მარჯვნივ და მარცხნივ, ისევ, ისეთივე დაუქინებელი და ერთგვაროვნებით მეორდებიან პეიზაჟები: გრილ და მწვანე გაზაფხულს, ცხელ და გაუსაძლის ზაფხულს, მაგიურ და ყვითელ შემოდგომაზე, ცივ და თეთრ ზამთარში. მხოლოდ მე ვიცვლები! მხოლოდ მე მემატება ასაკი! მე, კი, ისევ, იმავე მიმართულებით დავდივარ გზაზე — აქეთ და იქით; გზაზე, რომელიც მხოლოდ ერთი მიმართულებით მიემართება და იმავე მიმართულებით უკან ბრუნდება, ერთი და იმავე მიმართულებით, უსასრულო სრბოლა გზაზე. ეს, ჩემი ცხოვრების მეტაფორაა! დიდი ბედნიერებაა, თუ უმედურ შემთხვევა გადავურჩი და გზის დასასრულს მივალწი. შემდეგ ისევ შემოვბრუნდი და მშვიდობით დავბრუნდი უკან. და, ასე! სიცოცხლის ბოლომდე წინ და უკან მგზავრობაში, მხოლოდ დრო გადის, ილევა, ფუჭად, უანგარისოდ. დროთა განმავლობაში ხვდები, რომ გულგატეხილი, უცხო და გულგრილი ხდები. თუმცა, აქეთ-იქით სრბო-

ლაში თუ შეძელი, რომ არც ერთი წამით თვალი არ მოუხუჭე, თუ იფიზღე, თუ არ ჩაგვიინა და თუ ყოველდღიურობას თვალი გაუსწორე, შესაძლოა, გაგიმართლოს და დაინახო უსასრულობა; შეხვდი, შენს წინ განსხვავებულ და ხელშესახებ უსასრულობას, რომლის იქითაც უკვდავება იწყება.

• ძალიან ირონიულია, ეს, ყველაფერი, ძალიან! თუმცა, ამაში ღრმა აზრები არის. რა შეიძლება ინატროს ადამიანმა? ამ არასრულფასოვანმა და სუსტმა არსებამ, თუ არა ის, რომ თუნდაც ერთი წამით მაინც შეხვდეს უკვდავებას.

• ხანდახან მეჩვენება, რომ ადამიანის ცხოვრება იმ უხილავ რინგს ნააგავს, რომლის ფიცარნაგს ჩვენი ასტრალური სხეული დაფარავს! „დაბადების“ მომკვედინებელი მუშტი იყო, გამოგნეული ნოკაუტი! ვარსკვლავების თვალუწვდენელი სიმაღლიდან გულადმა რომ გადმოგვისროლა. ეს, უზომო „ნეტარების“ მოწინააღმდეგე, უფრო და მუხლმოკვეთილი იმერნა იყო.

• დაცემამდე ტკივილი გაქრა! მის ნაცვლად უფრო ძლიერი და ხანგრძლივი გრძნობა დაგვეფლავა — ზეციურ სინათლესა და ღვთაებრივ სიყვარულთან განსწორების სევდა.

• განსაცდელის იმ მძიმე წუთებში, როდესაც ხელმეორედ „ვიბადებოდი“ — როდესაც ჩვენი უძლური ფილტვები მკებნარი ჰაერის შუილით ისერებოდა, როცა გულში სისხლი გუბდებოდა და სული ფეთქვით ამქვეყნიური საათის ნიკნიკს იწყებდა, სწორედ მაშინ, თავს მინიერი ტკივილის რისხვა დაგვატყდა. ყველასაგან მიტოვებულ სხეულში, ნერვული კონფლსიები და ისტერიული გოდება საგულდაგულოდ შლიდა ჭკუშარიტების უკანასკნელ სიკვებას. ეს, სწორედ იმ მინიერი გარდასახვის სასტიკი ფასი იყო. მწარე იყო, დედამინავ, შენი ნესტინანი ამბორი! ჩვენ ვიგემთ შენი მტყენარანივი სიყვარულის გემო! აქ კი, დაბლა! უკვე ხორცშესხმული და სახელად ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე უმწეო მცდელობებისათვის განწირული, უმედეგოდ ვცდილობ ვფხვი დგომას და, ეს, განსაკუთრებით დრამატულია მაშინ, როდესაც იმედი გწურება; როდესაც, ეჭვმყარობილი და საფეთქელზე ცივოფდა დასამტყევი ფიქრობ, — შეძლებ კი, ოდესმე ფეხზე დადგომას?! მაშინ, როდესაც თვალებში ცხოვრების ბინდებუნდ ჩამდგარი, თანდათანობით უფრო მკაფიოდ არჩევ თავზე წამოდგარ უცნობის მკაცრ სილუეტს, რომელიც ხმაილად და შეუვალი ტონით დამარცვლით გითვლის რიცხვებს — 1, 2, 3...

• თითოეული ადამიანის ინდივიდუალურ გამძლეობასა, შემთხვევითობაზე, ან იქნებ გარკვეულ მისიაზეც არის დამოკიდებული, ვინ რამდენ გავლილ თითს, რამდენ წელს აიტანს. ის საბედისწერო ზეცაში გაშლილი ათი თითი, ზოგისათვის შეიძლება 100 წელიც იყოს, ზოგისათვის კი — არც ერთი წამი!

• ფინალი! უკიდევანო სიმორიდან წამოსვლი, უცნაური გონგის გამაყრუებელი ხმა, „რეფერის“ გადაჯვარედინებელი მარჯვნივ და გამყინავი სასტენია, მინიერი აუდიტორიას ერთ-ერთი მათგანის საბოლოო დამარცხებას რომ აუწყებს; დამარცხებას, რომლის საყოველთაო სახელი, ასე კარგად ნაცნობი და საქვეყნოდ „მზრუნველი“ სიტყვა — გარდაცვალებაა!

• მშვიდად ეხუჭავთ თვალბა... და, ვიცით ცხოვრების „გვირგვინი“ — სიკვდილი, ყველა მინიერი ტანჯვას აგვაცილებს, ყვე-

ლა ტკივილს დაგვიამებს, ყველა ჭრილობას მოგვიშუშებს და ჭკუშარიტ სიცოცხლეს გაგაჩუქებს. მაშინ კი მყესულად დავიბრუნებთ უწინდელ, ასტრალურ სხეულს, მის ღვთაებრივ სინათლეს, სიმსუბუქეს... და უძლეველობის შეგრძნებით, უჩვეულო შემართებით, ისევ თავიდან ჩავებმებით უსასრულო ზეციურ ბრძოლებში; ბრძოლებში, რომლის სახელიც აღარ გვახსოვს. იმედია, ეს ბრძოლები, დიადი იდეალების სახელით და დიადი იდეალებისთვის მიმდინარეობდა. იქნებ?! ეს ის დაუსაბამო ბრძოლებია, სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლა რომ უწოდებენ?!

• ჩვენ კი, ჩვენ! ამ ბრძოლაში, რომელ მხარეს ვიდევით? მინდა მეგუროდეს, რომ უფალის მხარეს. ზოგჯერ, კი, ეჭვი მღრღნის, იქნებ საპირისპირო მხარეს?! რათა შემდეგ, ისევ, ერთხელ, დაბადების ნოკაუტით მოცელილნი და უკვე მერამდენედ დასჯილნი, უსულოდ დავეწარხებთ ცხოვრების ფიცარნაგს; ფიცარნაგს, სადაც სპორტული რინგისაგან განსხვავებით გვრც ერთი მოკვდავი ფეხზე ვეღარ წამოდგება... და, ისევ ისე! და ისევ თავიდან! ეს ვითომ ჩვენ წინასწარ არ უნდა გავცოდნოდა?! და ეს ჩვენ წინასწარ რატომ არ უნდა გვცოდნოდა?! ცხოვრება პასუხისმგებლობაა რომელიც ღმერთის წინაშე ვიღაც ვიღაც! პასუხისმგებლობა, რომ ჩემში და ჩემ ირგვლივ ცხოვრებას სინათლისაგან შევცვლილი. უფალმა კი მიბოძა სიცოცხლე დედამინაზე. ახლა შესაძლოა, ვძრწობდე-ბი, თუ რამდენად დიდი ყოფილა ეს ტვირთი. თუმცა მე მისთვის ახლა და მაშინაც ყველაფერზე თანახმა ვიყავი, ან იქნებ არც ვიყავი, უბრალოდ, ვფიქრობდი და მიწოდოდა საკუთარი თავი გამოემცადა, გამოეჩენილიყავი, რაღაცით მაინც დაემსგავსებოდა მას, რომელმაც ეს ჯოჯოხეთი თავად გაიარა.

• სამუნჯაროდ თუ საბედნიეროდ, ეს ძალიან გვიან გავაცნობიერე! გავაცნობიერე, რომ ცხოვრება პასუხისმგებლობაა და უმირველეს ყოვლისა, მის წინაშე აღებული პირობა, რომ შენ ვალდებული ხარ შენში და შენ გარშემო არსებულ უკუნს სინათლე მოჰფინო. როგორც იქნა, საბედნიეროდ, ამას მივხვდი, თუმცა რა ძელი ყოფილა და რა ტიტანურ ძალისხმევას მოითხოვს ეს შენგან! და რა იოლია, შენც, ბევრ სხვაგვანა დაინთქა, დასაბამიერ სინელეში შეერიო მას და უკვალოდ გაუჩინარდე. და მიუხედავად ყველაფრისა, სიმხნევებს გქენს ის სიყვარული, რომელსაც მისგან გრძნობ; ის სინათლე, რომელიც მისგან მოდის. ეს კი არასოდეს გაძლევს უფლებას, მოუხდდე და ყოველ წამს გიბიძგებს გააგრძელო ძალისხმევა — გაინათო შენთვის და უკუნეთში დანთქმული ადამიანებისათვის. მათთვის, ვისთვისაც ეს პასუხისმგებლობა ჯერაც გაუზრებელი და შორია, და მათთვის, ვისთვისაც ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია...

• ჩემს ცხოვრებაშიც დადგა ის წამი, როდესაც ირგვლივ ყოველივე თვალისმომჭრელი ფერებით გაბრწყინდა და ოქროსფერ ბურუსში ჩაიძირა. ყველა საზიზღარი და ამაზრზენი გრძნობა, რაც ცხოვრებას სასონარკვევითლების ავებდითი ღრუბლებით ფარავდა, უკვალოდ გაუჩინარდა, თვალს მიეფარა. ჰორიზონტად, უძიროდ გახსნილი ცა უცვლად მოიწმინდა, უკიდურესად გამჭვირვალე და ლურჯი გახდა. ეს გრძნობა, ზეციური ზღაპრული ყავავილის მოულოდნელ გაფურჩქვნას შავდა, თავისი



ენით აუნერელი სურნელით და სილამაზით ყველას და ყველაფერს პირთამდე რომ ავსებდა.

• ნამერთვა უნარი, მეფიქრა ცუდზე, გამწენოდა უსაფუძვლო ეჭვები წარმავალსა და შეუქცევადზე. გავხდი საოცრად მშვიდი და მიმნდობი. გულისტკივილით ვაცილებდი ყოველ დღეს და მასთან ერთად ზღვა სიხარულს, სიახლეს, საინტერესოს და ულევ ბედნიერებას. დილაადრიაანად ისევ გამოღვიძებას ვეშურებოდი, რათა მკლავებგაშლილი ახალ შთაბეჭდილებებს შეეგებებოდი, ფართოდ გახელილი თვალებით დავდარაჯებოდი რაღაც ახლის გამოჩენას, რათა მისით განცდილი მწვავე სიხარულის ელვით მოგვრილი მოუთოკავი გულის ბაგაბუგი განმეცადა და შემდეგ, მშვიდად და ნაზად მოტაატე ზეციური ოკეანის მზრუნველ სივრცეში შემეცურა. და ისევ ისე, და ისევ თავიდან. ყოველდღიურად, უშურველად ისევ უწინდელ თავდავინყებას ვეძღვოდი... მე იმ ფუტყარს ვგავდი, რომლის ყვავილიც იმ დროს გაიშალა. ახლა მხოლოდ, ცხადში ოდესღაც განცდილი, იმ სამოთხის დაბრუნებას ვლამობ, მაგრამ სამწუხაროდ უშედეგოდ! არაფერი გამომდის...



### გილოსავი!

• ნუგზარ კოტოშაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებ ჯამრთელობას, ბედნიერებას, მრავალ სიხარულს და ლამაზი დღეების სიმრავლეს. შენი დისშვილები, ლალი და ლელა.

• იაკო, გილოცავ დაბადების დღეს, მრავალს დაეწარი, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. მენატრებით და გკოცნით. თეო. ათენი. ცუცხვათი, 11 თებერვალი. ბიცო, მიყვარხარ.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. შურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

### დასაწყისი იხ. გვ. 31

იყო, რომელსაც დიდი ხანი ვეძებდი. მისმა ბინამაც კი ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა — აფიშები, უნიკალური ბიბლიოთეკა, ფონოთეკა, ფოტოები, ნივთები, რომლებიც მისთვის ძვირფას მოგონებებს უკავშირდება, მართლაც, რაღაც ორიგინალურ, განსხვავებულ სამყაროში გახვედრებს... არ შემიძლია, აქვე არ აღვნიშნო მისი მამის, ბატონი ზოსიმე ხოჯავას წერილი, რომელიც ქალბატონ რუსუდანს წიგნების თაროზე აქვს გამოკრული და ასე მთავრდება: „იცოდე, ჭკუით და მეცადინეობით ყველაფერს მიაღწევ“. ეს ფრაზა არასოდეს მაგინყდება... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი წყალობით გაყვევი მუსიკას. თითოეულ გაკვეთილს ვინწერდი სახლში მისვლისას, რადგან ყველაფერი ძალიან საინტერესო იყო. მასთან გაკვეთილები ნამდვილი ლაბორატორია იყო. მისი უზომოდ მაღლიერი ვარ...

### საფრანგეთში ჩასვლისას როგორ აინყვეთ კარიერა?

— პარიზში კორტოს სახელობის მუსიკალურ სკოლაში გავაგრძელე სწავლა; პარალელურად ვმუშაობდი კონცერტმეისტრად სტანლოვას სახელობის ბალეტის საერთაშორისო სკოლა-ინსტიტუტში, სადაც ძალიან მალე დიდი დატვირთვა შემომთავაზეს. ამ დროს მქონდა საკმაოდ სერიოზული და მნიშვნელოვანი გამოცდები, სადაც ჟიურის ნევრებად მიწვეული იყვნენ კონსერვატორიის პედაგოგები, ყოფილი მოცეკვავე-ვარსკვლავები, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები... ერთხელ, ერთ-ერთმა პედაგოგმა მთხოვა, წლის დამამთავრებელი გამოცდისთვის მომიმზადებინა ისეთი მუსიკა, რომელიც მათთვის უცხო და უცნობი იქნებოდა. რა თქმა უნდა, იმ წუთშივე ქართულ მუსიკაზე გავიფიქრე, რომელსაც იმ პერიოდში კონცერტებისთვის ვამზადებდი. ამ იდეამ იმდენად გაამართლა, დირექტორის მაღლობაც კი დავიმსახურე... ყველა, თვით ჟიურიც მეკითხებოდა, — რა მუსიკა იყოო?... ორმაგად გახარებული ვიყავი: იმიტომ, რომ ქართულ მუსიკას ასეთი მოწონება ხვდა და, მეორეც, რომ ჩემმა იდეამ გაამართლა! ეს პერიოდი ძალიან დატვირთული მქონდა — კონცერტები, გამოცდები, კამერულ მუსიკასთან „დაახლოება“, სხვადასხვა მუსიკოსთან მუშაობა და, რაც ყველაზე მთავარია, საკუთარ თავზე გამაღმებელი შრომა. ამას ემატებოდა ძალზე საინტერესო წიგნების კითხვა, საკონცერტო დარბაზებში მას-

ტერკლასებსა თუ საუცხოო კონცერტებზე დასწრება. 2007 წლიდან მუშაობა დავინყე დებიუსის სახელობის პარიზის კონსერვატორიაში, სადაც ორი წელი გავატარე. ამჟამად, ფორეს სახელობის კონსერვატორიაში კონცერტმეისტრად ვმუშაობ.

### ქართულ ეკლესიაშიც ხომ გინვეთ გუნდის ხელმძღვანელობა?

— საქართველოდან ახალი ჩამოსული ვიყავი და პირდაპირ ქართულ ეკლესიას მივაშურე. თითქმის პირველი დღეებიდანვე მამა არჩილმა გუნდის ხელმძღვანელობა ჩამაბარა. აქ ბევრი კარგი და კეთილი ადამიანი გავიცანი, რომლებიც ძალიან დამეხმარნენ ახალი ცხოვრების საწყის ეტაპზე და დღემდე ჩემი დიდი გულშემატკივრები არიან. განსაკუთრებით დიდ მადლობას ვუხდის მედეა ზოდელავას, ტარიელ ზურაბიშვილს... ბატონი ტარიელის დახმარებით გავემგზავრე 2005 წლის ზაფხულში ნიცის საზაფხულო აკადემიაში მასტერკლასებზე... მათ ძალიან ხშირად ვხვდავ ჩვენს კონცერტებზე, ყოველთვის მზად არიან, ხელოვანი და არა მარტო ხელოვანი ადამიანების დასახმარებლად.

### თქვენს ოჯახზეც გვიამბეთ...

— ოჯახი 2007 წელს შევქმენი. ჩემი მეუღლეა იან დიკერო — წარმოშობით ბრეტონელი; პროფესიით მოფარიკავე და ჩემი, როგორც მუსიკოსის, დიდი გულშემატკივარი. მართალია, ჩვენი პროფესიები აბსოლუტურად განსხვავებულია, მაგრამ ბევრი საერთო ინტერესი (ხელოვნება, სცენა...) გვაქვს. ჩემი მეუღლეც ხელოვნის ოჯახშია გაზრდილი (დედა ბერნადეტ დიკერო მოცეკვავეა და ამჟამად მის მიერ შექმნილ საბალეტო სკოლას ხელმძღვანელობს), ასევე მონანილეობს მთელი საფრანგეთის მასშტაბით „ძველბუთი ფარეგობის ასოციაციის“ მიერ ორგანიზებულ სპექტაკლებში, სადაც ერთმანეთს ერწყმის თეატრი და ფარიკაობა... მეც ხშირად მიწევს მათთან ერთად მოგზაურობა, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მახარებს საფრანგეთის უფრო ახლოს გაცნობა, სხვადასხვა რეგიონის, სოფლების, ქალაქების დათვალიერება. ჩემი ოცნებაა, ამ სპექტაკლებით საქართველოშიც ჩამოვიდნენ. ჩემს მეუღლეს ძალიან უყვარს საქართველოში ჩამოსვლა, განსაკუთრებით ხიბლავს ქართული სტუმართმოყვარეობა. ქართულ ენას სწავლობს, უკვე წერს და კითხულობს. ქართულის გაკვეთილებს მე ვუტარებ და უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ ნიჭიერი მოსწავლეა. რატომღაც ადვილად ითვისებს ქართულს — ამ ერთ-ერთ ურთულეს ენას.



# ტაიმ-აუზი

## „მაღალი კლასის“ ოთხფეხა მეგობარი — „სვეტსკი“ და პრეზენზიული ტაშო

პატარა, სასაცილო ტაშო ცნობილი დების — ანი და ლიკა ქორქების სახლში მცხოვრები იორკშირელი ტერიერის ჯიშის ძაღლი გახლავთ. ტაშო საპრისპირო სქესის წარმომადგენლების მიმართ ინტერესს უკვე ამჟღავნებს, ამიტომ მისთვის შესაბამის „საცოლეს“ ეძებენ. ანი კატეგორიულად აღნიშნავს, რომ თავისი „ბიჭის“ გვერდით უღირს „გოგოს“ ვერ აიტანს და ოჯახისთვის შეუფერებელ „მანდილოსანს“ „რძლად“ არ მიიღებს...

### თუო ყორღანაშვილი

**ანი ქორძია:**  
— ჩვენს ოჯახში ტაშო დაუგეგმავად მოხვდა. სახლში 2 კატა მყავს და არ მეგონა, რომ ვინმე ძაღლს მაჩუქებდა. ერთხელ მეგობარმა მითხრა, რომ იორკშირელი ტერიერის ჯიშის ძაღლი თავისთვის უნდოდა. მთხოვა, — ამ ჯიშის შესახებ ყველაფერი გამიჩვენებო. ინფორმაცია ინტერნეტში მოვიძიე და მეგობარს ვუთხარი: ბიჭი ხარ და ჩანთაში ჩასასმელი ძაღლი შენთვის რამდენად რეკომენდებულია, არ ვიცი-მეთქი. — ისე, კარგი ძაღლიაო? — მკითხა. — კი-მეთქი,

— ვუპასუხე. ამ ჯიშის ძაღლები-სადმი ჩემი დამოკიდებულების შესახებ ინფორმაცია მეგობარმა ასე

გამომტყუა და 2 თვეში პატარა ტაშო მომიყვანა. ის კივივიდან „ჩამომიფრინდა“. ტაშო კი დავარქვი, მაგრამ — ბიჭია. სახელისა და ვარცხნილობის გამო, ყველას გოგო ჰგონია. ძალიან რთულად აღსაზრდელია: საკუთარი სავარცხლით, დღეში რამდენჯერმე დავარცხნა, თმის ნაირ-ნაირი სამაგრი სჭირდება, რადგან სულ გაპრანჭული უნდა იყოს. უამრავი სამოსი აქვს, რომელსაც ძირითადად, უცხოეთში ვყიდულობთ. ამ მხრივ, საქართველოში მწირი არჩევანია. ბებიამეც საქმე გამოუჩნდა: ზის და ტაშოს ტანსაცმელებს უქსოვს. რადგან წინათ ქსოვის გამოცდილება არ ჰქონია, მისი მოქსოვილი სამოსი დიდად ხარისხიანი არ არის. ამიტომ, ბებიის მოქსოვილი ტანსაცმელი ტაშოს სახლში აცვია, ქუჩაში კი „სვეტს-



ტაშო კი დავარქვი, მაგრამ — ბიჭია. სახელისა და ვარცხნილობის გამო, ყველას გოგო ჰგონია

**უყუჩაბთ!**  
**www.palitrav.ge**  
**PALITRA**  
TV-RADIO  
ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!





კი“, ბრენდული სამოსით სეირნობს...  
— თავად ტაშო სამოსს როგორ ეგუება?

— როცა ვაცემევ, ძალიან უხარია, კმაყოფილია. პალტოები, „შუბა“, კედები აქვს. შინ ძირითადად, ჯემპრითა და მაისურით დადის. ისეთი ჯიშის ძაღლია, რომ შეიძლება, გაცივდეს და მოკვდეს. მისთვის ხმაურიც არ შეიძლება, რადგან შეიძლება, გული გაუსკდეს. მოკლედ, „შუშაში შესანახია“. მინიატიურულია, გრძელი თმით... „პარკეტის ძაღლს“ ეძახიან.

— აქსესურობი თუ უყვარს?

— რა თქმა უნდა. ძირითადად, სვაროვსკის ყელსაბამები აქვს. ამ ჯიშის ძაღლებისთვის ბევრ დიზაინერს ცალკე „ხაზი“ აქვს შექმნილი. ეტიკეტის მიხედვით, ამ ჯიშის ძაღლის ნაყვანა ნებისმიერ დაწესებულებაში (მაგალითად, რესტორანში) შეიძლება. სამწუხაროდ, ეს საქართველოში არ იციან: ძაღლთან ერთად, გასართობ დაწესებულებაში რომ მივიდე, დარწმუნებული ვარ, უკან გამომაბრუნებენ... ტაშო „მაღალი კლასის“ ძაღლია და ფუფუნების საგნად მიიჩნევა. შესაბამისად, მისი ყველგან ტარება დასაშვებია. ყოველთვის კარგ ფორმაში უნდა იყოს, რადგან დაუფარცხნელი „სასტიკი“ სანახავია, მოვლილი კი ყვავილივით იფურჩქნება, ძალიან ლამაზია. ტაშო ფრჩხილებს „იკეთებს“, კბილებს „იხეხავს“ (ბრინჯივით კბილები აქვს, რომელსაც პატარა ჯაგრისით უვლის)... მოკლედ, ჭკუაზე არ არის!..

— საკუთარი სტილისტიც ხომ არ ჰყავს?

— არა. პერიოდულად, კლინიკაში დაგვყავს. მის ვარცხნილობაზეც იქვე ზრუნავენ.

— შეყვარებული ჰყავს?

— არა. ერთი წლის ახლახან გახდა. ბოლო დროს შევნიშნე, რომ მგონი, შეყვარებული უნდა ჰყავდეს. ტაშო წმინდა სისხლის ძაღლია — ტიტულოვანი დედ-მამა, ბებია-ბაბუა ჰყავს. მისი საბუთები უფრო მეტი წონისაა, ვიდრე თავად ტაშო. მოკლედ, ძაღლი დიდ პატივში გვყავს, „სამყვარებულო გოგო“ კი ჯერ ვერ ვუპოვეთ.

— „ოჯახისთვის შეუფერებელი“ „ვინმე“ რომ შეუყვარდეს?

— დარწმუნებული ვარ, „უღირს მანდილოსანს“ ახლოსაც არ გააკარებ! ოჯახში არ მივიღებ!

— ტაშო მისი ნამდვილი სახელია?

— არა. ამ ჯიშის ძაღლს დაბადებისთანავე ჩიპს უდგამენ: რომ

დაიკარგოს, პულტის საშუალებით, იოლად იპოვიან. ასევე, როგორც კი იბადება, ზრუნავენ, რომ თავისი პასპორტი ჰქონდეს. ჩემს ტაშოს დანიელი დაარქვეს. ეს სახელი ამ ძაღლისთვის ძალიან შეუფერებელია. ამიტომ მას ისეთივე სასაცილო სახელი დავარქვი, როგორც თავადაა...

— მას თქვენს სახლში მცხოვრებ 2 კატასთან როგორი ურთიერთობა აქვს?

— კატა ბოლისთან ფანტასტიკური ურთიერთობა აქვს. ბოლი მანამდეც გვყავდა, ვიდრე ტაშოს მოიყვანდნენ. ერთმანეთის მიმართ არანაირი პრეტენზია და აგრესია არა აქვთ. თან, კატა უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე — ძაღლი. მეორე

კატა — ზიზი უკონტაქტოა, არავისთან მეგობრობს. მას ან სძინავს, ან — გარეთაა. ეტყობა, სიბერის ბრალია...

— ძაღლების გამოფენაზე მონაწილეობას არ აპირებს?

— გამოფენაზე ჯიშისა და კარგად გაწვრთნილი ძაღლი უნდა მონაწილეობდეს, ტაშო კი ყველაზე თავხედი ძაღლია, რაც კი ოდესმე მინახავს. ძალიან პრეტენზიულია. რასაც უნდა, იმას აკეთებს. თუ არ მიუწევი, არ დაიძინებს. თუ არ გაასეირნე, ძალიან ცუდ ხასიათზე დგება. სახლში მარტო ერთი წუთითაც ვერ დატოვებ, რადგან იმდენს წკმუტუნებს, რომ ყველაფერს „ანგრევს“! ბებიჩემი ტაშოს შვილთაშვილივით ზრდის...

# ისტორიულ-გამეცხნებითი უპრნალი

თებერვლის ნომერი

ისტორიანი 13

საბუისნაიხო

ბიოიბი მარაბაი სუნაოაბის ჰიისი

ხატომ ვეი ისნას „ბიხანიი“

მთავარი რედაქტორი

ჯაბა სამუშია



# „სიყვარული თავს უეცრად დაგატყდა“

ინტელექტუალური თამაშები ბავშვობიდან იზიდავდა, ბედი არაერთ საბავშვო კონკურსშიც სცადა, მართალია, ვერ გაიმარჯვა, მაგრამ დიდი გამოცდილება დაუგროვდა. კროსფორდების შევსება ახლაც უყვარს. ცდილობს, წიგნისთვის დრო ყოველთვის გამოიხატოს. წასაკითხ ნაწარმოებებს ავტორის მიხედვით არ ირჩევს. ჩვევა აქვს, წიგნი თუ მოეწონა, მას აუცილებლად ხელმეორედ დაუბრუნდება, ასეთ ავტორად დოსტოევსკის ასახელებს. ახლახან სახელმწიფო უნივერსიტუტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გეტყვით, რომ „ერუნიტის“ სტუმარი „ჯეოსტარი 2010“-ის გამარჯვებული — **მთო ნემსაძე** გახლავთ. გარდა იმისა, რომ კარგად მღერის, აღმოჩნდა, რომ კლუბის — „რა? სად? როდის?“ აქტიური წევრია. შიდა შესარჩევი ტურების თამაშზე მაშინაც კი დადიოდა, როცა „ჯეოსტარი 2010“-ის ტიტულისთვის იბრძოდა.

## თამაშა კვინიკაჰა

### პრაგმატულის მავიარ

— ოთო, ინტელექტუალურ კლუბში როგორ მოხვდი?

— მეგობარმა მიმიყვანა. პირველ ლიგაში გამოვდივართ. მარტიდან თამაშები გვეწყება; თუ წარმატებით ვითამაშებთ, სუპერლიგაში გადასვლის შანსი გვექნება.

— ცნობილი მოაზროვნეებიდან შენი ფავორიტი რომელია?

— ფავორიტის დასახელება მიჭირს, ყველა მოთამაშე მაგარია!

— შემოქმედებითი თვალსაზრისით შენკენ რა სიახლეა?

— საქსოფონზე დაკვრა მინდა, რომ ვისწავლო. ხშირად კორპორატიულ საღამოებზე მიწვევენ. ჯერ ალბომზე მუშაობა არ დამინდია, „ჯეოსტარელები“ ახალ სიმღერაზე ვმუშაობთ, რომლის მუსიკის ავტორი ზურა მოსიავაა. ახალ სიმღერას თანატოლებს ვუძღვნით და ტექსტის ავტორები თავად ვართ.

— პოეზია გიყვარს?

— როგორ შეიძლება, ლექსები არ გიყვარდეს?!

— ლექსის დანერა თავად არასდროს გიცდია?

— ბევრჯერ დამინდრია. მერე ზოგი აღარ მომწონებია და ის ფურცელი, რომელზეც ლექსი ეწერა, გადამიგდია, ზოგი — ზეპირადაც მახსოვს.

— ეს ციხე, ისტორიულ წყაროებში, პირველად, XIII საუკუნეში იხსენიება. იგი ყოველთვის რეგიონის მნიშვნელოვან სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენდა. მისი დაუფლება, მთელ შიდა ქართლზე ბატონობას ნიშნავდა, ციხე საუკუნეების მანძილზე არაერთხელ აღადგინეს და გადააკეთეს...

— (მანყვეტინებს) გორის ციხეზეა ლაპარაკი.

— ყოჩაღ! მაშინ მითხარო, ვისი მეფობის დროს მიეცა ციხეს დღევანდელი სახე?

— ერეკლე მეფის დროს.

— რამდენ სანტიმეტრს უდრის ერთი გოჯი?

— არ ვიცი.

— 4 სანტიმეტრს. მას უწოდებენ ყველაზე დიდ სახელმწიფოს ჯუჯათა შორის და ყველაზე ჯუჯას დიდ სახელმწიფოთა შორის. დაასახელე იგი.



— ევროპაშია?

— დიახ.

— ლუქსემბურგი.

— რომელია ლუქსემბურგის დედაქალაქი?

— ლუქსემბურგი.

— რა არის მანაგუა?

— მანაგუა ნიკარაგუის დედაქალაქია.

— რა სიტყვები წერია ქართულ გერბზე?

— „ძალა ერთობაშია“.

— ბოდრუმი — თურქეთის ცნობილი კურორტია,

მსოფლიოს საოცრებებიდან ერთ-ერთი ამ პატარა ქალაქში იყო, მისი ნანგრევების მოსანახულებლად, ქალაქს დღესაც მრავალი ტურისტი სტუმრობს. რომელ საოცრებაზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი.

— პალიკარნასის მავზოლეუმი. ერთხელ კომპოზიტორმა ჯუზეპე ვერდიმ განაცხადა, ეს მუსიკის განუყოფელი ნაწილიაო და მისი პარტიტურაში ჩაწერაც კი მოითხოვა. რას გულისხმობდა ვერდი?

— (ფიქრობს) ვერ ვხვდები.

— მიგანიშნებ, იმას, რასაც ვერდი გულისხმობდა, შენ სცენაზე გამოსვლის დროს იღებდი.

— აპლოდისმენტები? ეს საოცარი განცდა იყო.

— გამოიცანი. „ცოდვა ქართველი ქალი, რადგან მამაკაცები ტირანები ხართ, სულერთია — მამა იქნებით, საქმრო თუ ქმარი. თქვენ არ იცით, რა მოითხოვთ ქალისგან. თუ თავისუფალი ქცევა გამოიჩინა, კახაბაო, იტყვით, თუ თავი შეიკავა — პურიტანაო... თქვენ უკიდურესი ევროპელის და აზიელის კაპრიზები ერთმანეთში გაქვთ არეული, როცა ქალი საყვარლად გინდათ, მისგან თავისუფალ ქცევას მოითხოვთ, როცა მას ცოლად გაიხდით, მერე —





აზიურ კარნაკტილობას“. კონსტანტინე გამსახურდიას რომელ რომანში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

- მგონი, „მთვარის მოტაცებაში“.
- დიას. შეყვარებული ხარ?
- (პაუზის შემდეგ) კი...
- არადა, ცოტა ხნის წინ, „გზაში“ შენი ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც ამბობდი, — ჩემს პირად ცხოვრებაში აბსოლუტური სიცარიელეა, „ის გოგონა“ ჯერ არ გამოჩენილა. იმედია, მალე გამოჩნდება. სად ხარ? მოდიო, — მოუწოდებდი. უკვე მოვიდა?
- მაშინ მართლა არავინ მიყვარდა, ეს სიყვარული თავს უეცრად დამატყდა და ახლა ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.

— ის გოგონა საზოგადოებისთვის ცნობილი სახე ხომ არ არის?

- არა, და გთხოვ, მის შესახებ მეტს ნურაფერს მკითხავ.
- კარგი, ამ სტროფის თქმას მოგვიანებით ვაპირებდი, მაგრამ ჩვენს დიალოგს ასეთი გაგრძელება მოუხდება: „და ქორწილს ზეცის სუფრაზე გავშლი,/ ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ — ბოლომდის,/ როგორც გაზაფხულს ელიან მთაში,/ შენი ლამაზი თრთოლვა მელოდეს“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

- მირზა გელოვანი.
- რამდენი წუთი აშორებს დილის 10 საათსა და 30 წუთს, იმავე დილის 9 საათსა და 15 წუთისგან?
- მათემატიკა მიყვარს (ფიქრობს), 75 წუთი იქნება.
- მან პიანისტის კარიერა ხელის თითების დამბლის გამო მიატოვა, მთელი ცხოვრება კომპოზიციასა და მუსიკის კრიტიკოსობას მიუძღვნა. ერთხელ, როცა შოპენის ვარაუცები მოისმინა, თქვა: ქვედი მოიხარეთ, თქვენ წინაშე გენოსია. დაასახელეთ იგი.
- ე.ი. შოპენის თანამედროვე იყო. ამ კითხვაზე რომ ვერ გიპასუხო, მარინა ბერიძეს ველარ შევხვდები (იცი-ნის), შუშანზე ვფიქრობ და არ ვიცი, გითხრა თუ არა.

— რატომ არ უნდა მითხრა? სწორი პასუხია! კოლექციონერები მათ ხელში ჩასაგდებად საათობით დგანან რიგებში, წერენ წერილებს და არც ქურდობას ერიდებიან. რაზეა ლაპარაკი?

- არ ვიცი.
- დარწმუნებული ვარ, ამის გაკეთება შენთვისაც არაერთხელ უთხოვიათ.

— ანუ მეც გამოიკეთებია? მითხარი, რას გულისხმობ?

- ავტოგრაფის მიცემას. რთული კითხვა არ იყო.
- მართალია, უნდა გამომეცნო.
- რუანდის დასავლეთის საზღვართან არის საოცარი ტბა — კივუ. მის მახლობლად ვულკანის ამოფრქვევისას, ადულებული ლავა ტბაში იღვრება. ამის შემდეგ ადგილობრივი მცხოვრებლები ნავებში სხდებიან და ტბაზე დაცურავენ, რა უნდათ იქ?

- მოხარშულ თევზებს აგროვებენ.
- ის უდავოდ თავისი ქვეყნის სიმბოლოს წარმოადგენს. დროდადრო უმაღლეს სახელმწიფო ჯილდოებს ანიჭებდნენ. პირველი ორდენი წერა-კითხვის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მიიღო. მისმა ასობით ათასმა თანამემამულემ კითხვა მხოლოდ იმიტომ ისწავლა, რომ მისი ბიოგრაფია წაეკითხა, რა სახელით ვიცნობთ მის?

- რა სფეროში საქმიანობდა?
- სპორტში.
- პელეზე ვფიქრობ. მართალია?
- რა თქმა უნდა. ძველ რომში, რომელი

ბატონები თავიანთი სამფლობელოების დასაცავად შავ დოგებს იყენებდნენ. სიბნელეში მათი შემჩნევა რთული იყო. ამის გამო გაჩნდა ეს გამოთქმა, რომელმაც ჩვენს დრომდეც მოაღწია. რომელ გამოთქმაზეა ლაპარაკი?

- პასუხის გაცემა მიჭირს, რამე მინიშნება იქნებ მითხრა.
- ეს გამოთქმა სულ 3 სიტყვისგან შედგება და მათგან ერთ-ერთი სიტყვა — ძალღია.

- (ფიქრობს) ვერ გიპასუხებ.
- „ეზოში ავი ძაღლია“.
- აუუ! ეს როგორ ვერ გითხარი. მაგარი კითხვა იყო.

— ნოდარ დუმბაძის რომელი ცნობილი მოთხრობის გმირია გოგი თუშურაშვილი?

- „კუკარაჩას“.
- რომელ სისხლძარღვებში მიედინება სისხლი ყველაზე ნელა?
- არ ვიცი.

— კაპილარებში. რომელ ქართულ მხატვრულ ფილმშია გამოყენებული გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზი — „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“?

- „ქეთო და კოტეში“.
- თბილისში რომელ მოედანს ერქვა ადრე „ერევნის მოედანი“?
- ახლა რა ჰქვია?
- მეც მაგას გეკითხები.
- არ ვიცი.

— „თავისუფლების მოედანს“ ერქვა. გაიუს მარიუსი, იულიუს კეისარი, პომპეუსი, მარკუს კრასუსი — ამ სარდლებიდან, რომელმა დალაშქრა საქართველო?

- პომპეუსმა, ეს სკოლაში ვისწავლე.
- ამ ქართველი მწერლის მამა თვითანსწავლი მღვდელი იყო. სოფელში ახლაც დგას ეკლესია, სადაც იგი წირავდა.
- ვაჟა-ფშაველა.

— „ბედი იმისია, ვინც ძლიერია, ძლიერი კი მარტო მცოდნე კაცია“, — ვინ არის ამ ცნობილი გამონათქვამის ავტორი?

- მგონი, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.
- დიას, აქვე ისიც გაიხსენე, რამდენი შვილი ჰყავდა ილია ჭავჭავაძეს?
- ვერ გიპასუხებ.

— ილიას მემკვიდრე არ დარჩენია. ვინ შეასრულა ილიკოს როლი ფილმში — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“?

- სანდრო ჟორჟოლიანმა.
- სანამ ბოლო კითხვას დაგისვამ, ერთ გამოცანას გეტყვი: უფასოა, მაგრამ ძვირი ღირს, რასაც გასცემ, მეტს მიიღებ. წამიერია, მაგრამ ხსოვნაში სამუდამოდ რჩება, ვერსად იპოვი მდიდარს, რომელიც უმისოდ ძლებს, და ვერც ლატაკს, რომელსაც ის არ გაამდიდრებს. მას ვერ იყიდი, ვერც თხოვნა-მუდართო მოიპოვებ, ვერც ისესებ, ვერც მოიპარავ, რადგან თუ ნებით არ გაიცა, გროშია მისი ფასი. თუ ამ შეკითხვას სწორად უპასუხებ, „ის“ აუცილებლად გეწვევა.

- სიყვარული?
- ლიმილი. დაბოლოს, დაასრულე მიხეილ ქვლივიძის ცნობილი გამონათქვამი: „პოეზიაში მოყვარულებს არაფერი ესაქმებათ, მუზასთან არშიეობა არ შეიძლება, იგი თავდავიწყებით...“
- უნდა შეიგრძნო.
- „იგი თავდავიწყებით უნდა გიყვარდეს“.



# გონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული  
მართხვალისათვის  
( ა ი თ ხ ვ ა ბ ი )**

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

## „პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაქცეთ თვალი

1. რა ერქვა წვეტიან ჯოხს, რომლის დახმარებითაც ძველ რომში საქონელს მიერეკებოდნენ?
2. დაასახელეთ ქალაქი, რომელსაც ლუდის მოყვარულთა მექას ეძახიან.
3. რა არის მიოკარდი?
4. რას ეძახიან უცხოელები „რაშენ კრემატორის“?
5. დაასახელეთ გერმანელი ვეტერანი ფეხბურთელი, რომლის მამაც „პუმას“ ფირმაში დარაჯად მუშაობდა.
6. რა არის ექტიპოგრაფია?
7. მას შემდეგ, რაც ეს ავტომობილი გაყიდვაში გამოვიდა, ხალხმა „ზაპოროჟეცის“ მეპატრონეების დაცინვას თავი დაანება და მასზე დაიწყო ქილიკი. ასეთ ანეკდოტსაც კი შყვებოდნენ: მანქანა ხის კენწეროზეა ჩამოკიდებული. ხის ძირას პატრონი დგას და ქვემოდან მოძღვრავს: „კარგი, ჯანდაბას, რომ პატარა ხარ და მოცუტქნული.. ჯანდაბას, რომ საჭე არ გივარგა და მუხრუჭებიც დღეგამოშვებით გიმუშავენს, მაგრამ ძალღების რომ გეშინია, ეს რაღა უბედურებაა?!“ დაასახელეთ ეს ავტომობილი.
8. როგორ გლადიატორებს ეძახდნენ პესტიარებს?
9. დაასახელეთ საფოსტო მარკის სამშობლო.
10. რომელ კასტას ეკუთვნოდა ინდირა განდი?
11. ვის ეკუთვნის სიტყვები: „არ არსებობენ ცუდი და კარგი ადამიანები, არსებობს მხოლოდ ცუდი და კარგი ურთიერთობები“?
12. ეს ინგლისელი მწერალი მამათმაგალი იყო. ვიღაც არასრულწლოვან ბიჭთან კავშირი გამოუშავარაუდა, რის გამოც ცოლმა მიატოვა, მისმა შვილებმა კი სხვა გვარი აიღეს. დაასახელეთ იგი.
13. ვის ეკუთვნის სიტყვები: „არ მიყვარს საინტერესო ადამიანების გვერდით ყოფნა, იძულებული ვხდები, მეც საინტერესო ადამიანად წარმოვაჩინო თავი“?

# ანექლოცენი



\*\*\*

მიმდინარეობს გამოცდა, რომელზეც გამოცდელმა ფურცელზე დაწერილ კითხვებს უნდა უპასუხოს — „კი“ ან „არა“. ერთი სტუდენტი მონეტას აგდებს და იმის მიხედვით წერს პასუხებს. გამოცდა დამთავრდა, ყველამ ჩააბარა ნაწერი, გარდა იმ სტუდენტისა, რომელიც ზის და ისევ მონეტას აგდებს.

- რა ქენი, მორჩი წერას? — ეკითხება ლექტორი.
- რამდენი ხანია!
- ახლა რაღას აკეთებ?
- პასუხებს ვამოწმებ!

\*\*\*

პროფესორი გამოცდაზე სტუდენტს ეკითხება:

- 1 რთული შეკითხვა დაგისვიათ, თუ — 2 იოლი?
- 1 რთული.
- კარგი, მითხარით, სად გაჩნდნენ დედამიწაზე პირველი მაიმუნები?
- არბატზე.
- რატომ არბატზე?
- ეს უკვე მეორე კითხვაა!..

\*\*\*

კაცი პოლიციაში მივიდა: — ცოტა ხნის წინ კუნძული ვიყიდე, გუშინ მეგობრებისთვის მინდოდა, მეჩვენებინა, იახტით მივცურეთ და იქ არაფერი დამხვდა. როგორც ჩანს, მომპარეს.

— მდაა... ერთი კვირის წინ ერთი ხულიგანი დავაკავეთ, რომელიც აისბერგს ლებავდა. ახლა ვხდებით, რისთვის!..

\*\*\*

- სოფის ქმარზე ამბობენ, ყველა „იუბკას“ დასდევსო.
- დიდი ამბავი, რა მოხდა მერე?!
- არც არაფერი, შოტლანდიაში რომ არ ცხოვრობდნენ!..

\*\*\*

- ერთი გამაგებინე, ტარაკნებს როგორ გაუმკლავდი?
- ჩინური ფანქარი ვიყიდე...
- მერე?
- რაღა მერე, სხედან და ხატავენ...

\*\*\*

შვილმა სახლში მეგობარი გოგო მიიყვანა და დედამისს გააცნო:

- დედა ეს ჩვენს ქალაქში ყველაზე კარგი გოგოა. აკურატულია, უგემრიელეს კერძებს ამზადებს და სახლსაც ალაგებს...
- ძალიან კარგი, შვილო! 20 ევრო დღეში და სამშაბათობით და პარასკეობით იაროს!..

\*\*\*

- დღეს რაღაც ძალიან დაღლილი და მოწყენილი მეჩვენები.
- სამუშაო... სამუშაო და კიდევ ერთხელ სამუშაო... დილას მუშაობა... საღამოს მუშაობა...
- დიდი ხანია, რაც მუშაობ?
- ხვალღან ვინცებ...

\*\*\*

- ორი „ბომჟი“ ტროტუარზე ზის:
- გაიგე, მსოფლიოში თურმე კრიზისი მძვინვარებს.
- ეგ რაღა უბედურებაა?
- როგორ აგისხნა... აი, შენ, მაგალითად, ოლიგარქი მეგობრები თუ გყავს?
- არა.
- ჰოდა, მალე გეყოლება.







# გონების საპარჯიშო

## „გზის“ ერთგული მართხვალისათვის

### (პასუხები)

1. სტიმული.
2. მიუნხენი.
3. გულის კუნთოვანი კედელი.
4. რუსულ აბანოს.
5. ლოთარ მათეუსი.
6. ამობურცული ბექდვის სისტემა უსინათლოთათვის.
7. „ოკა“.
8. რომლებიც არენაზე მტაცებელ ცხოველებს ებრძოდნენ.
9. დიდი ბრიტანეთი.
10. ბრაჰმანების კასტას.
11. ადოლფ ჰიტლერს.
12. ოსკარ უაილდი.
13. ბერნარდ შოუს.



\*\*\*

— ქალიშვილო, 2 ბილეთი მაქვს კონცერტზე!  
— გაგიმართლა, ჩემო კარგო, ორჯერ შეძლებ წასვლას!

\*\*\*

მათხოვარი გამვლელს აჩერებს:  
— საღამო მშვიდობისა, სერ! ორ წუთს ხომ ვერ დამითმობდით? მინდოდა, თქვენთვის ცოტაოდენი ფული მეთხოვა. არა, მე არც სახლი მაქვს, არც — მანქანა; არც ცოლი, საყვარელი და მეგობრები მყავს. არაფერი გამაჩნია ამ ძველი 45-კალიბრიანი პისტოლეტის გარდა.

\*\*\*

ბიზნესმენი მანქანით საკუთარ ოფისთან მივარდა, რომელშიც ნახევარი საათის წინ ბომბი აფეთქდა. მესანძრეები ცეცხლს აქრობენ, ირგვლივ ქუჩები გადაკეტილია, სასწრაფო დახმარების სანიტრები საკაცებში დარბიან.

— შეფ, დიდი უბედურება შეგვემთხვა! თქვენი ცოლი იყო მოსული და აფეთქებისას დაიღუპა... — ეუბნება ხელქვეითი.

— ჭირსაც წაულია! ბუღალტერი სად არის, ბუღალტერი?!

\*\*\*

კარზე ზარია:  
— უკაცრავად, მე თქვენი მეზობელი ვარ, ქვედა სართულიდან.  
— მერე?  
— თქვენგან წყალი ჩამოგვდის...  
— მერე?  
— იქნებ ონკანი დაკეტოთ, თორემ ფეხები დაგისველდებათ, გაცივდებით, საავადმყოფოში მოხვდებით და მოკვდებით...  
— მოკვდები?!  
— თუ არ მოკვდებით, ჩვენ მოგკლავთ!..

\*\*\*

სარეკლამო ბუკლეტი: „ფირმა „აფროდიტა!“ გაახალგაზრდავება, წონაში დაკლება, ფიგურის კორექცია! მოათრიეთ ჩვენამდე თქვენი მძორად ქცეული, დონდლო სხეული!“

\*\*\*

ბოშა ქალი ხელზე მკითხაობს:  
— ოო, ჩემო კარგო, სულ მალე დეზინტერიისგან მოკვდები.  
— სიცოცხლის ხაზია მოკლე?  
— არა, ხელები გაქვს ჭუჭყიანი!..

\*\*\*

კაცი ტრაქტორით მიდის, ხედავს მდინარეში გოგონა დგას მუხლებამდე წყალში.  
— მანდ რას აკეთებ?  
— მანქანა ჩამივარდა, ვერ ამომყავს.  
— მერე რა პრობლემაა, ამოვართროთ! სად არის მანქანა?  
— აქ არის... სახურავზე ვდგავარ...

\*\*\*

— აი, თქვენ ამბობთ, რომ ადამიანს ყველაფერი შეუძლია.  
— დიახ, შეუძლია.  
— კარგი... აბა, სცადეთ და გამოუშვით ტუბიდან კბილის პასტა. გამოუშვით? აბა, ახლა სცადეთ მისი უკან შეტუმბვა!

\*\*\*

სპეცრაზმელისთვის ძალზე ძნელია ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა. იმისათვის, რომ იგი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებას, ბრძოლის ველზე უნდა დაკარგოს ავტომატი, პისტოლეტი, დანა, ქამარი, ნიჩაბი და ჩაფხუტი; იპოვოს სწორი ზედაპირი, რომელზეც არსად მოიძეება არც ერთი ქვა და ჯოხი. უნდა მოძებნოს თავისნაირი დოყლაპია მონინაალმდეგე, რომელმაც მასავით ყველაფერი დაკარგა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია, ჩაებას ხელჩართულ ბრძოლაში.

# ჩვენი უოსო მანაა





# ჰოროსკოპი

10-16 თებერვალი

### ვეჩორი

გარისკეთ და წარმატება გარანტირებული გეგნებათ. მთავარია, ცვლილებებს არ შეუშინდეთ. გათავისუფლდით მავნე ჩვევებისგან.

### კუჩრი

ახალი საქმიანობა მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ, მაგრამ ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ძალების აღსადგენად ივარჯიშეთ.

### ღუფი

სერიოზული გეგმების განხორციელების პერიოდი დაგიდგათ. გავლენიანი მფარველების წყალობით წარმატებას მიაღწევთ.

### კიჩხობი

ახალი პროექტების განხორციელება წარმატებასა და მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ, მაგრამ გაფრთხილდით, აზარტულ თამაშებში შესაძლოა, მთელი ხელფასი წაგაოთ.

### ღობი

კვირის დასაწყისში უცხოელ პარტნიორებთან საქმიანი შესვდერები და მოლაპარაკებები გელით. დასვენების დღეები ოჯახთან ერთად გაატარეთ.

### ქაჩხობი

არჩევანის წინაშე აღმოჩნდებით — საზღვარგარეთიდან მიწვევას მიიღებთ. დაფიქრდით, მზად ხართ ძველის დასაყვიწყებლად და უცხო გარემოში ახალი ცხოვრების დასაწყებად?

### სახსი

სიყვარულისა და გართობის პერიოდი დაგიდგათ. საყვარელი ადამიანი და მეგობრები მოწყენის საშუალებას არ მოგცემენ.

### მომხი

სამსახურის გამოცვლის საშუალება მოგეცემათ. მატერიალურადაც მოძლიერდებით და ვალესაც გაისტუმრებთ.

### მომხი

საკუთარ ცხოვრებაზე უცხოებთან ნუ იწუნუნებთ. თქვენს სასიკეთოდ გადაწყდება სასამართლო პროცესი.

### თხი

მოსალოდნელია ბინის, სამსახურის შეცვლა, ახალი მეგობრებისა და თანამოაზრეების შექმნა. კვირის ბოლოს დიდი წვეულება გელით, სადაც საინტერესო პიროვნებას გაიცნობთ.

### მომხი

გათავისუფლდით არაფრის მომცემი ურთიერთობებისა და უინტერესო საქმიანებისგან. დასვენების დღეები შვილებთან ერთად გაატარეთ.

### ღობი

გირჩევთ, ახალი ცხოვრება დაიწყოთ. საკუთარ თავს პირობა მიეცით, რომ ბედნიერებისა და წარმატებისთვის იბრძოლებთ.

## რა საკვები გიყვართ და რა უნდა მიიღოთ

### რძის პროდუქტები

დაძაბულობისა და გადაღლილობის დროს ადამიანი რძის პროდუქტებს ეტანება. ამიტომ, საუზმეზე ხაჭო, სალამოს კი ერთი ჭიქა რძე ან მანონი მიირთვით. შედეგად, გაგიუმჯობესდება განწყობილება და ძილი.

### ქახალი

ჰორმონული ბალანსისა და ტვინის აქტიურად მუშაობისთვის ორგანიზმს ესაჭიროება ცხიმი. ძხვეულს ხშირად ნუ მიირთმევთ. უმჯობესია, კვების რაციონი მცენარეული ცხიმით გაამდიდროთ.

### ხატიხილი, ღამრიღაული ქაჩაყი

მარილიანი კერძების მოთხოვნილება ხშირად ფეხმძიმეებს აქვთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ მარილი ორგანიზმში სითხის შეკავებას და არტერიული წნევის მომატებას იწვევს.

### პკრცხი

თუ ცილებისა და A ვიტამინის ნაკლებობას განიცდით, კვირაში რამდენჯერმე მიირთვით მოხარშული კვერცხი ან ომლეტი; საუზმეზე — გოგლიმოგლი.

### ლიმონი, ფოთოხალი

თუ დეპრესიამ შეგიპყროთ, ბევრს მუშაობთ და ენერგიის ნაკლებობას გრძნობთ, ყოველდღიურად მიირთვით C ვიტამინით სავსე პროდუქტები: ფოთოხალი, ლიმონი, ბულგარული წინაყა და კომბოსტოს მწნილი.

### ხრეხი, მიღია, ხალგარი

იოდის ნაკლებობას უჩივით? ხშირად მიირთვით ზღვის პროდუქტები. სალატებს ზღვის კომბოსტო დაუმატეთ. კერძებში კი იოდირებული მარილი გამოიყენეთ.

### ხახვი, წინაყა, ნიორი

ორგანიზმში მიკრობებისა და ვირუსების გაშვებისას იმუნიტეტი ნატურალური სადენინფექციო საშუალებებით უნდა გაძლიეროთ: ყოველდღე დალექეთ ერთი კბილი ნიორი. იგი პირის ღრუში არსებულ მიკრობებს სპობს. სალატებში ხახვითა და წინაყით შეანელოთ.

### ყავა

დაბალი არტერიული წნევისა და გონებრივი მუშაობის დროს ადამიანს ყავის დაღვევა უნდება. შესაძლოა, ენერგიის ნაკლებობასაც განიცდით. თუ გახშირებული გულისცემა გაქვთ, ყავის რაოდენობა შეამცირეთ. განწობილებას ყავის არომატიც გაგიუმჯობესებთ.

### შოკოლადი

სიყვარულსა და სითბოს მოკლებული ადამიანები, შოკოლადს ეტანებიან. იგი ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რაც ორგანიზმს დადებითი ემოციით ავსებს, მაგრამ გახსოვდეთ, რომ შოკოლადი კალორიული პროდუქტია.

### გახეხილი

ვიტამინ E-ს ნაკლებობა კანის გამოშრობას იწვევს, ამიტომ სალატები მზესუმზირის ზეთით შეაზავეთ.

### ხარხინი ხარი, ხრეხინი ღამრიღაული

თუ ორგანიზმს ცხიმი და D ვიტამინი აკლია, ჩაისა და ყავასთან ერთად, შეგიძლიათ მიირთვათ, 2 ნაჭერი ხარხინი ხარი (ყველთან ერთად), მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ!







		1. მოზარდი				2. რისამე შუაგული			3. ვაშლის ჯიშში	4. დონ კიხოტის ცხენი	
			5. კაპიტან ნემოს ზომალდი								
									6. დიდი ნაბიჯი		
						7. ფულის ერთეული ჩინეთში			8. ზედა და ქვედა ყბა ერთად		
9. ძვირფას-ბეჭედიანი მღრღნეული							10. ბუსუსები ქსოვილზე	11. წერილი ჩხირი		12. შეხვედრა უმაღლეს დონეზე	
13. ამერიკის შტატი					14. მხარე საქართველოში	15. ვერდის ოპერა					
16. ბოქლოში			17. ფულის ერთეული თურქეთში								
						18. ვევილი					
19. ფრანგი ფერმწერი							20. ძლიერი სიცხე	21. ზრიკი, ფანდი		22. აბონენტთა ნაციონალური სამოხი	23. ბოსტნეული
24. შექსპირის ტრაგედია		25. იალქანი				26. ირლანდიის დედაქალაქი		27. ბუნებრივი წყალსაცავი			
28. თხის ხმინობა			29. „ჯდა ... წყლისა პირსა“	30. სასულე მუს. საკრავი	31. დაბა სამხრეთ საქართველოში						
									32. I პირის ნაცვალსახელი		
	33. ნებალის დედაქალაქი		34. არაბული ქვეყანა								
	35. ბილიარდის წითელი ბურთი		36. ფასიანი ქალაქი								
	37. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი										
									38. იაპონური ატომობილი		



**წინა ნომრის სკანოვრის პასუხები** 1. კულინარია; 2. ლოდი; 3. პიროგა; 4. საკე; 5. როზეტი; 6. ირისი; 7. ინდონეზია; 8. ნაბელაუი; 9. ალიაქოთი; 10. ტაიგა; 11. აბატი; 12. ფარა; 13. კალიბრა; 14. ელი; 15. მონტოია; 16. კამიკაძე; 17. როლანი; 18. დოლი; 19. პო; 20. ხაო; 21. კალოში; 22. ბაირამი; 23. ფიალა; 24. კოცონი; 25. გიორგობა; 26. ვოლგო; 27. აფაზა; 28. ოტიეტი; 29. პითონი; 30. კოლტი; 31. ტირანია; 32. ლუერი; 33. ფლორა; 34. ცელი; 35. აიეტი; 36. ონი; 37. ლას; 38. სეატი; 39. დუბაი; 40. პენსია; 41. რუ; 42. ის.  
**სურათებზე:** 1. კეიტ ბლანშეტი; 2. მარტინ ლოურენსი.





# ფოტოკუჩიონები





678/6



# ნიგნი

უკვე ბამოსანი ტომები შეიძინათ შეიძინოთ ნიგნის მულტიპლუმი!

ნიგნი 7  
მიხაილ ბულგაკოვი  
სანამ ცოცხალი ხარ!

ნიგნი 7  
მიხაილ ბულგაკოვი  
„ოსტატი და მარგარიტა“

მაგარ გარეკანში, შემოსაკრავი სუპერით და სპეციალური სანიშნით




**წაიკითხე ნიგნები შეეთვისად იქნები!**  
14-დან - 21 თებერვლაგდე

მხოლოდ „კვირის პალიგრა“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი


28 თებერვლიდან - 7 მარტამდე

14-დან - 21 მარტამდე


28 მარტიდან - 4 აპრილამდე



ოსტატი უაიდი



ჩხილბ დიენსი



ჯიხ მახია ხუმაჯი

და სხვა დიდი წიგნები...  
ყოველ მარტამდე  
„წიგნის პალიგრა“  
ერთად!

გამოიწერეთ „კვირის პალიგრა“ და მიიღეთ „50 წიგნის“ სერიის ტომები 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელპა.ჯი



**მარტივად! უარული „ისტორიანი“ წარმოგიდგენთ!**

ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანი, სრული ვერსია 8 ნაწილად

**წიგნი I**  
კონსტანტინე გამსახურდია  
კაუთონის აქტაშენებერი  
წიგნი 1

„ისტორიანის“ ყოველ ნომერთან ერთად, თვეში ერთხელ შეძლებთ შეიძინოთ „დავით აღმაშენებლის“ თითო ნაწილი (წიგნის ფასი 3 ლარი)

**აკდილ-h სიროფი**

ოთხფურცელა მარწყვბალახა, ღარფილფილი, აღჰალტა ვასიკა, ძირტკბილა

**მსენარეული ამოსახველებელი საშუალება ამსირებს:**

- ხველას
- ყელის ტკივილს
- ბრონქებში ნახველის შეზუბებას

სამკურნალო საშუალება მთელი ოჯახისათვის

**აკდილ-h**

აპანაბა ფარმა ლიმიტიდი, ინსოლიტი

**PSP №1**  
ჩვენი ოჯახის ადრიატი  
ალაშენაშუს ბაზ. 148

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდით მოვლენებზე ლეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

პირველი კლასის სასტუმრო

**„ვერე პალასი“**  
გთავაზობთ

ყველა პირობას ზამთრისა თუ ზაფხულის სეზონის სასიამოვნოდ და ატვირთად გატარებისთვის.

- სასტუმროში:**
- 43 კომფორტული და კეთილმოწყობილი ნომერი,
  - მათ შორის 7 ნახევრად ლუქსი;
  - ორი რესტორანი, სადაც დააგემოვნებთ ქართულ და ევროპულ კუძებს. ;
  - მწვანე ბარი და ღამის კლუბი;
  - ბილიარდი
  - საცურაო აუზი;
  - საუნა და მასაჟი;
  - ფიტნეს დარბაზი;
  - საკონფერენციო დარბაზი;
  - თხილამურების ქირაობა



[www.verepalacebak.ge](http://www.verepalacebak.ge)  
E-mail [verepalacehotelbakuriani@gmail.com](mailto:verepalacehotelbakuriani@gmail.com)



თითოეულ ნომერშია ინდივიდუალური გათვლილი, ფართი ტელევიზორი საკმალო არხებით, ტელეფონი ოთახში და სააბაზანოში, მინი ბარი, ფენი და უსაფრთხოების სისტემა. ზოგნეს სანატორი თავის ისარგებლებით ფაქსით, ქაბრუქსით, კომპიუტერით და ინტერნეტით.

თბილისი, კონსტანტინე ქ. №47  
ტელ: (995 32) 98 35 65  
ფაქსი: (995 32) 99 68 67  
მომ: (995 95) 15 84 48

ბაკურიანი, ნაქაძის ქ. №12  
ტელ: (995 26) 74 00 49  
ფაქსი: (995 26) 74 00 50  
მომ: (995 99) 11 60 45 (995 95) 30 06 40





# franco fontana

italy



კომლენა  
ვარეხენობა!

მოდანდაი franco fontana - ში  
და შიძინეი ძუნოვანი სხუქანი  
აქუნავი ძუნოვანი ადამიანოვანი!

რუსთაველის 26 ☎ 18-10-47; ჰაიბის 7 ☎ 30-65-56; ჰაზვანძის 21 ☎ 18-10-46; დანიანის 7 (კარავანი)